

ლეილა (მარი ტერეზ-კუნისთან ერთად)

იძულებით გათხოვილი

* * *

კიბეს აივლი თუ არა, ჰოლში მოხვდები და დაინახავ წარწერას: «მერის კაბინეტი».

ლეილა მქვია, ოცდაერთი წლის ვარ. დავიბადე საფრანგეთში, წარმოშობით კი მაროკოელი ვარ. წარმომავლობის ყოვლისშემძლეობას დღეს ჩემ გვერდით მდგომი მამაჩემი განასახიერებს.

ის არც რელიგიური ფანატიზმითაა გამორჩეული და არც ბოროტია – მას პატივს სცემენ და რჩევას ეკითხებიან. როცა ქალიშვილი არ ემორჩილება, სცემს. მან ასე აღმზარდა, სურს მორჩილი და დამჯერი ვიყო. მცემა, რომ ცოლად გავყოლოდი იმ კაცს, ახლა ჩემ წინ კიბეზე რომ აღის.

ფრანგული ადმინისტრაციის წინაშე ცოლად მივყვები კაცს, რომელსაც არ ვიცნობ. ეს ქორწინება კი არა, იძულებითი ფორმლობაა. თავის გადასარჩენად შემეძლო, ეს კიბე ჩამერბინა და გამვლელი საშველად მომეხმო. ასეც რომ მოვიქცე, ჩემი სიცოცხლე აღარ იქნება ჩემი საკუთრება. ჩემნაირი წარმომავლობისა და აღზრდის ქალიშვილი ვერ იცხოვრებს და არც შეუძლია იცხოვროს ოჯახისგან მოწყვეტილმა, მამის მფარველობის გარეშე. მამის ვალია, ქალიშვილი სხვა მფარველს – მისთვის შერჩეულ ქმარს – გადააბაროს.

ამ უბანში დავიბადე, ამავე მერიის სამოქალაქო აქტების რეესტრშია დარეგისტრირებული ჩემი დაბადება. მეგონა, უფლებები მექონდა, მაგრამ ისინი არაფრად მარგია. ვის მივმართო? სოციალურ სამსახურს? ეს ოჯახური საკითხია და ვერ ჩაერევა. პოლიციას? მეტყვიან, – სრულწლოვანი ხარ და საკმარისია, მერს შეკითხვაზე «არა» უპასუხო.

დემოკრატიულ საზოგადოებაში იძულებით გათხოვება პრინციპულად წარმოუდგენელია. მაგრამ თუნდაც მერს არა-მეთქი, ვუპასუხო, რას მიშველის, მე ხომ მაროკოში უკვე დამაქორწინეს. ამ რიტუალის კანონიერებას საფრანგეთში არ აღიარებენ, მაგრამ მამაჩემის, ჩემი ოჯახისა და მთელი უბნისთვის «ცუდი გოგონა» გავხდები, დამსჯიან და მომიძულებენ, რადგან საფრანგეთში უკანასკნელი ფორმლობის შესრულებაზე უარი ვთქვი. მაროკოში ვეღარ ჩავალ – ჩემს «ქმარს» უფლება ექნება, ჩემი ძებნა გამოაცხადოს და შემდეგ გაყრა მოითხოვოს. ქმარგაყრილი ქალიშვილის ყოლა ტრადიციების მიმდევარი მამისთვის დიდი დამცირებაა.

სიყვარულით გათხოვებაზე ვოცნებობდი, სხვა გოგონების მსგავსად იმ ერთადერთს ველოდი. მსურდა, ლამაზი თეთრი კაბა მცმოდა და ხელში ყვავილების თაიგული მჭეროდა, როგორც რომანტიკულ თხზულებებშია მოთხრობილი; კიბის ზედა საფეხურიდან გავუღიმებდი მოსალოცად მოსულ მეგობარ გოგონებს. მამისეული ოჯახიდან პაწაწინა, მაგრამ «ჩვენს» ბინაში გადავიდოდი საცხოვრებლად; აღელვებული ვიტირებდი, მამას, დედასა და ძმებს თვალცრემლიანი გამოვეთხოვებოდი, ბედნიერებისა და თავისუფლების შესახვედრად გავიქცეოდი, რომელიც მუდამ ასე მწყუროდა.

ფორმლობის შესრულებას სულ ათი წუთი დასჭირდა.

უცნობმა მიიღო ის, რაც სურდა, მე კი ლეილა აღარ ვარ. ვიღაც მადრიბული წარმოშობის გოგონამ თავისი მისია აღასრულა, რაც მთავარია, ის ქალიშვილია და პატივსაცემი ოჯახიდანაა. მამაჩემს ამ კაცისთვის არც კი «მიუყუდივარ», როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე. მას სწამს, რომ ოჯახების შეთანხმება, ახალგაზრდების დაქორწინების შესახებ, სამართლიანია და

გულწრფელად სჯერა ამ ტრადიციის მართებულობისა. ჯიუტად ცდილობს, დამიმორჩილოს, წინაპართა ყაიდაზე მოაწყოს ჩემი ცხოვრება; ვერ აიტანს, თუ მისი ქალიშვილი ცხოვრების განსხვავებულ წესს აირჩევს.

ვეღარაფერზე ვფიქრობ. აქ არც კი ვიმყოფები, ეს დღე ჩემთვის არც არსებობს, ის ჩემი ფიქრებიდან ამოვარდეთ. სილაში თავჩარგულ სირაქლემასავით ველოდი ბედისწერის ჩარევას, ეს ყველაფერი რომ აეცილებინა ჩემთვის – სამყაროს დასასრულს, მიწისძვრას, იმას, რომ ვინმე წამოდგებოდა და ხმამაღლა იტყოდა: «ფრანგული კანონი კრძალავს იძულებით ქორწინებას!»

მაგრამ მერის კაბინეტში მხოლოდ ჩვენ ვიყავით, კიდეც ფორმალობის შესასრულებლად საჭირო ორი მოწმე, და არც მიწისძვრა მომხდარა. მერს ზედმეტი კითხვა არ დაუსვამს, მას ამგვარი მრავალი ქორწინება უნახავს, თავის გადასარჩენი და უსიხარულო. «ღიან» – ისეთი

ხმით ვთქვი, მე რომ არ მეკუთვნოდა, მამაჩემის მრისხანე შუერის თანხლებით ხელი მოვაწერე საბუთს, რომელსაც ცრემლიანი თვალებით წესიერად ვერც კი ვარჩევდი. უმცირესი ურჩობის შემთხვევაში მამაჩემი უმოწყალოდ მცემდა, მაროკოში გამგზავნიდა ან შინიდან გამაგდებდა. თავშესაფარში უნდა წავსულიყავი, მივინდობოდი თავისუფლებას, რომელიც მას ჩემთვის არასოდეს მოუცია და რომლისაც თავზარდამცემად მეშინოდა. დასავლურ საზოგადოებაში ინტეგრაცია იწყება «არას» თქმის თავისუფლებით. «არას» თქმას როცა ვერ ბედავ, სწორედ ეს არის ტრადიცია. ამ დაუწერელი კანონის დარღვევის შესაძლებლობა არასოდეს მქონია.

სად იყავი?

შვილი ან რვა წლისას, შესაძლოა უფრო პატარასაც, ჩემი მშობლების ბინაში მამაჩემის ან დედაჩემის ხმა ჩამესმოდა:

– ლეილა! სუფრა გაშალე! ლეილა, ძმას მიხედე! ლეილა, ჭურჭელი გარეცხე! ლეილა, აქ დარჩი! ლეილა, რას აკეთებ? აქ მოდი, გარეთ არ გახვიდე, ოთახი დაალაგე. რომელ საათზე დაბრუნდი სკოლიდან? შენი ნივთები აქედან აალაგე, დედას მიეხმარე, ამ გოგონას აღარ დაელაპარაკო, ვისთან ერთად იყავი?

ბრძანებები და აკრძალვები თმის სარჭებივით მესობოდა თავში. საკუთარ თავს არ ვეკუთვნოდი, ოჯახის საკუთრება გახლდით და ისიც მმართავდა.

სარკეში ვიყურებოდი და ვერავის ვხედავდი. დავიბადე, მქონდა სხეული და თავი, თვალები საცქერლად და გული – გრძნობებისთვის, თუმცა მათი გამოყენება დანიშნულებისამებრ არ შემეძლო. შუაგულ საფრანგეთში მაროკოული ტრადიციით აღმზარდეს. თავისუფლად ამოსუნთქვა მხოლოდ სკოლაში შემეძლო. კლასში ყოფნისას ვარსებობდი, სრულფასოვანი არსება ვიყავი, ჩემს გონებას შეეძლო ჩემთვის სარგებლობა მოეტანა, დასვენებებზე სხვებთან ერთად დავრბოდი და ვიცინოდი, სკოლას ვადმერთებდი. მაგრამ როგორც კი მის შენობას ვტოვებდი და შინისკენ მიმავალ გზას გავადგებოდი, უკვე არარაობა ვხდებოდი.

– დროს ნუ ფლანგავ და შინ დროზე დაბრუნდი! შენს ძმებს მიხედე!

ბიჭების ჯოგში ერთადერთი გოგონა ვარ. დედაჩემის ყოველი დაფხმძიმებისას კლინიკის დერეფანში მომლოდინე გულის კანკალით ველოდი, რომ იტყოდნენ: «გოგონა დაიბადა!»

მაგრამ შედეგი არასოდეს იცვლებოდა. ორი უფროსი ძმა მყავდა, შემდეგ კიდეც ერთი დაიბადა, მერე კიდეც ერთი და ასე, ათი ბიჭი. უკვე თექვსმეტი წლის ვიყავი, როცა, როგორც იქნა, ჩემი პატარა დაიკო, სირინი გაჩნდა.

ხუთი თუ ექვსი წლის ვიქნებოდი და სასოწარკვეთილმა ღრიალი დავიწყე, რადგან ასე მეგონა, დედაჩემის მკლავებში ვეღარასოდეს ვიხილავდი არსებას, მე რომ მემგვანებოდა. მთელი

ბავშვობა და მოზარდობა ზეცის საჩუქარს, დას, ველოდი. ასე მეგონა, დედაჩემის სხეულიდან გაჩენილი ამდენი ბიჭი ჩემი პირადი სასჯელი იყო, ჩემი დაბადება ამდენ ძმას შორის – კიდევ უარესი სასჯელი.

ალი და ბრაჰიმი, კარიმი და მილუ, მუჰამადი და ჰასანი, მანსური და სლიმანი, იდრისი და რაშიდი... დედაჩემი თითქმის ყოველ წელს მშობიარობდა და ბიჭები ჩემ თვალწინ ფილმის კადრებივით ენაცვლებიან ერთმანეთს. მე ამ კადრებში არ ვჩანვარ, მხოლოდ დაკისრებული ვალდებულებები იმატებს. ძალიან მშურდა ჩემი კლასელი გოგონების: გაკვეთილების დასრულების შემდეგ დედები აკითხავდნენ და კოცნიდნენ. მეგონა, რომ დედებისთვის ეს გოგონები დიდი ბედნიერება იყვნენ. დედაჩემს კი, აურაცხელი ბავშვის მოვლის გარდა, თითქმის კონვეიერული ყოველდღიური საქმიანობა უწევდა. ღამითაც კი რომელიმე ბავშვი ჭირვეულობდა და უნდა ამდგარიყო. მისი ცხოვრება ტოტალური მონობა გახლდათ.

ციცქნას დამეკისრა საშინაო საქმეებში დახმარება, მაგრამ უტიფრად ვეწინააღმდეგებოდი ჩემი ათი ძმის მონად გადაქცევის მცდელობას. დედაჩემი თავში მირტყამდა, თმებს მწიწკნიდა, მაგრამ რაც მას სურდა, არაფერს ან თითქმის არაფერს ვასრულებდი. მისთვის სრულიად ბუნებრივი იყო, ერთადერთი ქალიშვილი დამხმარედ მიეჩნია – საფრანგეთში ჩამოსვლამდე ასე იზრდებოდა თავის სოფელში. აქ არავის იცნობდა, ფრანგულადაც ვერ ლაპარაკობდა. დაახლოებით ოცდახუთი წლის წინ, როცა მე დავიბადე, ჩვენს უბანში თითო-ორიოლა მალრიბული ოჯახი იყო; ხოლო მაროკოდან დედაჩემის ჩამოსვლისას – არც ერთი. უმზეო რეგიონში მდებარე ხუთოთახიან (სამზარეულო, სასადილო, ორი საძინებელი და ლოჯია) ბინაში გამოკეტილი დედაჩემი ბავშვებს აჩენდა და აჩენდა. სახლიდან გასვლა და საყიდლებზე სიარული არ შეეძლო. ყველაფერს მამაჩემი აგვარებდა, სურსათს ყიდულობდა, რასაც მთელი მისი – მუშის ხელფასი ხმარდებოდა. მაშინ შობადობის კონტროლი წარმოუდგენელი იყო, სიტყვა «კონტრაცეპტივიც» კი არ არსებობდა. ღმერთი ვაჟებს უგზავნიდა. მოგვიანებით დავფიქრდი, – მამაჩემი ობლობაში რომ გაიზარდა, ეგებ, ეს გახდა მისი ასეთი გამმაგებული შვილოსნობის მიზეზი-მეთქი.

საფრანგეთში ცხოვრების პირველ ხანებში დედაჩემი ცხოვრებას მესამე სართულის ფანჯრიდან ადევნებდა თვალს, სახლიდან მხოლოდ სამშობიაროში ან მამაჩემის კვალდაკვალ, მრავალრიცხოვანი ბავშვების თანხლებით გადიოდა. მეც დედაჩემივით შინ ვიყავი გამოკეტილი. ბიჭები იზრდებოდნენ და გარეთ ქუდის გარეშე სირბილის უფლება ჰქონდათ, მე კი – არა. ზოგჯერ უბნელი მეგობარი გოგონები მაკითხავდნენ, რომ ეზოში გვეთამაშა: «რეზინობანას სათამაშოდ მოვდივართ, წამოხვალ?» ვპასუხობდი, – მამაჩემს უნდა დავეკითხო, მაგრამ ვიცი, არ გამომიშვებს. იქნებ თქვენ სთხოვოთ, შეიძლება უარი ვერ გითხრათ-მეთქი.

და მართლაც, პასუხი არ იცვლებოდა:

– ჰაერზე გინდა გასვლა? აგერ – აივანი!

ეს უსამართლობა იყო. ვერ ვბედავდი კითხვის დასმას – «რატომ?», არც მიცდია რაიმეს გარკვევა. არ შეიძლებოდა და მორჩა. ახლაც ვხედავ საკუთარ თავს ამ აივანზე, ჩემთვის გაუგებარი კანონის ტყვედ ქცეული სხვა გოგონების თამაშს ვუყურებ. პატარა, დაწყებითი სკოლის მოსწავლე ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, რატომ იყო სახიფათო ეზოში ჩასვლა.

ნელ-ნელა ჩვენს უბანში სხვა მალრიბული ოჯახები დასახლდნენ, შემდეგ აფრიკულიც. სკოლაში ფრანგების გვერდით ვსწავლობდით და ეს პატარა სამყარო ჰარმონიულად ცხოვრობდა. ჩემი საუკეთესო მეგობარი სურია «რეზინობანას» ეთამაშებოდა სხვა გოგონებს. ფარიდა, ჟოზეფინი, სილვი, მალიკა, ალია თუ შარლოტი... ქვემოთ, ეზოში ერთობოდნენ, უჩემოდ. რატომ?

მამაჩემმა ყველა შვილი ისე გაგზავნა, რომ მისი უნდა გვშინებოდა.

როცა რამეს გვეკითხებოდა, თუ რომელიმე ჩვენგანი, თავისდა საუბედუროდ, თვალელებში შეხედავდა, მაშინვე პირველ სილას მიიღებდა ამ სიტყვებით:

– თვალეები დახარე!

არასოდეს გამიგონია მისგან საალერსო სიტყვა, არც მოფერება მახსოვს. ცხოვრებაში ერთხელაც არ ჩავმჯდარვარ მამის კალთაში, არც მისალმების ან დამშვიდობების ნიშნად უკოცნია ოდესმე. ის, რასაც შინ ვხედავდი და რაც სხვა, ფრანგი თუ არაფრანგი წარმომავლობის ბავშვებისგან მესმოდა, ერთმანეთისგან ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდა. აღზრდის ამ სტილმა პატარაობიდანვე დადი დამასვა. მახსოვს, მეხუთე კლასელები მასწავლებელს საგუნდაოდ უნდა წავეყვანეთ. მაგრამ მშობლებმა თავიდანვე იუარეს ჩემი გაშვება. მასწავლებელმა მამაჩემი მოინახულა და მისი დარწმუნება თავაზიანად სცადა:

– თქვენს გოგონას არაფერი ემუქრება, გოგონები და ბიჭები ცალ-ცალკე იქნებიან...

მაგრამ ერთხელ ნათქვამი «არა» არ შეცვლილა. პრობლემა იყო მამაჩემის შიში, რომ თუნდაც ბიჭებისგან განცალკევებით ყოფნისას, მისი ყურადღების მიღმა, შესაძლებელია, რაიმე გაუთვალისწინებელი მომხდარიყო. ათი წლის ბავშვი სრულიად უცოდველია. ბიჭების გვერდით ყოფნა საზრახისად სრულებითაც არ მიმაჩნდა.

შინ ერთ ოთახში ძმებთან ერთად მეძინა... და მამაჩემს ეს არ აწუხებდა! მე – პირიქით. მას ვერც წარმოედგინა, რომ საფრთხე საკუთარ ჭერქვეშ მემუქრებოდა.

მან არ იცოდა, რომ თოჯინა ბარბით თამაშის ასაკში ჩემზე ბევრად უფროსმა ძმამ სამუდამოდ შემაზიზადა ორი საწინააღმდეგო სქესის ურთიერთობა. ამ ბიჭთან ერთად ოთახში დარჩენა მზარავდა. დაუსჯელმა აგრესორმა მშვენივრად იცოდა, სირცხვილით ხმას არ ამოვიღებდი და ვერასოდეს ვიტყოდი, დამნაშავეა-მეთქი. მართალიც იყო. რასაკვირველია, მას ჩემი ქალწულობა არ შეუბღალავს, რადგან მუსლიმთა ოჯახში გოგონას ქალწულობა წმიდათაწმიდაა, მაგრამ ამ ასაკის გოგონას დამცირების სხვა, არანაკლებ სასტიკი საშუალებებიც არსებობს. აგრესიის მსხვერპლად ქცეული სხვა ბავშვების მსგავსად ვდუმდი. ახლაც ვდუმვარ, მაგრამ ეს საწამლავი არ გამომნელებია. საშველად რატომ არავის მოვუხმე? რატომ ავიტანე ყველაფერი? ყოველთვის მე რატომ ვგრძნობ თავს დამნაშავედ, როცა

აგრესორი უდარდელად აგრძელებს ცხოვრებას? თავისი სექსუალობა ჩემზე გამოსცადა, ეს იყო და ეს; მისთვის ხელმისაწვდომი ნივთი ვიყავი, მეტი არაფერი.

საზარელი ცოდვით დავისაჯე, არარაობა, ლაჩარი, წაბილწული, სანაგვის ღირსი ვიყავი. ამიტომ ეს დაწყევლილი ამბავი ჩემი გონების ყველაზე ღრმა კუნჭულში შევინახე.

ამ ამბავს «გადავახტი», სხვა გამოსავალი არ მქონდა.

ასე გავხდი აგრესიული, ურჩი, გაუწონასწორებელი, რომელიც ვერ იტანდა ამ ღუმელს, ციხეს, სადაც მხოლოდ მამას აქვს სიტყვის თქმის უფლება და ძმები ყოველთვის მართლები არიან. ამიტომ დავიფიცე, რომ სკოლაში კარგად ვისწავლიდი, მექნებოდა ხელობა, და თუ ერთ დღესაც გადაწყვეტილი, გავთხოვდებოდი კიდევ. მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო რაც შეიძლება გვიან და არც ბავშვების ურდოს აღზრდას ვაპირებდი. გარდა ამისა, უნდა შევხვედროდი ადამიანს, რომელიც მომეწონებოდა და რომელზეც ჩემი გაუხარელი ბავშვობისთვის ჯავრს არ ამოვიყრიდი.

იქამდე აივანზე ვიდექი მიტოვებული და განდევნილი მეფის ასულივით და სატელევიზიო სერიალში ნანახის მსგავს, მომხიბლავ უფლისწულზე ვოცნებობდი. კლასის მეგობრებს კი ვაცივებდი, როცა მათ ვუყვებოდი ცემა-ტყეპის, სილის, მშობლების ყვირილის შესახებ. ეს ხომ ჩემი ყოველდღიური ცხოვრება იყო ამკარად ურჩობის დასასჯელად.

მე კი მხოლოდ არსებობა, სულ მცირე ყურადღება და ალერსი მსურდა. ბევრს არაფერს ვითხოვდი. ტანსაცმელი, სათამაშოები ფეხებზე მეკიდა. მინდოდა მამაჩემს ვყვარებოდი, დილას და საღამოს უკოცნა, სკოლაში მოეკითხა ხოლმე. ხანდახან თავს ვეკითხებოდი, ნამდვილად მისი შვილი ვიყავი თუ არა. ასე მეგონა, ასე უდიერად მხოლოდ მე მეპყრობოდა. მიუხედავად ძმებისადმი მკაცრი მოპყრობისა, ისინი ყოველთვის კრიჭაში მედგნენ, მე ყოველთვის მტყუანი ვიყავი. დედაჩემიც მუდამ მათ ამართლებდა.

მეგობარ გოგონებთან ერთად ქალაქში გასვლა, რომელიმესთან სტუმრად მისვლა, მუსიკის მოსმენა, თუნდაც ჭორაობა ყოველთვის სადავიდარაბო ხდებოდა:

– ლეილა, ოთხშაბათს ნაშუადღევს შინიდან არ გახვალ! პურის გამოცხოვა და საჭმლის გაკეთება უნდა ისწავლო. არც კი ფიქრობ, რომ გათხოვების შემდეგ ქმარი ერთ დღესაც არ გაგაჩერებს შინ, რადგან ვერაფერს მოამზადებ...

ამგვარი მუქარის აზრი არ მესმოდა და სხვა თაობისთვის განკუთვნილად მიმაჩნდა.

ამიტომ, ოთხშაბათს, ნაშუადღევს, ძალიან მსიამოვნებდა დედაჩემის გაცოფება.

– აჰ, არ გინდა, გარეთ გავიდე? ჰოდა, ნუ წუხხარ, არ გავალ.

ტელევიზორის წინ მოკვალათებოდი. სამსახურში წასვლამდე მამაჩემი მემუქრებოდა:

– გაფრთხილებ, თუ დედაშენმა ამ სადამოს მითხრა, რომ რაღაც გთხოვა და არ შეუსრულე, შენს თავს დააბრალებ, რაც დაგემართება.

– ჰო, კარგი, კარგი!

– ლეილა, შენ გელაპარაკები! როცა რაიმეს გეუბნები, თვალებში მე მიყურე და არა ტელევიზორს!

– ვერაფერი გავიგე! როცა გიყურებ, მეუბნები, თვალები დახარეო, არ გიყურებ და ახლა თურმე საჭიროა, თვალებში შემოგხედო!

– ლეილა, გაფრთხილებ, წასვლამდე ნუ დამაკარგინებ მოთმინებას.

– კარგი, მამა, კარგი... ყველაფერი კარგად იქნება!

ჩემთვის კი ვფიქრობდი: «არკვიე, როდის რა უნდა გააკეთო...»

– ლეილა, ბიჭებს სუფრა გაუშალე!

სხვა დანარჩენ ვალდებულებასთან ერთად სუფრის გაშლა ძმებისთვის, რომლებიც მშვიდად უყურებდნენ ტელევიზორს, მაცოფებდა. მომსახურება მათთვის უფასო იყო. სუფრასთან სხდებოდნენ და ისე დგებოდნენ, თითოსაც არ ანძრევდნენ. მაგიდის ალაგებაც მე მევალებოდა.

ამ ვალდებულების შესრულების შემდეგ ვიცვამდი და შინიდან გასასვლელად ვემზადებოდი. დედაჩემი ჩემსა და კარს შორის ჩადგებოდა:

– ჭურჭელი გარეცხე?

– რა თქმა უნდა, არა!

– ლეილა, გაფრთხილებ, მამაშენი მოგკლავს...

– ჰო, რა თქმა, ყოველთვის ერთი და იგივე...

დედაჩემი ჩემს ლანძღვას აგრძელებდა, მე კი კარს გამოვიჯახუნებდი და მივდიოდი. კარგად ვიცოდი, სადამოს კარის ეს გაჯახუნება მამაჩემის რისხვად დამიჯდებოდა. დედა სილას გამაწნავდა ან თმას მომქაჩავდა, ამის არ მეშინოდა და გულში მეცინებოდა კიდეც. მაგრამ მამის რისხვა სხვა საქმე იყო: უბანში მრავალი გამონათქვამი აღნიშნავდა ამას. «მოთმინების დაკარგვინება», ან «ცხვირ-პირის გაერთიანება», «სიფათის აფეთქება» – როდესაც ცემისგან, სხეულის სხვა ნაწილების გარდა, სახე გვისივდებოდა.

ერთხელ ხელ-ფეხი შემიკრა, რადგან კოლუჯიდან ანთებული სიგარეტით გამოვდი. იმ დღეს «სიფათი ამიფეთქა». ამ ცემა-ტყეპის კვალი დიდხანს გამყვა, გარდა ამისა, მკლავიც მომტენა.

მაგრამ არავინ შეწუხებულა ამ ამბით. ერთხელ ფრანგული ენის მასწავლებელმა დასახმარებლად ხელი გამომიწოდა:

– ლეილა, თუ რამე გაწუხებს, ყოველთვის შეგიძლია მოხვიდე და დამელაპარაკო.

მე კი მედიდურად ვუპასუხე:

– არა, ყველაფერი შესანიშნავადაა. კალათბურთის თამაშის დროს დავეცი და მკლავიც ვიდრძე.

მრცხვენოდა, საკუთარი ამბები მომეყოლა. ამას არ ვიმსახურებდი.

როცა ჩემი მშობლები შინიდან გადიოდნენ, ტელევიზორთან ვჯდებოდი მამაჩემისთვის განკუთვნილ ადგილზე. ის «თავისი» წესებით არჩევდა პროგრამას: აკრძალული იყო რომანტიკული ფილმი, ეკრანზე კოცნა, ყველაფერი ის, რაც გონებას აუმღვრევდა მოზარდ გოგონას.

ტელევიზია ჩემთვის სულის მოთქმის საშუალება გახდა. მისი მეშვეობით ვოცნებობდი იმაზე, რაც მაკლდა ნამდვილ ცხოვრებაში: უკვე მესამე სართულის ბინაში გამოკეტილი თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლის ლეილა კი არ ვიყავი, არამედ ფილმის გმირი! მამაჩემს არ უყვარდა, როცა ასე უნდა დავეტოვებინე შინ.

დედაჩემი: – ლეილა, ქვაბი ცეცხლზე დგას, მიხედე... სადილობის დროისთვის დავბრუნდებით!

მამაჩემი: – იცოდე, ამ ქვაბს არაფერი დაემართოს, თორემ შენს თავს დააბრალებ!

– ჰო, გასაგებია!

დედაჩემი: – ლეილა, ოთხშაბათს, ნაშუადღევს შინიდან არ გახვიდე!

მამაჩემი დაჟინებით იმეორებს: – თუ კიდეც გავიგე რამე შენზე... გაფრთხილებ...

დიალოგი უკვე ზეპირად ვიცი: – გაფრთხილებ... თუ რამე მოხდა... სად იყავი?

ეს «სად იყავი» მილიონჯერ მაინც მაქვს მოსმენილი. აკრძალულია შინიდან გასვლა, ბურთით თამაში, სახტუნელათი ხტუნვა. რვიდან თორმეტ წლამდე სულელურ უსამართლობად მიმაჩნდა ამ დაწყევლილ აივანზე დგომა, თუმცა ჯერ კიდევ ვერ ვხვდებოდი, რა დღეში ვიყავი. როცა წამოვიზარდე, უკვე აღარ მიკრძალავდნენ, არამედ საუბრობდნენ ჩემი «დაცვის» აუცილებლობაზე: – ლეილა ურჩია, უნდა დავიცვათ, რომ რაიმეს არ გადაეყაროსო. რაც მეტი იყო ჩემი «დაცვის» სურვილი, მით უფრო ვეწინააღმდეგებოდი მას ფარულად ან ნერვების დაგლეჯის ფასად.

ყრუ კედელი ვიყავი: რასაც დედაჩემი მიბრძანებდა, იმავეს იმეორებდა მამაჩემი, დასამშვიდებლად ვპასუხობდი, – ჰო, დიახ-მეთქი, მაგრამ მაინც იმას ვაკეთებდი, რაც თავად მსურდა. ამიტომ, მათთვის მიუღებელი იყო ჩემი ქცევა, რადგან «ჩემნაირი» გოგონებისთვის განკუთვნილ წესებს არ ვცნობდი.

«ჩემნაირი» გოგონა შემდეგს ნიშნავს: დაბადებული საფრანგეთში, ეროვნებით ფრანგი, სკოლაში ფრანგულ კულტურას ნაზიარები, შინ მადრიბული წარმომავლობის და, მამასადამე, დამონებული, საკუთარი პიროვნულობის გარეშე, ოჯახის სამსახურში.

– თუ გარეთ ხშირად გახვალ, რას იტყვიან შენზე? ცუდი სახელი გექნება!

სახელი...

როცა დავიბადე, ჩემს უბანში მადრიბული ოჯახი ცოტა იყო. მაგრამ ჩემი ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში გარშემო გაჩნდნენ ოჯახები, ბავშვები, წესები და ადათები, რომელთა დაცვა თემის ყველა წევრს ევალებოდა. მშობლებიც, სხვების მსგავსად, მიღებული წესების

დაცვას მაიძულებდნენ. მაგრამ ამ წესების ახსნა არავის უცდია, მხოლოდ უხეშ ძალას იყენებდნენ, რასაც კონფლიქტი მოჰყვებოდა.

კოლეჯში ბრწყინვალედ ვსწავლობდი და კლასის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე ვიყავი. ლიცეუმში კინატამ კატასტროფა მოხდა, რადგან რაც უფრო მემატებოდა ასაკი, მით უფრო მძიმედ ასატანი ხდებოდა თავსმომხვეული წესები.

მუდმივად შინ უნდა ვყოფილიყავი, მშობლებისა და ძმების ბრძანებები შემესრულებინა, სახლი დამელაგებინა, სადილი მომემზადებინა, უმცროსები დამებანა... დელობა იქამდე ვისწავლე, სანამ თავად გავხდებოდი დედა. მთხოვდნენ, გავზრდილიყავი და თან ბრმად მორჩილიც ვყოფილიყავი. ასეთი რამ შეუძლებელი იყო და მეც საკუთარ თავს ვანგრევდი! გაჩენის დღეს ვიწყევლიდი გოგოდ დაბადებისთვის.

სახლის დალაგება დილაადრიან უნდა დამეწყო, ძმების ადგომამდე! ვუყურებდი, როგორ მშვიდად ეძინათ, მე კი იატაკს ვრეცხავდი და თან მათ ვწყევლიდი. დაუნდობლადაც ვექცეოდი. იმის ნაცვლად, რომ მშვიდად მეთქვა, – ადექი, ტილო უნდა მოვუსვა-მეთქი, ვღრიალებდი:

– მიდით, ადექით! თითქოს ამის გარდა სხვა საქმე არ მქონდეს! თქვენი მოსამსახურე კი არ ვარ...

როცა რაიმეს მთხოვდნენ, თავაზიანობის ნასახის ნაცვლად, ბრძანებები ისმოდა:

– ეს გამიუთოვქე! შინიდან გავდივარ და უნდა ჩავიცვა!

არასოდეს მომისმენია მათგან – «თუ შეიძლება, ლეილა» ან «თუ შეგიძლია, დამეხმარო». ასე რომ მოემართათ, რასაკვირველია, ყველაფერს შევუსრულებდი. მაგრამ «თუ შეიძლება» და განსაკუთრებით, «მადლობა», არასოდეს არავის დასცდენია. ერთ ძმას, ორს ან ოთხსაც... კიდევ ავიტანდი, მაგრამ როცა ყველა ერთად მომადგებოდა თავიანთი პერანგებით, შარვლებით, გასაწმენდი ფეხსაცმლით...

მოზარდი ვიყავი და ექვსიდან ოც წლამდე ასაკის უკვე რვა ძმა მყავდა. ეს იყო მთელი კოლექცია: პატარა მამაკაცები, რომელთაც ჩაცმა ჯერ არ იცოდნენ; მოზარდები, რომელთა კედები და წინლები მთელ სახლში იყო მიმოფანტული და დიდები, რომლებსაც გარეცხილ-დაუთოებული პერანგები და ჯინსები სჭირდებოდათ...

მე მათი მონა ვიყავი. თუ რომელიმეს უარს ვეტყოდი, საპასუხოდ ალიყურს ვიღებდი.

დასაწყისში იმას ისრულებდნენ, რაც სურდათ, ყურს არ ვიბერტყავდი. შემდეგ ეს ყველაფერი მომბუზრდა. მოთმინება აღარ მყოფნიდა და როცა მირტყამდნენ, ხელს ვუბრუნებდი. ეს დაანლოებით ცამეტი წლის ასაკისთვის მოხდა. მაშინვე მამაჩემთან დაბეზლება დაიწყეს:

– დამარტყა! იცი რამდენი წლისაა? ახლა რომ მირტყამს, მერე რას იზამს?

– მაგან დაიწყო, დამარტყა და მეც თავი დავიცავი.

რასაკვირველია, ვაჟიშვილის ნათქვამი საეჭვო ხომ არ იქნებოდა, დამნაშავე ყოველთვის მე ვიყავი.

რაკი მათ თხოვნაზე ხელის კვრა მაინც ცემა-ტყეპად მიჯდებოდა, ველარაფერი მაკავებდა. მილუს ან რომელიმე სხვას ვერ ვჯობნიდი, მაგრამ მათ სიავეს უპასუხოდ არ ვტოვებდი. ამიერიდან მონობის წინააღმდეგ ბრძოლის საკუთარი სტრატეგია შევიმუშავე. დილით ჯერ სხვებისთვის უნდა მომემზადებინა საუზმე და მხოლოდ ამის შემდეგ მქონდა წახემსების უფლება. ამიტომ, ვდგებოდი გვიან, მხოლოდ დაბანა და ჩაცმა რომ მომესწრო და კოლეჯში გავრბოდი გამარჯვებულის ყვირილით:

– მაგვიანდება, საუზმობის დრო არ მაქვს!

ისინი პირში ჩალაგამოვლებულები და გაბრაზებულები სამზარეულოში იდგნენ. დიდი სიამოვნება იყო!

კარს მიღმა «ნამდვილი ცხოვრებით» ვცხოვრობდი.

სულის მოთქმა მხოლოდ კოლეჯში შემეძლო. მაგრამ იქაც აგრესიული გავხდი. სხვებს ვეჩხუბებოდი, მასწავლებლის შენიშვნას ყურს არ ვუგდებდი. მეჩვენებოდა, რომ ვიღაც მუდამ თავს მესხმოდა და გოგონას ტყავში თავს ცუდად ვგრძნობდი.

ყველაფერს ვაკეთებდი, რომ მეარსება, როგორც შემეძლო, ანუ ცუდად. რაკი ბევრ სხვა რამესთან ერთად ესეც აკრძალული იყო, ამიტომ მოგვიანებით მოწევა დავიწყე. ცემის მიუხედავად, დროდადრო მალულად ვეწეოდი, ისიც ვისწავლე, თავი როგორ არ უნდა გამეცა. რაკი მამა ან ძმა «სუნთქვის ტესტს» მიტარებდა, ამიტომ წინასწარ ვიმარაგებდი პიტნის კანფეტებს, ასევე სხვადასხვა ხრიკს ვსწავლობდი. სიგარეტის ყიდვამდე მაღაზიას ვათვალიერებდი, ხომ არ იყო ვინმე ნაცნობი: მამის, ძმის, ბიძაშვილების, ან მეგობრების მეგობრები... უმცირესი საფრთხის შემთხვევაშიც კი გამყიდველს სამფრანკიანი მარკების კოლექციას ვთხოვდი... მისი ხელშეწყობით, მოგვიანებით ვბრუნდებოდი და დახლზე დატოვებულ სიგარეტის კოლოფს უსარგებლო მარკების კოლექციაზე ვცვლიდი – ფული ბევრი არ მქონდა.

სხვა მალრიბელი გოგონებიც ჩემსავით იქცეოდნენ, სწავლობდნენ თავის დაძვრენას, ტყუილს, ხმის გაკმენდას. ხრიკებით ვახერხებდით კოლეჯის გარეთ ერთმანეთთან შეხვედრას, ვიტყუებოდით გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების საათების შესახებ, ვახერხებდით ჯამშუად მოჩენილი «მოსკოვის თვალის», იმავე «კამერის» – რომელიმე ჩვენგანის ძმის – გაცუფურაკებას. პატარა ძმებს ხომ სულს ურჩევნიათ უფროსი დების დასმენა. დასასმენი ბევრი არაფერი იყო. ჩვენ ერთმანეთთან საუბარი გვინდოდა უწყინარ თემებზე. არც პრაქტა ვიყავი და არც თავგადასავლების მოყვარული. თექვსმეტი თუ თვრამეტი წლის ასაკში ზოგიერთმა მალულად მაკიაჟის კეთება და აკრძალული სამოსის ჩაცმა დაიწყო... მათ არ ვბაძავდი, არ მინდოდა ცხოვრების გართულება. ჭკვიანად ვიქცეოდი, ბიჭებს ყურადღებას არ ვაქცევდი, ეჭვითაც კი ვუცქერდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, საკუთარი სახელი და ქალწულობა უნდა დამეცვა. პირველი პაემნების ასაკში სხვებისგან განსხვავებულად ვმოქმედებდი, თუმცა ისინი იმას აკეთებდნენ, რაც სურდათ და თან ისე, რომ მშობლები არაფერზე ნერვიულობდნენ. თექვსმეტი წლის ასაკში ბიჭთან ხელიხელჩაკიდებული სეირნობა, რამდენიმე კოცნა ჩემთვის წარმოუდგენელი იყო.

აფრიკელი მეგობრებიც მყავდა, მათი ცხოვრება ჩემსაზე მძიმე იყო. ვიცი, რომ ბევრი მათგანი წლების განმავლობაში იტანდა ინცესტს და ამის შესახებ არასოდეს კრინტს არ ძრავდნენ. მტკივნეულ შეკითხვებს არავინ სვამდა, თავის პირად ცხოვრებას ყველა საიდუმლოდ ინახავდა. თავი რომ გადაგვეჩინა, ვიცინოდით, ვხუმრობდით, ყველას და, პირველ რიგში, საკუთარ თავს დავცინოდით.

წლების გასვლასთან ერთად ოჯახურმა საპყრობილემ ისეთ ქალიშვილად ჩამომამყალიბა, მე რომ აღარ მგავდა. ძალით დამორჩილებას ისე ვეწინააღმდეგებოდი, როგორც მინის გალიაში მოქცეული ბუზი. ცხოვრება სახლის გარეთ და თავისუფლება – ხელის გაწვდენაზე იყო, მე კი მუდმივად გამჭვირვალე ტიხრებს ვაწყებოდი.

გონებაში ჩუმად ვწერდი ჩემი ცხოვრების დღიურს. ნამდვილად რომ დამეწყო წერა, აუცილებლად მომპარავდნენ. კითხვებს ვსვამდი და პასუხებს თავადვე ვეძებდი, თუმცა ისინი არ მაკმაყოფილებდა და ეს მაგიჟებდა, სიკვდილამდე მივყავდი. სიმაღლით თავბრუდახვეულ ჯამბაზს ვგავდი, უზარმაზარი სიცარიელის თავზე გადებულ თოკზე რომ მიაბიჯებს. ერთ მხარეს იყო მაროკოელი ლეილა, მეორე მხარეს – ფრანგი. ერთი მხრივ, თავისი ოჯახის პატიმარი, მეორე მხრივ – შინიდან გაქცეული.

ორსახოვანი, ორი ადამიანი ვიყავი, ერთი საკუთარ ტანჯვაზე კრინტს არ ძრავდა, მეორე კი ცდილობდა, ეს ყველას გაეგო. ცამეტი წლისამ თავის მოკვლა ვცადე. საბაზანოში ჩავიკეტე. სიკვდილი მთელი გულით მსურდა. დარწმუნებული ვიყავი, სადაც მოხვდებოდი, ამაზე

უარესად იქ არ ვიქნებოდით. ღმერთის მწამდა და წარმოდგენილი მქონდა, რომ სამოთხეში მოვხვდებოდით. თუმცა თვითმკვლელობა ცოდვაა, მწამდა, ღმერთი შემინდობდა. ეს პირველი გაქვევის შემდეგ მოხდა და შინ ისე მცემეს, რომ სიცოცხლე ჩირად არ მიღირდა.

სასწავლო ნაწილის გამგემ კაბინეტში წამიყვანა და ზედიზედ რვა სილა გამაწნა. არ შემშინებია, ცხვირ-პირდასისხლიანებული შევეპასუხე:

– ჩემი ცემის უფლება არ გაქვთ, ყველაფერს მამაჩემს ვეტყვი.

– გაფრთხილებ, ეს შესავალია, შინ უარესი გელის. იცოდე, მამაშენმა შენი გამოსწორება მე დამავალა!

არავის უცდია გაეგო, რატომ გავაცდინე გაკვეთილები. ნათლად და მკაფიოდ მეც ვერ ვუპასუხებდი. ახლა რომ ვუფიქრდები, ალბათ მინდოდა მამაჩემი შეწუხებულიყო. ის არ მიცავდა, არ ვენატვლებოდი და ეს იყო ჩემი მცდლობა, მისი ყურადღება, სიყვარული დამემსახურებინა. გაკვეთილებიდან გაპარვა შეაშინებდა. ამიტომ მეგობარი გოგონები და ბიჭები ავიყოლიე, ფრანგები, მაროკოელები, ალჟირელები, ტუნისელები, აფრიკელები, ეს ოციოდე ზურგჩანთიანი ყმაწვილისგან შემდგარი მრავალეროვანი გუნდი გაკვეთილების ნაცვლად სოფელში აღმოჩნდა. ასე გავატარეთ ერთად გაზაფხულის ოთხი დღე. დილით შინიდან ისე გავდიოდით, როგორც სხვა დროს, მშობლებს არაფერი უეჭვიათ. მივდიოდით უბნიდან, კორპუსებიდან მოშორებით, მახლობელ სოფელში. ტანსაცმლიანად ვხტებოდით მდინარეში, სიცილით დაოსებულები ბალახში ვკოტირდებოდით. ლალები და თავისუფალნი თითქოს სხვა პლანეტაზე ვიყავი. გაწუხებული გოგონები ჩემი ფრანგი მეგობრის სახლში აღმოვჩნდით, რომელმაც გამოსაცვლელი სამოსი მოგვცა. ჯინსი და სვიტრი თითქმის ყველა ერთმანეთს ჰგავს, მშობლებს არაფერი შეუმჩნევიათ. მთავარია, მოკლე ქვედაკაბა ან ძალიან მოტკეცილი მაისური არ გეცვას... ყველაფერი დანარჩენი შეიძლება მეგობარს გაუცვალო. ბიჭებმა თვითონვე მიხედეს თავს. ამ მხიარული სიცილის ოთხ დღეში პარიზში გასეირნებაც მოვახერხეთ. ყველამ დღიურში ჩაწერეთ, თითქოს მუზეუმში სავალდებულო ექსკურსია გქონდა. მშობლებმა ხელი მოაწერეს ჩემ მიერ შეტანილ ჩანაწერს: «სავალდებულო ექსკურსია ლუვრის მუზეუმში, საფასური 50 ფრანკი».

– ორმოცდაათი ფრანკი ძვირია, – თქვა მამაჩემმა...

– ჰო, მაგრამ რას იზამ. შენი თვალთ ხედავ, აქ წერია, რომ სავალდებულოა.

ჩვენი ორმოცდაათ-ორმოცდაათი ფრანკით თავგადასავლების მაძიებლებივით პარიზისკენ გავემართეთ და ლიონის ვაგზალში ჩასულები იქვე დავრჩით! არ ვიცოდით, სად წავსულიყავით, თანაც საღამოს ხუთ საათზე, გაკვეთილების დასრულების დროისთვის კოლეჯთან უნდა ვყოფილიყავით... ამიტომ ისევ ვაგზალში დარჩენა ვარჩიეთ, მაწანწალებივით ვიქცეოდით და გიჟებივით ვიცინოდით. როგორია მთელი დღე სადგურში ყოფნა! უცნაური თავგადასავლების მაძიებლები ვიყავით! ყოველ შემთხვევაში, არაფრის იმედი არ გვქონია, მხოლოდ ცოტა ხნით დიდობანას თამაში, «დამალვა» გვსურდა... გვინდოდა შინიდან, უბნიდან, კოლეჯიდან, კორპუსებიდან მოშორებით ყოფნა, სადაც ყველა ყველას იცნობს და ყველა ყველას ზედამხედველია.

რასაკვირველია, ორმოცდაათი ფრანკი დავხარჯეთ – ხომ უნდა გვეჭამა! უკან დასაბრუნებელი ბილეთების ფულიც აღარ დავგრჩა. ღმერთს ვევდრებოდით, კონტროლიორი არ ამოსულიყო, რადგან უბილეთოდ მგზავრობისთვის ჯარიმას მშობლებს გადაახდევინებდნენ, ჩვენ კი ოთხ კედელშია გამოკეტვა არ აგვცდებოდა.

ბოლო დღე მეზობელი ლიცეუმის დალაშქვრას მიეძღვნა. აქაც დიდობანას თამაში გვსურდა. კოლეჯი ხომ «პატარებისთვისაა» [საფრანგეთში კოლეჯის მოსწავლეებად ითვლებიან VI-III კლასის მოსწავლეები, რაც შეესაბამება საქართველოს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს – VI-IX კლასები; საფრანგეთში ლიცეუმი სამი კლასისგან შედგება: II, I და დამამთავრებელი; შეესატყვისება საქართველოს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურს – X-XII კლასები, – მთარგმნ. შენიშვნა.]. შენობაში უნდა შეგვეღწია, თავი ამა თუ იმ კლასის მოსწავლეებად

გაგვესაღებინა, შევსულიყავით კაფეში, მოკლედ, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩენილიყავით შიგ. ლიცეუმის ჭიშკარი დაკეტილი დაგვხვდა, თუმცა ამას არ დავუბრკოლებივართ და შიგ ისე შევედით, არავის უკითხავს, ვინ ხართო.

გაკვეთილებს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ვაცდენდით [1972 წლიდან ოთხშაბათი საფრანგეთის დაწყებით სკოლებში დასვენების დღეა, ხოლო კოლეჯსა და ლიცეუმში სწავლა მხოლოდ შუადღემდეა, – მთარგმნ. შენიშვნა.], ორშაბათს კოლეჯში უნდა დავბრუნებულიყავით. მაგრამ მე არა. საკუთარ თავს კიდევ ერთი დამატებითი, სრული მარტოობის დილა ვაჩუქე. ეს აუცილებლად მჭირდებოდა. ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში მარტოობა არ არსებობდა. ფიქრისთვის საჭირო ეს სიჩუმის დილა აუცილებელი იყო, რადგან კარგად ვიცოდი, რაც მელოდა.

ოთხი დღის განმავლობაში დილით, შინიდან გასვლამდე ტელეფონს ვთიშავდი და მამაჩემის დაბრუნებამდე ვრთავდი. ტელეფონით ჩემს მშობლებს ვერავინ დაუკავშირდებოდა, როგორც ჩანს, წერილი დილით მიიღეს. მდინარეს, ბალახს, ცვარს ვუყურებდი, ვტკებობდი უკანასკნელი მოპარული თავისუფლების თითოეული წუთით, რომელსაც ძვირად გადავიხდიდი.

ნაშუადღევს გარდაუვალს პირისპირ შევხვდი. ვფიქრობდი, ჩვეულებრივ მივსულიყავი კოლეჯის ჭიშკართან, მაგრამ ვინ დაგაცალა! თმა მომქაჩეს, კაბინეტში წამათრიეს, სილით გამიმასპინძლდნენ და ყურიდან სისხლი მაღინეს მამაჩემის ნებართვით. დანარჩენი მამაჩემმა დაპირებისამებრ შინ დაამატა: მცემდა ხელებით, ფეხებით, ქუსლებით, ყველაფრით, რაც ხელში მოხვდა. მაგრამ ის ურტყამდა სხეულს, რომელიც ვერაფერს გრძნობდა. შეეძლო გავესრისე, მაგრამ ტვინს ხომ ვერ ამომაგლეჯდა, სხვა დანარჩენი კი არაფრად მიმაჩნდა. ვერც მას, ვერც დედაჩემს ვერ გაეგოთ, რა იყო ის ბოროტი არსება, მე რომ მაწვალებდა. ეს ღუმილი მწამლავდა. ყოველთვის ყველაფერი ჩემს შეცდომად მიიჩნეოდა. მინდოდა ვყვარებოდი, ეკითხა რამე და გაეგო მამაჩემს, რა მაწუხებდა, დავემშვიდებინე.

მაგრამ მან მხოლოდ მცემა. ამიტომ სააბაზანოში ჩავიკეტე და რაც საშინაო აფთიაქში ვიპოვე, ყველაფერი გადავყლაპე. ქვასავით უგრძნობელს მეძინა. დილით ისევ ცოცხალი ვიყავი. კოლეჯში ნახევრად უგონო ბარბაცით წავედი. ბოლოს, გაკვეთილზე გონება დავკარგე და სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. გონს საავადმყოფოს საწოლზე მოვედი. განრისხებული ვიყავი მთელ სამყაროზე, მამაჩემზე, ღმერთზე:

– სიკვდილი მინდა, რატომ გადამარჩინე-მეთქი...

მუდმივად საქმეში ჩაფლული მამაჩემისა და ღმერთის ნაცვლად, პასუხს რომ არ მცემდა, ფსიქოლოგი გამომიგზავნეს – ლეილა, შენთან სასაუბროდ მოვედიო.

გავნაპირდი. თავს კიდევ უფრო მარტოსულად ვგრძნობდი. ფსიქოლოგი კი არა, მსურდა, აქ მამაჩემი მჯდარიყო და შემკითხვოდა: – რა ხდება? რატომ? ცუდად ხარ? მითხარი, რა გაწუხებს. მითხარი ყველაფერი, მე დაგიცავ, შენ ჩემი ქალიშვილი ხარ და მიყვარხარო... სწორედ ამ ხმის გაგონება მინდოდა და არა «სულების სპეციალისტის» თანამგრძობი პროფესიული ტონით ნათქვამი, – აქედან მანამდე არ გაგიშვებენ, სანამ არ დამელაპარაკები. აქ შენს მოსასმენად მოვედიო.

პირველ დღეს პირი არ გამიღია. მეორე დღეს, რაკი იქ დარჩენა სულაც არ მინდოდა, რაღაც მოვიტყუე, – დეპრესია მქონდა, მაგრამ ყველაფერმა გაიარა და ახლა უკეთ ვარ-მეთქი... მამაჩემი ჩემს სანახავად არ მოსულა.

ფსიქოლოგმა დაიჯერა ჩემი მონაჩმანი. მშობლებს უთხრა, – მოზარდების ასაკისთვის დამახასიათებელი კრიზისის პერიოდი ჰქონდაო. სამი დღე საწოლიდან არ ავმდგარვარ, ტვინი მიდუღდა ფიქრებისგან, ყველაზე გაბრაზებული ვიყავი და უპირველესად საკუთარ თავზე, რადგან არ ვიცოდი, როგორ მოვმკვდარიყავი, რომ ბოლოს და ბოლოს, თავისუფლება მომეპოვებინა. მივხვდი, ვერავის ვეტყოდი ამ უსამველო დანაშაულის გრძნობის შესახებ, თავი სამარადისოდ პატიმრობისთვის განწირულად მიმაჩნდა. თუ ვინმე რაიმეს გარკვევას მოისურვებდა, ათასნაირად ვიტყუებოდი. მეგობარ გოგონებთან ვმასხარაობდი. შესანიშნავად

ვიცოდი, როგორ გადამექცია ოჯახური დამამცირებელი მათრახი ხუმრობად. ამგვარი სპექტაკლების დადგმის ნიჭი მქონდა. დღესაც დაღვრემილ ჯამბაზს ვგავარ, სხვების გართობას რომ ცდილობს, რათა მოწყენილობისგან სული არ ამოხდეს. სხვა ყველაფერს საგულდაგულოდ ჩემში ვინახავდი.

სრულიად ანეკდოტური ამბავია, როდესაც პირველად დამეწყო ციკლი. არასოდეს არავის უსაუბრია ჩემთან ამ თემაზე, არც დედაჩემს, არც სხვა ქალს. ერთ დღით გავიღვიძე და კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდი: «ახლავე თავს მოვიკლავ, ახლავე თავს მოვიკლავ! დედაჩემს ეგონება, რომ აქ ვინმე შემეხოს!»

ნუთუ ჩემი ქალწულობა ასე გაუფრთხილებლად გაქრა?

დედაჩემი სააბაზანოს კართან იდგა და ყვიროდა:

– რამდენი ხანია მანდ ხარ! ახლავე გამოდი!

უაზროდ წავილულულულე:

– ჰო, მოიცა...

– კარი გააღე.

– არა, არ შემიძლია, არ შემიძლია.

გოგონები კოლეჯში ციკლის შესახებ ერთმანეთთან არ საუბრობდნენ. უფროსი და რომ მყოლოდა, ალბათ გამაფრთხილებდა. მაგრამ არაფერი ვიცოდი და შევშფოთდი. ბოლოს, დედაჩემმა პატარა კოვზით კარი გააღო. როცა დამინახა, გადაიხარხარა, თუმცა ჩემი დამშვიდება არც კი უცდია.

– არაფერია, ნუ გეშინია, მოგცემ, რაც საჭიროა... მაგრამ ამიერიდან, შვილო, თავს ყურადღება უნდა მიაქციო! ეს ყოველთვე გექნება, ასეთია წესი!

კიდევ რას უნდა მიაქციო ყურადღება? მოგვიანებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გაკვეთილზე მასწავლებელი ადამიანის სხეულის შესახებ გვესაუბრებოდა. მაშინ გავიგე, რაც დამემართა, მაგრამ იმ საზარელი დღიდან მხოლოდ ეს დამამახსოვრდა: «ყოველთვე» და «ყურადღება უნდა მიაქციო».

რასაკვირველია, მამაჩემს მაშინვე ყველაფერი მოახსენეს, როგორც ამას მოითხოვს გოგონებზე ზედამხედველობის წესები. დიალოგი თითქმის არ შეცვლილა:

– უბანში ყოფნისას თავს ყურადღება მიაქციე, გაფრთხილებ...

– რა? ყველაფერი კარგადაა, არაფერი დამიშავებია!

– გაფრთხილებ, დიდი სირცხვილია, თუ გოგონა გათხოვების დროისთვის ქალწული არ აღმოჩნდება, ყურადღებით იყავი...

სახლში თავისი ოთახი არავის ჰქონდა. ერთ ოთახში სამნი ან ოთხნი ვიყავით, ერთმანეთის თავზე გვეძინა. ამ მამაკაცთა კოლონიას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაენახა ჩემი ჰიგიენური პაკეტები. ეს ტაბუ იყო. მოგვიანებით ასევე შეუძლებელი იყო, მეთხოვა ბიუსტჰალტერის ყიდვა. ვერც კი ვეტყოდი: – დედა, უკვე დროა, ბიუსტჰალტერი მეცვას-მეთქი. მგონი, მისი არსებობაც არ იცოდა და არც არასოდეს ჰქონია.

საკუთარი ახალგაღვიძებული ქალურობისთვის თავად უნდა მიმეხედა. ქალაბიჭა ვიყავი, რომელსაც ჯოხის დარტყმა უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ჩემი ხნის გოგონებისთვის განკუთვნილი თეთრეულის შერჩევა.

ჩემი მეგობარი ფრანგი გოგონები თავიანთ გამონაცვალ თეთრეულს მჩუქნიდნენ. 90-იანი წლების საფრანგეთში, ჩემი ოჯახის წყალობით, თავი შუა საუკუნეებში მეგონა ჩემი ასაკის სხვა გოგონებისგან განსხვავებით, რომელთა სოციალურად და კულტურულად განსხვავებული მშობლები აღზრდის იმავე პრინციპებს არ იყენებდნენ, რაც ჩვენთან იყო მიღებული. საკუთარ იდენტობას ამაოდ ვეძებდი.

«სამშობლოში» სავალდებულო არდადეგებმა ნელ-ნელა თვალი ამიხილა ჩემი მშობლების წარმომავლობაზე. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ პიროვნულობის ეს ძიება გაიოლებულიყო, უფრო გართულდა. პატარას ხშირად მეკითხებოდნენ, – ბერბერი ხარ თუ არაბიო.

დედაჩემი არაბია, მამაჩემი ბერბერი, მე – ფრანგი. რა უნდა ამერჩია? უფრო არაბად მიმაჩნია თავი, ვიდრე ბერბერად, რადგან მამაჩემმა მხოლოდ არაბული ენა გვასწავლა. მაგრამ საფრანგეთში დავიბადე, ფრანგულად უკეთესად ვლაპარაკობ, რადგან სკოლაში ამ ენაზე ვსწავლობდი. თუმცა მინდა ბერბერადაც აღვიქვამდე თავს, რადგან ბერბერი ქალები, თუმცა ისინიც მამაკაცებს ემორჩილებიან, ბევრად მეტი თავისუფლებით სარგებლობენ. დღესასწაულებსა და ქორწილებში მამაკაცებთან ცეკვა შეუძლიათ, ჩადრში არ არიან გახვეულნი, საზოგადოებაც ქალებს მეტი პატივისცემით ეკიდება.

დედაჩემი სკოლაში რვა თუ ცხრა წლის ასაკამდე დადიოდა. შემდეგ, დედამისის გადაწყვეტილებით, შინ ჩაკეტეს, რადგან მთის სოფლის პირობაზე მეტისმეტად ლამაზი იყო.

მას დიასახლისობა უნდა ესწავლა. შინიდან გასვლის და ოჯახურ დღესასწაულებზე დასწრების უფლება არ ჰქონდა. სასტიკად აუკრძალეს უცნობებთან საუბარი, ჭიდან წყლის მოსატანად გასვლაც კი არ შეეძლო. უკვე მის ხელს ითხოვდნენ! ის კი მხოლოდ რვა თუ ცხრა წლის იყო! როცა ეს ყველაფერი მომიყვა, განვცვიფრდი – არ მჯეროდა, რომ ასეთი რამ მართლაც შეიძლება მოხდეს. მას მხოლოდ ოთხ კედელში ცხოვრება მიაჩნდა ნორმალურად.

ის დღესაც ხშირად ამბობს: – დედაჩემის მადლობელი ვარ, ასე მკაცრად რომ არ მომქცეოდა, კარგი მეუღლე ვერ გავხდებოდიო.

ამგვარად ცხოვრება ჩემთვის წარმოუდგენელი იყო.

გარკვეულ ასაკამდე დედაჩემის მშობლიურ სოფელში ნამყოფი არ ვიყავი. ეს მთებში ჩაკარგული ადგილია, რამდენიმე სახლი ზეთისხილის ხეებს შორისაა გაბნეული, ულამაზესი პეიზაჟი იშლება, თუმცა სოფელს არც სასმელი წყალი აქვს და არც ელექტრობა. იქ დღესაც ასეა. დედაჩემი დიდიდან საღამომდე ფქვავდა, ზეთისხილს ჭყლეტდა, საჭმელს ამზადებდა და კიდევ, თითქმის დაჩოქილს უწევდა სახლის დალაგება, რადგან ცოცხი არ ჰქონდათ, მისი მინამგვანი კი მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა! ერთხელ ვცადე ამგვარი «ცოცხით» დავვა, მაგრამ სასწრაფოდ მივანებე თავი, რადგან წელში ძლივს გავიმართე!

დედაჩემს არაფერი აკლდა, მისი ოჯახი მდიდრად ითვლებოდა. კარგად ეცვა, ჰქონდა ბევრი სამკაული, მაგრამ სინამდვილეში ოჯახის მონა იყო, ერთადერთი გოგონა ბიჭების ურდოში. სოფელში ყველა მის სილამაზეს აქებდა და მამამისს ქალიშვილი ფასდაუდებელ განძად მიაჩნდა. ის სახლიდან არსად გადიოდა.

მამაჩემი დაინტერესდა, ვინ იყო ეს უცნობი ლამაზი გოგონა. სხვა ბიჭების მსგავსად წყაროსთან მდგარ ხეებზე ასული უთვალთვალებდა მათ სახლს იმ იმედით, რომ წყლისთვის გამოსულს მოჰკრავდა თვალს. საუბედუროდ, დედაჩემს ამის უფლება არ ჰქონდა. ერთ დღეს, მაშინ თხუთმეტი წლის იქნებოდა, დედაჩემი ბებიაჩემს ქორწილში წასვლას შეევედრა.

ბებიაჩემი ბოლოს დაჰყვა მის თხოვნას, მაგრამ გაფრთხილებით აავსო: – დარბაზის ბოლოში იქნები, ყველასგან მოშორებით! სახეს დაიფარავ და არავის აჩვენებ! თუ ვინმემ მითხრა, რომ მუსიკოსებს ან მამაკაცებს მიუახლოვდი, თუ რაიმე საძრახისს გავიგებ შენზე, გეფიცები, ჩემი ხელით გამოგასალმებ სიცოცხლესო.

დედაც ქორწილზე ტრადიციული თეთრი საბურველით გამოცხადდა, მხოლოდ თვალები მოუჩანდა. მაშინ სამოციანი წლები იყო. ამგვარ საბურველს სოფლელი ქალები ზოგჯერ

დღესაც ატარებენ. ასე აღმოაჩინა ის მამაჩემმა, თავიდან ფეხებამდე საბურველში გახვეული, დამუნჯებული, დარბაზის კუთხეში მიყუჟული. ბაბუაჩემი ათას რამეს იმიზეზებდა, რომ მის თვალისჩინ ქალიშვილს რაც შეიძლება გვიან დაეტოვებინა მამისეული სახლი... მაგრამ შეყვარებული წელიწადი არ მოეშვა. ბოლოს, ბაბუაჩემს უარის მიზეზი გამოეღია და დანებდა. დაიწყო საქორწილო სამზადისი. დედაჩემი წუწუნებდა, – არ მინდა გათხოვება, არ ვიცნობო, მამამისი პასუხობდა: – ჰო, მაგრამ ცოლად მაინც გაჰყვებიო. სოფელში ერთი აყალმაყალი ატყდა, როცა გაიგეს, რომ ყველაზე ლამაზი გოგონა უცნობისთვის უნდა მიეთხოვებინათ. მამაჩემის მოკვლა განიზრახეს და მხოლოდ ბაბუაჩემის ჩარევამ, მისმა სახელიანობამ დააშოშმინა აქოჩრილი ახალგაზრდები. სოფლის ყოყლოჩინებს გამოუცხადა: – ასე მან კი არა, მე გადავწყვიტე! ამ ყმაწვილმა ჩემი ქალიშვილის შერთვა მოისურვა, ბედს კი ხელს ვერ კრავ. ვისაც მინდა, იმას მივათხოვებ ჩემს შვილს. გსურთ, დაესწარით ქორწილს, თუ არა და, მით უარესი თქვენთვისო.

არაბულ სოფელში ამ ქორწინების გამო ხომ აღიაქოთი ატყდა, მას არანაკლები მღელვარება მოჰყვა ბერბერებში. საღვთობითლო ცხრაპირ ტყავში გაძვრა ქორწინების ჩასაშლელად. მამაჩემის არყოფნის დროს ფული გადაუნადა ერთ კაცს და დედაჩემს მიუგზავნა, თავი შეყვარებულად რომ გაესაღებინა, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა.

გათხოვების შემდეგაც დედაჩემს არაბული სოფლის კაცებმა შუამავალი მიუგზავნეს, – თუ ბერბერს მიატოვებ და ამა და ამ კაცს ცოლად გაჰყვები, ის ყველაფერს გიყიდის, რასაც მოისურვებ. წინასწარ კი მისგან ვერცხლის ეს ქამარი მიიღეო...

საბედნიეროდ, ახალდაქორწინებულები საცხოვრებლად სხვა სოფელში გადავიდნენ და ვფიქრობ, დედაჩემმა დროთა განმავლობაში მამაჩემი შეიყვარა. თუმცა, ჩემი მოზარდობისას ვერ ვხვდებოდი, რომ ბედნიერი იყო მასთან.

მამაჩემს თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარდა. ის, რაც მისი ბავშვობის შესახებ ვიცი, სამწუხაროდ, ძალიან გვიან გავიგე და არ ვიცოდი მის წინააღმდეგ ჩემი მოზარდობისდროინდელი აჯანყებისას. ის სიყვარული, რომელსაც მე მამისგან მოვითხოვდი, მისთვის არავის უწილადებია. რამდენიმე თვისა მამით დაობლდა, დედამ მიატოვა და სხვა ქალი ზრდიდა, რომლის ხელშიც გაუნარელი ცხოვრება ჰქონდა. უფროსი ძმა კი ჰყავდა, მაგრამ ის არასოდეს იყო შინ. მამამ თავი სწავლას შეაფარა, მაგრამ როცა სადამოობით გაკვეთილების გასამეორებლად ჯდებოდა, აღმზრდელი სინათლეს უქრობდა, – ელექტრობა ძვირი ღირს! შენ არ იხდი მის ფულსო. ამიტომ სანთლის შუქზე მუშაობდა ხოლმე. იმ მცირედიდან, რაც მოგვიყვა, ის ვიცი, რომ მისი ძმის არყოფნის დროს ეს ქალი საკუჭნაოში დაძინებას აიძულებდა. ძმა ერთადერთი იყო, ვისაც მისი ღაცვა შეეძლო, თუმცა ისიც მის გვერდით არ ჰყავდა. მამას ბავშვობამ უსიყვარულოდ ჩაიარა და როცა თავად ეყოლა შვილები, ამ მოვალეობას თავადაც გაღიზიანებული, უსიყვარულოდ ასრულებდა. ერთ-ერთი ბიძაშვილის დანმარებით საფრანგეთში სამუშაო კონტრაქტი მიიღო. ვფიქრობ, მას სტანჯავდა მოსამსახურის ხელობისა და ერთგვარი სოციალური სტატუსის მიტოვება. ასე აღმოჩნდა ერთ-ერთ ქარხანაში მუშად, თუმცა ბევრად მეტს უხდიდნენ, ვიდრე სამშობლოში.

მშობლებს საკუთარ თავზე უფრო ადრე რომ მოეყოლათ, შესაძლოა, უკეთ გამეგო მათი ქცევა, მაგრამ, საუბედუროდ, მოტივაციის გაგება ან არგაგება ჩემს მომავალს ვერ შეცვლიდა. ჩემ ზურგსუკან იყო ორი განსხვავებული, მაგრამ გოგონების ჩახშობის ტრადიციის მქონე კულტურა. მშობლების ქვეყანას მხოლოდ არღადეგებზე, ზაფხულის მცხუნვარე მზეში ვეცნობოდი. მაროკო ძალიან მიყვარს, საკუთარ ფესვებზე უარს არ ვამბობ, მორწმუნე ვარ, ბიჭების დევნა არასოდეს მნდომებია – ისინი არც მაინტერესებდა და არცთუ უსაფუძვლოდ, მაგრამ მინდოდა, ეს ყველაფერი ჩემი საქმე ყოფილიყო და არა მშობლებისა. ასე მეგონა, ეს «გარიგებული» ქორწინებების ამბები არასოდეს შემეხებოდა. მე ხომ მთის მიყრუებულ სოფელში არ ვცხოვრობდი და მთელი სიცოცხლე არც მამაკაცების მონობა მსურდა. მიმაჩნდა, რომ ჩემს ძმებსაც შესანიშნავად შეეძლოთ სუფრის გაშლა და ალაგება, საკუთარი ნივთების მოწესრიგება. უმჯობესი იქნებოდა, ყველას შეეშველებინა ხელი ოჯახისთვის, ვიდრე ჩემთვის მედიდურად ეცქირათ და ათასი საზიზღრობა დაებრალებინათ. ძმებიდან ზოგი სხვებზე მშვიდი, ნაკლებად მოძალადე იყო, მაგრამ ყველანი ჩემს ცხოვრებას აწვნიენ მამის მიერ დაცული, პატარა

მამაკაცების სიმძიმით. მამაც ამგვარ საქციელს უქებდა და მათ ევოლუციას სრულებით არ უწყობდა ხელს. წარმოშობით მადრიბელი მეგობარი ბიჭებიც მყავდა და ყველა არ იქცეოდა ასე. არც დანარჩენი მამები ჰგავდნენ მამაჩემს. ისინი გაუთავებლად არ სცემდნენ ქალიშვილებს.

ჩემი ურჩობის, საყოველთაოდ ცნობილი წესების უგულებელყოფის მიუხედავად, მაინც იძულებული ვიყავი, ისინი მიმეღო, ან გამოცდილ დამნაშავესავით მათი გვერდის ავლის საშუალებები მომეფიქრებინა. ასე მარტო მე არ ვიქცეოდი.

ჩემი საუკეთესო მეგობარი, მომხიბლავი და მხიარული სურია, ყოველთვის უკანასკნელ მოდაზე იყო ჩაცმული. რომ გაეძლო, იტყუებოდა. აკრძალული სამოსი ჩანთით დაჰქონდა, მაკიაჟს ჰოლში იკეთებდა და შინ დაბრუნებამდე აუცილებლად უნდა მოეცილებინა, მეგობარ ბიჭს ძმების, მშობლებისა და მთელი უბნისგან მალულად ხვდებოდა. მას უბანში ცუდი სახელი სრულიად უსამართლოდ ჰქონდა. ჩვიდმეტი, თვრამეტი, შემდეგ ოცი წლის გახდა და არც მისთვის და არც ჩემთვის არაფერი შეცვლილა. მას მუდმივად თვალს ადევნებდნენ ძმები, დედამისი ისე მეთვალყურეობდა, როგორც ცეცხლზე შემოდგმულ ზეთს. სურიას კი მხოლოდ ერთი რამ სურდა: მხიარულად ეცხოვრა მისი ასაკის შესაფერისი უზრუნველობით. მასაც ჩემსავით ამ უზრუნველობის საფასურის გადახდა უწევდა, თუმცა სახიდან ღიმილი არ სცილდებოდა და ყველაფერს დასცინოდა.

ამგვარ სიმსუბუქეს ვერასოდეს ვგრძნობდი – ქვედაკაბა არასოდეს მცმია, არც მაკიაჟს ვხმარობდი, არც შეყვარებული მყოლია. სახლის ცხოვრება ჩემთვის უსასრულო ძალადობა იყო. როცა ბიჭმა პირველად პაემანზე დამპატიჟა, სილა ვტკიცე. პასუხის გაცემა მხოლოდ ძალადობით შემეძლო – ვინ გგონივარ-მეთქი.

ჩემმა მეგობრებმა გაკვირვებულებმა შემომხედეს:

– რა გჭირს? ცუდი არაფერი ჩაუდენია, კარგი ბიჭია, სანდომიანი... რატომ გაარტყი?

მხოლოდ თოთხმეტი წლის ვიყავი, ამ შემოთავაზებამ დამამცირა, თავი ბინძური მეგონა. ვაითუ, ეს მორიგი მახე იყო, ყურში უკვე ჩამესმოდა:

– სად იყავი? თუ უბანში ვინმემ დაგინახა... თუ ვინმემ შენზე რამე თქვა... თუ ქალწული არ აღმოჩნდი...

ჩემი უბნის ოჯახებში მიღებული ქალწულობის ეს აკვიატებული იდეა, რომელიც ბიჭებთან მეგობრობასაც კი კრძალავს, აუტანელია XXI საუკუნის საფრანგეთში. თუმცა, ასე იყო ჩემს შემთხვევაში, ასეა ახლაც. ეს რომ მცოდნოდა...

ვის მოვუყვებ?

სიცილისა და ბედნიერებისთვის ვიყავი დაბადებული. ამის ღრმად მწამს, მაგრამ დღემდე ვერ მივხვდი, ჩემს ცხოვრებაში რატომ არაფერი ჰგავდა ბედნიერების ნამცეცხასაც კი, იმ დღემდე, ვიდრე... ბებიაქალის ხმა არ გავიგონე: «გოგონაა!» პატარა დაიკო, არსება, რომელიც მე მგავდა! თავიდან არც კი მჯეროდა, მეგონა, მატყუებდნენ. ჩემს თავს ვუბნებოდი: «შეუძლებელია, წამართმევენ, მხოლოდ ცოტა ხნით მათხოვეს, არ უნდა შევეჩვიო, რადგან ჩემ გვერდით მხოლოდ მცირე ხნით იქნება». თექვსმეტი წლის ვიყავი, რასაკვირველია, მას ყველაფერს ვერ მოვუყვებოდი, მაგრამ მაინც ვესაუბრებოდი ჩემს უბედობაზე, იმაზე, რაც ძალიან მაწუხებდა. მხოლოდ რამდენიმე კვირის იყო, მაგრამ მასთან ერთად უკვე სააბაზანოში ვიკეტებოდი და ვუბნებოდი: «სირინ, გენდობი, შენთვის ყველაფრის თქმა შემიძლია, ვიცი, არავისთან გამამხელ. არ ვიცი, კარგია თუ არა, რომ დაიბადე, მაგრამ რაკი გაჩნდი, ყოველთვის შენ გვერდით ვიქნები და დაგიცავ. როცა გაიზრდები, გეფიცები, ჩემნაირი ცხოვრება აღარ გექნება...»

ის ჩემი მესაიდუმლო გახდა, ყველაფერს ვანდობდი, ვეალერსებოდი და მთელ დროს მას ვუთმობდი. განუყრელები გავხდით. მას ვაღმერთებდი და ისიც სიყვარულით მპასუხობდა. როცა გაიზარდა, ულაპარაკოდ დამორჩილდა მამის ავტორიტეტს. თუ მამაჩემი იტყოდა, – ესა და ეს არის გასაკეთებელიო, უსიტყვოდ აკეთებდა და ჩემდა გასაკვირად, მამისგან ის მიიღო, რასაც მე ვერასოდეს ვეღირსე: გაწონასწორებული და ნორმალური ურთიერთობა. ამიტომ დავასკვენი, რომ რაც მჭირდა, ჩემი საზიზღარი ხასიათის ბრალი იყო. სირინს, ჩემგან განსხვავებით, ხმის აუწევლად, მშვიდად შეეძლო რაღაცების შესახებ ეთქვა «არა» და მოეპოვებინა გარკვეული თავისუფლება. მე დაუსრულებლად, გამმაგებით ვებრძოდი მამაჩემს და ვერც ვამჩნევდი, სიყვარულისა და ურთიერთუარყოფით წარმოქმნილი ამ გამმაგებით როგორ ვგავდით ერთმანეთს.

ვხედავდი სამსახურიდან დაბრუნებულ, «საზიზღარ» ქარხანაში «საზიზღარი» სამუშაოთი გადაღლილ მამაჩემს, რომელიც ხელფასის თითოეულ სუს ითვლიდა, თავისი მრავალრიცხოვანი მონაგარის სარჩენად... ახერხებდა კიდეც ამას. ღარიბები არ გვეთქმოდა, თუმცა არც მდიდრები ვიყავით, უბნის სხვა მცხოვრებლებისგან არაფრით განვსხვავდებოდით. მსურდა, ჩემთვის მოეყოლა, რა უჭირდა, რა უღბინდა, მაგრამ ასე არასოდეს მოქცეულა. ჩემთან არასოდეს უსაუბრია და არც მე შემეძლო მისთვის რაიმეს განდობა. თავი ისე ეჭირა, თითქოს არ ვარსებობდი, განსაკუთრებით თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ: ეს ცოდვა იყო. თვითმკვლელობა არ არის «ჰალალი», ყურანი მას კრძალავს. თუ მომმართავდა, ეს მხოლოდ ცემის მუქარა იყო ან ცემა. მე კი მსურდა, სხვაგვარად მოქცეულიყო და ეთქვა:

– ყველაფერი მოგვარდება. შენი ძმები თავს დაგანებებენ, მათ თავი უფლისწულები ჰგონიათ, მაგრამ შევაგნებინებ, რომ მრავალრიცხოვან ოჯახში ყველა ერთმანეთს უნდა ეხმარებოდეს. თავის ნივთებს დააღაგებენ, სუფრას ააღაგებენ, აღარასოდეს გცემენ და აღარც მე გცემ. საკუთარი ოთახი გექნება, სადაც შეგიძლია მეგობრებს უმასპინძლო. გექნება შინიდან თავისუფლად გასვლის უფლება, შეგეძლება ქალაქში გასეირნება, კინოში წასვლა, შენ ჩემი ერთადერთი ქალიშვილი ხარ, გენდობი და მიყვარხარ. ბაკალავრის დიპლომის მიღების შემდეგ იმ პროფესიას აირჩევ, რაც მოგწონს და მე ყოველთვის ვიამაყებ შენით. მოგვიანებით, თუ თავაზიან ყმაწვილს გაიცინობ, შეგიყვარდება და მის შერთვას მოინდომებ, კმაყოფილი ვიქნები. და ყოველთვის, როცა რაიმე გაგიჭირდება, შეგიძლია მოხვიდე და მომიყვ. დაგეხმარები, რომ დამოუკიდებელი და ბედნიერი ქალი გახდე, მე მხოლოდ შენი ბედნიერება მსურს.

ეს აუხდენელი ოცნება იყო. ისეთი უბედური ვიყავი და დარწმუნებული, რომ არ ვუყვარდი, რომ ერთ დღეს ვუყვირე:

– ზოგჯერ ჩემ თავს ვეკითხები, ნამდვილად ვარ თუ არა შენი შვილი! მიპასუხე, ვარ?

გაოცებულმა ცრემლიანი თვალებით შემომხედა.

– ხარ თუ არა ჩემი შვილი? როცა დაიბადე, ხელებში ჩაგიწვინე, მაღლა, ცისკენ აგწიე და ვთქვი: «შენ ჩემი მზე ხარ!» შენ ჩემი ერთადერთი ქალიშვილი იყავი, ყველაფერი შენთვის მინდოდა! რა გაკლია?

ვერ შევძელი მისთვის საჭირო სიტყვები მეთქვა: – მამა, მიყვარხარ, მითხარი, რომ შენც გიყვარვარ და აღარ მექნება თავის მოკვლის სურვილი-მეთქი.

დედაჩემი ჭკუის დარიგებას დასჯერდა:

– თავის მოკვლა ცოდვაა. სიცოცხლეს ისწრაფებ? რა გაკლია? რაც საჭიროა, ყველაფერი გაქვს, იფიქრე, შენზე უბედურები სხვები არიან თუ არა. თავს თუ მოიკლავ, ვერც სამოთხეში მოხვდები და ვერც ჯოჯოხეთში. გინდა, შენი სული უგზო-უკვლოდ დაიკარგოს?

ვუყურებდი დედაჩემს, რომელიც ტაჟინს ამზადებდა, თან მეჩხუბებოდა, სარეცხი გარეცხე ან გააუთოე, მტვერსასრუტით ან ცოცხით დაუარე ოთახებსო. მე კი ამ დროს მათემატიკის საკონტროლოსთვის მომზადება მსურდა. მინდოდა ჩემი ძმებისთვის ერთხელ მაინც ეთქვა: –

შენი და გაკვეთილებს იმეორებს, შენ კი საქმე არაფერი გაქვს, ამიტომ ჭუჭყიანი სარეცხი მანქანაში ჩადე და პატარებს მიხედე, რომ არ იცელქონო.

როცა თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლის ვიყავი, მინდოდა ეთქვა, – შეყვარებული თუ გყავს, შინ მოიყვანე, რომ გავიცნოთო.

ჩემს უფროს ძმას მეგობარი გოგონას შინ მოყვანის უფლება ჰქონდა და წინააღმდეგი არავინ წასულა... მე რატომ არ მქონდა ასეთივე უფლება?

ამ კითხვაზე პასუხი წინასწარ ვიცი. ჩემი ძმის მეგობარი «გალი» ანუ ფრანგი იყო. ის დათანხმდა ისლამი მიეღო და ამიტომ პრობლემაც მოიხსნა. თუ არ ჩავთვლით გოგონას ოჯახს, რომელმაც ამის გამო ის შინიდან გააგდო!

ვის ველაპარაკო? კედელს. ჩემი თავი კედელია, ამიტომ საკუთარ თავს ვესაუბრები. მეგობარი გოგონები მყავდა, მაგრამ უმრავლესობას ასეთივე პრობლემები ჰქონდა, ერთის გამოკლებით: ის «ფულიანი» იყო, მამამისი და დედამისი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები იყვნენ; თავისუფლად დადიოდა ქალაქში და კინოში, მასთან შინ მისვლა შეგვეძლო, შეყვარებული ჰყავდა და მის შესახებ დედამისს გულახდილად უყვებოდა.

როცა პირველად დავეთანხმე ფლირტს, უკვე ჩვიდმეტი წლის ვიყავი. ეს მაროკოში, არდადეგების დროს მოხდა. ჩემზე უფროსი იყო და საფრანგეთში ჩემი უბნისგან შორს ცხოვრობდა. ჩემს თანაქალაქელ, მით უფრო, უბნულ ბიჭს არასოდეს შევხვდებოდი, რადგან აუცილებლად «დავიწყებოდი». ერთმანეთს ორი ზაფხულის განმავლობაში სრულიად საიდუმლოდ ვხვდებოდით. ჩვენი ამბავი აუცილებლად წარუმატებლად უნდა დასრულებულიყო, რადგან ის ალჟირელი იყო. ჩემთვის არ არის განსხვავება ალჟირელს, მაროკოელს, ტუნისელს ან ფრანგს შორის, მაგრამ ჩემი მშობლები მას არასოდეს მიიღებდნენ. მაროკოელი ქალი ცოლად მხოლოდ მაროკოელ მამაკაცს უნდა გაჰყვეს, მას ოჯახი უნდა იცნობდეს, იყოს ნათესავი, რომელსაც საფრანგეთში ან მაროკოში თემის დანარჩენი წევრები იცნობენ, თორემ ქიშკი გარდაუვალია. ასე მგონია, ერთ დღესაც გოგონებს აიძულებენ, მხოლოდ მათ უბანში, კორპუსში ან იმავე სართულზე მცხოვრებ ბიჭებს მისთხოვდნენ!

ჩვიდმეტი წლისამ კონცაც კი არ ვიცოდი. ჯერ მისი თავიდან მოცილება მინდოდა, როგორც მანამდე ვიქცეოდი, რადგან მანქანით მომყვებოდა. ქუჩაში ჩემს მამიდაშვილ გოგონასთან ერთად ვსეირნობდი, როდესაც უეცრად გავიგონე:

«მადმუაზელ, თუ შეიძლება, თქვენი გაცნობა მინდა...»

მე ჩემი უბნისთვის ჩვეული შეურაცხმყოფელი ტონითა და უხეშად მისი თავიდან მოშორება ვცადე, რომ მისთვის ყოველგვარი იმედი მომესპო, – გაიარე, თავიდან მომწყდი შენი სისულელეებიანად. სარკეში მაინც შეგიხედავს საკუთარი თავისთვის-მეთქი?

თუმცა, ამას რომ ვუბნებოდი, რა თქმა უნდა, მისი შეთვალეიერება მოვასწარი: წაბლისფერთმიანი იყო, ხორბლისფერი კანი და ზურმუხტისფერი თვალები ჰქონდა... მივაბიჯებდი და ჩემთვის ვფიქრობდი, – ნამდვილი იდიოტი ვარ-მეთქი. ჩემი მამიდაშვილი კი აბობოქრდა, – გაგიჟდი? ასეთი ლამაზი ბიჭის თავიდან მოშორება გინდაო?

მთელი გზა მოგვყვებოდა, უკან დაბრუნებისასაც. როცა ნერვები მომეშალა, დავემუქრე კიდევ:

– მომეშვები თუ არა? ათი ძმა მყავს, ასე რომ ფრთხილად იყავი!

მუქარა აინუნში არ ჩაუგდია, მხოლოდ რაღაც იხუმრა. შინ დაბრუნებული ჩემს მამიდაშვილთან ერთად დავცინოდი.

– ძალიან გამოიღო თავი! წარმოიდგინე, რამდენი დრო დახარჯა მანქანით უკან დევნაში.

თავს არ ვუტყდებოდი, თუმცა მეამაყებოდა ეს, თან ჩემი მამიდაშვილიც თვლიდა, რომ მისგან განსხვავებით, მე მხოლოდ «ლამაზ ბიჭებს» ვიზიდავდი.

მაროკოში ყოველდღიური ცხოვრება განსხვავებული იყო – არდადეგები მქონდა, უბნის მცხოვრებთაგან არავინ მითვალთვალეობდა და სულ ერთი ბეწო, ნამცეცა თავისუფლება მქონდა... მაგრამ ჩვიდმეტი წლის ვიყავი, ბიჭი კი ძალიან მომხიბვლელი იყო. კარგად აღზრდილი, ლალი და, რაც მთავარია, ჯიუტი!

ერთ-ერთი მამიდის სახლის აივნიდან გავცქეროდი ქუჩაში პატარა კაფეს, სადაც ბიჭები იკრიბებოდნენ. მჭრელი თვალი მაქვს. მან უკვე იცოდა, რომ კაფეს მოპირდაპირე მხარეს ვცხოვრობდი და ყოველ საღამოს იქ იყო, თან მიდამოს ათვალიერებდა. მეც აივანზე ვიდექი, ვითომ სადღაც შორს ვიმზირებოდი...

ერთ დღეს ფაქტის წინაშე დავდექი. ჩემი ერთ-ერთი პატარა მამიდაშვილი გოგონა მომიგზავნა.

– ლეილა, ქვემოთ ერთი ბიჭი დგას და გთხოვს, ქვემოთ ჩახვიდე.

– კიდე რა! ვინ არის? წადი და უთხარი, ასე სხვაგან ითამაშოს!

მამიდაჩემი ხნიერია, ძალიან მიყვარს. განქორწინების შემდეგ მარტო ცხოვრობს. ეს არის თავისუფალი ბერბერი ქალი, ვისთანაც ბევრ რამეზე შემიძლია საუბარი. მკითხა, – ასე რატომ ექცევით.

მამიდაჩემი აივანზე გავიდა ქუჩაში მდგარი ბიჭის შესათვალიერებლად.

– დაინახე, რა ლამაზი ბიჭი გელოდება ქვემოთ?

– კარგად იცი, რომ მასთან შეხვედრა შეუძლებელია, ამის უფლებას არავინ მომცემს!

– კი მაგრამ, ჩემო საბრალო გოგონა, რას ელოდები? ვიდრე ვინმეს ძალით არ მიგათხოვებენ?

ამ პრობლემის რეალურობაზე არასოდეს მიფიქრია. რასაკვირველია, ვიცოდი გარიგებით ქორწინებების შესახებ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, ასეთ რამეს ჩემი მშობლები არასოდეს ჩაიდენდნენ. ეს მე არ შემეხებოდა! მე ხომ ფრანგი ვიყავი!

– დამიჯერე, ლეილა, ნუ დაელოდები, ვიდრე ვიღაცას ქმრად არ მოგიყვანენ... შენი ცხოვრება თავად ააწყვე.

ის, რასაც მეუბნებოდა, გამოცდილებით იცოდა. ორჯერ გათხოვილმა და ორჯერვე ქმარგაყრილმა, მარტო, უსიყვარულოდ დარჩენილმა სამოცდაათი წლის მოხუცმა ქალბატონმა კარგად უწყობდა, რასაც ამბობდა.

ჩემი მშობლების შიშით მაშინვე ძირს არ ჩავსულვარ. ისევ ჩემი პატარა მამიდაშვილი გავაგზავნე:

– უთხარი, თუ ამა და ამ საათზე აქ არ მოვა, აღარც კი სცადოს ჩემთან შეხვედრა!

როცა პაემანზე მივედი, ათი წუთის მისული დამხვდა.

მასთან თავს კარგად ვგრძნობდი. ისიც პატივისცემით მეპყრობოდა. ერთხელაც კინალამ თავი დამავიწყა, მაგრამ მაშინვე გონს მოვედი: – რას აკეთებ-მეთქი...

ველოსიპედს მოვახტი და უსიტყვოდ შინისკენ გავქანდი. მასთან შეხვედრა აღარ მინდოდა, ძალიან შემეშინდა, რომ უარს ვედარაფერზე ვეტყოდი. ერთი კვირა სახლის წინ იდგა და ჩემთან დალაპარაკებას ელოდა. ერთ დღესაც მობეზრდა და მამიდაჩემის ბინის ზარი დარეკა.

– ლეილას აუცილებლად უნდა გადასცეთ, რომ მისი ნახვა მინდა.

მამიდაჩემმა ისეთი მახე დამიგო, რასაც მისგან ნამდვილად არ მოველოდი.

– ჩემო ბიჭო, არაფერსაც არ ვეტყვი. კაფეში წადი და იქ მშვიდად დაგველოდე. მე ლეილას მოგიყვან და შემდეგ მასთან ურთიერთობა შენვე გაარკვიე!

მე კი მითხრა:

– ერთ ჭიქა კოკა-კოლაზე არ დამპატიუებ?

– შენი ხნისას კაფეში წასვლა გინდა?

– სამოცდაათ წელზე მეტის ვარ და მგონი, შემძლია თავს უფლება მივცე, ძმისწულთან ერთად ერთი ჭიქა კოკა-კოლა დავლიო! გარდა ამისა, ამ კაფეში ჩაის სალონიც არის!

მაროკოში ქალები კაფეში არ დადიან. გოგონები იქ ფარულად თუ წავლენ. ასე მეგონა, ჩემს გამოცდას აპირებდა, კარგად ვიქცეოდი თუ არა...

– მართლა გინდა კაფეში წასვლა? არ ხუმრობ?

– ხომ გეუბნები, მინდა!

მერე პატარა გოგონასავით სიცილით ჩამავლო მკლავში ხელი და მითხრა:

– წამოდი, დამალევიან ერთი ჭიქა კოკა-კოლა!

როცა დავინახე, ვინ გველოდა ტერასაზე, მაშინვე ყველაფერს მივხვდი. მამიდაჩემმა კი მიბიძგა.

– მიდი! მიდი მასთან! აქ დავრჩები და დაგელოდები.

ის მშვიდად მიუჯდა მაგიდას კოკა-კოლის ჭიქით ხელში და გვიყურებდა, როგორ წავედით სასეირნოდ. ისეთი მზერა ჰქონდა, თითქოს მთელი სამყარო გააცურა.

ჩემს შეყვარებულს ყველაფერი ტირილით ავუხსენი.

– მივხვდი, რომ სისულელეს ჩავიდენდი, რაც მთელი ცხოვრება სანანებლად მექნებოდა. შენ კაცი ხარ და არაფერს კარგავ.

მან ხელები მომხვია.

– მართალი ხარ, მე მართლაც არაფერი მაქვს დასაკარგი, შენ კი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდები. მაგრამ თუ ერთ დღესაც ეს უნდა მოხდეს, გპირდები, ყველაფერი წესების დაცვით შესრულდება.

დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ვუყვარდი, რადგან პატივისცემით მეპყრობოდა.

მოპარული ბედნიერების ორი ზაფხული გავიდა. კოცნა, ველოსიპედებით ერთად სეირნობა იყო ჩემი სიყვარული, რომლის შესახებ მხოლოდ მესაიდუმლე მამიდას ვუყვებოდი. ის მენდობოდა და გულწრფელად სწამდა, რომ ახალი თაობის გოგონები ნამდვილად შეძლებდნენ, ცხოვრება დამოუკიდებლად მოეწყობათ თავიანთ რჩეულებთან ერთად და ბედნიერები ყოფილიყვნენ.

მაგრამ შეხვედრები მხოლოდ არდადეგებზე იყო შესაძლებელი. წლის დანარჩენ დროს ერთმანეთთან დაკავშირება, წერილის მიწერა ან თუნდაც ტელეფონით საუბარი წარმოუდგენელი იყო. ეს ორივემ კარგად ვიცოდით. როცა თვრამეტი წელი შემისრულდა, მაროკოში არდადეგებზე ვეღარ ჩავედი, ფინანსურად გვიჭირდა. მამაჩემმა ქარხანაში სამუშაო დაკარგა და ახლა სხვა სამსახური უნდა გამოეძებნა, თუნდაც ნახევარგანაკვეთიანი. ჩემი ძმების შენახვა ძვირი უჯდებოდა, მხოლოდ ერთი თუ ორი იღებდა სოციალურ დახმარებას, დანარჩენები დიდად ვერაფრით უწყობდნენ ხელს. ჩემს პირველ სიყვარულს მხოლოდ მაშინ შევხვდი, როცა ჩემთვის ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი და სიყვარულობანას დრო წასული იყო.

ლიცეუმში ეკონომიკური და სოციალური განხრით [საფრანგეთის ზოგადი პროფილის ლიცეუმში სამი სახის ბაკალავრის დიპლომის ასაღებად ამზადებენ: საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები, – მთარგმნ. შენიშვნა.] ჯერ მეორე კლასში გადავედი, შემდეგ პირველში. ბაკალავრის დიპლომის აღების იმედი მქონდა. მამაჩემი

ფიქრობდა, რომ ჩემგან მართლაც «ვინმე» დადგებოდა, მაგრამ მეორე მხრივ, ყოველდღიურად მამცირებდა და მიყვიროდა, რომ ოჯახში არაფრად ვარგვივარ.

გადაწყვიტე, დამემტკიცებინა, რომ მართლაც «არაფრად ვარგვივარ». პირველ კლასში სწავლისას თითო არ გამიტოკებია! ასევე ვიქცეოდი შინაც. რაც უფრო ნაკლებად ვეხმარებოდი, მით მეტი გააფთრებით მცემდა, ეს მანკიერი წრე იყო, რომლის გარღვევა არ შეეძლო. «კარგი ხარ» – მისთვის კარგად სწავლას კი არ ნიშნავდა, არამედ უსიტყვო მორჩილებას. ქედი ვერ მომახრევინა, რადგან არ ესმოდა, მისი მხრიდან სულ მცირე სიყვარული და სამართლიანობა იყო საკმარისი, რომ წარმატების მისაღწევად ფრთები შემსხმოდა.

ვაჟებს ყველაფერს პატიობდა, ყველაზე დიდ სისულელესაც კი, გოგონას კი არაფერს. ჩემი ნიშნების შემხედვარეს, შეეძლო ლიცეუმიდან გამოვეყვანე, შინ ჩავეკეტე და სამუდამოდ დიასახლისობა არ ამცდებოდა. ამის ნაცვლად, «მოსარჩულებლად» კერძო ლიცეუმში შემიყვანა. მისი დასრულების შემდეგ სამდივნო საქმისა და ბუღალტრის პროფესიული დიპლომი უნდა ამეღო.

ჯერ კიდევ მესამე კლასში [კოლეჯის დამამთავრებელ, მესამე კლასში წყდება, ლიცეუმში რომელი განხრით გააგრძელებს სწავლას მოსწავლე და შესაბამისად, ბაკალავრის რომელი დიპლომის მისაღებ გამოცდებს ჩააბარებს, – მთარგმნ. შენიშვნა.] მამაჩემმა გადაწყვიტა ჩემი სამომავლო პროფესიული ორიენტაცია.

ლიცეუმს სოციალურ მეცნიერებათა ფილიალიც ჰქონდა, მაგრამ იქ სწავლის გასაგრძელებლად ოჯახი უნდა დამეტოვებინა, ამის ნებას კი მამაჩემი არასოდეს დამრთავდა. სიმართლე ითქვას, მის თვალში მხოლოდ ამას ვიმსახურებდი, სწავლის შედეგები გაუარესდა, ბაკალავრის ასე სანატრელ დიპლომს და, შესაბამისად, ამის შედეგად შესაძლებელ სხვა არჩევანს არ ვიმსახურებდი. კერძო ლიცეუმში სწავლის ორი წლის განმავლობაში თავიც არ შემინუხებია. ლიცეუმის პირველი კლასიდანვე კარგი ნიშნები მქონდა. საკონტროლოებს სრულიად მოუმზადებლად ვწერდი და როგორც წესი, 18-დან 20 ქულამდე ვიღებდი. ფრანგულსა და ინგლისურში ძალიან ძლიერი ვიყავი. მაგრამ ოფისში ჩაკეტილი მდივნის ან ბუღალტრის სამუშაო სრულებით არ მიზიდავდა! მინდოდა სოციალური მეცნიერებების განყოფილებაში მესწავლა, სხვებს დავხმარებოდი, ადამიანებთან კონტაქტი, ადამიანური სამსახური მქონოდა და მთელი სიცოცხლე კომპიუტერის ეკრანთან ციფრების მწკრივების შეკრება-გამოკლებაში არ გამეტარებინა.

უჩემოდ გადაწყვეტილი ქაღალდების ჩხაპნისთვის განწირული მომავალი ფეხებზე მეკიდა.

თვრამეტი წლის შევსრულდი, სრულწლოვანი ვიყავი? ოჯახში სრულწლოვანება არაფერს ნიშნავს. გათხოვილიც კი ქალიშვილი მამას, ძმებსა და ქმარს სრულწლოვნად არ მიაჩნიათ. უმცროსი ძმების «მოსკოვის თვალი» მუდამ თან მდევდა, უბნის «კამერები» გამართულად მუშაობდა. რამადანის დროს, ყოველ საღამოს, აივანზე გავდიოდი მარხვის დასრულების შემდეგ სიგარეტის მოსაწევად. ვრისკავდი, ცეცხლს ვეთამაშებოდი. ყველა შინ იყო, ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა პირში სიგარეტგაჩრილი «დავმწვარიყავი». უკვე დიდი ხანია

ძმები ჩემს გამოჭერას ცდილობდნენ. ერთი თვე მშვიდად ვეწეოდი ერთ ღერ სიგარეტს მზის ჩასვლისას. რამადანის დასრულების წინა დღესაც აივანზე ვიყავი, პიტნის კანფეტითა და პირის ღრუს დუზოდორით ჯიბეში, უვნებლად რომ ჩაევლო ამ სახის შინაურ შემოწმებას: «პირი გააღე და ამოისუნთქე!»

სიგარეტის ნამწვს აივნის იატაკზე ვაქრობდი ხოლმე და შემდეგ ასანთის კოლოფში ვინახავდი... აივნის მოაჯირიდან თავი არასოდეს გადამიყვია, შეიძლებოდა ვინმეს დავენახე. იმ საღამოს დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ძმები ფეხებურთზე იყვნენ წასული, ამიტომ ნამწვი მშვიდად მოვისროლე აივნიდან.

მაგრამ ჩემი ძმები და მათი მეგობრები ქვემოთ იდგნენ და მათი ხმები არ გამიგონია. თან სამაჯურები მეკეთა! ცუდად ჩამქრალი ნამწვის სუსტმა ალმა და სამაჯურების წკრიალმა გამყიდა! იმის ნაცვლად, რომ აივანზე გაფენილი სარეცხის უკან შეუმჩნევლად ვმჯდარიყავი,

აივნიდან თავი გადავყავი, რომ დამენახა, ნამწვი სად დაეცა! «მათ» მაშინვე დამინახეს. ჩემი ძმა პირგაბადრული მიყურებდა და სახეზე ეწერა: «შორს სიარული აღარ მჭირდება, არც ქუჩაში შენი თვალთვალი, რამდენი წელია, ამას ველოდი და როგორც იქნა, ეს მოხდა!»

მკითხველისთვის განვმარტავ: თუ ძმა დას წაასწრებს ისეთ საქციელში, რომელიც წესების დარღვევად მიიჩნევა, ეს მისთვის შანტაჟის საშუალებაა.

– გევედრები, მშობლებს არაფერი უთხრა, გევედრები...

დავუჩოქე კიდეც.

– გევედრები, გევედრები!..

მშობლებს მართლაც არაფერი უთხრა, მაგრამ ერთი თვე სიცოცხლეს მიმწარებდა.

დივანზე წამოწვებოდა და თითების გატკაცუნებით მეძახდა: – ე, მიდი, წყალი მომიტანე... ე, ფეხსაცმელები სად არის?.. ე, ეს გააკეთე, ის გააკეთე!

ერთ დღესაც ეს ყველაფერი მომბეზრდა და მივახალე:

– მიდი, გაიარე!

რას ვკარგავდი? ერთით მეტჯერ მცემდნენ? ამას უკვე შეჩვეული ვიყავი; ახლა უფრო მტკივნეულად მომხვდებოდა, ეს იყო და ეს.

– მირჩევნია, მშობლებს უთხრა, ვიდრე ძალიან გემსახურო. თუ თქმა გინდა, ადექი და თქვი!

– მართლა გინდა, რომ ვუთხრა?

– ჰო, მირჩევნია, მამამ მცემოს, თუნდაც მომკლას, ვიდრე შენი მორჩილი ძალი ვიყო!

შელაპარაკება მაშინაც გრძელდებოდა, როცა ჭურჭელს ვრეცხავდი. მას, რა თქმა უნდა, ერჩივნა, მონასავით შემსახურა, ვიდრე ჩემს წინააღმდეგ ხმა ამოედო.

დედაჩემმა ჩვენი კამათი გაიგონა და შემოვიდა.

– აქ რაღა ხდება? დაანებე შენს დას თავი! რას დასდევ კუდში!

– შენ რა გგონია, დედა? შენი ქალიშვილი წესიერია?

– არა, მას აქვს ნაკლი, მაგრამ ჩემს ქალიშვილს ცოტა ხნით თავი დაანებე!

– რა? ჩემი ქალიშვილი, ჩემი ქალიშვილი, ჩემი ქალიშვილი! შენი ქალიშვილი სიგარეტს ეწევა. ამის გაგონება გინდოდა? შენი ქალიშვილი ეწევა, წავასწარი.

მაშინ მამაჩემმა თქვა:

– ლეილა, წამოდი ოთახში! შენც!.. ორივენი ოთახში შედით!

ბავშვობიდან მეზიზღება ეს ოთახი, მას შემდეგ, რაც მისი კარი იკეტებოდა და პატარა აგრესორის პირისპირ ვრჩებოდი, ან მამაჩემის ცემა-ტყეპა უნდა ამეტანა. უბედურება ყოველთვის ამ დაწყევლილ ოთახში მატყდებოდა თავს, ერთადერთში, რომელიც გასაღებით იკეტება – ჩემი მშობლების საძინებელ ოთახში. ეს ანგარიშის გასწორებისა და კონფლიქტის ადგილია.

– ეწევი?

ჩემი ძმა ერთ მხარეს მიდგას, მამაჩემი – მეორე მხარეს. თუ ვიტყვი: «ჰო, ვეწევი», მამაჩემი ჩამარტყამს. თუ ვიტყვი: «არა», ჩემი ძმისგან მომხვდება.

სილის გაწვნით დაიწყო. ეწევი? ბუმ! ეწევი? ბუმ! ეწევი? ბუმ! ეწევი? ბუმ!

პასუხს არ ვცემდი. თავი არ დამიხრია, მამაჩემისთვის თვალი თვალში მქონდა გაყრილი, რაც კიდე უფრო აღიზიანებდა. ჩემი ძმები თვალდახრილი იდგნენ, მე – არასოდეს. ნაცემი მტკიოდა, მაგრამ ეს მზერა მას ეუბნებოდა: «დამარტყი, მაინც ვერ დამიმორჩილებ».

იქამდე მირტყა, ვიდრე გონება არ ამემღვრა და თავბრუ არ დამეხვა. ბოლოს, თითქმის გულწასულმა, ვიყვირე:

– ჰო, ვეწევი... მერე რა? ამის გაგონება გინდოდათ?... ჰო, ვეწევი, არც ისეთი კარგი ვარ, თქვენ რომ გინდათ!

დედაჩემი სამზარეულოში იჯდა, წყლის სურა აიღო, სახეში ჯერ წყალი შემასხა, შემდეგ სურა მესროლა.

საჭირო იყო ჩემს გამოსწორებაზე სერიოზულად ეზრუნათ. გიჟებით მირტყამდნენ, მაგრამ რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, არ მტკიოდა.

უბანში არავის არასოდეს დაუჩივლია. გოგონები, რომლებსაც მამები და ძმები სცემენ, დუმან, რათა ოჯახის ღირსება შეინარჩუნონ. ბოლოს და ბოლოს, ისინი ისე ეჩვევიან ამგვარ მოპყრობას, რომ ასე ცხოვრება მათთვის ჩვეულებრივი ხდება. თუ რომელიმე მათგანი სოციალური სამსახურის მუშაკთან, მასწავლებელთან ან ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელთან დაიჩივლებდა, არცხვენდნენ. პოლიციაზე ლაპარაკიც არ არის. პოლიციისადმი მიმართვა არც ერთ გოგონას აზრადაც არ მოსვლია და მეც მათსავით ვიქცეოდი. გვემუქებოდნენ, არაფერი გვეთქვა ოჯახური ძალადობის შესახებ:

– თუ ვინმესთან ამაზე კრინტს დაძრავ, პირობას გაძლევ, ყელს გამოგჭრი და შენს სისხლს დავლევ!

ეს საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმაა. რასაკვირველია, დასავლური აზროვნებისთვის მისი სისასტიკე მიუღებელია, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ისევე ადვილად გამოგვჭრიდნენ ყელს, როგორც მსხვერპლშეწირვისას კლავენ ბატკანს.

თვრამეტი წლის ასაკში მალულად მოწეული სიგარეტი ჩემთვის უბედურებად იქცა. საქმე სრულებითაც არ შეეხებოდა ჩემი ფილტვების ჯანმრთელობას, რადგან თავგადაკლული მწველი არასოდეს ვყოფილვარ. ხანდახან, მალულად თითო ღერს თუ გავაბოლებდი, ეს იყო და ეს. მშობლებისთვის უმთავრესი აკრძალვის უპატივცემულობა იყო. გოგონა ან ქალი, რომელიც მოწევას გაბედავს, «ცულების» კატეგორიაში გადადის. ის კაბარეში, მამაკაცების წინ მოცეკვავე ქალებს, ანუ «მეძავეებს» ემსგავსება.

მაგრამ აკრძალვისთვის გვერდის ასავლელად სხვადასხვა ხრიკს ვიგონებდი. სამზარეულოს ნაგავსაცლელშიც კი ჩამირგავს თავი, რომ სიგარეტის კვამლის სუნი არავის ეგრძნო!

არ მსურდა, ჩემზე სრული ძალაუფლება ჰქონოდათ. ამ გზით მინდოდა მათთვის დამეცინა, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ტყუილის მიჩქმალვას ვცდილობდი. ნაგავსაცლელში თავჩარგული ჩემთვის ვფიქრობდი: «გვერდით არიან, ცხვირწინ ვუბოლებ სიგარეტს და ბაიბურში არ არიან, რომ ასე ვიქცევი. ჰგონიათ, ყველაფრის აკრძალვა შეუძლიათ, მე ჩემსას მაინც ვისრულებ!» ეს ძალიან უმნიშვნელო რევანში იყო.

მეორე დღით სიგარეტის ორი პაკეტი ვიყიდე. გაკვეთილებზე არ წავსულვარ, რაკი მარტოს მსურდა მომხდარის გაპროტესტება, ძველ ლიცეუმში მივედი.

თმა არასოდეს გამიშლია, მაგრამ ამ დღეს სახის მარჯვენა მხარე ჩალურჯებული მქონდა, ამიტომ მის დასაფარად იძულებული გავხდი, თმა გამეშალა.

ცუდად ვიყავი. მეგობრები მიხვდნენ, რომ რაღაც ავი მჭირდა.

– რა დაგემართა?

– არაფერი, სრულებით არაფერი. ცუდად მეძინა, მგონი, გრიპი მეწყება.

აქ ალბათ იმიტომ მოვედი, რომ ვინმესთვის ჩემი საწუხარის გაზიარება მინდოდა, მაგრამ პირველსავე შეკითხვაზე სიმართლის თქმა ვერ შევძელი. ნიჟარაში შეყუჟულ ლოკოკინას დავემსგავსე. არავინ იცოდა, რომ ცამეტი წლის ასაკში თავის მოკვლა ვცადე, ეს ამბავი ოჯახის გარეთ არ გასულა.

მეგობრები ვერ მიშველიდნენ. დაღვრემილი მოგზაურით დავბრუნდი ამ ადგილზე, რომ ნოსტალგიურად შემეგრძნო ბაკალავრის დიპლომისთვის მომზადების ციებ-ცხელება, კიდევ ერთხელ გამეაზრებინა დაკარგული ილუზიები, რომლებიც ჩემმა შეცდომამაც გამოიწვია. ჩემი უბედურების წრეზე ვტრიალებდი. თითქოს ეს უბედურება მასაზრდოებდა.

ყველას დავემშვიდობე და უზარმაზარი ლიცეუმის ბოლოში წავედი, კიბის ქვეშ შევიყუჟე. აქ, სრულიად მარტომ, სიგარეტი გავაბოლე, ჯერ ერთი, შემდეგ მეორე. ჩემს ცხოვრებაზე ვფიქრობდი და თან საკუთარ თავს ველაპარაკებოდი.

«არც კი იცი, აქ რისთვის მოხვედი. ლეილა, თვრამეტი წლის გახდი, სრულწლოვანი ხარ, შეგიძლია თავი დაიცვა, სხვაგან წახვიდე საცხოვრებლად. მაგრამ ლაჩარი ხარ!»

მეორე მხრივ, შინაგანი ხმა ამომძახოდა:

«თუ წახვალ, ოჯახს მოწყდები. მართალია, ცუდად გექცევინ, მაგრამ ეს მაინც შენი ოჯახია. მათ გარდა არავინ გყავს».

მთელი დილა ამაზე ფიქრში გავატარე – წავიდე შინიდან? არ წავიდე?.. ვეწეოდი, ვახველებდი და თან ვფიქრობდი.

ჩემი მეგობარი, კარიმი მოვიდა. მხოლოდ მან იცოდა, სად შეიძლებოდა ჩემი მოძებნა.

– ლეილა, რა გემართება?

ხელები თმაზე შემოვიწყვე, ჩალურჯებული ლოყა რომ არ დაენახა.

– არაფერი.

– არა, ეს ვარცხნილობაც უცნაურია, შენ თავს არ ჰგავხარ.

– თმის გაშლა გადავწყვიტე, მინდა ცოტა ჰაერმა გაუაროს.

– მოეშვი სისულელეების ჩმახვას, ვერ მომატყუებ!

ხელი მომკიდა, თმა გადასწია და ჩალურჯებულ ლოყას შეხედა.

მაშინ კი ისტერიკულად ავყვირდი:

– რა გინდა, რომ გითხრა? ნაგავი ცხოვრება რომ მაქვს? სამი გამოსავალი დამრჩა: ან თავი მოვიკლა, ან შინიდან წავიდე, ან გავაგრძელო ეს საზიზღარი არსებობა. სიგარეტი მოვწიე და ჩემმა ძმამ გამომიჭირა, ეს არის და ეს!

– სარკეში ჩაიხედე, რას ჰგავხარ? ასე გცემეს სიგარეტის გამო? ეს არანორმალურობაა!

– რა გინდა, რომ გავაკეთო? თუ ვიჩივლე, ყველა პატარას სოციალური სამსახური წაიყვანს! ოჯახი გაიხლიჩება, თავშესაფარი და შერცხვენა მელის!

ბოროტების ჩადენა არ მსურდა, არ მინდოდა ოჯახის დაშლის მიზეზი მე ვყოფილიყავი. ამ საქციელის გამო შერცხვენა არ ამცდებოდა.

ჩემს ძმებსაც სცემდნენ, თუმცა ნაკლებად. მაგალითად, თუ რომელიმე მთვრალი დაბრუნდებოდა შინ. მაგრამ ეს რა შედარება იყო იმასთან, რის გადატანაც მე მიწევდა! რაიმეს დავიწყება, უადგილო პასუხი, დაგვიანება და ცემაც გამოწერილი მქონდა.

– სისულელე მაინც არ ჩაიდინო, მპირდები?

– არა, არა, ნუ გეშინია.

მაგრამ მაინც გადავწყვიტე, შინიდან წავსულიყავი. არავისთვის მითქვამს, კარიმსაც კი არ გაუუმხილე. არც კი ვიცოდი, სად უნდა წავსულიყავი. მეგობარმა ბიჭმა, რომელიც ჩემს უბანში არ ცხოვრობდა, ჩემი სახლიდან ოცდაათი-ორმოცი კილომეტრის დაშორებით, სასტუმროში ერთი ოთახი მიქირავა. მოვუყევი, რომ ცოტა ხნით მარტო დარჩენა მსურდა, ეს ჩემს სახლში შეუძლებელი იყო. ყველაფერი არც ამიხსნია და არც მას სურდა დაწვრილებით გაეგო მიზეზი. გაუცნობიერებლად მჯეროდა, ვინმესთვის რომც მომეყოლა ჩემი ამბავი, არც დამიჯერებდნენ და ვერც გამიგებდნენ. ამიტომ, ამ ნაბიჯის გადადგმა არ შემეძლო, ეს ძალიან მძიმე იქნებოდა, შესაბამისად, სამუდამოდ უნდა დავდუმებულიყავი და ესეც მძიმე ასატანი იყო.

სახლიდან წასული, იმ ერთი კვირის განმავლობაში მხოლოდ ვტიროდი. არაფერი მიჭამია, ისე წავედი, შინიდან არაფერი წამიღია. პირადობის მოწმობასაც კი მამაჩემი ინახავდა. მოკლედ, ნამდვილად გაქცევისთვის მომზადებული არ ვყოფილვარ. ფული და საბუთები არ მქონდა, არც ის ვიცოდი, სად უნდა წავსულიყავი. ჩემმა მეგობარმა სასტუმროს ფულის გადახდა თავის უფროს ძმას სთხოვა. ეს დაუსრულებლად ვერ გაგრძელდებოდა. ჩემი მეგობარი კარგად მომექცა, მას ნამდვილად სურდა დამხმარებოდა, მაგრამ ერთ საღამოს სასტუმროში მოვიდა და ღამით დარჩენა მოისურვა, რაზეც მაშინვე მძაფრი რეაქცია მქონდა. მე მისგან ამგვარი დახმარების მიღებას არ ვაპირებდი. მაშინვე ყველაფერს მიხვდა.

მეორე დღით სიგარეტს ხელი დავავლე და სულიერად განადგურებული შინ დავბრუნდი. სხვა არჩევანი არ მქონდა. მცდელობა ჩაიშალა.

ბრაზითა და დამცირებით სახეგადაფითრებული, გაცოფებული მამაჩემი ზედაც არ მიყურებდა, სიტყვაც არ დაუძრავს. მისთვის მკვდარი ვიყავი. გულში გავივლე, – თავის გასამართლებლად რომ ვთქვა რამე, აუცილებლად მომკლავს-მეთქი.

დედაჩემს ლანძღვა-გინება არ დაუკლია:

– სად იყავი? კახპა ხარ! ასე შინიდან წასვლა ვის გაუგია! მთელი კვირა სადღაც იყავი! ვინ იცის, რას აკეთებდი! ხვალვე ექიმთან წახვალ.

ისევ და ისევ დამცირება მელოდა. თვრამეტი წლის, სრულწლოვანი, ექიმთან წამიყვანეს და იძულებული გავხდი, მათ დასამშვიდებლად სამედიცინო შემოწმება გამეჯლო.

– ქალწულია, ნუ ნერვიულობთ!

თუმცა, ასე მეგონა, რომ გამაუპატიურეს. ჩემი არ სჯეროდათ, ვერ მიგებდნენ. მათთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ ეს სულელური ქალწულობა იყო. ჩემდამი იოტისოდენა პატივისცემაც კი არ ჰქონდათ. ვინმეს მათთვის რომ ეთქვა, – კი მაგრამ, მამა სცემს, ძმები სცემენ, რა თქმა უნდა, სახლიდან გაქცევის მიზეზი აქვსო, – დარწმუნებული ვარ, მამაჩემი, დედაჩემი, ძმები ერთხმად უპასუხებდნენ: – «სცემენ? ეს მან თქვა? რა სირცხვილია!»

გამუდმებით ვფიქრობ ამ სოციალურ ქცევაზე, ქალწულობის ამგვარ აკვიატებულობაზე. ეს ფიქრი ჭკუიდან მშლის. მისი აუცილებლობა რისთვის არის საჭირო, პასუხი ვერ მიპოვია. ერთი მაინც რომ მომეფიქრებინა, იქნებ უფრო დავწყნარებულიყავი. თუმცა, ჩემი აზრით, ლოგიკური პასუხი არ არსებობს. ეს არის ქალების დამოუკიდებლობის ტრადიციული უარყოფა.

ეს ასეა და არაფერი ეშველება. წინ უნდა იარო, გაკვალულ გზას გაჰყვე. მენტალიტეტის შეცვლის შესაძლებლობა არ ჩანს. ქალწულობაზე პასუხისმგებლობა ჯერ მამასა და ძმებს აკისრიათ, შემდეგ – ქმარს. ქალის სხეული მათ ეკუთვნით.

და ეს გამართლებული მფლობელობა ტვინს გვიღრდნის. მათი ღირსება ისეთ საკითხს უკავშირდება, თავის შეწუხებად რომ არ ღირს, მაგრამ მამები უარობენ ამის აღიარებას. ისინი მუდმივად ეჭვით ეკიდებიან საკუთარ ქალიშვილებს.

იჩხრიკებიან მის გონებაში, ნივთებში, ზურგჩანთაში, ჯიბეებში, რომ რაიმე აკრძალული ან პირადი ნივთი იპოვონ. სიგარეტის კოლოფი აქვს? კახპაა. საპუდრე, ტუში, პომადა ან წითელი ტრუსი? მედავია. შეყვარებულის წერილი? კახპაა! ჰიგიენური პაკეტი აქვს? სასწრაფოდ ექიმთანაა წასაყვანი, არა აქვს მნიშვნელობა, ქალიშვილი სრულწლოვანია თუ არა... კონტრაცეპტივი? შინიდანაა გასაგდები!

«ისინი» ასევე არიან ძმები, ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილები, ბიძები, დეიდები, დედამთილები... მათ საგნებადაც კი არ მივაჩნევართ. საგანს უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობიან, ვიდრე ქალს. სწორედ ეს მაცოფებს, ეს არის ჩემი ჯანყის მიზეზი. მე მარტო არ ვარ, ჩვენ ათასობით ვართ და ისევ ვღუშვართ, რადგან მათ კარგად იციან, ოჯახისა და თემის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში «კახპებად» მოგვნათლავენ. ვინც გაბედა, ოჯახთან სრულიად გაწყვიტა კავშირი: ისინი, ვინც საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა და კარიერა გაიკეთა, შეცვლილი მენტალიტეტის ოჯახებიდან არიან. არ არის აუცილებელი, ემიგრანტთა მეორე ან მესამე თაობის შვილები იყვნენ. მთავარი აღზრდა, კულტურა, თანამედროვე სამყაროსადმი გახსნილობაა.

მამაჩემმა ოჯახის წევრებს აუკრძალა ჩემთან ლაპარაკი – ვინც პირველი ხმას გასცემს, სილას მიიღებს!

თავადაც არ მელაპარაკებოდა. აღარ ვარსებობდი. თუ ჩემი ძმები არად მაგდებდნენ, ეს დიდად არც მადარდებდა. უარესი ის იყო, როცა მამაჩემი გვერდზე ისე ჩამივლიდა, თითქოს გამჭვირვალე ვიყავი. ეს სიჩუმე თვე-ნახევარს გაგრძელდა. დღეებს ვითვლიდი.

დედაჩემი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მომმართავდა: – გააკეთე ეს, გააკეთე ის.

ლიცეუმში აღარ დავბრუნებულვარ და ავად გავხდი.

აღარაფერს ვჭამდი, კუჭი მტკიოდა. საავადმყოფოში წამიყვანეს. გამოცდებზე გასვლა ვერ მოვახერხე. ვერავინ მიხვდა, რა ხდებოდა ჩემს სხეულში. მე კი კარგად ვიცოდი. ჩემს ტვინში ყველაფერი დაიბლოკა და სხეული ამას საკვებზე უარის თქმით გამოხატავდა. არავის უთქვამს, რომ დეპრესიაში ვიყავი, ორგანიზმში სომატური ცვლილებები მიმდინარეობდა. შინ დავბრუნდი მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ, რომელსაც არაფერი შეუცვლია. გადავწყვიტე, ისევ ავად გავმხდარიყავი.

სავადმყოფოში დაბრუნება მინდოდა, იქ თავს უკეთ ვგრძნობდი, ექიმები ჭკუიდან გადამყავდა. ამას მათი ყურადღების მისაპყრობად ჩავდიოდი. მინდოდა, რომელიმე მიმხვდარიყო, რომ შინ დარჩენილს საფრთხე მემუქრებოდა.

გამოკვლევები, გასინჯვები არაფერს აჩვენებდა, ალბათ, აპენდიციტის შეტევა მქონდა!

საოპერაციო ბლოკში ჩამიყვანეს, მაგრამ აპენდიქსს არაფერი სჭირდა საოპერაციო... საშვილოსნოზე პატარა კისტა აღმომაჩნდა, საშიში არაფერი იყო, მაგრამ რაკი მაინც ოპერაციაზე ვიყავი!..

ავადმყოფის მდგომარეობაში თავს კარგად ვგრძნობდი. სინამდვილეში დეპრესიაში ვიყავი და ამას ვერც ვაცნობიერებდი. ყურადღების მისაქცევად იმ ბავშვივით ვიგონებდი ხრიკებს, სკოლაში წასვლა რომ არ სურს. მეთილენის დახმარებით კოჭზე სილურჯე დავიხატე. მამაჩემმა სავადმყოფოში წამიყვანა, რენტგენმა არაფერი აჩვენა, ესე იგი ნაღრძობი იყო! სამი კვირა თაბაშირი მელო და ძალიან კმაყოფილი ვიყავი, რადგან ძმები იძულებული იყვნენ, მომსახურებოდნენ და თავისთავის მიეხედათ.

ფეხზე აუცილებლად რატაც პრობლემა უნდა მქონოდა, რომ ამის თქმა შემძლებოდა:
«სიარული აღარ შემიძლია, ვერ მოგემსახურებით, ველარაფერს ვაკეთებ, ამიტომ ჩემს ნაცვლად
უნდა გააკეთოთ...» კოჭის ღრძობა სამჯერ მოვიმიზეზე.

მუცლის ტკივილიც არაჩვეულებრივი საბაბი იყო. იმ პირობით, რომ უნდა დამერწმუნებინა,
თითქოს მართლაც სიცხე მაქვს! ისევ სამკურნალო ვიყავი და ლიცეუმში დაბრუნებულს
სრულიად არ მადარდებდა გამოცდის შედეგი. კარგად ვიცოდი, ჩასაბარებლად დაბალი
ქულებიც მეყოფოდა, გარდა ამისა, ეს დიპლომი მამაჩემს სურდა და არა მე.

კონფლიქტის მიზეზი ყოველთვის მამაჩემი იყო, ჩემი ცხოვრებისა და მომავლის გამგებელი. ეს
აზრი მაწამებდა, კომმარებად მესიზმრებოდა. გავიქვე... მაგრამ სად?

ამის ძალა აღარ მქონდა. ერთ დღესაც მან თავად მიბიძგა და ეს ძალაც მომეცა.

იმ დღეს ჩემი მშობლები ერთად წავიდნენ. ცეცხლზე შემოდგმული ტაჟინისთვის უნდა
მიმეხედა, მე კი ტელევიზორს ვუყურებდი, ფილმმა ისე გამიტაცა, ქვაბი მიმავიწყდა იქამდე,
ვიდრე სამზარეულოდან დამწვრის სუნი არ გამოვიდა! ყველაფერი გავფხიკე, როგორც
შემძლო, ტაჟინსაც მეტ-ნაკლებად შესაბამისი სახე მივეცი, მაგრამ მთელი სახლი დამწვრის
სუნით ყარდა.

საათს შიშით შევცქეროდი, მამაჩემი ნამდვილად მომკლავდა! წასვლამდე სამჯერ გამიმეორა:

– გაფრთხილებ, სამზარეულოში ქვაბს ყურადღება მიაქციე, რამე რომ მოხდეს...

კიბეზე ფეხის ხმა გავიგე და გადავწყვიტე, ტყუილით მეშველა თავისთვის. ასეა თუ ისე,
ყველაფერი დედაჩემის რეცეპტით აღვადგინე, იგივე ბოსტნეული, იგივე ხორცი გამოვიყენე...

– საჭმელს ყურადღებას აქცევდი?

– დიახ...

– დარწმუნებული ხარ, რომ არაფერი მომხდარა?

– არა, რას ამბობ, რა უნდა მომხდარიყო?

– დარწმუნებული ხარ?

– რა თქმა უნდა.

თავზე ხელი მომკიდა და ქვაბში ჩამაყოფინა.

– უყნოსე! რა, იდიოტად მთვლი?

ცოცხის ტარი აიღო და იქამდე მირტყა, სანამ ხელში არ ჩაატყდა. მკლავიც მომტყნა.

მთელი დამე არ დამიწუნუნია. ყველაფერი მტკიოდა, დალილავებული ვიყავი, მკლავი
გვერდულად, მეორე ხელით მეჭირა.

დილით არაფერი მითქვამს, ისე წავედი ლიცეუმში, მაგრამ მასწავლებელმა შეატყო, რომ წერას
ძლივს ვახერხებდი.

– რა გემართება?

– არაფერი, დავეცი და მკლავი ვიტკინე.

მკლავზე დამხედა, საშინლად მქონდა აფუებული. ექიმის კაბინეტში ისევ ის ტყუილი მოყვევი, –
ვითომ დავეცი...

ექიმი მამაჩემს დაურეკა. მას ხმაც არ ამოუღია, შეწუხებული სახეც კი არ ჰქონდა, რადგან შესანიშნავად იცოდა, სიმართლეს არავის ვეტყვოდი. საავადმყოფოსკენ რომ მივდიოდით, ეს კი მითხრა:

– გაფრთხილებ, თუ არაფერი გჭირს, ორივე მკლავს მოგტეხ, ახლა უკვე ნამდვილად.

მანქანაში ღმერთს ვევედრებოდი: – ღმერთო, დამეხმარე, რომ ექიმის ნათქვამი მართალი გამოდგეს... რა მოხდება, მკლავი ნამდვილად მოტეხილი მქონდეს-მეთქი.

იდაყვი მქონდა გატეხილი და თაბაშირში ჩამისვეს. მაშინ გადავწყვიტე, რომ ამჯერად ნამდვილად უნდა წავსულიყავი შინიდან.

როცა მცემდა, უკვე მაშინ ვამბობდი გულში: «მირტყი, მირტყი, ეს უკანასკნელია».

მომზადებას ორი-სამი დღე მოვანდომე. მარტინას სანახავად წავედი. ეს აღმზრდელი ბავშვობიდან მიცნობდა. ავუსხენი, რატომ მსურდა შინიდან წასვლა, თუმცა დაწვრილებით არაფერი მომიყოლია. ეს იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც თვალდახუჭული ვენდობოდი, თუმცა მასთანაც ვერ გავბედე მეთქვა, რომ მამაჩემი მცემს. ვყვებოდი და ვტიროდი:

– მომბეზრდა, მეტი აღარ შემიძლია... უნდა წავიდე, სრულწლოვანი ვარ, ან ჭკუიდან შევიძლები, ან თავს ვუშველი, ამჯერად სულელურად აღარ მოვიქცევი.

მან ყველაფერი გაიგო. ეს მისი პროფესია იყო, გოგონებისთვის ზედმეტი კითხვის დასმის გარეშე მიმხვდარიყო ყველაფერს და

კითხვებით არ გაეფუჭებინა საქმე. შემდგომშიც ყოველთვის ჩემ გვერდით იყო, მუდამ მემხარებოდა საკუთარი თავისგან და თვითმკვლელობის შემოტევებისგან რომ გადავერჩინე. იმ დღეს მხოლოდ ის მკითხა, ნამდვილად მზად ვიყავი თუ არა და ფული თუ მქონდა.

– არაფერი გამაჩნია, მაგრამ იმ საშინელ ცხოვრებას მირჩევნია, ხიდის ქვეშ გავათიო ღამე.

– კი მაგრამ, სად უნდა წახვიდე?..

სამხრეთში ჩემი მეგობარი გოგონა ცხოვრობდა, რომელმაც არდადეგებზე მითხრა, – ჩემთან სტუმრობა ყოველთვის შეგიძლიათ. ის პატარა ბინაში ცხოვრობდა მეგობარ ბიჭთან ერთად და მუშაობდა. ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც მიმესვლებოდა.

ერთი ღამე პროვინციის თავშესაფარში, სხვა აღმზრდელთან გავატარე. ბევრს მესაუბრა, უნდოდა მომეყოლა, რატომ აღარ მსურდა მშობლების სახლში დარჩენა, ნამდვილად დარწმუნებული ვიყავი თუ არა ჩემი ნაბიჯის სისწორეში... მიკიბულ-მოკიბულად ვპასუხობდი. მამაჩემისგან შორს მყოფი, თაბაშირში ჩასმული იდაყვის მიუხედავად, ვერ ვბედავდი სიმართლის თქმას. პირველივე შეკითხვისთანავე მიხვდებოდა, რომ აუცილებლად გავიქცეოდი. ცემა ხომ ასეთი სასტიკი დამცირებაა... უნდა მელაპარაკა, ამ დამანგრეველი ღუმლის ნაცვლად ყველაფერი მომეყოლა. ახლა ვხვდები, როგორი ჯიუტი და მოუმწიფებელი ვიყავი სრულწლოვანების მიუხედავად, რომლის პატივისცემასაც ასე ვითხოვდი. ერთადერთი გამოსავალი დიალოგზე დათანხმებაა. ეს არის ერთადერთი შანსი, რომ მდგომარეობა უფრო არ დამძიმდეს და ჩემსავით მახეში არ აღმოჩნდე. მაგრამ მაშინ თუთიყუშით ვიმეორებდი ერთსა და იმავეს: «უბედური ვარ» და მორჩა. სხვების ნათქვამს ყურში არ ვუშვებდი. დაგებულ ხაფანგებს ვერ ვამჩნევდი, მსურდა, მარტოს დამედწია თავი ამ უბედურებისთვის და სინამდვილეში, ამის ძალა არ შემწევდა.

მეგობარს დაურეკე და თვითმფრინავის ბილეთის საყიდელი ფული ვისესხე. მეორე მეგობარი აეროპორტში მელოდა. სამი დღის მძიერი და უძინარი ვიყავი, პაწაწინა ჩანთაში ორი პულოვერი, გამოსაცვლელი ჯინსი და მამაჩემისთვის მოპარული პირადობის მოწმობა მელო.

პარიზში სიცოცხლეში პირველად ჩავჯექი თვითმფრინავში. მაროკოში არდადეგებზე ყოველთვის მანქანით მოვდიოდით. ისეთი არაქათგამოცლილი ვიყავი, თითქოს გზა ბრძოლით

მქონდა გაკვალული. ზუსტად არც კი ვიცოდი, რას ვაპირებდი, პეპელასავით შესასვენებლად ჩემი მეგობრის სახლში აღმოვჩნდი. მას არდადეგებზე ვხვდებოდი და, სხვა გოგონების მსგავსად, ჩემი უბნიდან ვიცნობდი. დიდ და უცნობ ქალაქში პატარა მადრიბელი გოგონა არ დავიკარგებოდი, ჩემი ორიენტირი მინა იყო – ოცი წლის, ფრანგი, ალჟირული წარმოშობის, ემანსიპირებული, ცხოვრობდა მეგობარ ბიჭთან ერთად. მათ მაროკოში არდადეგებზე ვხვდებოდი. ასე მგონია, საფრანგეთის სამხრეთში მცხოვრები გოგონები ჩვენზე გაბედულები არიან და უფრო თავისუფლებიც.

შემდეგ რა უნდა მექნა? არაფერი ვიცოდი... ჯერ თავისუფლად უნდა ამომესუნთქა. უნდა დამებრუნებინა სიცოცხლის სურვილი და ჭამისაც. თავი უნდა დამერწმუნებინა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა, ეს როგორ უნდა მომხდარიყო.

მაშინ ძალიან მიამიტი გახლდით. არასოდეს დამიტოვებია ჩემი რეგიონის ფარგლები, სამოგზაუროდ მხოლოდ მაროკოში ვიყავი, უბნისა და ლიცეუმის გარდა არაფერი მენახა და წარმოდგენაც არ მქონდა, სხვები სხვაგან როგორ ცხოვრობდნენ. ანგარიშს არ ვუწევდი, როგორი ინფანტილური ვიყავი ჩემი მშობლების მეცადინეობით. ეს აღზრდის მათეული სტილი იყო, მთლიანად მოვეწყვიტე გარესამყაროს, რათა მხოლოდ მათი ზედამხედველობით მეცხოვრა. ამას რომ მივმხვდარიყავი, შესაძლოა, უკეთ გამეგო, რატომ ვიყავი ასე ცუდად. მაშინ შეიძლება არც ეს შეცდომა დამეშვა და ალაღბებდნენ არ გავეცუულიყავი სახლიდან, მიამიტად აღარ მივნიდობოდი ყველას. გარეთ, უცნობი თავისუფლების პირობებში, უამრავი საფრთხე შემუქრებოდა. და მანაც არ დააყოვნა.

ბუზი

მტიცივად გადავწყვიტე, შინ აღარ დავბრუნებულიყავი.

მინა მოვატყუე, ვითომ არდადეგებზე ვიყავი ჩასული, ხოლო თაბაშირში ჩასმული იდაყვი ცუდად დაცემას მივაწერე. თავსაც ვიტყუებდი და სხვებსაც. გაორების გრძნობა გამიჩნდა. ზოგჯერ თავი მეზიზღებოდა, რეალობასთან პირისპირ დარჩენილი ასეთი ლაჩარი რომ დავრჩი. მშურდა ამ გოგონასი, შეყვარებულთან ერთად დაუქორწინებლად რომ ცხოვრობდა, თავისუფლად შეეძლო «თავისთან» ემასპინძლა ჩემთვის და ანგარიში არავისთვის ჩაებარებინა. რითი მჯობდა? ძლიერი ხასიათით, რომელიც არ გამაჩნდა. იმ ტიპის გოგონა იყო, მამაჩემი «ცული სახელის» მქონედ რომ მიიჩნევდა.

ყოველ შემთხვევაში, მას «დამოუკიდებელი» ცხოვრება ჰქონდა, რისიც ასე მშურდა. ვფიქრობდი, ასეთ რამეს ვერასოდეს მივაღწევდი. საბედნიეროდ, ამ ილუზიებმა მალე გამიარა.

სალამოს ცხრის ნახევარზე მასთან «კაცების» ჯოგი ამოვიდა. მათ შორის იყო მინას მეგობარი, რომელიც მინამ გამაცნო. ის მაროკოში მყავდა ნანახი. კიდევ სამი ბიჭი იყო, შემდეგ ორი გოგონა მოვიდა, მერე კიდევ სამი ბიჭი. თავიდანვე უხერხულად ვიგრძენი თავი, თუმცა, რომ არაფერი შეემჩნიათ, შეკითხვებზე რაც შეიძლება თავაზიანად ვპასუხობდი, მაგრამ შემკითხველს გზა-კვალს ვუბნევდი. ისევ ვიტყუებოდი, რადგან ვფრთხილობდი, ვინმე ნაცნობს ჩემი მშობლების ყურამდე არ მიეტანა ჩემი ამბავი...

თითქოს შუაგულ პარიზში ვცხოვრობდი, თუმცა სინამდვილეში, პარიზში მხოლოდ ლიონის ვაგზალსა... და ახლა აეროპორტსაც ვიცნობდი!

სტუმრები დასხდნენ, ლუდის ბოთლების დაცლა დაიწყეს და თან ძალიან ხმამაღლა საუბრობდნენ. ამგვარ თავყრილობებს შეჩვეული არ ვიყავი და უეცრად საფრთხის წინათგრძნობა გამიჩნდა. ბიჭები თავს «ქალაქელებად» აჩვენებდნენ, თავისუფლად ეჭირათ თავი, რწევით დადიოდნენ, რომ დაემტკიცებინათ, ყველა მათგანი «მშვიდაადაა», არაფრის

ეშინია. კარგად ვიცი ეს ყველაფერი, ჩემი უბნის ბიჭებიც ასე იქცეოდნენ, მაგრამ ესენი დამნაშავეთა ბანდის წევრებს უფრო ჰგავდნენ. უბნის ბიჭებთან ერთად ვიზრდებოდი, იქ ყველა ერთმანეთს იცნობს და არავისი მეშინოდა. აქ უცხო მიწაზე ვიყავი. ყველას ვაკვირდებოდი და თან ვფრთხილობდი.

ერთ-ერთმა პირდაპირ გამიბა საუბარი.

– მაშ, აქ რას აკეთებ?

– შემოვიარე, არდადეგები მაქვს...

ჩემ გარდა ყველა სვამდა, სიცოცხლეში არ დამიღუვია ალკოჰოლური სასმელი. კიდევ უფრო შემეშინდა, როცა დავინახე, სასმელიდან მარიხუანაზე რომ გადავიდნენ. მინა მალევე მიხვდა, რომ ცუდად და უხერხულად ვიყავი, მაგრამ ისიც კარგად მესმოდა, მას უფლება არ ჰქონდა, სმა შეეჩერებინა, რადგან უფროსი მისი შეყვარებული იყო. თუმცა მაინც სცადა დაყვავებით ესაყვედურა:

– მეგობარი მყავს სტუმრად, არ შეგიძლიათ, მეტი პატივისცემით მოექცეთ?

მან საპასუხოდ ხელის ზურგით ძლიერი სილა გააწნა. მინას ლოყა დაულურჯდა და გაჩუმდა. ძალიან შემეშინდა, თუმცა არ ვიმჩნევდი. ყველაფერს დამუნჯებული ფრთხილად ვაკვირდებოდი. ერთ-ერთმა გამოქექილმა დაცინვით იკითხა:

– ე, მინა, რა სჭირს შენს მეგობარს? ეშინია...

თუმცა შიშით მაკანკალებდა, თვალებში თავხედურად შევხედე.

– სულაც არა! კიდევ რა გინდა?! რისი უნდა მეშინოდეს? თავი ვინ გგონია? პარიზიდან მოვდივარ. ნუ გეშინია, შენნაირი პატარა ნაგვებით სავსეა იქაური ქუჩები... მათთან შედარებით არარაობა ხარ!

საბედნიეროდ, ენა მიჭრის და «ტლიკინი» მეხერხება. მაგრამ ენას თუ არაფერი უჭირს, ფეხები უკვე მიკანკალებს. თავი სამზარეულოს შევაფარე, რომ მინას მივხმარებოდი სადილის მომზადებაში. დანაყრების მოლოდინში დანარჩენები პირდაპირ იატაკზე გაიშლართნენ ლუდის ბოთლებითა და მოსაწევით. მინა, თავისუფალი თუ არათავისუფალი, იმავე სისტემის ტყვეა: უნდა ემსახუროს მამაკაცებს, თუ ამათ მამაკაცები ჰქვიათ. რაკი არ შემიძლია ფეხი დავკრა და აქედან წავიდე, ღამის გასათევი არსად მაქვს, ამიტომ ვცდილობ, წყნარად ვუყურო ტელევიზორს, ვიდრე დანარჩენები ნელ-ნელა თვრებიან. უეცრად ზურგსუკან უცნაური ხმაური მომესმა. ორი ვიგინდარა ხელში გლუვლულიან თოფს ათამაშებდა. საგონებელში ჩავვარდი. ასეა თუ ისე, მინას არც ისე კარგად ვიცნობდი, მას მხოლოდ არდადეგებზე ვხვდებოდი. არ მეგონა, თუ მასთან დამხვდებოდა ეს გიჟური სიტუაცია – ალკოჰოლი, ნარკოტიკი, იარაღი. მივხვდი, რომ ამ საზიზღარი ტიპის ხელში იყო, რომელიც ურტყამდა და დაშინებულს აკონტროლებდა. ფიქრობდა, რომ ჩემი მასპინძლობით სიკეთეს აკეთებდა, მაგრამ თავადაც მუდმივ საფრთხეში იყო. მინა არ მუშაობდა, მაგრამ უმუშევრობის დაზღვევას იღებდა და, როგორც მითხრა, ფინანსურად მეგობარი ეხმარებოდა. ახლა ჩემთვის ნათელი გახდა, მისი შეყვარებული შავ ბაზარზე ნარკოტიკებს ჰყიდდა და ამ არამზადებთან ერთად საქმიანობდა. თოფი მხოლოდ კინოში მენახა. მთელი სხეული მიკანკალებდა, თუმცა ვცდილობდი, ამ მასხარების წინაშე სიმშვიდე შემენარჩუნებინა. ორიდან ერთ-ერთი თოფს ცხვირწინ მიტრიალებდა. გადავწყვიტე, არ შევპუებოდი:

– მიდი, მიდი, ითამაშე... თუ გგონია, ძალიან შემამინებ.

– ჰო, ჰო, პარიზელები ხართ, არა! ერთი მოგასმენინა, როგორ ლაპარაკობ!

– უშეცდომოდ ვლაპარაკობ.

მიხვდა, რომ ასე ადვილად ვერ დამაშინებდა და თავი დამანება. მაგრამ მეორე ცუდი თვალთ მიყურებდა, თითქოს ამბობდა: «მე ასე ადვილად არ მოგეშვები, პარიზელო...»

წარმოუდგენელი იყო, რომელიმეს ჩემთვის თითი დაეკარებინა. მაგრამ როგორ დამეხსნა თავი ამ საგიჟეთიდან?

თავს ვუბნებოდი: «ლეილა, შავ დღეში ხარ. ამ დაწყევლილ ოროთახიან ბინაში ათი ტიპია, ორი შეიარაღებულია, დანარჩენები – სვამენ, მარიხუანას ეწევიან და თანდათან გონება ებინდებათ. სადაც გაიხედავ, ყველგან ბოთლებია, საწყობი გეგონება. ისევ ჩემს ოჯახში ყოფნა მირჩევნია ასე ცხოვრებას. როგორ მოვიქცე? გავიქცე? მაგრამ ჩანთა ოთახის მეორე ბოლოშია, მის ასაღებად ადგომა რომ ვცადო, ეს კრეტინი გზას გადამიღობავს...»

ღრმად ამოვისუნთქე, რომ დავწყნარებულიყავი და ვცადე, ტელევიზორისთვის არ მომეშორებინა თვალი, იქნებ ამ არამზადას თავი დაენებებინა, მაგრამ შევბრუნდი თუ არა, დავინახე იატაკზე გაწოლილი წყვილი, რომელიც ყველას თვალწინ ჟიმაობდა. რას ვიფიქრებდი, ასეთი რამ თუ შეიძლებოდა მომხდარიყო. შიშით გაფითრებული ახლა სირცხვილისგან გავწითლდი. მოწეული ნარკოტიკის სუნი ცხვირს მიწვავდა, ხოლო ლუდისა – კუჭს. ვიგინდარების ბრბოთი გარშემორტყმული ამ სამარცხვინო სცენის მაყურებელი ვიყავი. როგორც ჩანს, გოგონა თანახმა იყო, მაგრამ თუ ეს ტიპი, გვერდით რომ მიზის, დამაცხრება და გამაუპატიურებს? თავგზააბნეულმა, დაშინებულმა, გულში ლოცვა დავიწყე: «ღმერთო, ღმერთო, სად მოვხვდი... გემუდარები, დამეხმარე».

შემოსასვლელი კარი შევათვალიერე: ორჯერ გადატრიალებით იყო დაკეტილი და გასაღები კლიტეში არ იდო.

წყვილმა საქმე მოითავა, გოგონა ისევ იატაკზე იწვა. ახლა სხვა ბიჭი მიუახლოვდა!

საზიზღრობა იყო. თუ სასწრაფოდ თავს არ ვუშვლიდი, სხვები აუცილებლად ძალას იხმარდნენ ჩემზე. ამიტომ ნელა წამოვდექი და რაც შეიძლება ბუნებრივი ხმით ვთქვი:

– უკაცრავად, ცოტა ხნით ტუალეტში გავალ...

პაწაწინა სააბაზანოს კარი ხელის კანკალით გავაღე, შემდეგ შიგნიდან ჩავკეტე და ტუალეტის პატარა კარადა კარს მივადგი.

თუ უნდა მოვმკვდარიყავი, მერჩივნა, სული ამ ციცქნა სააბაზანოში შიმშილითა და წყურვილით გამძრობოდა, მაგრამ ჩემს სხეულს არავინ უნდა შეხებოდა.

კარს უკან ვიდაცის უდიერი შეძახილი გაისმა:

– ო, ჰო, ჰო... ის ერთი აორთქლდა... ე! ლამაზო! კარი გამიღე! გააღე კარი!

დარწმუნებული ვიყავი, ღმერთმა ამ ადგილზე იმიტომ მომიყვანა, რომ დავესაჯე. უნიტაზზე ვიკეჯი ხელებში თავჩარგული და მას ვესაუბრებოდი.

«ასე იმიტომ მოხდა, რომ ჩემი დასჯა გსურდა. კარგი, გავიგე ყველაფერი; გეფიცები, გავიგე, მაგრამ დამეხმარე, დამეხმარე, რომ ამ უბედურებას თავი დავადღწიო».

პაწაწინა ბინას მხოლოდ ერთი გასასვლელი ჰქონდა მეხუთე სართულის დერეფანში. ასობით ბინიანი უზარმაზარი კორპუსის ტყვე ვიყავი. მისაღებ ოთახს ჰქონდა ფანჯარა, მაგრამ ფანჯარიდან გადახტომა მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში მქონდა გადაწყვეტილი, რათა ხუთი სართულის ქვემოთ სიცოცხლე დამესრულებინა.

სანამ ჩავიკეტებოდი, მანამდე გადავიხედე ფანჯრიდან და გავიფიქრე: «თუ ეს ტიპი არ მომეშვა, გადავხტები...»

მეშინოდა არა იარაღის, არამედ გაუპატიურების. თუ მოზარდობიდანვე ასე სათუთად დაცულ და სიწმინდელ მიჩნეულ ქალწულობას აქ დავკარგავდი, მხოლოდ ერთი გამოსავალი მქონდა – თავის მოკვლა. შინიდან იმიტომ გავიქეცი და მამაჩემი მივატოვე, აქ რომ აღმოვჩენილიყავი? მაშ მამაჩემი მართალი ყოფილა, სამყარო სახლის გარეთ ხიფათითაა აღსავსე, ღმერთმა მიმატოვა, რადგან ცუდი ვარ.

იატაკზე დავჯექი, ზურგით კარადას მივეყრდენი, რომ კიდევ უფრო დაცულად მეგრძნო თავი და შიშით განადგურებული უხმოდ ავტირდი.

– გამიღე კარი!.. მიდი, ნუ გეშინია, ხელს არავინ დაგაკარებს...

ხმას არ ვიღებდი. ჩემი ხმა ერთხელაც კი არ გაუგიათ. აქ, სიჩუმეში მოვკვდებოდი, მაგრამ კარს არავის გაუღებდი.

შემდეგ მინას ხმა გავიგონე, რომელიც, სავარაუდოდ, მისმა შეყვარებულმა გამოგზავნა:

– ლეილა, გამოდი, ყველაფერი კარგად იქნება... ნურაფრის გეშინია, გამოდი.

მხოლოდ მას ვუპასუხე:

– არა, მინა, აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

– გამოდი, ერთი ლუკმა მაინც შეჭამე რამე.

– გეფიცები, აქედან არ გამოვალ.

სააბაზანოში ორი ღამე და ერთი დღე გავატარე. ორი გრძელი ღამე და ერთი უსასრულო დღე, რომლის განმავლობაშიც შხაპის მიღება და ტუალეტში შესვლა ვერ მოახერხეს.

კარის შემომტვრევა შეეძლოთ, მაგრამ მადლობა ღმერთს, ეს არ გაუკეთებიათ. ჩაკეტვიდან რამდენიმე საათის შემდეგ ადგილის მონაცვლება დავიწყე: ხან იატაკზე ვიჯექი, ხან უნიტაზზე ჩამოვჯდებოდი. დროდადრო ონკანს მოვუშვებდი, სახე რომ გამეგრელებინა. იმდენი ვიტირე უიმედობისა და სასოწარკვეთილებისგან, ბოლოს კარადაზე მიყდნობილსა და იატაკზე მჯდარს ჩამეძინა – არაქათი გამომაცალა უმცირესი ხმაურის, ნაბიჯების, სიცილის ყურის გდებად. ხანდახან ძილში შევხტებოდი, გამოვფხიზლდებოდი და საუბრის ნაწყვეტები მესმოდა. მინა ლაპარაკობდა:

– არც ისე თავაზიანად იქცევით...

მაშინვე სილის ლაწანი გაისმა. მისაღებ ოთახსა და სააბაზანოს თხელი კედელი ჰყოფდა. სათითაოდ შემეძლო დამეთვალა ყველა სილა, რომელსაც მინა საპასუხოდ იღებდა ყოველთვის, როცა გიჟების ბანდასთან ჩემი გათავისუფლების თაობაზე საუბარს წამოიწყებდა.

შემდეგ ნათლად გავიგონე მინას შეყვარებულის ხმა, რომელმაც უბრძანა:

– გასაღები მომეცი!

– კარი დაკეტილია!

– ვიცი... მაგრამ მომეცი გასაღები, არ გენდობი.

ეშინოდათ, მინას დახმარებით არ გავქცეულიყავი და შემდეგ პრობლემები არ შემექმნა მათთვის, რადგან ხელში იარაღი დავუნახე.

ახლა უკვე აღარაფერი მეშველებოდა. თუ აქამდე იმის იმედი მქონდა, რომ ღამით ჩუმად კარამდე მიღწევას შევძლებდი და მის გაღებას შევეცდებოდი, ეს იმედიც გადამეწურა. ციხეში ვიყავი და ამ სააბაზანოში ამომხდებოდა სული. ნამცეცა აბაზანა, პირსაბანი, პირსახოცი, კუთხეში მიყრილი ჭუჭყიანი თეთრეული, უნიტაზი და მე, სააბაზანოს კართან ძალღივიტ მიგდებული. სასოებით ველოდი ნანატრი სიჩუმის დადგომას. მაგრამ მთელი ღამე

შეუწყვეტილად ყაყანებდნენ. თენდებოდა, ისინი ისევ სვამდნენ, ლაყბობდნენ, მარიხუანას ეწეოდნენ და ალბათ, სხვა რამითაც ირთობდნენ თავს, საბედნიეროდ, ამ საზიზღრობას აღარ ვიყურებდი.

უეცრად მამაკაცის ხმა მომესმა, ვიღაც სააბაზანოს კართან იდგა.

– მიდი, გააღე, გამოდი მანდედან, ნუ გეშინია.

ხმა არ ამომიღია, მხოლოდ ჩემი შინაგანი ხმა ყვიროდა:

– არა... არა... არა!

ცხოვრებაში ადრეც შემშინებია, მაგრამ აქ რაც დამემართა, მას არაფერი შეედრებოდა. ერთხანს ყველა აგრესიული გახდა; მეორის ბოროტებით აღსავსე ხმაც მომესმა:

– გეყოფა, გესმის! გამოდი მანდედან, ბოზო! რა დაგემართა? ვიგინდარები გგონივართ?

ისევ ჩუმად ვიყავი. მაშინაც, როცა მინამ ისევ სცადა ჩემი დაყოლიება, ხმა არ ამომიღია, რადგან ეჭვი მქონდა, სხვები აგულიანებდნენ. თავში ათასმა აზრმა გამიელვა. თავიდან მოსაშორებელი მოწმე ვიყავი: იარაღიც ვნახე მათ ხელში და ნარკოტიკიც. ჩემი განძრევა

საკმარისი იყო და იქვე მომკლავდნენ. ფიქრი, აზროვნება აღარ შემეძლო, მხოლოდ ერთი რამ მიტრიალებდა თავში: «შენთვის ყველაფერი დამთავრდა, ილოცე, ყველაფერი დამთავრდა, მკვდარი ხარ».

ავიკვიატე, – თუ რამე შემემთხვეოდა, თავი უნდა მომეკლა. თუ გამაუპატიურებდნენ, თავს არ ვიცოცხლებდი. ნამუსს ამხდიდნენ თუ პირდაპირ იარაღს მომიშვერდნენ, მნიშვნელობა არც ჰქონდა, ორსავე შემთხვევაში ჩემი სიცოცხლე დასრულდებოდა.

ისევ თვალწინ მიდგას, როგორ ვიჯექი იმ სააბაზანოში და ვტიროდი, ვტიროდი, ვტიროდი. ხანდახან სახეზე წყალს შევისხამდი და ისევ ვტიროდი. ერთი ციციქა, უფანჯრო ოთახში სული მეხუთებოდა შიშის, უსასობით გამოწვეული ცრემლებისა და უპაერობისგან.

მომდევნო დღეც სააბაზანოში გავატარე. მთელი დამე იმდენი ვიტირე, რომ დილით ღონეგამოცლილი და თითქმის გონდაკარგული იატაკზე დავეცი. როცა გამომეღვიძა, ხმაურზე მივხვდი, რომ ქეიფს აგრძელებდნენ და ფეხს არ იცვლიდნენ. ერთი დამე, ერთი დღე და კიდევ ერთი დამე ჯიუტად ვიყავი ჩაკეტილი, უჭმელ-უსმელი, სიკვდილისთვის მზადყოფი. ნელ-ნელა მოძრაობის უნარს ვკარგავდი, ხმის ამოღება აღარ შემეძლო. კართან სახანძრო რაზმიც რომ მდგარიყო, საშველად მოხმობასაც ვერ შევძლებდი.

ამ შემოზღუდულ სივრცეში მე კი არა, ვიღაც სხვა იყო. სრულიად სხვა გახდა ამ კომპარის მსხვერპლი. მე კი, საღაცაა, უნდა გამღვიძებოდა, ეს ყველაფერი არ შეიძლებოდა რეალურად მომხდარიყო, მხოლოდ ძილში უნდა დამსიზმრებოდა. საკუთარ თავს გონებაში ვლანძღავდი, რადგან უცნაურია, მაგრამ ხმის ამოღება აღარ შემეძლო, თითქოს შიშმა დამამუნჯა.

«ეს რა ჩაიდინე? იდიოტი და არარაობა ხარ. მამაჩემი მართალია, ასე რომ მექცევა, უმაქნისი და ნამდვილი უტვინო ვარ».

რომ არ მეხმაურა, სუნთქვაც კი შევწყვიტე. მეორე მხარეს შეიარაღებული მკვლელები იყვნენ, ხუთშაბათის საღამოდან მოყოლებული ლუდითა და ნარკოტიკით მთვრალი ბანდა.

შაბათს დილით, ძალაგამოცლილმა, ბარბაცით მაინც ვცაღე გასვლა, რადგან მისაღები ოთახიდან ხმები აღარ ისმოდა. მივხვდი, რომ როგორც იქნა, დაღლილობისგან ყველას დაეძინა. ახლა შემეძლო გამერისკა.

ჩუმად გავწიე კარადა, კარი მხოლოდ ოდნავ შევადე და ფრთხილად მოვათვალე რე ოთახი. მართლაც ყველას ეძინა პატარა საშზარეულოში შეყუჟული მინას გარდა. მან დამინახა და

თითით მანიშნა, არ გავნდრეულიყავი. მერე ფეხაკრეფით მოუახლოვდა სააბაზანოს, შიგ შემოვიდა და კარი ფრთხილად მიხურა.

– აქედან ფეხი არ მოიცვალო, გასაღებს მოვიტან. ვიტყვი, რომ საუზმისთვის რამე უნდა ვიყიდო-მეთქი.

ასევე ფეხაკრეფით გავიდა. დამელოდა, კარს როდის მივხურავდი. გავიგე, როგორ უთხრა თავის შეყვარებულს:

– ეი, ერთი წუთით გამოფხიზლდი, გასაღები მომეცი! წავალ, საუზმისთვის რამეს ვიყიდი, შინ აღარაფერი გვაქვს.

მან საპასუხოდ რაღაც გაუგებარი წაიბურტყუნა. შემდეგ ისევ სიწყნარე ჩამოვარდა. ჩემი საპყრობილის კარი გავაღე, მინა გასასვლელთან მელოდა. გასაღების პირველი გადატრიალებისთანავე მის ზურგს უკან ვიყავი და გიჟივით, წინდების ამარა გავიქეცი დერეფანში. ფეხსაცმლის, პალტოს, ჩანთის, საბუთების, ფულისა და ტანსაცმლის ალებაც კი ვერ მოვახერხე. ჩანთა მისაღებ ოთახში იყო და არ მინდოდა გარისკვა. მინა უკან მომდევდა. ლიფტთან დამეწია და ატირდა:

– ლეილა, ძალიან ვწუხვარ, არ მინდოდა ასეთ ნაგავში აღმოჩენილიყავი.

– ჰო, მაგრამ, მინა, ეს არის შენი ცხოვრება? მითხარი! ასე ცხოვრობ?

პასუხი არ გაუცია. ეს აღარ იყო ის მინა, რომელსაც არდადეგებზე ვხვდებოდი, მცხუნვარე მზის ქვეშ, მაროკოული წარმომავლობის შეყვარებულთან ერთად, რომელიც თითქოს ოჯახის ზეწოლისგან თავისუფალი იყო. მან თავისი შეყვარებულისა ირწმუნა და საუბედუროდ, ნარკოტიკებით მოვაჭრე საშიში ახალგაზრდა გადამყიდველისა და ნარკომანების ბანდის მახეში აღმოჩნდა.

ერთმანეთს ჰოლში დავემშვიდობეთ. ის ნაძირლებისთვის მისართმევი საუზმისთვის ცხელ-ცხელი ფუნთუშების საყიდლად გაემართა, მე კი არ ვიცოდი, სად უნდა წავსულიყავი, რადგან ქალაქს არ ვიცნობდი. არც ნივთები, ფული და საბუთები მქონდა, თუმცა თავის გადარჩენა შევძელი. შორს არსად წავსულვარ, იმ მომენტისთვის სუფთა ჰაერზე ყოფნაც სრულიად საკმარისი იყო ჩემთვის. ამიტომ იმ სახლის ახლოს სკამზე ჩამოვჯექი. უბანში ბევრი ხალხი იყო და ვინმეს ჩემი ძალით აყენება რომ ეცადა, იქაურობას წიოკით ავიკლებდი. ირგვლივ დაბნეული ვიყურებოდი. შინიდან წამოსვლისას სატელეფონო წიგნაკი რომ წამომეღო, სხვა აქაურ მეგობრებს დავურეკავდი. მაგალითად, რაშიდსა და მის ბიძაშვილებს, ნაიმასა და მონას. რაშიდი კარგი ყმაწვილი იყო; ცოლგაყრილი, შვილზე ზრუნავდა და მუშაობდა, ყოველთვის შემეძლო მისთვის დახმარება მეტხოვა. უიმედოდ გავცქეროდი ახლომდებარე სატელეფონო ჯიხურს. არც ერთი ნომერი აღარ მახსოვდა, არც ხურდა ფული მქონდა და არც დასარეკად აუცილებელი სატელეფონო ბარათი.

ათი წუთი მაინც ვნანობდი, რამ დამატოვებინა შინ ის დაწყევლილი სატელეფონო წიგნი-მეთქი, ჯიხურს მივშტერებოდი და ვბუტბუტებდი:

«რა იქნება, ვინმე ნაცნობმა ჩამოიაროს. ნამდვილად უტვინო ხარ, ჩემო პატარა გოგონა, ცხოვრებაში არაფერი გეშველება... ეს ქალაქი უზარმაზარია... აქ ვარ გადმოკარგული... ღმერთო, დამეხმარე... რა მოხდება, ვინმე ნაცნობმა გამოიაროს...»

უეცრად, ნაცნობი აღნაგობის ბიჭი შევიდა სატელეფონო ჯიხურში. თვალებს არ ვუჯერებდი. რაშიდი? ნუთუ ეს რაშიდი იყო? რა მეშველება, ამ ბიჭს რომ მივეჭრა და სხვა აღმოჩნდეს, სირცხვილით თვალეებში როგორ შევხედო?.. მაგრამ თუ ის ნამდვილად რაშიდია და ხელიდან გაუშვი?

ჯიხურს მივუახლოვდი, შემოვუარე და შიგ თავი შევყავი, რაშიდი იყო! მილიონიდან ერთი შესაძლებლობა იყო, ნაცნობს გადავყროდი და ასეც მოხდა! მაღლობა, ღმერთო! ნამდვილად მფარველი ანგელოზი მყავს!

– აქ რას აკეთებ?

– მინასთან ვიყავი.

– ვისთან იყავი?

– მინასთან.

– ალბათ შეიშალე! რატომ არ დამირეკე?

– საოცრება შემემთხვა...

– თუ მასთან იყავი, არ მიკვირს. აიღე შენი ბარგი-ბარხანა და წავედით.

– ჩემი ბარგი-ბარხანა მინასთანაა.

– მანქანაში ჩაჯექი, აქ დამელოდე, მივალ და შენს ნივთებს წამოვიღებ. მითხარი, რა უნდა იყოს...

მხოლოდ რამდენიმე წუთს ველოდე, რადგან ძალიან მალე დაბრუნდა. როცა ის ბინაში შევიდა, ყველა გაცოფებული იყო. მაგრამ რაშიდს უბანში პატივს სცემდნენ. მან წყნარად განაცხადა, – ლეილას ნივთების წასაღებად მოვედიო.

– როგორ გავიდა აქედან?

– რატომ? რამე პრობლემაა?

– კი, აქ ერთი პარიზელი იყო. მინამ კარი გაუღო და გაუშვა, ამისთვის კარგი სილაც მიიღო. არ ჰქონდა უფლება, ასე გაეშვა...

– ის გოგონა ჩემი მამიდაშვილია.

– შენი მამიდაშვილი? მინა, რატომ არ მითხარი, მისი მამიდაშვილი თუ იყო!

საუბრის ტონი მაშინვე შეიცვალა. უბანში ცნობილი და პატივსაცემი ბიჭის მამიდაშვილი თუ ხარ, ესე იგი არაფერი გემუქრება. ხელს ვერავინ დაგაკარებს, არ შეიძლება, რადგან აუცილებლად დაისჯება. უცნობი გოგონა კი მხოლოდ და მხოლოდ მეძავია, ჟინს დაიცხრობენ და თანაც, მართლაც საფრთხეშია. მინა ვერაფრით დამეხმარებოდა. მხოლოდ ჩემი ოჯახის წევრ მამაკაცს შეუძლია ყველაფრის მოგვარება. ისევ და ისევ მამაკაცები... დაცვა მხოლოდ მათი საქმეა. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძალიანაც კმაყოფილი ვიყავი. რაშიდსაც არდადეგების დროს ვხვდებოდი ხოლმე, მაგრამ ის არაფრით ჰგავდა მინასთან შეყრილი გიჟების ჯოგს. მათთან მხოლოდ ის აკავშირებდა, რომ იმავე უბანში ცხოვრობდა. ეს უბანი ნამდვილი გეტო იყო, ერთნაირი საზიზღარი კორპუსები, უსახური ქუჩების ლაბირინთი, საიდანაც მართო ალბათ ვერასოდეს გამოვადწევდი.

ჩემს უბანს ამასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მას გეტოს ნამდვილად ვერ ვუწოდებ.

რაშიდმა ჩემი ნივთები წამოიღო და თავის მეგობრებთან მიმიყვანა. გზად მანქანაში კარგად შემჯორა.

– ამ გოგოსთან მისვლა როგორ გაბედე! ყველამ ძალიან კარგად იცის, იქ ვინ დადის! რატომ არ დამირეკე? და საერთოდ, აქ რას აკეთებ?

– არდადეგებზე ჩამოვედი. არ ვიცოდი, მინა თუ ასე ცხოვრობს...

– ამიერიდან გეცოდინება!

როგორც იქნა, ნორმალურ ადამიანებში, რაშიდის დებთან აღმოვჩნდი. ეს გოგონები თავიანთ შეყვარებულებთან ერთად უპრობლემოდ ცხოვრობდნენ. ყველა მუშაობდა,

მცირეშემოსავლიანი სამსახურები ჰქონდათ, არც დიდი კარიერული წინსვლის იმედი ჰქონდათ, მაგრამ არაფერს იმჩნევდნენ და პატიოსნად ცხოვრობდნენ. ჩემი თაბაშირში ჩასმული იდაყვი, მოგონილი არდადეგები, საშინელი შესახედაობა და ტირილით დაწითლებული თვალები ყველას მიახვედრებდა, რომ არდადეგებზე სრულებითაც არ ვიყავი; განსაკუთრებით, რაშიდს, რომელიც ყველაზე კარგად მიცნობდა. ორი კვირის შემდეგ თვალებში შემომხედა და მითხრა:

– მშობლებს არ ურეკავ?

– არა, არა, ნუ სწუხხარ, უკვე დავურეკე.

– ლეილა, შენ არდადეგებზე არ ხარ ჩამოსული! ახლა მაინც მითხარი სიმართლე. რა გინდოდა მინასთან? მასთან არდადეგების გასატარებლად არ ჩამოდიან!

არ მინდოდა გამემხილა, რომ მინას შემთხვევით დავურეკე, უფრო კი იმიტომ, რომ წარმოშობით მაროკოდან არ იყო და ჩემებიდან ვერავინ გაიგებდა, სად ვიყავი.

მაშინვე ტირილი დავიწყე, რომ არ მელაპარაკა. რაშიდი არ ჩამძიებია.

– კარგი, არ გვინდა არაფერზე საუბარი. წავედით, გავისეირნოთ, იქნებ გუნება გამოგიკეთდეს.

აღარ ვჭამდი და ძალიან გავხდი. თუ ჩემი მშობლები იმის გამო იტანჯებოდნენ, რომ ჩემი ამბავი არ იცოდნენ, მე სამჯერ მეტად ვიტანჯებოდი. დროის უმეტეს ნაწილს ტირილში ვატარებდი. გარშემო ყველა ხედავდა, რომ რატაც რიგზე არ არის, მათ ველარაფერს დავუმალავდი, შუბლზე მეწერა, შინიდან რომ ვიყავი გამოქცეული. რაკი ისევ ჯიუტად ვდუმდი, ჩემი მეგობრები არ მეშვებოდნენ. ახლა ისინი ჩამჩიჩინებდნენ:

– ლეილა, იტანჯები, მაგრამ შენი მშობლებიც ხომ წვალობენ. აუცილებლად უნდა დაურეკო. განა რა მოხდა?

– ყელში მაქვს ყველაფერი ამოსული.

– ჩვენ კიდევ ყელში ამოგვივიდა, ასეთს რომ გიყურებთ. ვცდილობთ, დაგეხმაროთ და აზრი არაფერს აქვს. აუცილებლად უნდა დაურეკო.

– ჯერ არა...

მაშინ რაშიდმა და მისმა ძმამ ერთად ძალით ჩამიყვანეს ქვევით, სატელეფონო ჯიხურში შემაგდეს, ხელში ბარათი მომცეს და კარი გარედან ჩაკეტეს:

– აქედან არ გამოხვალ, სანამ მშობლებს არ დაურეკავ და არ დაამშვიდებ. შენც მოგეშვება. იცოდე, თუ ამას არ გააკეთებ, მანდ დარჩები...

კარის გაღებას ყვირილით ვთხოვდი. მშობლების მეშინოდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ თხუთმეტ დღეზე მეტი იყო გასული და არც იცოდნენ, ცოცხალი ვიყავი თუ მკვდარი. რა უნდა მეთქვა მამაჩემისთვის ისეთი, რომ არ დავეწყევლე? ან დედაჩემისთვის, რომელიც აუცილებლად დაბრუნებას მომთხოვდა?

მეორე მხრივ, მეც მაწვალებდა იმაზე ფიქრი, რომ ყველა ავაფორიაქე. ასე მეგონა, ალჟირელ გოგონას თუ შევაფარებდი თავს, მათგან შორს ვიქნებოდი! რა საბრალო ვიყავი, ოჯახი და თემი ხომ არასოდეს გმორდება, მუდამ გვერდითაა. ჩემი მეგობრები ხვდებოდნენ, რომ გოგონა დიპლომის გარეშე, ოჯახიდან წასული, თუნდაც თვრამეტი წლის, ასე იოლად თავს ვერ გაიტანს. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ჭიქაში ჩავარდნილი ბუზი. ის იბრძვის, ამოსვლას ცდილობს, ზემოთ მიცოცავს, ჭიქის ზედაპირამდე ადის და უკან ვარდება. ამ ჯიხურში მეც ბუზივით ვიყავი გამომწყვდეული.

რაშიდსა და მის ძმას ჩემთვის სიკეთე სურდათ. მართლები იყვნენ, მე არ შემეძლო სხვა გოგონებივით ოჯახის მიტოვება. ამას გარდა, სიმართლაც არ იცოდნენ, მე ხომ არაფერი

მომიყოლია. მათთვის რომც მეამბნა ჩემი გასაჭირი, ალბათ მიპასუხებდნენ: «მართალია, ძალიან გაწვალდი, მაგრამ რას იზამ... ისინი შენი მშობლები არიან...»

მხოლოდ იმის თქმა, რომ ყველაფერი ყელში ამომივიდა, მათთვის საკმარისი განმარტება არ იყო.

უკვე ცამეტი წლისა ვამბობდი, «ყელში ამომივიდა» და თავის მოკვლა ვცადე. იგივე ასჯერ მაინც გავიმეორე. ამაზე შორს ვერ მივდიოდი.

ამიტომ, დარწმუნებულებმა, რომ ჩემთვის სიკეთეს აკეთებდნენ, ჩემმა მეგობრებმა ჯიხურის კარი მოხურეს, ორივე ზურგით მიეყუდა და უცერემონიოდ ისტუმრებდნენ დარეკვის მსურველებს:

– დაკავებულია, სხვა ჯიხური იპოვე...

ასე გავიდა სამი საათი. იატაკზე ჩავჯექი, ისინი კედლის მეორე მხარეს მიწაზე დასხდნენ. ხან ვტიროდი, ხან გიჟივით ვიციოდი.

– გეყოფათ, გამიღეთ კარი...

– არა.

– კარგი, აქ ვიქნები. ორი მცველი მყავს და არაფრის მეშინია.

– ასე ნუ იტყვი. თუ საჭიროა, აქ მთელ ღამეს დარჩები. კარს ჩაგიკეტავთ და ჩვენ დროის სატარებლად წავალთ... ასეა თუ ისე, ეს ადგილი მინას სააბაზანოზე უკეთესია, ქუჩას მაინც ხედავ...

ათას სისულელეს ყვებოდნენ, ხან მაცინებდნენ, ხან მატირებდნენ. ბოლოს, თავისას მიაღწიეს: ტელეფონის ყურმილი ავიღე.

სასოწარკვეთილს სუნთქვა მიჭირდა. რა უნდა მეთქვა? ერთადერთი ის მამშვიდებდა, რომ ამ დროს მამაჩემი ჯერ შინ არ იქნებოდა და ყურმილს დედა აიღებდა.

შეუძლებელია ცხოვრება ოჯახის, ნათესავების, მშობლების ან მამაკაცის მფარველობის გარეშე. ევროპაში თვრამეტი წლის თეთრკანიან ფრანგს, შვეიცარიელს, ბელგიელს შეუძლია ოჯახიდან წავიდეს და სხვა გზას დაადგეს: მიაკითხოს თავშესაფარს, პოლიციაში განაცხადოს, რომ მამა სცემს და აუღელვებლად სააშკარაოზე გამოიტანოს, რაც აწუხებს. ჩვენ, წარმოშობით მაროკოელები, წუთითაც კი ვერ დავუშვებთ, რომ ოჯახის დაბეზღება შეიძლება. ეს ენით აუწერელი სირცხვილია ოჯახისთვის და ჩვენთვისაც. სწორედ ეს გვიღრღნის ტვინს, თავი ლაჩრებად მიგვაჩნია, უგერგილოდ ვცდილობთ გაბრძოლებას და ბოლოს, ისევ ვნებდებით, რადგან თავის სხვაგან შეფარება შეუძლებელია. ისევ ათვლის წერტილს დავუბრუნდი.

ვუყურებდი ამ ცისფერ ტელეფონს, ჩემი პანიკისადმი ასე უგრძობელი რომ იყო და ვერ ვახერხებდი ყურმილის ხელში აღებას. სამჯერ ვცადე ნომრის აკრეფა. თავიდან პირველივე ზარის შემდეგ დავკიდე. მეორედ ორი ზარი გავიდა და გავთიშე. მესამედ დედაჩემის ხმა გავიგონე:

– ალო, ალო, ლეილა, შენ ხარ?

გავშრი. მაშინვე ჩემზე იფიქრა.

– ალო, ლეილა, გემუდარები, ჩემო გოგონა, დამელაპარაკე. მითხარი, რომ შენ ხარ, მითხარი, რომ ცოცხალი ხარ, ლეილა!

ვტიროდი და მას ჩემი ქვითინი ესმოდა. ბოლოს, ამოვღერდე:

– ჰო, დედა, მე ვარ.

– სად ხარ? სად? სადაც უნდა იყო, ჩამოვალთ და წამოგიყვანთ.

– არა, არა, არ გეტყვი. არ არის საჭირო.

– მაგრამ სად ხარ? მითხარი, რომ ცოტათი დავმშვიდდე!

– ნუ გეშინია, ყველაფერი კარგადაა, მეგობრების ოჯახში ვარ.

ყურმილი მალევე დავკიდე და დავპირდი, რომ კიდევ დავრეკავდი.

მეგობრებმა გამარჯვებულის სახით გამიღეს ჯიხურის კარი: მაჯობეს. მართლაც, ცოტათი გულს მომეშვა, რომ დედაჩემი დავაწყნარე. მაგრამ დაბრუნებას ვყოყმანობდი. ვიცოდი, როგორი გაცოფებული იქნებოდა მამაჩემი, რომ არ გავამხილე, სად ვიყავი. ალბათ ათასი საზიზღრობა წარმოედგინა და პირველ რიგში ის, რომ ჩემ გვერდით მამაკაცი იქნებოდა. მისი ავტორიტეტი შეილახა, სავარაუდოდ, ათასი სისულელის მოჩმახვა მოუწევდა უბანში, «თავისი» ღირსება და «ჩემი» სახელი რომ არ დაკნინებულიყო სხვების თვალში. ამის გამო თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, მისგან ათასობით კილომეტრით დაშორებულიც კი.

შესაძლოა ნაცემი ძაღლივით თავადაც დავბრუნებულიყავი შინ. კარს გამიღებდა და შინ შემიშვებდა, მაგრამ მორალურად, მისთვის კარის ზღურბლზევე დავრჩებოდი.

მთავარი ტრადიცია იყო და არა ფსიქოლოგიური მიდგომა, ალერსი. ეს დაწყვეტილი ავტორიტარული ტრადიცია მოჯანყებს ხმის ამოდების საშუალებას არ აძლევდა. ბრალად მდებდნენ მშობლების უპატივცემულობას, ოჯახიდან წასვლის სურვილს, ღირსების უქონლობას და ღმერთმა იცის, კიდევ რას არა!

თავს ცუდად ვგრძნობდი, ისტერიკის ზღვარზე ვიყავი. რომ აღარ მეტირა, უნდა გამცინებოდა. ამიტომ ხმამაღლა ვლაპარაკობდი ათას სისულელეზე, ვხარხარებდი. გოგონებმა იფიქრეს, უკეთ არისო და გასახალისებლად ქალაქში სასეირნოდ წამიყვანეს. გასეირნება ნიშნავდა უბნიდან გასვლას და კოკა-კოლის დასალევად ქალაქის ერთ-ერთ კაფეში წასვლას.

დაახლოებით ღამის ათი საათი იყო. ყველაფერი კარგად იყო იმ დრომდე, ვიდრე ერთ-ერთი კაფეს ტერასასთან ჩავლისას უცნაურად ჩაცმული გოგონა არ დავინახე: მეტისმეტად ვულგარული ჩანდა. ეცვა უმოკლესი ქვედაკაბა, ჰქონდა თითქმის შიშველი მკერდი და ძალიან ბევრი მაკიაჟი ესვა. მანამდე მეძავი არასოდეს მენახა. თითქოს მარსიდან ჩამოფრენილი არსება დავინახე! თუმცა, ჩემს თანმხლებ გოგონებს არ გაკვირვებიათ:

– წამოდი, აქ ახლოს მეძავების უბანია...

არ ვიცი, ასე რამ გამაოცა. მაგრამ ვიდრე ხმის ამოდებას მოვახერხებდი, საიდანღაც გამომტყვრალმა გამვლელმა ჯერ მე შემომცხო უკანალზე, შემდეგ ჩემს მეგობარ გოგონებს! მაშინ კი სიმწრით ვიღრიალე! მთელი სხეულით აკანკალდი და გონება დავკარგე. როცა გამოვფხიზლდი, საავადმყოფოს საწოლზე ვიწექი.

ექიმი დიდხანს მისვამდა კითხვებს. მოულოდნელად მენსტრუაცია დამეწყო, არანორმალურად უხვი სისხლდენით.

– ადრე გქონიათ ამგვარი პრობლემა?

– არა...

– რა გაწუხებთ? ყველაფერი მომიყვით...

– არაფერი, არდადეგებზე ვარ ჩამოსული, მოსაყოლი არაფერია.

– იცით, რომ ასე ნერვიული შოკის გამო ხდება? დარწმუნებული ხართ, რომ ყველაფერი კარგადაა? სტრესი არ გადაგიტანიათ? არც სპაზმა, ეპილექსიის ან ტეტანის შეტევა ხომ არ გქონიათ?

– არა, არა, არასოდეს. კარგად ვარ.

– არ მჯერა... წონაში დაიკელით? რამდენი კილოგრამი?

– არა, არც ისე ბევრი.

ვიტყუებოდი, გაწუწულ ქათამს ვგავდი, არ ვჭამდი, ცუდად მეძინა, ალბათ ექიმი ამას თავადაც ხედავდა. გული არავის მისდის იმიტომ, რომ ვილაც იდიოტმა საჯდომზე ხელი შემოსცხო და პირველად დაინახა ცოცხალი მეძავი...

და მაინც... მე ეს დამემართა. ფსიქიატრიის შესწავლის მსურველისთვის შესანიშნავი ობიექტი ვიყავი.

სიტყვაც არ დამიძრავს. ამ შემთხვევით არ მისარგებლია, რომ ბოლოს და ბოლოს, დახმარება მეთხოვა. არაფერი მოვიმოქმედე. თუმცა გულის სიღრმეში ვხვდებოდი, ეს ღუმილი როგორ ახლენდა გავლენას ჩემს ქაოსურ ცხოვრებაზე – ტრავმირებულ ბავშვობა, ცემა-ტყეპა, მამაჩემთან ურთიერთობა. ეს ღუმილი მიწამლავდა გონებას და ჩემი სხეული დროდადრო თავისებურად უხმობდა მშველელს. მაგრამ ამგვარი ანალიზისთვის ჯერ მზად არ ვიყავი. უცნაური ის არის, რომ საზოგადოებაში თავის შენარჩუნებას სწორედ ჩემი უბედურების მიჩქმალვით ვახერხებდი. ლაპარაკი რომ დამეწყო, ყველაფერი თავზე დამენგრეოდა.

ერთმანეთთან არ დამიკავშირებია გაუპატიურების შიში, ქალწულობის დაცვის აკვიატებული იდეა, მეძავის დანახვა და საჯდომზე ხელის შემორტყმით განცდილი შეურაცხყოფა! ეს რომ ვინმეს ჩემთვის აეხსნა, ალბათ მოურიდებლად დავცინებდი. ყოველთვის შემეძლო საკუთარი წარუმატებლობისთვის დამეცინა. თუმცა, ყველაზე მძიმე წარუმატებლობის შესახებ არასოდეს დამიძრავს სიტყვა. ისტერიკული ვარ? ჰო, რა მერე?

«ყველაფერი კარგადაა... არდადეგებზე ჩამოვედი».

გულთბილი ღიმილი ექიმთან, მეგობარ გოგონასთან ერთად გადახარხარება და მორჩა, ილეთი მუშაობს. მაგრამ უკვე აღარ შემეძლო ასე გაგრძელება. მეშინოდა, რაიმე უფრო სერიოზული არ დამმართოდა.

დედაჩემს დავურეკე და ვუთხარი, რომ შინ დაბრუნება მინდოდა, მაგრამ ფული არ მქონდა. მან მისამართი მკითხა, რომ ფული გამოეგზავნა და აი, უკან დასაბრუნებლად უკვე თვითმფრინავში ვიჯექი. ამ ახალი მარცხისგან სასოწარკვეთილი ვიყავი. თავისუფლების მოპოვების ჩემუილი მცდელობები მართლაც სავალალო იყო.

ოჯახის გარეთ ჯოჯოხეთი გავიარე, ახლა სხვა ჯოჯოხეთი მელოდა. არ ვიცი, ამ დროს გადაწყვიტა თუ არა მამაჩემმა ჩემი გათხოვება. ალბათ ამ აზრმა თავში გაუელვა, მხოლოდ ის იყო საჭირო, შეემოწმებინათ, ისევ ქალწული ვიყავი თუ არა. ერთ წელიწადში ცხრამეტი შემისრულდებოდა, მისი «ამბიცია», რომ ბულალტერი გავხდებოდი, არ გამართლდა. ყველაფერში იმედი გავუცრუე და, სავარაუდოდ, ჩემი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ გარიგებით გამათხოვებდნენ. ცუდად ვიყავი, მტანჯავდა ის აზრი, რომ ისევ ჩემს «ბუნაგს» ვუბრუნდებოდი და მხოლოდ ამაზე ვფიქრობდი. დედაჩემმა გულში ჩამიკრა.

– მადლობა ღმერთს, ჯანმრთელი და ცოცხალი ხარ.

მამაჩემი სამსახურიდან ჯერ არ დაბრუნებულა. ჩემი ძმები ხმას არ იღებდნენ. მივხვდი, რომ ოჯახის უფროსმა ჩვეული მითითება გასცა: – არ დაესვათ კითხვები. ხმა არ გაეცათ.

როცა დაბრუნდა, მივესალმე, მაგრამ ზედაც არ შემომხედა. მისთვის აღარ ვარსებობდი. ასე მოქცევით გულს მიკლავდა. ამგვარ ინდიფერენტულობას ცემა-ტყეპა მერჩინა. ეს უფრო მტკივნეული იყო და ამას ვერც კი ხვდებოდა.

მამაჩემის საყვარელი გამონათქვამი ჩემს შესახებ ასეთი იყო: «ერთი ქალიშვილის გაზრდას ასი ვაჟის ყოლა მირჩევნია».

დიპლომი ვერ ავიღე. მამაჩემი არ ნებდებოდა, მას სურდა, გამოცდებზე კიდეც გავსულიყავი, როგორც თავისუფალი მსმენელი.

ჩემს თავს ვუთხარი, – ჯანდაბას, ყველაფერი, არაფერსაც არ ჩავაბარებ-მეთქი. ხმამალთა კი ვთქვი:

– კარგი, სასწავლო წელი რომ დაიწყება, მივალ. ყველაფერი გავარკვიე. ნუ ნერვიულობ, გამოცდებზე ჩაწერა სექტემბერშია.

მცირედი თავისუფლებისათვის საჭიროა მოიტყუო. ყურანზე დაფიცებისთვისაც კი მზად ვართ. ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ ათასჯერ მაინც დავიფიცე ამგვარად, რომ რაღაც მაინც დაეჯერებინათ და ცემა ამეცილებინა თავიდან.

ამიტომ დავპირდი გამოცდებზე ხელახლა გასვლას. იმავდროულად, აღარ შემეძლო შინ გაჩერება. სამუშაო მჭირდებოდა, სულ ერთი იყო, რა სახის. თუნდაც ყველაზე უმნიშვნელოც კი ჩემთვის ჟანგბადივით აუცილებელი იყო და ფინანსურ დამოუკიდებლობასაც მომიტანდა. ჩავეწერე უმუშევართა დასაქმების ყველა ბიუროში, რაც კი ვიცოდი. გაუთავებლად ვურეკავდი, ზოგჯერ დღეში ორჯერ მივდიოდი – მეშინოდა, ჩემი გვარი არ გამორჩენოდათ. ხანდახან იქამდე ვურეკავდი, ვიდრე კომპიუტერთი რაიმეს მოძიებას მოასწრებდნენ. მინდოდა პირველივე შემოთავაზება ჩემთვის ყოფილიყო განკუთვნილი.

უაზროდ ყიალი არ მინდოდა, შინ გაჩერებაც აღარ შემეძლო. ბოლოს და ბოლოს, სამუშაო მივიღე ქარხანაში, კონვეიერთან. დიდი ვერაფერი, მაგრამ მამაჩემს ჩემი ოფისში გამოკეტვა სურდა, მისი აზრით, ეს იყო წარმატება; მე აღარ მქონდა სურვილები, ფეხებზე მეკიდა საკუთარი მომავალი, მთავარი იყო, ყოველდღიური ცხოვრება ამეტანა მამაჩემის საპირისპიროდ და მის საწინააღმდეგოდ. არცთუ ურიგო დამატებითი შემოსავალი შემქონდა ოჯახის ბიუჯეტში, ამაზე უარს ვერ იტყოდა და ვეღარ დამაძალებდა დიპლომის ასაღებად გამოცდებზე ხელახლა გასვლას.

საბედნიეროდ, მალე შემომთავაზეს მუშაობა ღამის საათებში – საღამოს ცხრიდან დილის ხუთ საათამდე და გაორმაგებული ხელფასი. მაშინვე დავთანხმდი. მაგრამ მშობლები როგორ დამეყოლიებინა? როგორია, ქალიშვილი, რომელიც ღამე მუშაობს!

ჯერ დედაჩემს მოვახსენე:

– გულახდილად გეუბნები, ხვალიდან, საღამოს ცხრიდან დილის ხუთ საათამდე ვიწყებ მუშაობას, თუ არ დავთანხმდი, გამომაგლებენ!

კიდეც ერთი ტყუილი!

– მამაშენი არ დათანხმდება!

– ან ვაგრძელებ მუშაობას, ან სამსახურს ვკარგავ და ჩემს ადგილს სხვა დაიკავებს.

მამაჩემი, რა თქმა უნდა, აბუზღუნდა – ქალიშვილი ქუჩაში ღამით არ უნდა დადიოდესო!

– საღამოს მანქანით წამიყვან და დილის ხუთ საათზე მომაკითხავ! დარწმუნებული იქნები, რომ ნამდვილად სამსახურში დავდივარ და არა ღამის კლუბში!

თუმცა... ამ უცნაურ უბანში მართლაც იყო ღამის კლუბი. ამგვარ დაწესებულებაში ფეხი არასოდეს შემედგა და ძალიან მინდოდა იქ მოხვედრა. მხოლოდ მაინტერესებდა, რა ხდება, კიდეც ერთი აკრძალვის დარღვევის სურვილი მქონდა. თავიდან მართლაც მამაჩემს მივყავდი და მოვყავდი მანქანით, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, ერთ დღესაც მობეზრდებოდა და მეც შემეძლებოდა მომეტყუებინა დამატებითი საათების შესახებ, რის ხარჯზეც მეგობარ გოგონებთან ერთად იმ ღამის კლუბს მოვიინახულებდი.

რასაკვირველია, ძირითადად დღისით მეძინა. თუმცა, ეს შინაურებს ხელს არ უშლიდათ, სიცოცხლე გაემწარებინათ. ჩემი ძმები შემოდიდოდნენ და გადიოდნენ, კარს აჯახუნებდნენ, ყვიროდნენ. დასვენება რომ მჭირდებოდა, არავის ადარდებდა. «ჩემს» ოთახში კიდეც სამ ძმას ეძინა, ამიტომ განმარტოება შეუძლებელი იყო: ბავშვობიდან ასე ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი უკვე აუტანელი იყო. ვოცნებობდი, თუნდაც ერთი ციციქა საკუჭნაო საკუთრად მქონოდა. ჩემი ხნის გოგონების უმეტესობას საკუთარი ოთახი, საკუთარი კარადა და კომოდი ჰქონდა, საკუთარი ინტიმური გარემო, თუნდაც მინიმალური.

ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის ვიღაც ყოფდა ცხვირს. ჩხრეკდნენ ზურგჩანთას, ხელჩანთას, იჩხრიკებოდნენ გონებაში და ახლა დაძინების საშუალებასაც არ მაძლევდნენ.

მღვიძავდა, თუმცა არ ვდგებოდი და თავს ვიმძინარებდი. დილის ექვს საათზე ვწვებოდი დასაძინებლად, ჩემი ძმები სკოლაში წასასვლელად შვიდზე დგებოდნენ, შაბათ-კვირას – ათზე. მხოლოდ ამის შემდეგ შემედლო ცოტათი დამესვენა. უქმე და არდადეგები საშინელება იყო. ამიტომ შაბათ-კვირასაც დამატებითი სამუშაო საათები ავიღე, რომ შინ რაც შეიძლება ნაკლებად დავრჩენილიყავი.

კოლეჯსა და ლიცეუმში სწავლის პერიოდში გაკვეთილების განრიგი ნათელი იყო ჩემი მშობლებისთვის, მაგრამ მაინც ვიტყუებოდი: ნაშუადღევს ზოგიერთი გაკვეთილი არ მქონდა ან ცდებოდა და მეც ამ მცირედი თავისუფლებით ვსარგებლობდი.

ახლა კი ხელფასის შესახებ ვიტყუებოდი. მის ნაწილს მამაჩემს ვაძლევდი, მაგრამ არასოდეს მითქვამს, ზუსტად რა თანხას მიხდიდნენ. ქვითრებს ქარხანაში, ჩემს კარადაში სათუთად ვინახავდი. მაგრამ საბანკო ანგარიში მქონდა, საკრედიტო ბარათს მამაჩემი ინახავდა – სამუშაოზე სასიარულოდ საკრედიტო ბარათი არაფერში გჭირდებაო!

ბარათის კოდი იცოდა და როცა ფული სჭირდებოდა, გამოჰქონდა; ასევე იქცეოდა ჩემი უფროსი ძმა. მან ჩემს დაუკითხავად ფული გამოიტანა მეგობარი გოგონასთვის საჩუქარი რომ ეყიდა!

შეპყრობილივით ვმუშაობდი, თვეში თორმეტი ათასი ფრანკი მქონდა ხელფასი, მაგრამ ყოველგვარი ძალისხმევის მიუხედავად, ათასი ფრანკის დაზოგვასაც კი ვერ ვახერხებდი. მინდოდა ავტომანქანის მართვის მოწმობა ამეღო და პატარა მანქანაც მეყიდა, მაგრამ ჩემი ძმები მაშინვე დაუკითხავად ისარგებლებდნენ ჩემი მანქანითაც და ამიტომ ამ ოცნებაზე ხელი ავიღე.

მალე ოცი წელი შემისრულდებოდა. ერთი შეხედვით, ჩემი ცხოვრება წყნარად მიმდინარეობდა. დისკოთეკაზე წასვლაც კი მოვახერხე ჩემს მეგობარ სურიასთან ერთად. ერთი მეგობარი ბიჭი წამოგვყვა, ერთ-ერთი იმათგანი, ჩვენ რომ «დიდ ძმას» ვეძახდით.

მისი ნდობა შეიძლებოდა: რაც მთავრია, მისი დები არ ვიყავით, დანარჩენი კი დიდად არ ანადვლებდა!

იქაურობა არ მომეწონა. გამაყრუებელი ხმაური და სიგარეტის ბუდი იდგა, იქ მყოფთა უმრავლესობა გაღეშილი იყო. ასეთი გარემო არ მესიამოვნა. იმედგაცრუებული თავს უხერხულად ვგრძნობდი. სოფლიდან ჩამოსული ორი გლეხი ქალივით მაგიდასთან ვისხედით და ფეხი არ მოგვიცვლია, თითქოს ღამის ფაუნის დათვალეიერება იყო ჩვენი მიზანი. სურია ლამაზია, მაღალი, ქერა, თეთრკანიანი: შესახედაობით სრულებით არ ჰგავს მაღრიბული წარმომავლობის გოგონას და ყოველთვის ვეუბნები, რომ ბედი სწყალობს, რადგან თავისი იერის გამოისობით ქალაქში ხალხის დიდი ნაწილისგან ძნელი გამოსარჩევია. ვინც მას არ იცნობს, ფრანგად მიიჩნევს და სიცოცხლეს არ უმწარებს. თუმცა ამ საღამოს მაინც სცადეს გაარშიყება, რამაც ძალიან გვაცინა.

არ მიცეკვია, არ შემედლო სხვებს ეცქირათ ჩემთვის. არც სურიას უცეკვია. ისეთი გრძნობა გვექონდა, თითქოს უცნობი გარეული ცხოველებით სავსე ზოოპარკში მოვხვდით. მაგრამ ჩვენ მაინც შევადწინეთ იქ! გულისწადილი შევისრულეთ!

შინ მიმავალს იმის მეშინოდა, რაიმე უსიამოვნებას ან უბედურებას არ გადავყროდი, რომ პოლიციას მშობლებისთვის რაიმე არ შეეტყობინებინა...

ასეთი რამ ჩვენს მეგობარ სტუდენტ გოგონას დაემართა, რომელიც პანსიონში ცხოვრობდა. მან მშობლებს აცნობა, რომ რამადანის შაბათ-კვირას შინ დაბრუნებას ვერ ახერხებდა, რადგან ბევრი რამ ჰქონდა გასამეორებელი. იმ საღამოს სინამდვილეში ღამის კლუბში წავიდა. მაგრამ შუალამისას კლუბიდან გამოსულს მანქანა დაეჯახა და გზაზე დაიღუპა. ვფიქრობდი, – აქედან გასული ვაითუ მასავით დავიღუპო, რა გამართლება მექნება-მეთქი.

რაც მოვიმოქმედეთ, ავანტიურა იყო, პარტიზანის ბრძოლა და მუდმივი ტყუილები. მაგალითად, სურიაჩემთან ერთად ყურების გასახვრეტად მისვლა გადაწყვიტა.

მალრიბულ ოჯახებში გოგონებს თითქმის დაბადებისთანავე უხვრეტენ ყურს და საყურეს ვატარებთ! მაგრამ ახლა გადავწყვიტეთ, დამატებით კიდევ ორი ნახვრეტის გაკეთება, რომ სამი საყურე გვეტარებინა. თხუთმეტი დღე ვყოყმანობდით. ყურზე სამი ნახვრეტი უკვე პირსინგია... ესე იგი მხოლოდ ცუდი გოგონები, ანუ მწველები და დისკოთეკებზე მოსიარულეები თუ გაბედავენ მის ტარებას.

საბოლოოდ, გადაწყვეტილება მივიღეთ. ცალ-ცალკე ვერ მივიდოდით. ყურების გასახვრეტად მისულებმა, კიდევ ერთხელ შევფიცეთ ერთმანეთს, რომ ლაჩრულად არ მოვიქცოდით.

– უკან არ დაიხვ?

– არა, გეფიცები! თავს ვფიცავ, ყურანს გეფიცები!

მეორე ნახვრეტი უკვე ძალიან მტკივნეული იყო, მესამე – საზარლად... გზაში გაწითლებული ყურები გვეწვოდა, მაგრამ ნერვიულად ვიცინოდით და გაჩერება არ შეგვეძლო. თუ მამაჩემი რაიმეს შემამჩნევდა, ვერ გადავურჩებოდი. სურიაჩემს სლოკინით მითხრა:

– ძალიან კარგად იცი, რომ მოგხვდება, შენ კი იცინი!

– აბა, რა ვქნა? წინასწარ გამოვიტირო თავი? სისულელე ჩავიდინეთ, ამიტომ ამისთვის პასუხიც უნდა ვაგოთ.

ავარვარებული ყურებით ხის გრძელ სკამზე ვისხედით და უბანში გამვლელებს ვათვალიერებდით, თან გაუთავებლად ვხარხარებდით.

– იმას შეხედე, ამ კაცს თავი ლამაზი ჰქონია, მალრიბელი გეგონება...

პირსინგის გაბედავა ნამდვილი პროვოკაცია იყო. მეშინოდა, მაგრამ ყოველთვის, როცა შიში ამიტანდა, აუცილებლად გიჟივით ხარხარს ვიწყებდი და სხვებიც ამყვებოდნენ ხოლმე, მათ შორის სურიაც. ჩვენი კონტროლირებული ცხოვრებისთვის ეს აუცილებელი შვება იყო.

მაგრამ შინ დაბრუნების დრო დადგა. ახლა უკვე ორივენი ნაკლებს ვიცინოდით, თუმცა ხუმრობა არ შეგვიწყვიტია.

– ნახვამდის, სურია, ერთმანეთს სხვა სამყაროში შევხვდებით, ალბათ, ზეცაში...

ყურების დამალვა მე უფრო მეტხანს მოვახერხე, ვიდრე მან. თავსაფარი წავიკარი, რაც მანამდე არასოდეს გამიკეთებია. დედაჩემს არაფერი უკითხავს, ალბად იფიქრა, რომ მას მივბაძე. სურია ორი დღის შემდეგ დედამისმა სცემა! იგი თმით ითრიეს და წინლები ჩააზილეს.

– რას ჰგავხარ? რას ნიშნავს ეს სამი ნახვრეტი ყურში? იქნებ ცხვირიც გაიხვრიტო!

რასაკვირველია, მეძავად მოიხსენიეს. სურიაჩემს დამირეკა და ყველაფერი მომიყვა.

ყურმილი დედაჩემმა აიღო. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დაიცვა «პროტოკოლი», როგორც ჩვენ ვეძახით, რადგან მეგობარი გოგონას დედა ყველა წესის დაცვით თუ არ მოიკითხე და

შესაბამისი შეკითხვები არ დაუსვი, მასთან ურთიერთობა აგეკრძალე. მნიშვნელოვანია მოკითხვები:

– ალო! როგორ ბრძანდებით? ბავშვები როგორ არიან?.. ჯანმრთელობას ხომ არ უჩივით? ბებია, მაროკოში, ხომ კარგად არის? მოიკითხეთ ისიც და ძმებიც, მთელი ოჯახი – ეს არის ის სიტყვები, რომლებსაც დედაჩემი ამბობს, ვიდრე ბოლოს და ბოლოს, ყურმილს გადმომცემს.

– ესე იგი ჯერ არაფერი შეუნიშნავთ! დედაშენი დაიფიცე, რომ ვერ შეგნიშნეს! როგორ მოახერხე?

– თავსაფარი მახურავს.

– შენ და თავსაფარი!

სურიას მსგავსი რამ არ მოაფიქრდა. შეხორცებისთვის თითქმის მთელი თვე იყო საჭირო.

ბოლოს, ერთ დღეს, მეც «დავიწვი». თავსაფარი აღარ მეხურა, მაგრამ ყურებს თმით ვიფარავდი. სუფრის გაშლის დროს მამაჩემმა შემომხედა.

– ყურებზე რა გაქვს?

– არაფერი...

– აიწიე თმა.

დედაჩემმა ხმამაღლა წამოიყვირა. უცნაურია, ცემით არ ვუცემივარ.

– ჩემი საბრალო გოგონა, არაფერი გეშველება, შენ არ გამოსწორდები.

შინ ჩემი ხელფასი მიმქონდა, ბინის ქირას მე ვიხდიდი და არასოდეს მითქვამს უარი, საჭიროების შემთხვევაში დამატებით მიმეცა ფული. ასე ვყიდულობდი საკუთარ მშვიდ ცხოვრებას და ცემამ თანდათან იკლო, ცოცხის სახელური კარადაში იყო მიყუდებული და მხოლოდ დანიშნულებისამებრ გამოიყენებოდა.

სურია ისე სცემეს, როგორც ბავშვობისას. მისთვის ხელი არც მის დებს დაუკლიათ. ისინი სანიმუშო გოგონები იყვნენ, აივანზეც კი არასოდეს გასულან და თოვლივით თეთკანიანები გათხოვდნენ. არ ესმოდათ, სურია რატომ არ იყო მათი მსგავსი, ასე რატომ განსხვავდებოდა ოჯახის დანარჩენი წევრებისგან.

სადაც ვიცვამდი, მაკიაჟს მსუბუქად ვიყენებდი. სურია ჩემგან სრულიად განსხვავებული იყო. მალალი, გამხდარი, ქერა და ცისფერთვალება, ყოველთვის მაკიაჟი ჰქონდა, შემოტკეცილი ჯინსი ეცვა. ძალიან ლამაზი, მომხიბლავი იყო, რის გამოც შინ ჯოჯოხეთური ცხოვრება ჰქონდა, სახლის გარეთ კი სილალით გამოირჩეოდა.

მაშინ სამი თანატოლი განუყრელი მეგობარი ვიყავით: ლეილა, სურია და ნადია.

ნადია ზოგჯერ შინიდან გარბოდა. მის მშობლებს «ჰაჯის» უწოდებდნენ, რადგან მექა ჰქონდათ მოლოცვილი. მის ოჯახში ოთხი ბიჭი და სამი გოგონა იყო. უფროსი გოგონა მშობლებს დამორჩილდა, გარიგებით მიათხოვეს მალრიბელ ბიჭს და დღეს ჩადრით დადის. მშობლებმა იპოვეს აუზზე, საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი მისი ფოტო, ეს ოჯახის «სირცხვილად» მიიღეს და ქალიშვილი სასწრაფოდ მოიშორეს თავიდან. მეორე გოგონას შეყვარებული ჰყავდა, ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, დაქორწინებაზე ოცნებობდნენ. მაგრამ ამას კატეგორიულად წინ აღუდგნენ ორივეს მშობლები. ვაჟის დედა გოგონას დედას უბნებოდა:

– ჩემი ბიჭი მას ცოლად არასოდეს მოიყვანს, რადგან ყველას დასანახად სეირნობდნენ ერთად!

ამაზე ნადიას დედა პასუხობდა:

– შენმა შვილმა უკვე ყველა დასაშვებ საზღვარს გადააბიჯა, წარმოუდგენელია, ჩემი ქალიშვილი მან შეირთოს ცოლად!

ნადიას რაც შეეხება, ის ოჯახიდან გაქრა. ერთ დღესაც შემხვდა. მან თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ ეს ძალიან ძვირად დაუჯდა! არ გათხოვილა, მარტოხელა დედაა და ოჯახთან კონტაქტი დიდი ხანია, სრულებით გაწყვიტა.

ერთმანეთთან იძულებითი ქორწინების შესახებ ხშირად გვისაუბრია:

– გაიგე, ხაჯიჯა ვიღაც მაროკოელს მიათხოვეს, რომელსაც არც კი იცნობდა! კი ამბობდა, მაროკოელს ცოლად არ გავყვებით, მაგრამ ბოლოს მაინც ისე მოხდა, როგორც თავად არ სურდა!

– მე ასეთი რამ არასოდეს, არასოდეს, არასოდეს შემემთხვევა!

– წარმოიდგინე, შენ, რომელიც ასე უფრთხილდები საკუთარ ქალწულობას, სარეცელს იყოფ სრულიად უცნობ ტიპთან!

– არა და არა... სადმე ჩავიკეტები ან თავს მოვიკლავ!

პატარა ბავშვებით ვლაპარაკობდით. ჩვენთვის იძულებით ქორწინება სატელევიზიო სერიალს ჰგავდა. ასე გვინდოდა თავიდან მოგვეცილებინა აბუზარი რეალობა.

ზაფხული დადგა. არდადეგებზე წასვლა არ შემეძლო, რადგან მთელი თვე ვმუშაობდი. მამაჩემს გროში არ ებადა, ოჯახის წევრების გასამგზავრებელი ფული მე გადავიხადე. მაგრამ შინ მარტო არ დავრჩენილვარ. ორი ძმა მომიჩინეს! ერთი უფროსი, რომელიც ისევ ჩვენთან ცხოვრობდა და კიდევ ის, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მშობლების მიერ მოთვალთვალე «კამერად» მყავდა მოჩენილი და ხშირ-ხშირად ჩამაცვივდებოდა ხოლმე:

– აბა, ამოისუნთქე! სიგარეტი მოწიე!

ერთხელაც შევასწარი, ტუალეტში როგორ ეწეოდა სიგარეტს. თავს კი ისე აჩვენებდა, თითქოს ანკარა წყაროსავით სუფთა იყო. ვიცოდი, რომ ნარკოტიკებსაც შეეჩვია, მაგრამ ჩემი მშობლების თვალში შეუბღალავი რეპუტაციით სარგებლობდა.

– ახლა რა ვქნათ? ამოისუნთქავ, რომ შეგამოწმო?

– ჰო, სიგარეტს ვეწევი, მერე რა?

– არც არაფერი! მხოლოდ ერთ რამეს გეტყვი: როცა კი შესაძლებლობა მომეცემა, აივანზე ისევ გავალ სიგარეტის მოსაწევად და თუ დამასმენ, გეფიცები, ვიდრე მოვკვდები, ჯერ შენ გამოგასალმებ სიცოცხლეს!

მას შემდეგ თანამზრახველები გავხდით. იმ წელს ერთხელ დისკოთეკაზეც კი წამომყვა. თავისუფლების ბოლო ზაფხულით ვსარგებლობდი, რომ ცოტა ნორმალურად მეარსება. ოჯახში კამიკაძე ვიყავი, მაქსიმალურად ყველაფერი უნდა გამომეცადა, სიცოცხლე მთელი ძალით მიხდოდა შემეგრძნო. ანუ მეცხოვრა ისე, რაც ჩემი ხნის ფრანგი გოგონებისთვის დიდად არაფერია: სამი ნახვრეტი ყურში, ზღვის ნაპირზე გასეირნება, თორმეტიოდე საღამოს გატარება დისკოთეკაზე, სადაც არც ვცეკვავდი და არც ვარშიყობდი და, ტრადიციული ბაზრობის მონახულება, რაც, რატომღაც, მშობლების მიერ ასევე აკრძალული მქონდა. ბაზრობის ატრაქციონებიდან «დიდ რვიანს» ვაღმერთებდი! სრული თავისუფლების შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს დავფრინავდი! რატომ იყო აკრძალული ატრაქციონებზე გართობა, დღემდე ვერ გამიგია.

მართალია, ვმუშაობდი, მაგრამ არდადეგების პერიოდში მშობლები შინ არ იყვნენ და მეც ისე ვსარგებლობდი ამით, თითქოს ეს ჩემი ცხოვრების უკანასკნელი დღეები იყო. ტელევიზორის პულტის ბატონ-პატრონი მე ვიყავი... ესეც თავისუფლება გახლდათ. ბოლოს მარტომ ტელევიზორს იმ დღეს ვუყურე, როცა ტაჟინი დავწვი...

თავისუფლების სიო მათრობდა. ისე გავთავხედდი, რომ თმის შეჭრაც კი გავბედე! სურია მ უნდობლად მკითხა:

– არ გეშინია?

– მომხვლება, მაგრამ რაც არის, არის.... თმას უკან ვეღარ მივაწებებ!

ძვირფას სალონში მივედი და ჩემი ჯიბისთვის გვარიანი თანხა გადავიხადე. საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი. სწორი თმა ბეჭებამდე მწვდებოდა, ერთი ხელის მოსმით ნამდვილ გოგონას დავემსგავსე.

მაგრამ მშობლები დაბრუნდნენ და... მამაჩემისგან მომხვდა, დედაჩემმა კი თმა მომქაჩა და მიყვირა, – უსირცხვილო ხარო.

ჩვენ გაშლილი თმით სიარული აკრძალული გვაქვს, ამიტომ შეჭრილიც კი შეკრული მქონდა. უბანში ბევრ გოგონას ჰქონდა თმა მოკლედ შეჭრილი და მათზე სხვისი დედები ზიზღით ამბობდნენ, – ერთი ამას შეხედე, კაცს არ ჰგავსო!

ვარცხნილობა ქალის არსს წარმოადგენს, ხოლო მისი სხეული თავის თავში ცოდვას ატარებს... თავსაფარი არასოდეს მიტარებია – მხოლოდ მაშინ მეხურა, როცა პირსინგის დამალვა მინდოდა – ამიტომ ვერ ვუგებ გოგონებს, რომლებსაც დღეს თავსაბურავის ტარება სურთ, თანაც მათ დედებს ეს აზრადაც არ მოსვლიათ. ყველაფერი პარადოქსულია. გრძელი თმა უნდა გქონდეს, მაგრამ აუცილებლად შეკრული ან თავსაფრით დამალული! თუ შეჭრა გინდა, ეს მხოლოდ დადგენილ სიგრძემდეა დასაშვები. თუ თმა ისევ გავიზარდე, ამის მიზეზი მშობლების აკრძალვა კი არ იყო, არამედ ის, რომ სალონში ხშირად სიარული ძვირი დამიჯდებოდა!

ოცი წლის ვიყავი და იმ ზაფხულს თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. უცნაურია, მაგრამ სურიას გამოვუტყდი, – ავი წინათგრძნობა მაქვს-მეთქი.

– რისი წინათგრძნობა?

სიმართლე რომ ვთქვა, არც კი ვიცოდი, რა მეპასუხა. ამ გრძნობის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელი იყო. იქნებ ამის მიზეზი ჩემი დროებითი თავისუფლება და მშობლების შინ დაბრუნება გახდა. ოცი წლის ვიყავი... მქონდა სამუშაო, გათხოვებაზე არ ვფიქრობდი, ამაზე კრინტიც არავის დაუძრავს, დარწმუნებული ვიყავი, ასე აღვილად ვერ დამიყოლიებდნენ!

ერთ დღეს მამაჩემმა მაროკოდან შინ დარეკა ამბის გასაგებად და მითხრა:

– ახლა ყურმილს დედაშენს გადავცემ.

მას შემდეგ, რაც მთელი ნათესაობა მოვიკითხე, დედაჩემმა მითხრა:

– ლეილა, ჩემო გოგონა! ვერ წარმოიდგენ, ვინ გვესტუმრა!

– არაფერი ვიცი. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, თქვენი მანდ ჩასვლისთანავე სახლში უამრავი ვინმე დარჩება მთელი თვით.

– ბიძაშენი და შენი ბიძაშვილი მოვიდნენ.

– რომელი ბიძაშვილი?

– აბდელი!

– ჰო, კარგია...

მას არც კი ვიცნობდი და არც მისი არსებობა მაინტერესებდა.

– მაგრამ ის მარტო არ მოსულა.

– აჰა...

– მეგობარი ახლდა, რომელიც ესპანეთში ცხოვრობს, მუსა.

– და რა მერე?

– ძალიან კარგი ბიჭია...

ისევ ვერაფერს ვხვდებოდი, რა საფრთხე მემუქრებოდა.

– იცი, ლეილა, შენი გათხოვების დროა. შენი ხელის სათხოვნელად ბევრი მოვიდა.

– ყური მიგდე, დედა, ახლავ უნდა გაგაწყვეტინო! ჩემი ქმრობის პრეტენდენტები მანდ მოდიან მაშინ, როცა მე აქ ვარ, ისინი თვალითაც არ მინახავს! ასეთ რამეზე არასოდეს დავთანხმდები. გარდა ამისა, ჯერ ახალგაზრდა ვარ, მუშაობა ახალი დაწყებული მაქვს, ჯერ მკვიდრად უნდა დავდგე ფეხზე. არა და არა, გესმის!

– ჰო... კარგი, კარგი.

იქ, როგორც ჩანს, საქმე სერიოზულად იყო, მე კი არაფერი ვიცოდი. მაგრამ რატომღაც ჩემი წინათგრძნობა ამ საუბარს ვერ დავაკავშირე. რას ვიფიქრებდი, თუ ჩემი მშობლები ამას დაუშვებდნენ. ფრანგი ვიყავი, საფრანგეთში დაბადებული, პირადობის მოწმობა მქონდა; უკვე ორი წელია, სრულწლოვანი ვიყავი, ვმუშაობდი, იმედი მქონდა, ერთ დღესაც გამბედაობას მოვიკრებდი, მშობლების სახლიდან ახლოს ერთოთახიან ბინას ვიქირავებდი და იქ გადავიდოდი საცხოვრებლად.

მაგრამ თურმე სწორედ ამის გამო საფრანგეთში დასახლების მსურველი მაროკოელი დასაქორწინებელი მამაკაცებისთვის იდეალური ნადავლი ვიყავი. ამ ბაზრის მასშტაბები ვერც კი წარმომედგინა. ეს არის სინამდვილეში სრულიად ლეგალური წარმონაქმნი.

ამჯერად მინის ჭიქაში კი არა, ობობას ქსელში გამომწყვდეული ბუზი ვიყავი.

მეყვარებულობანა დასრულდა...

დედაჩემს თხუთმეტი წლის ასაკიდან ქორწილებში დავყავდი, მაგრამ წინასწარ ასე მარიგებდა:

– გაფრთხილებ, სკამიდან ფეხი არ მოიცვალო, ჩემ გვერდით იჯექი, თუ დაგინახე, რომ ცეკვავ... არ გაბუღო და ასე არ მოიქცე, არ გაბუღო ამის გაკეთება...

ქორწილებში გასათხოვარ გოგონებს ათვალე რებენ.

ყველაფერს დედები და სადედამთილოები წყვეტენ. მამები, როგორც წესი, ფარდის მეორე მხარეს არიან, მაგრამ მაინც დროდადრო დარბაზს უყურებენ და არც კომენტარებს იშურებენ:

– ამას შეხედეთ! რაც ქორწილი დაიწყო, საცეკვაო მოედნიდან ფეხი არ მოუცვლია, თავის გამოჩენა უნდა!

– მუღის ქალიშვილს შეხედეთ, დედამისის გვერდით წყნარად ზის...

ეს უფასო კატალოგია. ერთ მხარეს ცუდი გოგონები არიან, მეორე მხარეს – კარგები, ანუ გასათხოვრად ვარგისები იკრიბებიან.

შემეძლო თავი ცუდ გოგონად გამესაღებინა, «თავის გამოჩენა» მეცადა და ასე ამეცილებინა თავიდან ვილაცასთან გარიგებით ქორწინება. ამას რომ დროზე მივმხვდარიყავი...

მაგრამ, ერთი მხრივ, ასეთი საქციელისთვის შინ ცემა არ ამცდებოდა, მეორე მხრივ, ეჭვი არაფერზე ამიღია. და კიდევ, «თავის გამოჩენა» სრულებითაც არ მეხერხება. თავის «მოგვიჩვენება» მხოლოდ ფარულად, მეგობარ გოგონებთან შემეძლო, მაგრამ უცნობებთან მორცხვი და თავშეკავებული ვიყავი.

მაროკოული ქორწინება ლამაზი რიტუალია. ეს მართლაც შესანიშნავია, მაგრამ თვალთ უხილავი ფარული ნაკლიც ახლავს. შეთანხმებას ძირითადად ქალები დებენ. შუამავლებად დეიდები, შორეული ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილები არიან. თუ მაროკოელ ყმაწვილს საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება უნდა, ამის ყველაზე იოლი გზაა მაროკოული წარმომობის გოგონაზე დაქორწინება. თუ საფრანგეთში მცხოვრებ ასეთ ოჯახს თავად არ იცნობს, შუამავლებს მიაკითხავს და ისინიც მალე გამოუძებნიან კარგი ოჯახის ქალიშვილს.

ქორწილებში სურია ყოველთვის უდარდელად იქცეოდა და უფრო ბიჭებს აქცევდა ყურადღებას, ვიდრე მე. სურდა, მისთვის მიმებადა და შეყვარებული მეც მყოლოდა.

– შეხედე, რამდენი ბიჭია...

– მით უკეთესი შენთვის.

– გაჩუმდი!.. დროა, საკუთარ თავზე იფიქრო.

– აქ ამისთვის არ მოვსულვარ. არავის გაცნობა არ მინდა.

ჩემი ძმის მეგობარი გამომელაპარაკა. დედაჩემი მას იცნობდა, ამიტომ უფლება მქონდა, ორი წუთით შევჩერებულიყავი. საუბარში უცნობი ბიჭი ჩაერია. სიმპათიური იყო, ადრე არასოდეს მენახა. წესით, აკრძალულია ოჯახისთვის უცნობ ყმაწვილთან საუბარი.

დედაჩემი უკვე ჩემკენ იყურებოდა. ვცდილობდი, მარტო ჩემი ძმის მეგობართან მელაპარაკა, მხოლოდ მას ვუყურებდი. მაგრამ მეორე არ მეშვებოდა:

– ეს როგორ, ღამით მუშაობ?

– ჰო.

– მერე ოჯახი თანახმაა?

– დიდი ხელფასი მაქვს და არ მეწინააღმდეგებიან, სამაგიეროდ, დღისით ვისვენებ...

– გათხოვილი ხარ?

– არა, არ ვარ.

ზურგით ვგრძნობდი, დედაჩემი თვალებით მბურღავდა, ამიტომ ვცადე, საუბარი შემემოკლებინა.

– სასიამოვნოა შენი გაცნობა, კადერი მქვია.

– მე – ლეილა.

ასე პირდაპირ ჩემდამი მომართვამ სტუმრების თვალწინ სერიოზული პრობლემა შემიქმნა.

როცა ოჯახი და თემის წარმომადგენლები არიან შეკრებილი, წესით, თვალები უნდა დახარო და თავს უშველო. არ უნდა ვმდგარიყავი ფეხმოუცვლელად და შეკითხვებზე პასუხი არ უნდა გამეცა. სამზარეულოში შეკრებილი გოგონები უკვე ჩემკენ იყურებოდნენ და ჩურჩულებდნენ. გარდა ამისა, ერთდროულად ორ ბიჭს ვესაუბრებოდი და ჩემს «სანიმუშო რეპუტაციას» უკვე წყალი ჰქონდა შემდგარი, რადგან სიგარეტს ვეწეოდი. მოუთმენლობამ შემიპყრო.

ჩემი ძმის მეგობარმა ჩემი დამშვიდება სცადა:

– ნუ ღელავ, ეს ჩემი ბიძაშვილია.

კადერს კი უთხრა:

– ლეილა ჩემი ახლო მეგობრის დაა, ის ღირსეული ოჯახიდანაა.

აუცილებელია წარმომავლობისა და ოჯახის მითითება, ეს ერთგვარი იარღიყი, დამლაა. «ღირსეული ოჯახი» კიდევ უფრო მრავლისმთქმელია. ეს იმას ნიშნავს, რომ გოგონა «გასათხოვრად ვარგისია».

წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერს ამბობენ, სიჩუმის კოდექსი ამოქმედდება. ეს ასე ითარგმნება: «სერიოზულზე არაფერზე იფიქრო». ქვეტექსტი კი ასეთია: «შენედულებისამებრ იმოქმედე...»

აბდუს ძალიან ვუყვარდი, პატივისცემით მეპყრობოდა, როგორც მისი უახლოესი მეგობრის დას. ისიც იცოდა, რა მძიმე ცხოვრება მქონდა, მაგრამ ბიჭებს არ ვხვდებოდი.

წინდახედულად ვიქცეოდი. ბიჭისგან თავი შორს მეჭირა, მაგრამ ამის მიზეზი მშობლების შიში არ იყო. მე არ მსურდა, თავი ისეთ მდგომარეობაში ჩამეყენებინა, რაც დამატებით პრობლემებს შემიქმნიდა – ისედაც თავზესაყრელი მქონდა. ჩემს ქალწულობას რაც შეეხება, ეს იყო მისი შენარჩუნების ერთადერთი საშუალება. ძალიან მეშინოდა, ვინმე არ შემეყვარებოდა, სულით და გულით არ მივნიდობოდი მას, მისთვის ყველაფერი მიმეძღვნა და ბოლოს ურთიერთობა ცუდად დამესრულებინა. ასე რომ მომხდარიყო, მშობლები მართლები აღმოჩნდებოდნენ: მე კახპა აღმოვჩნდებოდი. ესეც არ იყოს, მზად არ ვიყავი ბიჭთან ურთიერთობისთვის. ბავშვობამ გარდაქმნის საშუალება არ მომცა. არც ერთ ბიჭს არ ვენდობოდი, ჩემთვის ყველა ერთნაირი იყო... ანუ ლაჩარი და საშიში.

ამიტომ, თავს ვუკრძალავდი ვინმეს შეყვარებას. არც ქორწინებისთვის ვიყავი მზად და არც ფლირტისთვის.

აბდუმ რეალურად შეაფასა მდგომარეობა და სურდა, მისი ბიძაშვილიც მიმხვდარიყო, ვის ესაუბრებოდა. სასწრაფოდ ჩემს ადგილს დაუბრუნდი, მაგრამ დედაჩემმა მკითხა:

– ლეილა, ვის ელაპარაკებოდი?

– აბდუს! მას ხომ იცნობ!

– ჰო, მაგრამ მეორე, ის ვინ იყო?

– მისი ბიძაშვილი. დედა, მე აბდუს ვესაუბრებოდი მხოლოდ.

უნდობლად გადმომხედა.

– დაჯექი და არ გაინძრე.

ქორწილის დროს უნდა იჯდე და ელოდო, როდის დასრულდება.

დაჯექი და იმ გოგონას ვაკვირდებოდი, რომელსაც ბიჭისთვის ნანატრი «საბუთები» უნდა უზრუნველყო. ეს ამბავი ყველასთვის ცნობილია. უკვე მეოთხე ამგვარ ქორწინებას ვესწრებოდი. ერთგვარი ფორმალობა იყო, თუმცა მაინც დასანანი. საბედნიეროდ, შეყვარებული წყვილების ქორწინებებიც არსებობს. მაგრამ არ მგონია, მათი რიცხვი ქარბობდეს გარიგებით შემდგარს.

კადერი ჩემ წინ დაჯდა. ჯიუტად ვცდილობდი, მისთვის თვალი ამერიდებინა, თუმცა სურია ხშირად გამკრავდა იდაყვს:

– ეს აქ მყოფთაგან ყველაზე ლამაზი ბიჭია, მოსწონხარ. გეფიცები! თვალმოუშორებლად გიყურებს!

ბიჭის სილამაზე სრულებით არ მაინტერესებდა. თუმცა, ყველა გოგონა მას უთვალთვალებდა.

გულგრილობის შენარჩუნება მიჭირდა. არ მინდოდა, მის მზერას წავეწყო და კადერს ეფიქრა, თითქოს მასზე ვფიქრობდი.

ვერ ვხვდები, რატომ ვიყავი ასეთი პრინციპული. ერთი მხრივ, ვოცნებობდი, შევხვედროდი ყმაწვილს, რომელიც თავდავიწყებით შემეყვარებოდა და მისი იმედი მექნებოდა. სასწაულს ველოდი, რომ უეცრად ჩემ წინ მამაკაცი აღმოჩნდებოდა და თავს დავკარგავდი. მეორე მხრივ, ბიჭებთან ურთიერთობისას აგრესიულად თავშეკავებული ვიყავი. მაგრამ კადერი ეშმაკი გამოდგა.

მამაჩემი ადრე წავიდა. შინ ჩვენი მიცილება აბლუს შეეძლო. დედაჩემმა მის მოსაძებნად გამგზავნა, მაგრამ მან მიპასუხა:

– დედაჩემი და ჩემი დები უნდა წავიყვანო. ათი-თხუთმეტი წუთი დაიცადეთ და დავბრუნდები!

კადერმა ამ შემთხვევის გამოყენება სცადა და გაცილება შემომთავაზა. დედაჩემს გადავეცი მისი სიტყვები, აბლუმ კი დაამატა:

– ნუ ღელავ, კადერი ჩემი ბიძაშვილია და სახლამდე მიგაცილებთ.

არ გამკვირვებია, როცა დედაჩემი დათანხმდა: «უფროსი ძმის საუკეთესო მეგობრის ბიძაშვილი», კადერი, სრულ ნდობას იმსახურებდა.

ასე გაიგო, სად ვცხოვრობდი. რამდენიმე დღის შემდეგ ბაზარში აბლუ შემხვდა და მითხრა:

– ლეილა, აუცილებლად უნდა დაგელაპარაკო, შენი ნახვა მინდოდა. ჩემს ბიძაშვილს, კადერს, მოეწონე. ეს არ უნდა შეთქვა შენთვის, მაგრამ შენთან შეხვედრა უნდა!

გავშეშდი.

– აბლუ, როგორ მექცევი? როგორ გაბედე იმის თქმა, რომ შენს ბიძაშვილს მოვწონვარ? ასეთი სითამამე საიდან? ვინ გგონივარ?

– მოიცა! მან ჩემგან იცის, რომ ღირსეული ოჯახის შვილი ხარ და პატივისცემით მოგეპყრობა!

– ამასაც ვნახავთ!

მან ტელეფონის ნომერი მომცა და მითხრა, – დაურეკეო.

სურია სიხარულით მეცხრე ცაზე იყო.

– რას აპირებ?

– არ დაურეკავ.

– არ დაურეკავ? ვითომ რატომ? ბიჭი ხომ ნახე? კარგი ოჯახის შვილია და ძალიან საყვარელი. ლეილა, რა დაშავდება, მასთან ერთად ჭიქა ყავას თუ დალევ კაფეში? გგონია, მაშინვე მოგახტება და გაკოცებს?

– კაცებს არ ვენდობი. იცი, ნდობა რას ნიშნავს? შენ ბევრს რისკავ, ერთხელაც იქნება, ხაფანგში აღმოჩნდები და თავს ვეღარ დააღწევ.

– გაჩუმდი! უბრალოდ, გეშინია!

ბოლოს და ბოლოს, სურია დამარწმუნა.

თავადაც მსურდა გამერისკა, მაგრამ არა სურიას დაჟინების გამო. ერთი მხრივ, მინდოდა კადერისთვის დამემტკიცებინა, რომ არაფრის მეშინოდა; მეორე მხრივ, მინდოდა მისი სულ

უმცირესი შეცდომით, უნებური ქესტითაც კი მესარგებლა და თავიდან მომეშორებინა. ჩემს მეგობარს კი ვეტყობდი, – ხომ ვამბობდი, ნაგავია-მეთქი.

მეორე დღეს, რა თქმა უნდა, არ დამირეკავს. მან დარეკა. თავის ბიძაშვილს თავი მოაბეზრა და მანაც სახლის ნომერი მისცა, თანაც დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო, თუ ყურმილს დედაჩემი აიღებდა.

– გამარჯობა, ქალბატონო, საზოგადოება X-დან გაწუხებთ, ჩვენს თანამშრომელთან, მადმუაზელ ლეილა ზ.-სთან მსურს გასაუბრება.

როცა დედაჩემმა ყურმილი მომცა, ეს გავიგონე:

– გამარჯობა, კადერი ვარ... შენი ნახვა მინდა. ყავის დასალევად ხომ არ წავსულიყავით?

ცოტა ხანს ვდუმდი, დაველოდე, ვიდრე დედაჩემი გარეთ მდგარ მეზობელს მიუბრუნდებოდა, შემდეგ მოვიმიზეზე, რომ უკვე გვიანი იყო, სამსახურში ვიყავი წასასვლელი.

– მოიცა, გთხოვ, უცხო ხომ არ ვარ! მუშაობას ცხრა საათზე იწყებ; ახლა ნაშუადღევს ოთხის ნახევარია და მეუბნები, რომ მთელი ეს დრო სამსახურში წასასვლელად გჭირდება?

– უნდა მოვწესრიგდე, დაძინებაც მინდა... დღეს დილით გვიან დავწექი...

– ასე თუ ისე, უკვე ვიცი, სად ცხოვრობ. თუ არ გინდა, მანდ, სახლის ქვემოთ დაგხვდე, შეხვედრაზე დამთანხმდი!

ბოლოს, ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეხვედრას დავთანხმდი. იმ კაფეში ძირითადად ფრანგები დადიოდნენ, თეთრკანიანები, ნამდვილი ფრანგები...

მაგრამ ცუდი შთაბეჭდილება რომ მომეხდინა, ფეთხუმივით ჩავიცვი. ძველი სავარჯიშო შარვალი, ძველი კედეები, ძველი პულოვერი, მაკიაჟის გარეშე, უძილობით ჩამავებული უპეებითა და აჩეჩილი თმით მივედი. ამით მინდოდა მეგრძნობინებინა: «ამის ნახვა გსურდა? ღირდა კი თავის შეწუხებად...»

ისევ და ისევ საკუთარი თავის გაუფასურების დამანგრეველი სურვილი, საკუთარი თავის ავადმყოფური ზიზღი მჭამდა, ეს ბიჭი კი მართლაც მომხიბვლელი იყო. გაუგებარია, რა მიზეზით უნდა მეთქვა უარი შეხვედრაზე. ამგვარი დესტრუქციული ქმედების გამო ჩემი სასიყვარულო ურთიერთობა კრახით დასრულდა.

გულში ვამბობდი, – რომ დამინახავს, დაიმალემა, ან უპატიებლად მოიქცევა, ან რაიმე უადგილოს იტყვის; მაშინვე სილას დაიმსახურებს და ასე მოვიშორებ თავიდან-მეთქი.

მამაკაცს, პირისპირ შეხვედრისას, ყოველთვის საფრთხედ აღვიქვამდი.

საუბედუროდ, ძალიან კარგად იქცეოდა. სასაყვედურო არაფერი მქონდა. საუბარი ძირითადად სამუშაოს შეეხებოდა. ბოლოს, გაბედა და თქვა:

– ერთ დღესაც რომ გათხოვდე, როგორ მოიქცევი? მამაკაცების უმრავლესობას არ სურს, მისი ცოლი ღამეს სამსახურში ატარებდეს...

– შენ დათანხმდებოდი?

– არა. არ მინდა საღამომობით მარტო ვიყო. არც ის მინდა, დღისით ის იყოს მარტო. ასე ცხოვრება დიდხანს ვერ გასტანს და გაყრით დასრულდება.

– ასეა თუ ისე, მე მომწონს, როგორც ვცხოვრობ და ქმარი სრულებითაც არ მჭირდება.

თანდათანობით სულ უფრო მომწონდა მასთან საუბარი. მომეწონა, მისი შეხედულება ქალების შესახებ. მისთვის მნიშვნელოვანი იყო მათი პატივისცემა, რადგან, მისი აზრით, სამყარო ქალის გარეშე აუტანელი იქნებოდა...

ის პირველი ბიჭი იყო, რომელიც ასე საუბრობდა. დამშვიდობებისას ველოდი, რომ თავს ზედმეტის უფლებას მისცემდა, მაგრამ არა, არაფერი უცდია, მხოლოდ ასე მითხრა, – იმედი მაქვს, ისევ ძალიან, ძალიან მალე შეხვდებითო. «ძალიან მალე» – გამოკვეთილად წარმოთქვა.

ათიოდე პაემნის შემდეგ ისევ ისეთი ზრდილი, თავაზიანი და ლამაზი იყო, არასოდეს აგვიანებდა, სულ მზად იყო დასახმარებლად. პარკებში ვსეირნობდით. კარგი იყო ჩვენი მშვიდი და წყნარი სიყვარული. პაემანს სურიას სახლში ვუნიშნავდით ერთმანეთს და სადამოობით ვახერხებდი მასთან ცოტა ხნით შეხვედრას, ხანდახან სავახშმოდაც მივდიოდით. ის კი უკვე შორს იმზირებოდა.

– წარმოიდგინე, ჩემი მანქანით ორ ბავშვთან ერთად მაროკოში არდადეგებზე მივდივართ.

მომავლის წარმოდგენა არ შემეძლო. ქმრისა და შვილების ყოლა შიშის ზარს მცემდა.

– მოიცა, მოიცა, უკვე ბავშვები მოგინდა? თუ ასე აპირებ გაგრძელებას, უმჯობესია, ურთიერთობა ახლავე შევწყვიტოთ.

– ყველაფერი ასე ცუდად რატომ გეჩვენება?

როცა მასთან ერთად ვიყავი, გული უფრო სწრაფად მიცემდა, მუდამ მეშინოდა, რომ თავს ვეღარ მოვერეოდი და სისულელეს ჩავიდენდი. ამიტომ მკაცრად ვექცეოდი. მხოლოდ ერთხელ კინალამ ჩაშალა ჩვენი პაემანი:

– ვერ მოვალ, დედაჩემთან უნდა დავრჩე...

ბრაზი მომერია. მინდოდა, საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი, რომ ნამდვილად მოვწონდი. და ამ გზით მასზე გავლენა მომეპოვებინა.

– ამის გაგება ძნელი სულაც არ არის. სურიასთან დიდი ხნით დარჩენა არ შემეძლია, მისი მშობლები მოვლენ და ვერ მიხვდებიან, აქ რატომ ვარ! თუ ამა და ამ საათზე მისი სახლის ქვემოთ არ იქნები, სხვა ვინმე მოძებნე, ჩვენი ურთიერთობა დასრულდება.

და ყურმილი დააკვიდე.

სურია გაოგნებული მიყურებდა. მისი აზრით, სულელი ვიყავი. ჭირვეული ბავშვივით ვიქცეოდი და ცუდად ვიყავი, თუმცა სურიას ვუმტკიცებდი, – ფეხებზე მკიდია, მოვა თუ არა-მეთქი. ასე მეგონა, სიყვარული სახგრებში ჩასაფრებულთა ომია და აუცილებლად მე უნდა გამემარჯვა.

მაგრამ უკვე აღარ შემეძლო ჯამბაზივით საკუთარ უბედურებაზე სიცილი. იმ სადამოს დიდი ფანჯრიდან ნაღვლიანად ვუყურებდი მანქანების სადგომს, სადაც ჩვეულებისამებრ ერთმანეთს ვხვდებოდით. გულში დაუსრულებლად ვიმეორებდი: «ღმერთო, რა მოხდება, რომ მოვიდეს, ხმას აღარ ამოვიღებ».

მანქანის საყვირის ხმა გაისმა და გული ამიფართხალდა. სურია მითხრა:

– წადი!

– არა, ის ნამდვილად არ იქნება! დედამისს ასე ხომ არ მიატოვებდა და ჩემს სანახავად ხომ არ გამოქანდებოდა!

მაგრამ ნამდვილად ის იყო. ამიტომ კარისკენ გავიქეცი. სურია მომაცხა:

– ჩერჩეტო, ვერ ხვდები, რომ გიყვარს?

თავს არ ვუტყდებოდი, რომ ასე იყო. მეგონა, რაღაცას ვთამაშობდი და თუ ამ ბიჭს დავიმორჩილებდი, მთელი სამყაროს მამაკაცებს დავამარცხებდი.

მხოლოდ მოგვიანებით დავფიქრდი, როგორ ართულებს არაბული წარმომავლობის გოგონებისა და ბიჭების სიყვარულს მულმივი სიცრუე. საიღუმლო შეხვედრები, მშობლების

მოტყუება, ათასნაირი ხრიკის გამოგონება მეგობრების ან ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილების დახმარებით, რომლებმაც ყველაფერი იცინა, მაგრამ ხმას არ იღებენ, რადგან საქმე მათ დებს არ შეეხებათ. ქალაქის უბანში გარდასული დროის არაბული სოფელი გვაქვს აღდგენილი, სადაც ადამიანების ურთიერთობას უთქმელობისა და მალვის ლაბირინთი განსაზღვრავს. ამ ყველაფრის შედეგი ის არის, რომ საკუთარ თავთანაც აღარ ხარ გულწრფელი. ვინ ვარ სინამდვილეში?.. რას ვეძიებ?.. სად არის ჩემი ნამდვილი მე? მამას ვეკუთვნი, რომელსაც არ ვუყვარვარ, მამ როგორ უნდა შევძლო შეყვარება და თუნდაც, ამის გამხელა? საზოგადოებაში, რომელიც სიყვარულის ინსტინქტს სპობს, როგორღა უნდა გააკონტროლო ეს ინსტინქტი ისე, რომ ტყუილის ოკეანეში არ ჩაიძირო?

იმ ფრანგი მეგობარი გოგონებიდან, რომელთა გვერდითაც გავიზარდეთ, ზოგიერთს ეს ყველაფერი კარგად ესმოდა. სხვები კი მიიჩნევდნენ, რომ სხვა პლანეტაზე ვცხოვრობდით და განვითარებაზე უარს ვამბობდით.

ნაშუადღევს ქალაქის ცენტრში გასეირნება ან ბიბლიოთეკაში წასვლა სრულებით არ არის უჩვეულო რამ. არც საჯაროდ შეყვარებულთან შეხვედრაა დიდი დანაშაული. მაგრამ ეს ყველაფერი მათთვისაა ჩვეულებრივი რამ, ჩვენ კი გვეკრძალება. ისინი ჩვენს გასაჭირს იზიარებენ, რადგან ჩვენ გვერდით ცხოვრობენ და ცოტათი მაინც იცნობენ ჩვენს ყოფას. მაგრამ რა ხდება რეალურად ოჯახებში, არასოდეს გაუგიათ.

დანარჩენები, რომლებიც ქალაქგარეთა ვილებში ცხოვრობენ და არა ჩვენსავით ამ საზარელ კორპუსებში, სრულებით ვერ გვიგებენ. ყველა ეს აკრძალვა, მათი აზრით, სრული სისულელეა. თუ ცდილობენ რაიმეში გარკვევას, ჩვენ არ ვაძლევთ ამის საშუალებას:

– შეეშვი, არ გინდა ამაზე ფიქრი, მაინც ვერ გაიგებ.

ამას იმიტომ ვუბნებით, რომ სინამდვილეში, ასეთი ცხოვრების გვრცხვენია. ყველაზე ახლობელ მეგობარ გოგონასთანაც კი არ გტოვებს სირცხვილის გრძნობა. ეს სირცხვილი მრავალფეროვანია. სირცხვილი ჩვენი ცხოვრების წესის, სხეულის დამალვის, სასიყვარულო ამბების გამო. სხვებისთვის ქალწულობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემა არ არის, ჩვენში კი ნებაყოფლობითი ან მოპარული კოცნა დანაშაულია. სიყვარულის გამომხატველი უმცირესი ჟესტიც კი სავალდებულო მოკრძალების შეურაცხყოფაა.

იმ საღამოს მე არ ვიყავი ფრანგი შეყვარებული. კადერი მოვიდა, მე გავიმარჯვე. ეს იყო არაბი გოგონას სიამაყე. ჩემი გულისთვის რომ მიმეგლო ყური, ის სულ სხვა რამეს მეტყობდა.

შინ იმ საღამოსაც ქალწული დავბრუნდი. ვიცოდი, რომ არ დავნებდებოდი.

მეორე დღეს სურიას არ დაურეკავს. როგორც წესი, პაემნის მომდევნო დღეს მირეკავდა და მეც ვუყვებოდი, საღამომ როგორ ჩაიარა. ამიტომ თავად დავრეკე და ყურმილი დედამისმა აიღო:

– ახლა შინ არ არის.

კვირა დღეს, ნაშუადღევს სამ საათზე შინ არ არის? უცნაური იყო, არც ჩემთან შემოუვლია, არც დაურეკავს. რამდენიმე საათის შემდეგაც დედამისმა იგივე მიპასუხა და არც მე ჩავძიებვიარ.

მაგრამ საღამოს ძალიან შევწუხდი და ისევ დავრეკე.

– ლეილა, შინ არ არის, თავის დასთან წავიდა...

ეს იმას ნიშნავდა, რომ ნამდვილად რაღაც ცუდი მოხდა. სურია ვერ ეწყობოდა თავის მეტისმეტად მკაცრ და შეუვალ დას. გოგონებს ყოველთვის განსაკუთრებულად მძიბე შემთხვევებში გაარიდებენ სახლიდან და თანაც ზედმეტად მკაცრ გარემოში გამწესებენ ხოლმე. დედამისმა ნათლად მიმახვედრა, რომ აღარ უნდა დამერეკა. სამი დღის შემდეგ მაინც ვცადე, სურია ისევ არ იყო შინ, არც რაიმე აუხსნიათ, რატომ.

გადავწყვიტე, მისი შეყვარებული მენახა, იქნებ მას მაინც სცოდნოდა რაიმე. ჰოლში დავუდარაჯდი.

როგორც კი დამინახა, ჩემკენ გამოქანდა:

– ლეილა, სურია სად არის?

– არაფერი ვიცი!

– შაბათს რამე მოხდა? შენ ხომ მასთან იყავი?

– ჰო, მაგრამ რომ მოსაღამოვდა, წავიდი. რატომ მეკითხები, მოხდა რამე?

– ორივემ დიდი სისულელე ჩავიდინეთ.

მაშინვე გავიფიქრე, რომ სექსი ჰქონდათ და მშობლებმა ეს გაიგეს. მაგრამ უარესი მომხდარა!

– ახალი წასული იყავი, როცა მის სახლთან ჩავიარე. სურია დამიძახა, – ხუთი წუთით ამოდიო, მაგრამ ეს ხუთი წუთი ისე სწრაფად გავიდა, რომ თავზე მისი ძმა დაგვადგა.

– თვითონ გთხოვა ასულიყავი, თუ შენ შესთავაზე?

– არა, არა! თავად მთხოვა!

– შენც მისი მშობლების სახლში ახვედი, სადაც ყოველ წუთში ვინმე შეიძლება მოსულიყო! სახლში მართო თქვენ ორნი იყავით!

– ეს მხოლოდ ხუთი წუთით იყო... ცუდი არაფერი ჩავიდეინია! მაგრამ უცებ მისი ძმა დაბრუნდა. ბინის სიღრმეში რომ ოთახია, იქ დავიძალე, მაგრამ სურია ისე ანერვიულდა, მისი ძმა მიხვდა, რაღაც რიგზე არ იყო, მომძებნა და ვიჩხუბეთ. ვეცადე, მისთვის ამეხსნა, რომ მისი დის ცოლად შერთვა მინდოდა, მაგრამ გარეთ გამომაგდო! ახლა კი არ ვიცი, სად არის!

სწორედ ეს არის სირცხვილი – როცა შეყვარებულთან შინ მიდიხარ, მისი ოჯახის წევრები სახლში არ არიან და რომელიმე მათგანი უეცრად თავზე წამოგადგება. ჩემმა მეგობარმა უაღრესად სარისკო ნაბიჯი გადადგა. მეც კი ვერ გავბედავდი მსგავსი საქციელის ჩადენას. ქალიშვილმა კარი მამრობითი სქესის წარმომადგენელს არ უნდა გაუღოს. შინ უცხოს შემოშვება მხოლოდ მამას ან ძმას შეუძლია.

სურია თხუთმეტი დღის შემდეგ გამოჩნდა, ძალიან გამხდარი. მამამისს ხუთი დღის განმავლობაში ხელ-ფეხით საწოლზე ჰყავდა მიბმული, პირქვე იწვა, საჭმელი ძალიან თევზიდან უნდა აელოკა და ამიტომ არც უჭამია არაფერი. როცა ტუალეტში გაშვებას ითხოვდა, დედამისი პასუხობდა:

– მანდვე მოშარდე, მეტის ღირსი არც ხარ, იქნებ ჭკუაზე მოხვიდე...

მისი მშობლები წარმოშობით მაროკოს იმ რეგიონიდან არიან, სადაც ქალიშვილებს ურჩობისთვის თავს აჭრიან. რასაკვირველია, მის შეყვარებულს სასტიკად აუკრძალეს სურიას სახლის სიახლოვეს გამოჩენა, მისი შეხედვაც კი, ცოლად შერთვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ორივემ ღირსება შეურაცხყო, მაგრამ ამას გარდა კიდევ იყო დამამძიმებელი ფაქტორი: ვაჟი კაბილი, ალჟირელი გახლდათ.

სურიას დედას მისი თავიდან მოსაშორებელი არგუმენტები ჰქონდა, სრულიად უაზრო, მაგრამ მერე რა.

სურიას შეყვარებულის და გათხოვდა და სურიას დედა საქორწილო ნამცხვრების გამოსაცხობად მიიწვიეს, რადგან დედები ერთმანეთს იცნობდნენ. ახლა სურიას და მისი შეყვარებულის დაქორწინების შეუძლებლობას იმით ამართლებდა, თითქოს მას დასცინეს.

«ნამცხვრის გამოცხობა მთხოვეს! სინამდვილეში სურდათ, თავიანთი ვაჟი ჩემი ქალიშვილისთვის შეეხვედრებინათ! ეს ყველამ იცოდა ჩემ გარდა!»

მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. სურია ამ ბიჭს შემთხვევით შეხვდა, ოჯახმა ამ ურთიერთობის შესახებ არაფერი იცოდა. მათ ერთმანეთი გულწრფელად უყვარდათ.

ოჯახის ღირსებას კიდევ ერთი ფაქტი შეურაცხყოფდა: სურია გაბედა და შინ ბიჭი შეუმვა, რის გამოც მის ქალწულობაში დაეჭვდნენ. ამის ჩამდენი გოგონა ცოდვილია. კაცის სახლში შეშვება «ჰალამია» და არა «ჰალალი». ჰალალი ღვთისგან ნებადართულს ნიშნავს, ჰალამი კი ცოდვაა. მამასადამე, სურია ცოდვილი იყო.

გათავისუფლების შემდეგ სურია ღედამის «ტვინი ამოჭამა». ჩვენი უბნის ენაზე ეს იმას ნიშნავდა, რომ დანაშაული აპატიებინა ერთი პირობით: ჩემსავით მუშაობას დაიწყებდა და მთელ ხელფასს მას მიუტანდა. ასე მიჩუმდა ეს ამბავი.

მაგრამ სურია უკვე ფრთხილად იქცეოდა, რადგან მისი ძმები მუდამ უკან დასდევდნენ და უთვალთვალებდნენ. მათგან ერთი ნამდვილი გიჟი იყო, მეც კი მეშინოდა მისი, რადგან ჰალამის ჩადენაში რომ შევემჩინე, მაგალითად, სიგარეტის მოწვევისას ან მამაკაცთან მოსაუბრე, სურიას ჩემთან ურთიერთობას აუკრძალავდა. მაგრამ ასეთი შემთხვევა არასოდეს მისცემია! ერთმანეთის ნახვის უფლება რომ შეგვენარჩუნებინა, კარგ ნაცნობებსაც კი ნაკლებად ვენდობოდით. სიგარეტის საყიდლად მაღაზიაში შესული მის ძმას თუ მოვკრავდი თვალს, «სამფრანკიანი მარკები» ხელში ვტოვებდი იქაურობას.

კადერთან კავშირი იმიტომ გავწყვიტე, რომ პირდაპირ ბიჭთან ურთიერთობა არ შეგვიძლია, ოცი წლის ასაკშიც კი. ერთ ღელს მთხოვა, ამა და ამ დროს შინ დამირეკეო.

– კარგი, მაგრამ შინ უნდა იყო, არ მინდა, სხვამ აიღოს ყურმილი.

საუბედუროდ, ყურმილი მისმა დამ აიღო. დაშინებულმა, ტელეფონი გავთიშე. ძალიან გავბრაზდი, რომ მის გამო ასეთ რისკზე წავიყვი. შემდეგ მაინც დავრეკე. ზრდილობიანად, არაბულ ენაზე ვიკითხე:

– გამარჯობა, მაპატიეთ შეწუხებისთვის, შემიძლია კადერს დაველაპარაკო?

– ვინ ბრძანდებით, ჩემს ძმასთან საუბარი რომ გინდათ?

– მისი ნაცნობი ვარ სამსახურიდან. სამუშაოსთან დაკავშირებით მისთვის რაღაცის კითხვა მინდოდა... არ არის შინ?

ამ დროს გავიგე, შორიდან როგორ იყვირა ღედამისმა:

– ვინ არის ის მეძავი, კადერთან საუბარი რომ უნდა! ვინ არის ის ბოზი, ჩემს ვაჟს რომ უტრიალებს!

შემდეგ ყურმილი აიღო და იღრიალა:

– რას ფიქრობ? გგონია, ჩემი შვილი ცოლად შეგირთავს?..

ღანძღვა-გინების ნიაღვარში დავკიდე ყურმილი. არ მიცნობდა და ვერც გავცნობოდი, მისთვის უცხო ვიყავი... მხოლოდ ქალის ხმა, რომელმაც მის ვაჟთან დალაპარაკება ითხოვა! სწორედ ამიტომ, მისთვის მეძავი უნდა ეწოდებინა. გოგონა ბიჭს არ ურეკავს, ეს ჰალამია!

განრისხებული ვიდექი ჯიხურში. მისი და არ მიცნობდა და მაინც ისე მელაპარაკა, თითქოს ძალი ვყოფილიყავი. ღედამისმა ჩემზე არაფერი იცოდა და მეძავი მიწოდა! და ეს ბიჭი ამბობდა, რომ ვუყვარვარ და ცოლად შემირთავს? მისგან ბავშვები უნდა მყავდეს? და ყველანი ერთად არდალეგებზე მაროკოში წავიდეთ?

მუძღლებელი იყო. ერთმანეთისგან ორმოცდაათი კილომეტრით დაშორებული ორი ოჯახი, რომელიც ერთმანეთს არ იცნობს! ამ დაბრკოლების გადალახვას ამაოდ ვეცდებოდით: – ჩვენს ქორწინებას არ დათანხმდებოდნენ. ამას გარდა, მე წარმოშობით სხვა რეგიონიდან ვიყავი. დედამისმა უკვე გამოიკვლია, ვინ ვიყავი, ხოლო მამაჩემი არავითარ შემთხვევაში არ გამიშვებდა ორმოცდაათი კილომეტრით დაშორებულ ბინაში საცხოვრებლად... მნიშვნელობა არ ჰქონდა, მეყვარებოდა თუ არა...

ვიცოდი, დამირეკავდა და ყურმილი არ ავიღე. მამაჩემი მივიდა. მისი ხმის გაგონებისთანავე, კადერმა ტელეფონი გათიშა. ჯიუტად ყოველ ათ წუთში რეკავდა, მამაჩემმა მოსვენება დაკარგა. დაჟინებით შემომხედა:

– ეს ზარები უკვე ნერვებს მიშლის. ვინმეს შენთან საუბარი ხომ არ სურს, ჩემი ხმის გაგონებისთანავე რომ თიშავს ტელეფონს?

– კიდევ რა! სურიას გარდა არავინ მირეკავს. იქნებ რომელიმე შენს ვაჟს შეყვარებული ურეკავს! მე რა შუაში ვარ?

ტელეფონი ჩუმად გამოვრთე. მთელი ღამე არ მიძინია.

როცა მეორე დღეს ტელეფონმა დარეკა, მამაჩემი შინ არ იყო. დედაჩემს ვუთხარი:

– არ აიღო, სურია იქნება.

სასადილო ოთახში ჩავიკეტე.

– რა დაგემართა? გუშინ საღამოდან გირეკავ!

– ყველაფერი დამთავრდა. თავი დამანებე, შემეშვი, შენი ნახვა აღარ მინდა.

– ასე ნუ მექცევი! მე ხომ არ მილაპარაკია უხეშად, დედაჩემი იყო... ფეხებზე მკიდია დედაჩემი და ჩემი დები! ამაზე ნუ ბრაზობ, ყველანი არარაობები არიან... ერთადერთი ბიჭი ვარ და ყველა ჩემს დაცვას ცდილობს! დედაჩემს ვეჩხუბე, ვუთხარი, რომ შენთან ასე საუბრის უფლება არ ჰქონდა, შენ ღირსეული ოჯახის შვილი ხარ! დედაჩემმა თავისი ცხოვრება უკვე გალია. თუ ჩემს დებს სურთ, თავიანთი ცხოვრება თავად მოიწყონ. მე კი ჩემი ცხოვრება მაქვს და მინდა ის შენთან ერთად გავიარო!

– კადერ... ეს იმას ჰგავს, ტაჟინი ჯერ ცეცხლზე არ ჰქონდეთ დადგმული და უკვე იწვოდეს. ცოლად რომ გამოგყვე, ცხოვრება დამენგრევა...

მას ხუთი და და დედა ჰყავდა მისახელი. მეყოლებოდა ხუთი მული, ანჩხლი და შვილზე გადაფოფრილი დედამთილი. არაფერი გამოვიდოდა და ჯობდა ყველაფერი ახლა შეწყვეტილიყო, ვიდრე უფრო მეტად შემეყვარებოდა და საბოლოოდ, ყველაფერი ოჯახს მოკვეთით დასრულდებოდა.

– შენთან ერთად მინდა ცხოვრება! დაივიწყე ჩემი ოჯახი!

– აჯობებს, თუ დამივიწყებ, კადერ... დამანებე თავი.

კიდევ მირეკავდა, როცა ჩემი მშობლები ზაფხულში მაროკოში წავიდნენ. სურდა, ყველაფერზე დაუფარავად გვესაუბრა და ერთი შაბათ-კვირა ერთად გაგვეტარებინა. უარი ვუთხარი. მასთან მართლ დაჩენილი, თუნდაც ჩემი სახლიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული, ბევრს ვრისკავდი, შეიძლებოდა მას დავყოლოდი. ეს უარი ძალიან მძიმე იყო... მოწყენილი ვიყავი და ზოგჯერ თავს ვუბნებოდი: «ლეილა, ლაჩარი ხარ... მშობლებს უნდა დაელაპარაკო და უთხრა, რომ ის შენი ცხოვრების მამაკაცია. უნდა აიძულო, უნდა იბრძოლო, ის ხომ ასეთი გულწრფელი იყო!»

მხოლოდ ერთხელ ვცადე დედაჩემთან მის შესახებ საუბარი, მან კი მითხრა:

– ის ხომ ჩვენი რეგიონიდან არაა? ეს ძალიან ცუდია, ჩემო გოგონა!

არჩევანის საშუალება არ გვქონდა. ორივეს ოჯახი უნდა მიგვეტოვებინა და ერთმანეთის ანაბარა დავრჩენილიყავით. ამის ჩადენა კი ჩვენში უმეტესობას არ ძალუძს.

ჩემი სიყვარული სულ რამდენიმე თვეს გაგრძელდა, იმ წელს, როცა ოცი წელი შემისრულდა. არავის შეყვარება აღარ შემეძლო.

რაკი თავად ვთქვი უარი იმაზე, რისი განხორციელებაც შეუძლებლად მიმაჩნდა, მე, როგორც ბუზი, ობობას ყველაზე საზარელ ქსელში აღმოვჩნდი გამომწყვდეული.

ქმარი?

ჩემი ოჯახი არდადეგებიდან დაბრუნდა და აღარავინ საუბრობდა მაროკოში, ჩვენს სახლში ჩემი ხელის სათხოვნელად მისული პრეტენდენტების შესახებ. მამასადამე, «საქმე» თავიდანვე გადაწყვეტილი იყო. დედაჩემმა მხოლოდ ის მითხრა, რომ სტუმარი გვეწვეოდა. მამაჩემმა დაამატა, რომ მასპინძლობის ყველა წესის დაცვით უნდა მიგველო.

ჩვეულებრივად ვაგრძელებდი ცხოვრებას და მუშაობას, სტუმრის ამბისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია და შემოდგომაზეც კი არ ვიყავი ბაიბურში.

კვირა საღამოს დაგვადგა თავს.

იმ დროს ჩემი ერთ-ერთი ძმის შეყვარებული მშობლებმა მუსლიმთან ურთიერთობისთვის სახლიდან გააგდეს. მამაჩემმა ის ხელგაშლილმა მიიღო. ვერ ვბედავდი წარმომედგინა მისი რეაქცია, მე რომ მეთხოვა ჩემი შეყვარებულის სახლში მიყვანა. ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა! ვაჟს შეუძლია თავისი ბედი არამუსლიმს დაუკავშიროს, გოგონას – არავითარ შემთხვევაში!

გარდა ამისა, მელისამ გადაწყვიტა, ისლამი მიეღო, ის დამორჩილდა ოჯახში მიღებულ წესებს, არდადეგები მაროკოში მათთან ერთად გაატარა. სიცოცხლეში პირველად ოჯახში მეგობარი მყავდა. მას ჩემს ოთახში ეძინა, რადგან ჯერ დაქორწინებულები არ იყვნენ. მელისა ყველამ გულდიად მივიღეთ, მე – ყველაზე მეტად. სახლის სამუშაოს ერთად ვაკეთებდით, ერთად ვიცინოდით ათას სისულელეზე.

შემოდგომის მიწურულის ერთ საღამოს ტელეფონმა დარეკა. მამაკაცის ხმამ მამაჩემი იკითხა.

– მამა, შენ გკითხულობენ, ვიღაც მუსაა.

დედაჩემი უჩვეულოდ აღელდა.

– მუსა, მუსა? მართლა მუსაა? ეს ის არის, მაროკოში სტუმრად რომ მოვიდა.

– აჰა, გასაგებია...

გარეგნულად არაფერი შემიმჩნევია, თუმცა სასო წარმეკვთა. აქამდე ხელის თხოვნის შესახებ საუბრებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი ან მშობლებისთვის არ იყო ეს ძალიან მნიშვნელოვანი და არც მე ვაქცევდი დიდ ყურადღებას. ახლა კი ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ დაგებული ხაფანგი, სხვებისგან განსხვავებით, ნამდვილი იყო. დასაძინებლად ისე წავედი, თითქოს არაფერი მომხდარიყო, მაგრამ შინაგანად ვკანკალებდი.

რატომ ჩამოდიოდა? ნუთუ მშობლები მას უკვე შეუთანხმდნენ და მე არაფერი მითხრეს? ჩემს სანახავად მოდიოდა? გასაყიდი საქონლის შეფასება სურდა? თუ ასეა, ყველაფერს გავაკეთებდი, რომ შთაბეჭდილებს წამეხდინა. უკვე საწოლში ვიყავი, როცა დედაჩემმა მიყვირა:

– ლეილა! მოდი, მომეხმარე! სტუმარს უნდა ვუმასპინძლოთ.

– არა, არ მოგეხმარები.

– ახლავე მოდი, ლეილა, და ხელი წამაშველე! გეუბნები, მოდი-მეთქი!

– არა, დაღლილი ვარ, ხვალ ვმუშაობ, ასე რომ, ვერ დაგეხმარები.

დედაჩემმა ის გააკეთა, რაც ევალეობოდა, გვარიანად საქმეს მარტო შეუდგა. არ უნდოდა, შინ უცნობის მოსვლამდე მამაჩემი აედელვებინა. სანიმუშო მეუღლემ ქმარი არ უნდა ანერვიულოს საშინაო საქმეებით, ეს არ არის წესი. მარტომ მოამზადა მეფის საკადრისი ვახშამი, რომლის სურნელს სულ უფრო და უფრო შემფოთებული ვიყნოსავდი და მელისასთან ვტრიაბახობდი:

– არაფერსაც არ გავაკეთებ! მძინავს!

მამაჩემი შუალამისას სადგურზე დასახვედრად წავიდა, დედაჩემი კი ჩემს ასამოძრავებლად შემოვიდა.

– ადექი, ადექი! ჩაიცვი, დაივარცხნე, სტუმარს უნდა დახვდე!

საწოლში ნელა გადავბრუნდი, თითქოს არაფერი მაინტერესებდა.

– მაპატიე, მაგრამ არა! ჩემი ნახვა არაფრად სჭირდება, მე მისი – მით უმეტეს! არა-მეთქი.

ამჯერად ყვირილი დაიწყო:

– ახლავე ადგები! და რაც შეიძლება სწრაფად! სადაცაა, მამაშენი მოვა, ისიც!.. გაფრთხილებ, ლეილა... თუ მათი მოსვლის დროისთვის ჩაცმული არ იქნები, ინანებ!

ასეთი ანერვიულებული დედაჩემი არასოდეს მინახავს. სტუმრის დასახვედრად გამოსაწყობად ისე სწრაფად გაეშურა, ჩემი თმის მოქაჩვაც კი დაავიწყდა. კარში გასულს ყვირილით დავადევნე:

– არა!

მელისამ მორიდებით სცადა ჩარევა:

– ლეილა, რა მოხდება, თავს ცოტა ძალა დაატანო? დახვდები, ყველა დაწყნარდება და მერე მშვიდად იტყვი: – არა, მას ცოლად არ გავყვებიო...

– შენ ამაზე წარმოდგენა არ გაქვს! ამათ წესიერად არ იცნობ... მის ნახვას რომ დავთანხმდე, დავიღუპები!

– არა, არა... რას ამბობ!

– ვიცი, რასაც ვამბობ! თუ თვალი მომკრა, ჩემთვის ყველაფერი დამთავრებული იქნება!

მელისა ფრანგია, მან გადაწყვიტა, ჩემს ძმას მისთხოვებოდა... მის მშობლებს არ დაუძალებიათ, ვინმე უცნობს გაჰყოლოდა ცოლად. რასაკვირველია, მამამისმა არჩევანის გაკეთება სთხოვა: ან ჩემი ძმა, ან ოჯახის დატოვება... მელისამაც ოჯახს ზურგი აქცია. ასე აღმოჩნდა ჩვენთან. მაგრამ მას არჩევანის თავისუფლება მაინც ჰქონდა...

ჩემთვის ესეც კი ფუფუნება იყო. მამაჩემი ალბათ შინ ჩამკეტავდა! ვიცი, როგორ ექცევიან ჩემნაირ გოგონებს. ოცი წლის ვიყავი, სახლიდან ორჯერ გავიქეცი, ურჩი ვიყავი, მიყვარდა სახლის გარეთ ყოფნა, სიგარეტს ვწეოდი და ღამით ვმუშაობდი, თავის მოკვლაც ვცადე... ნამდვილად არ ვიყავი ისეთი უნაკლო ქალიშვილი, როგორზეც ჩემი მშობლები ოცნებობდნენ. არ უნდოდათ, გადაწყვეტილება სარისკო გაეხადათ, ვაითუ, სასიძოს აზრი შეეცვალა; არც მე გამიმხილეს არაფერი, რომ თავში არ მომსვლოდა, ჩემი ქალწულობა სხვა ვინმესთან დამეკარგა!

ვიდრე საცოდავად ვებღაუჭებოდი ჩემს ბალიშს, მამაჩემი სტუმართან ერთად შინ დაბრუნდა, ხოლო მისი დახვედრის ცერემონიალი დედაჩემმა ყველა წესის დაცვით ჩაატარა.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, შემობრძანდით, ეს სახლი თქვენიცააო, და ა.შ.

თავს ლოცვასავით ვუმეორებდი, – ლეილა, თუ დაენახე, დაღუპული ხარ-მეთქი.

თავს არ ვენდობოდი, დარწმუნებული არ ვიყავი, რომ «არას» თქმას შევძლებდი. კარგად ვიცოდი, თუ მისაღებ ოთახში გავიდოდი, მშობლებიც და სასიძოც ჩემს ოფიციალურად გამოჩენას თანხმობად ჩათვლიდნენ, ამის შემდეგ კი ყველაფრის ჩაშლა ძალიან გამიჭირდებოდა.

– ლეილა, მოდი, ჩაი მოამზადე!

უმწეო გააფთრებამ შემიპყრო. «ჩაის მოამზადებ და ვერცხლის ლანგრით მიართმევ». ეს არის მორჩილი და კარგად აღზრდილი ქალიშვილის სიმბოლური ხატი, რომელიც მზადაა, მოემსახუროს ოჯახში შემოსულ პირველსავე კრეტიტს, რადგან ასე მოინდომეს მისმა მშობლებმა.

მთელი ჩემი ცხოვრება კაცებისთვის ამას ვაკეთებდი. მაგრამ ახლა ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაც უცხოს მიმყიდეს. ჩემი წინათგრძნობა ახდა. საკუთარი ბავშვობა და მოზარდობის ხანა გამახსენდა. სატანჯველად დავიბადე, ეს არასოდეს შეწყდებოდა, შეუძლებელი იყო, მშვიდად ვყოფილიყავი, მეცხოვრა ისე, როგორც მსურდა, არავის ენაღვლა ამ დაწყევლილი ქალწულობის გამო! სულაც არ მინდოდა მათი გამოწვევა, მხოლოდ ერთი სურვილი მკლავდა, მათთვის მეყვირა:

«ქალწული ვარ! შესაძლებელი რომ იყოს, ამკრძალავ ნიშანსაც დავიმაგრებდი! როცა მე ჩავთვლი საჭიროდ, მაშინ გამოვეთხოვები! ახლა კი თავი დამანებეთ, არაფერი მინდა!»

მაგრამ როგორ გავაგებინო? როგორ ვუთხრა: «ნუ ნერვიულობთ, საქალწულო აპკი თავის ადგილზეა, ასეც დარჩება! ვერ ხედავ, ბავშვობიდანვე რა მდგომარეობაში ვარ? სრულებით არ მინდა, ვიღაცას კისერზე ჩამოვკიდო, განსაკუთრებით, უცნობ მამაკაცს! თავი დამანებეთ, მომეცით საშუალება, ვიოცნებო, შევიყვარო, ავირჩიო!»

ჩემს მშობლებზე ამ სახის არგუმენტები არ ჭრიდა. ქალიშვილის აღზრდა აუცილებლად გათხოვებით უნდა დასრულდეს! მშობლების ვალია, ქორწინებამდე მიიყვანონ. გათხოვილზე უკვე ქმრის პასუხისმგებლობა ვრცელდება. მამა გათავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებისგან.

ჩემი ხელფასის ფასადაც კი ვერ ვიყიდე თავისუფლება. ასე მეგონა, ის დამიცავდა მოახლოებული ქორწინებისგან, მაგრამ შევცდი.

მელისა მამხნევებდა, – მიდი, საქმე არც ისე სერიოზულადააო.

იმის ეშინოდა, მამაჩემს არ ეჩხუბა ყველას თანდასწრებით. ბოლოს და ბოლოს, დედაჩემს დავეთანხმე, რომ ჩაის მოვამზადებდი, მაგრამ იქამდე, «მოწინააღმდეგე» უნდა შემეფასებინა.

– მელისა, ძალიან გთხოვ, მისაღებ ოთახში გადი და ის «კუნძი» შეათვალიერე.

– რა უნდა მოვიმიზეზო, იქ რისთვის შევდივარ?

– ვითომ აივანზე გაფენილ სარეცხს ამოწმებ, ან რაიმეს ხსნი, მერე ფანჯრიდან შეიხედე ოთახში...

– გაგიჟდი, იცი, რომელი საათია? დედაშენი მკითხავს, იქ რას აკეთებო!

– ძალიან გთხოვ!

მაგრამ არ გამიმართლა, ფანჯრის მინა დაორთქლილი იყო და დედაჩემის ზურგის მეტი ვერაფერი დაინახა. სიცილით დაბრუნდა.

– პირდაპირ მის წინ დგას, ვერაფერი დავინახე!.. ამდენს ნუ ნერვიულობ, შედი, შეხედავ, შემოგხედავს, და შენს გადაწყვეტილებას იტყვი: «არა!»

ჩაის მომზადება დავიწყე, რაც მისაღებ ოთახში ჩემი წესისამებრ შესვლისთვის აუცილებელი იყო. გულში გადავწყვიტე, შური მეძია და სამჯერ მეტი პიტნიანი შავი ჩაი ჩავყარე, რომ რაც შეიძლებოდა მწარე გამოსულიყო, შაქარიც დავაკელი. ძალიან კმაყოფილი ვიყავი ამ ხრიკით. მას ასე უნდა ეფიქრა: «ჩაის მომზადებაც არ იცის», და ეს ჩემი დაწუნების საბაბი შეიძლებოდა გამხდარიყო.

დედაჩემმა მაიძულა, ტრადიციული ბერბერული სამოსი ჩამეცვა, უნდოდა, ვარცხნილობა დამეყენება და მაკიაჟი გამომეყენებინა, მაგრამ გავჯიუტდი, თმა არც დამივარცხნია.

მელისა მიყურებდა და იცინოდა:

– ჩაით ნამდვილად უკმაყოფილო უნდა დარჩეს...

ვიდრე მისაღებ ოთახში ლანგარზე დაწყობილი ჭიქებით, ჩაიდნით, ნამცხვრებით შევიდოდი, არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჰოლში გავედი, სტუმრის ფეხსაცმლისთვის რომ დამეხედა. როგორც სხვა სტუმრები იქცეოდნენ, მანაც ფეხსაცმელი წინკარში დატოვა. და მაშინ... წინასწარვე ჩამოყალიბებული აზრი ჩემს გონებაში უზარმაზარ «არად» იქცა. არასოდეს.

ეს იყო შავი ტყავის, თასმიანი, მოდიდან გასული, ზემოდან პატარა ნახვრეტების ბადით დაფარული ფეხსაცმელი. საზიზღრობა! ბევრად ასაკოვან მამაჩემსაც კი შეუდარებლად უკეთესი გემოვნება ჰქონდა! ხელის მაძიებელი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა! მივხვდი, რა ტიპის კაცზე მათხოვებდნენ!

მაშინვე სამზარეულოში ჩაის ლანგრიანად დავბრუნდი.

– მელისა, საშველი არ არის, ნახე მისი ფეხსაცმელი?

– გადაირიე! ფეხსაცმლის სანახავად გახვედი?

იქამდე იცინა, ვიდრე თვალებზე ცრემლი არ მოადგა, მაგრამ მე სულაც არ მეცინებოდა.

– ის არ არის საჩემო კაცი. ეს ცხადი და თვალნათელია.

– კი მაგრამ, რა იცი, ჯერ არც კი გინახავს! შენ ხომ მარტო ფეხსაცმელი ნახე!

– ფეხსაცმელი მასზე ყველაფერს ამბობს. რაც ფეხსაცმელია, პატრონიც ისეთი ჰყავს.

– ჰო, მაგრამ, რა დიდი ამბავია, შეხვიდე და პატრონი ნახო! დამშვიდდი, ნუ ამოიჩემებ ფეხსაცმელს, ეს სისულელეა!

– მისი ფეხსაცმელი არ მომწონს, ესე იგი ისიც არ მომეწონება!

გავჯიუტდი. იმ დაწყევლილმა ფეხსაცმელმა თავზარი დამცა. ეს ტიპი სრული არარაობა იყო, ამას მისი მტვრიანი, მოდიდან გასული, უფორმო, საზიზღარი ფეხსაცმელი მოწმობდა!

– მელისა, ფეხსაცმელი მის პატრონს ჰგავს! ეს დეტალი მომიღებს ბოლოს. მათ უნდათ, ისეთ კაცს მიმათხოვონ, ასეთი მათხოვრული ფეხსაცმლით რომ დაიარება?

თავს ისედაც შეურაცხყოფილად ვგრძნობდი, გარდასული ეპოქიდან გადმონაშთად შემორჩენილ რიტუალში რომ უნდა მიმეღო მონაწილეობა. ახლა კი სრულიად გამაუფასურეს და ეს ყველაზე უარესი იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა... დიორის ფირმის მამაკაცის ფეხსაცმელი რომ დამენახა, ჩავთვლიდი, რომ ფულის ტომარას მიმყიდეს! ბოტასები რომ ცმოდა, ეს იქნებოდა «უმუშევარი გარეუბნელი», რომლის მიზანი ჩემი ფულის კაფეებში ხარჯვა იყო. არ

არსებობდა მამაკაცის ფეხსაცმელი, რომელიც ჩემს გემოვნებას დააკმაყოფილებდა და რომლის პატრონის ცოლობასაც მოვინდომებდი. საოცნებო მამაკაცს, რომელიც მინდოდა ერთ მშვენიერ დღესაც ჩემ გვერდით აღმოჩენილიყო, ფეხსაცმელი არ ეცვა! ასეთი მამაკაცი თავის ფეხსაცმელთან ერთად საერთოდ არ არსებობდა.

ან ეს ფეხშიშველი უფლისწული უნდა ყოფილიყო.

ეს კი, ეს უცხო, რომელიც ჩემს სახლში გუგულივით შემოიჭრა, თავისივე ფეხსაცმლის შესაფერისი იქნებოდა. ჩემი კომმარის სრულიად ხორცშესხმული არსება გახლდათ. ამას მისი ფეხსაცმელი მოწმობდა.

ჩემმა მშობლებმა კი ამ გულისამრევი ფეხსაცმლის პატრონი ზარ-ზეიმით მიიღეს, საბოლოოდ რომ მოეწამლათ ჩემი ცხოვრება!

მორევი მითრევდა: დაუსრულებელი კვირები უსიამოვნების, წვალების, ჩხუბის – იმისთვის, რომ «არა» მეთქვა. დაწყებულ საქმეს არ მიატოვებდნენ. თუ ეს მორევი ჩამითრევდა, თავს ვეღარ დავაღწევდი, მინდოდა მეთქვა – «არა», კიდეც და კიდეც – «არა»... და ვერ ვახერხებდი!

ლანგარი შევიტანე. როცა შემომხედა, მომინდა, მისთვის თავზე ჩაიდანი დამემხო, მაგრამ არ შემიხედავს, თავი შევაბრუნე და გამარჯობა ისე ვთქვი, ხელიც არ ჩამოვართვი წესიერად, არ გამიღიმია, ცივად შევტრიალდი და ოთახიდან გავედი.

განრისხებული ღელაჩემი სამზარეულოში დამეწია:

– ზედმეტი მოგდის, შეგეძლო, დამჯდარიყავი...

– ვის გვერდით დავმჯდარიყავი?

– შეხედე მაინც?

– არ მინდოდა შეხედვა, მისი დანახვაც არ მინდა! თვითონ ხომ მნახა? თქვენც ეს არ გინდოდათ? ჰოდა, მორჩა, აღარ დამანახვოთ.

და მართლაც, იმ საღამოს აღარც მინახავს. არაბი მამაკაცისთვის ეს დიდი დამცირებაა. მინდოდა მისთვის «ტვინი ამერიას». მსურდა, მეგრძნობინებინა, «თავი დამანებე, არ შემეფერები!»

მაგრამ არ მეშვებოდა. პირიქით. კატასტროფაც ნელ-ნელა დიდდებოდა. ის მაროკოდან სპეციალურად ჩამოვიდა, მაშასადამე, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

ოთახში მელისას წინ ვიჯექი და ვტიროდი, მხოლოდ ის მიგებდა:

– ჯანდაბა, ყველაფერი ყელში ამომივიდა! არ მინდა გათხოვება, არ მინდა.

– ნუ ჯავრობ, ლეილა, შენი მშობლები მიხვდნენ, რომ არ გინდა, ქორწინებაც არ შედგება.

– არაფერი გესმის, შენ ფრანგი ხარ და მეტისმეტად გულუბრყვილო... ჩემი ძმა არჩიე საკუთარ ოჯახს, მე კი მას ვერასოდეს დავტოვებ. სად უნდა წავიდე?

მან ჩემი გამხიარულება სცადა და მკითხა:

– სახეზე მაინც თუ შეხედე?

– არა, რა ჯანდაბად მინდოდა მისი სიფათის ნახვა! მე ხომ მისი ფეხსაცმელი ვნახე!

ეს ფეხსაცმელი სიმბოლოსავით ამოვიჩემე. ყოველთვის, როცა ამ ამბავს ვყვები, სხვებიც მელისასავით იცინიან, – კონკია უფლისწულს ფეხსაცმლით ეძებსო...

მათ მსგავსად გაცინება მხოლოდ ხუთწლიანი კომმარის გადატანის შემდეგ შევძელი.

იმ ღამეს ლოგინში გიჟივით ვწრიალებდი და ჩემს თავს ველაპარაკებოდი:

«დაუჯერებელია, ეს ჩემს თავს არ ხდება, არ მჯერა, არ მჯერა, არ მჯერა».

შემდეგ ვილოცე, ღმერთს დახმარება ვთხოვე. მაგრამ ღმერთი არ მპასუხობდა, თითქოს არ არსებობდა, ჩემი ერთი სიტყვაც კი არ შეისმინა.

დილით უფრო დამშვიდებული ავდექი. გადავწყვიტე, რაკი აქ რჩებოდა, მას არავითარ შემთხვევაში არ გადავყროდი.

შინიდან გასვლამდე დასაზვერად მელისას ვგზავნიდი.

– ნახე, ღერეფანში ხომ არ არის...

ასე ვიძვრენდი თავს მთელი თხუთმეტი დღე. მაგრამ მელისას ბოლოს მობეზრდა.

– მიდი და შენ თვითონ ნახე! ადექი და გასაგებად უთხარი არა! წინ დაუდექი და ყველაფერი მოურიდებლად მიახალე და ისიც უთხარი, აქედან აიბარგოს!

რატომაც არა? რატომ არ შემეძლო ამ ტიპთან პირისპირ საუბარი? მუდმივად ხომ ვერ ავარილებდი თავს! ციციქნა იმედი კიდევ მქონდა, რომ ჩემი მშობლები ასეთი ქცევით მიხვდებოდნენ ყველაფერს და ქორწინებას ჩაშლიდნენ. ვიმედოვნებდი, რომ მათ საკმარისად ვუყვარდი და ჩემს მდგომარეობას გაიგებდნენ. სინამდვილეში მისი ჩამოსვლა ხომ მათი ბრალი იყო, ამიტომ მათვე უნდა დაებრუნებინათ შინ. ამის იმედი მქონდა... ლაჩრული იმედი.

მუშაობას ვიმიზეზებდი, სინამდვილეში იმ დროს აღარ ვმუშაობდი. ავტოსკოლაში ჩავეწერე და მხოლოდ იქ დავდიოდი, დანარჩენს დროს ქალაქში ვატარებდი და არა შინ.

თხუთმეტი დღის შემდეგ ღედაჩემმა მითხრა:

– მამაშენმა ნერვიულობა დაიწყო, მუსა უნდა ნახო, არ შეიძლება ასე ძალღივით მოექცე, ანგარიში გაუწიე და დაეთანხმე.

– რას უნდა დავეთანხმო? რატომ?

– ლეილა, იცოდე, საქმე მამაშენთან გექნება!

არც ძმები დამდგომიან მხარში.

– სხვა არჩევანი არ გაქვს! როდემდე შეიძლება კაცი ასე ელოდოს, მადმუაზელი ღირსად როდის ჩათვლის, რომ ხმა გასცეს! ასე არ იქცევია!

ბოლოს, მამაჩემმა არაბულად მითხრა, რაც იმას ნიშნავდა, რომ არ ხუმრობდა:

– მისმინე, შვილო, ყველაფერი გარკვეული რომ იყოს. უკვე თხუთმეტი დღეა, მუსა აქ არის, თხუთმეტი დღეა, თავს არიდებ, თხუთმეტი დღეა, გელოდება. ახლა, ჩემი პატივისცემისთვის, შეხვალ მისაღებ ოთახში, მის გვერდით დაჯდები და ყველაფერზე თანხმობას ეტყვი.

იმ დღეს არჩევანი აღარ მქონდა. თავის შველის საშუალებაც არ იყო, შინიდან გასვლას არ დამანებებდნენ. სახლიდან გაქცევაც არ შემეძლო – არც სამსახური მქონდა, არც სადმე წასასვლელი ადგილი – გაქცევა რომც მომეხერხებინა, ისე მითვალთვალებდნენ, აუცილებლად დამიჭერდნენ. ჩემს ყველა ჟესტსა და საქციელს უთვალთვალებდნენ. «კამერა» დღე და ღამე შეუსვენებლად მუშაობდა. ამიტომ, ისღა დამრჩენოდა, რაც შეიძლება აუტანელ არსებად მომეჩვენებინა თავი, რომ ჩემი შერთვა გადაეფიქრებინა.

სახეში არ ვუყურებდი, თითქოს ოთახში არ იჯდა. ღედაჩემის ქოთნის ყვავილებს ვათვალთვალებდი. ათი თუ თხუთმეტი წუთი ხმა არ ამომიღია.

– როგორ ხარ, ლეილა?

– ...

– იცი, რისთვის ჩამოვედი?

– ...

– შემომხედე მაინც! შემომხედე!

ბრაზმა, სიძულვილმა, მისი შეურაცხყოფის გადაულახავმა სურვილმა შემიპყრო: «თავი დამანებე, აქედან მოშორდი, გაქრი ჩემი ცხოვრებიდან, არ მინდა შემოგხედო, აიბარგე!...»

მაგრამ ასე რომ მოვქცეულიყავი, სიკვდილი არ ამცდებოდა. მამაჩემი საშინლად მიმბეგვავდა. სცენარი წინასწარ ვიცოდი: ცემა-ტყეპა, შინ გამოკეტვა, ცემა-ტყეპა – აუცილებლად თავისას მიაღწევდა, თუ იქამდე თავს არ მოვიკლავდი. როცა მამაჩემი ბრაზდებოდა, არ ვიცოდი, სად იყო მრისხანების ზღვარი. ახლა კი მართლაც მეშინოდა, რომ ამ ზღვარს გადააბიჯებდა. იმ დროს ჩვენ შორის უკანასკნელი ბრძოლა იყო. მას ძალაუფლება ჰქონდა, რომლის დათმობას არ აპირებდა და მე კი თავის დაცვა არ შემეძლო. ერთი იმედიღა რჩებოდა: სასიძოს არ მოვწონებოდი და ჩემი ცოლად შერთვა გადაეფიქრებინა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ვერ ავცდებოდი ცემას. ჩემი საქციელით ოჯახს შევარცხვენდი და მამაჩემის ღირსებას ფეხქვეშ გავთელავდი.

მისაღებ ოთახში დედაჩემი შემომყვა. სტუმრისთვის უნდა მეცქირა, რადგან დედაჩემი იქვე იჯდა სახეგაბრწყინებული და თვალყურს მადევნებდა, როგორ მოვიქცეოდი. ისე უდარდელად იჯდა, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, არაფერს იმჩნევდა, თითქოს ამბობდა: «მიდი, დაელაპარაკე, შენი ხმა გაიგონოს»...

– აბა, ლეილა, რას ყვებოდი?

თითქოს ეს ტიპი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო!

– არაფერს.

ის იჯდა და წინ იყო გადმოხრილი, ცოტათი მსუქანი იყო, ჩემზე ბევრად უფროსი. ნამდვილად თავისი ასაკის, ოცდათხუთმეტი წლის შესაფერისი. საზიზღარი იყო და გარდა ამისა, სულელადაც მიმაჩნდა, ასე რომ სურდა აქამდე თვალთ უნახავი გოგონას ცოლად შერთვა და მის ხელიდან გაშვებას არ აპირებდა, თუმცა ხვდებოდა, რომ მე წინააღმდეგი ვიყავი.

წესით, მისი თავმოყვარეობა უნდა შელახულიყო. უბნის რომელიმე ბიჭს ასე რომ მოვქცეოდი, გაგიჟდებოდა. მას რომ ვუყურებდი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს კედელს შევეჯახე.

მოგვიანებით ბევრი ვიფიქრე... ერთი მხრივ, ის «ტრადიციას» იცავდა. თუნდაც ქალიშვილი უარობდეს, ამას მნიშვნელობა არ აქვს, გადამწყვეტი მამის სიტყვაა. მაგრამ ყველაზე მეტად მას საფრანგეთში დაქორწინება და მოქალაქეობის მიღება სურდა.

ზორბა იყო, მოწიფული, მხარბუჭიანი, არც ისე უშნო. თუმცა, ნამდვილად ძველმოდური, ის ხომ მაროკოდან იყო... ეს შემამსუბუქებელი გარემოებაა. ის კი არ მაიძულებდა გათხოვებას, არამედ მამაჩემი! აქ მხოლოდ მამაჩემის თანხმობით იყო, მისი ლოცვა-კურთხევით სურდა ჩემი ცოლად შერთვა. პირადად მასზე არც კი უნდა მომსვლოდა გული. ეს ტიპი იმას აკეთებდა, რასაც სხვა ასეულობით მისი თანამემამულე. მაროკოში ჩასულ ოჯახს ეწვია და სურვილი გამოთქვა, ცოლად შეერთო «მაროკოელი საფრანგეთიდან».

საშინელებაა, როცა არ შეგიძლია ვინმეს დალაგებულად მიმართო: «ყური მიგდე, ძალიან გთხოვ, ამას ნუ გააკეთებ; ვიცი, რომ ასეთი ჩვეულებაა, მაგრამ გთხოვ, მე ასე ნუ მომექცევი... დამდე პატივი!»

შეუძლებელია, მამის მიერ შერჩეულ საქმროს მიმართო. ამიტომ ეჯახები კედელს და ისღა დაგრჩენია, დანებდე.

დღეს რომ ვფიქრობ ამაზე, საკუთარ თავზე ვბრაზობ, რომ შემეძლოს, საკუთარ თავს სილასაც გავაწნავდი: «ლეილა, მაშინ, მისაღებ ოთახში, ვალდებული იყავი, გეთქვა, რომ არ გინდა მისი ცოლობა. მერე რა, თუ ცემა არ აგცდებოდა. ფანჯრიდან შეგეძლო გადახტომა და გაქცევა! სამუშაოს მერეც იშოვიდი, შენ ხომ ყოველთვის მუშაობდი. ამ გზით მაინც გადაირჩენდი თავს, ცოლად გაყვებოდი იმ კაცს, რომელსაც შეიყვარებდი. ასეთი დამცირებული აღარ იქნებოდი, ნივთივით მამის ხელიდან უცნობის ხელში აღარ გადაგცემდნენ». მამაჩემი ამ საქციელით წმინდა წყლის, სრულიად ჩვეულებრივ გაუპატიურებას მიმზადებდა.

მაშინ ყველა მეზიზღებოდა. ეს ჩვეულება! რატომ დავიბადე გოგონად! რატომ არ ვარ კაცი? მინდა არაბი ვიყო, ალაჰი მწამდეს, მაგრამ როგორც კაცს! კაცად რომ დავბადებულიყავი, ასე საშინლად არ ვიცხოვრებდი. და არასოდეს ვაიძულებდი ქალს – ცოლად გამომყოლოდა!

კარგად ვგრძნობდი, როგორ მიჭერდა ქსელის ძაფები. მარტო ერთი ობობა კი არ მწოვდა სისხლს, მთელი ოჯახი, სანათესავო, ბიძაშვილ-დეიდაშვილები, უბანი, თემი, ყველა ჩემნაირი პატარა ბუხის გასასრესად იყო მზად. მათ განძრევის საშუალება არ მომცეს, მუმიასავით შემფუთეს და ეს ტიპი ქორწილის ღამეს მშვიდად გადამსანსლავდა.

მეტისმეტად ძნელი იყო გაქცევის გადაწყვეტა, კარის გამოღება და თქმა: – ყველაფერს ვტოვებ, ოჯახს, სახლს, საბუთებს, ჩემს ცხოვრებას. სად წავალ? პოლიციაში? ეს მათ არ ეხებათ. არც ერთი ნაცნობი ოჯახი არ შემეფარებდა. სოციალური სამსახურიც არ მომაქცევდა ყურადღებას. ეს ხომ ოჯახური საქმე იყო და ჩარევა არავის სურდა!

საფრანგეთის მოქალაქე და სრულწლოვანი ვიყავი; თუ იძულებით გამათხოვეს, ეს მხოლოდ ჩემი ბრალია. მე დაუშვი შეცდომა. გულახდილად არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ ვეჭვობდი, ამ ტიპს ჩემზე მეტად საფრანგეთში მოწესრიგებული საბუთებით ცხოვრება

უნდოდა. და ეს უკვე ტრადიციად, ჩვეულებრივ ამბად იქცა, რატომაც არა? მან ჩემს მშობლებს უთხრა, რომ იქ იცხოვრებდა, სადაც მე მოვისურვებდი... ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, თვალთმაქცობდა და არ ამხელდა, რომ მისი მთავარი მიზანი მოქალაქეობის მიღება იყო! ამით იმასაც აგრძნობინებდა, რომ ქორწინების შემდეგ გაყრას არ აპირებდა. მამაჩემის ღირსებას ყველაზე მეტად ქმარგაყრილი ქალიშვილი შეურაცხყოფდა. აჯობებდა, შინაბერად დავრჩენილიყავი.

ზოგიერთები ქორწინდებიან, ერთად ცხოვრობენ, მოქალაქეობის მიღების შემდეგ კი იყრებიან. მაგრამ... ვხვდებოდი, მისი თავიდან მოშორება ადვილი არ იქნებოდა. მთელი უბედურება მე უნდა დამტეხოდა თავს.

მძულდა. მძულდა საკუთარი თავი და ჩემი მშობლებიც. ამით დასრულდა ჩემი, ახალგაზრდა ევროპელი ქალის ცხოვრება და ისევ იმ ტრადიციების ტყვე აღმოვჩნდი, რომელსაც კვებავს მამაკაცებისთვის განკუთვნილი ახალი შესაძლებლობები: ქალი = მოქალაქეობა = დაზღვევა = უმუშევრობის დახმარება!

მთელი ბავშვობა ოჯახების მიერ ტრადიციისამებრ მოწყობილი ქორწინებისგან თავის დაღწევას ვცდილობთ, ამგვარი ქორწინებების ამბებს ზღაპრებივით ვისმენთ და როცა ჩვენი დრო მოდის, ხელის ერთი დაკვრით თავადაც იმავე ხაფანგში აღმოვჩნდებით ხოლმე! რადგან ახლა მოთხოვნილება შეიცვალა. ამის მიზეზი კონფორმიზმია. მხოლოდ შენი თემის წევრს უნდა მისთხოვდე.

ამ შეხვედრის შემდეგ მამაჩემმა მაშინვე ოთახში გამიხმო. საუბრის, კომპრომისის შესაძლებლობა გამორიცხული იყო.

– შენი ქმარი მხოლოდ ის უნდა იყოს და სხვა არავინ, არჩევანი არ გაქვს.

ვეღარ ვსუნთქავდი, დარდი სულს მიხუთავდა. შემდეგ ჩემი ძმები ალაპარაკდნენ:

– ლეილა, უნდა დათანხმდე, ასეთ კარგ კაცს როდისღა შეხვდები. არჩევანი არ გაქვს...

შუამავალმა ბიძაშვილმა მაროკოდან დარეკა. სხვა ნათესავები, რომელთა არსებობაც აქამდე არც კი ვიცოდი, საფრანგეთის ყველა კუთხიდან რეკავდნენ, ტელეფონი არ ჩერდებოდა, ყველა ერთხმად მარწმუნებდა: «ჩინებული ქორწინებაა».

მამაჩემი კარგად მიცნობდა და ჩემი ხასიათის სისუსტეს ოსტატურად იყენებდა. ყველაფრის მიუხედავად, მიყვარს ჩემი ოჯახი. ძალიან მინდოდა, ეს ფესვი ამომეძირკვა, მათთან დამაკავშირებელი ძაფი გამეწყვიტა, მაგრამ ვერ შევძელი და დღესაც არ შემიძლია. ამ სიძულვილის მიუხედავად, მამაჩემი ჩემი მამაა, დეაჩემი – ჩემი დეა. ასეთი დავიბადე. ისევ ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ ოცი წლისას თავი უკვე ორმაგად ხნიერი მეგონა. მაშინ როცა ოცი წლის გოგონას მეგობრები ჰყავს, შინიდან თავისუფლად გადის, რესტორანში სადილობს, სალამოს კინოში ატარებს, თუ გათხოვილი არ არის, არშიყობს, სწავლობს, მოგზაურობს, უყვარდება... მე ჩემი უდიდესი მოზარდობის შემდეგ მხოლოდ ობობას ქსელში გაბმის უფლება მქონდა.

საქმრო ჩემი მშობლების ბინაში ცხოვრობდა, მათ ხარჯზე იკვებებოდა და ცივ ნიავს არ აკარებდნენ. თავის ფულს ხელუხლებლად ინახავდა, ელოდა, როდის მიიღებდა სანუკვარ საბუთებს და ყველაფერ დანარჩენს.

უიმედობისგან სასოწარკვეთილმა ტაქტიკა შევცვალე. მაკიაჟს კი არ ვიკეთებდი, სახეს მეძავივით ვითხუპნიდი: ჭახჭახა წითელი პომადა, ტუშის სქელი ფენა, მუქი სურმა და მთელ სახეზე ტონალური საცხის სამმაგი ფენა. ის, რასაც ადრე მორიდებით ვსაყვედურობდი ჩემს მეგობარ სურმას, ახლა ჩემი სტილი გახდა – მოტყეცილი და მოკლე ზედა სამოსი, გაშლილი და დახვეული თმა, სამი საყურე.

ჩემი მცდელობა ამაო იყო, უფრო და უფრო მოვწონდი. მეძავადაც არ მივაჩნდი. სიგარეტის კვამლმაც ვერ დააფრთხო. ჰოლში ვეწეოდი, შემდეგ შინ ავლიოდი და პირდაპირ სახეში ვასუნთქებდი. მერე ისევ მეორე ღერის მოსაწევად ჩავლიოდი და ასე გაუთავებლად. ამაოდ.

ერთხელ, ერთმანეთის უკეთ გაცნობის მიზნით, რესტორანში წასვლა შემომთავაზა. «არა, არა, დიდი მადლობა, არ მცალია, საქმე მაქვს», – ასეთი იყო ჩემი პასუხი. ყავის დასალევად, ბოულინგის ცენტრში, სადაც მინდოდა, იქ წასვლა შემომთავაზა. პასუხი ყოველთვის ერთნაირი იყო: «არა, არა, გმადლობ, არ მცლია».

მამაჩემს თვალცრემლიანმა ვუთხარი: «ის გააკეთე, რასაც ჩემთვის სასიკეთოდ მიიჩნევ». იმედი მქონდა, ეს სიტყვები დააფიქრებდა. რომ ვყვარებოდი, ამ ტიპს უკან მიაბრძანებდა.

სულ რამდენიმე წამით იმედი მომეცა, რომ ასეც მოიქცეოდა... მაგრამ მან მტკიცედ მომხვია ხელი და მიპასუხა: «მხოლოდ ის და სხვა არავინ, ჩემო გოგონა, არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება».

კიდეც ერთხელ დავმორჩილდი მის სურვილს, ჩემი ცხოვრება და მომავალი მას დავუთმე და ამით სიამოვნება მივანიჭე. არც იცოდა, როგორ მანადგურებდა. დარწმუნებული იყო, რომ ჩემს სასიკეთოდ, ჩემს დასაცავად, ჩემი ღირსების, ისევ და ისევ ამ დაწყვეტილი ღირსებისთვის ირჯებოდა!

ეს ადამიანი ჩვენს სახლში მამაჩემის თანხმობით ოქტომბრის ბოლომდე დარჩა. ერთ დღეს ქალაქის ცენტრში შემხვდა. სურმასთან ერთად ვიყავი. ჩემს ერთ-ერთ ძმასთან ერთად ყავის დასალევად დაგვპატიჟა. უარი ვუთხარი. სურამ მკითხა, – ვინ არისო.

– ჩემი ძმის მეგობარი... არის რა, – მივუგე.

შემრცხვა, ჩემი საუკეთესო მეგობრისთვის სიმართლე გამემხილა. მე, ვინც ამდენს ვქაქანებდი იძულებითი ქორწინების წინააღმდეგ და ვიფიცებოდი, რომ ასეთი რამ «არასოდეს» დამემართებოდა... კიდეც რაღაც სასწაულის იმედი მქონდა. რომ აზრს შეიცვლიდა, რომ მატარებლის კატასტროფაში დაიღუპებოდა, რატომაც არა...

მხოლოდ მეღისა ესაუბრებოდა, შემდეგ ჩემს დამშვიდებას ცდილობდა.

– ლეილა, ბოროტი სრულებითაც არ არის, იქნებ მასთან ბედნიერად იცხოვრო?

ბოლოს და ბოლოს, გაემგზავრა, რადგან მომავალი წლის გაზაფხულისთვის მაროკოში ტრადიციული საქორწინო ცერემონიალისთვის მომზადება უნდა დაწყებულიყო. შემდეგ საფრანგეთში დაბრუნდებოდა და აქაური ფორმალობა უნდა შემდგარიყო. მე არ ვიქნებოდი პირველი გოგონა, რომელიც ბატონი მერის წინაშე დაწითლებული თვალებით წარსდგა. სულელი არავინ არის, ყველამ იცის, რომ ეს სისტემა მუშაობს.

იქნებ რაიმე მომეფიქრებინა, რომ როგორმე თავი დამეძვრინა?

ათასმა რამემ გამიელვა თავში, ოღონდ ეს ქორწინება თავიდან ამეცილებინა. მაგალითად, შევხვედროდი ვინმეს და მას გავყოლოდი ცოლად... მაგრამ ასეთი რამის ჩადენა და მამაჩემის ამ ზომით შერცხვენა ნამდვილად არ შემეძლო. სხვა რა? პირველსავე შემხვედრს დავნებებოდი და ყველაფერი ოჯახისთვის მეთქვა? ეს კიდევ უფრო შეუძლებელი იყო. ეს რომ მექნა, მერე დარდი სიკვდილამდე არ მომასვენებდა. ვინმე რომც შემყვარებოდა, ცოლად არავინ შემირთავდა.

ტვინი გამალებით მუშაობდა. დღისით და ღამით ბუზი შეუპოვრად ფართხალებდა. მისი წასვლიდან ათი დღეც არ იყო გასული, რომ მამაჩემს დაურეკა:

– ვიფიქრე, რაც უფრო მალე გავაფორმებთ მუსლიმური ქორწინების აქტს, მით უკეთესი იქნება. მშვიდად ვიქნებით და ნიშნობის მოწყობაც შეიძლება.

მამაჩემის აზრით, ის ცოტათი აჩქარდა... მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ფინანსების საკითხი იყო. მაშინ მეორე მხარემ გამოსავალი იპოვა:

«მოგზაურობის ხარჯს მე ავიღებ ჩემს თავზე, საფრანგეთში ჩამოგაკითხავთ, თქვენ ჩემთან ერთად დაბრუნდებით, ქორწინების აქტს გავაფორმებთ და თუ ერთად დაგვინახავენ, ხალხის თვალში ყველაფერი რიგზე იქნება, რადგან ჩემი ოფიციალური ცოლი იქნება!»

მათ საუბარს ვისმენდი, ტელეფონი დერეფანში იყო. მამაჩემს რაიმეს ახსნით თავი არც კი შეუწუხებია.

– მოემზადე, თხუთმეტ დღეში მაროკოში წახვალთ შენ და დედაშენი!

– კი მაგრამ, რატომ?

– საქორწინო ხელშეკრულებას გააფორმებთ.

– მოიცა, მამა, ხომ თქვა, გაზაფხულზე. ასე რატომ ჩქარობს? ჩემი ძმები არ უნდა დაესწრონ?

– რაც უფრო მალე მოხდება, მით უკეთესია, ყველა დამშვიდდება!

ამ საუბრიდან გამგზავრებამდე ორი კვირა ტირილით თავს ვიკლავდი. ორი კვირა... რა გამოსავალი უნდა მეპოვა ასეთ მცირე დროში?

ჩემი საქციელით დავჯილდოვდი. ჩემმა საქმრომ აღბათ ასე იფიქრა: «თუ მალე არ მოვაგვარე ყველაფერი, ეს გოგო ხელიდან გამისხლტება...»

სასწრაფოდ ჩამოვიდა და ყველანი ჩვენს მანქანაში მოვთავსდით. ის წინ, მამაჩემის გვერდით იჯდა. დედაჩემი შუა სკამზე, ჩემს ერთ-ერთ ძმასთან ერთად, მე სულ უკან, რაც შეიძლება შორს.

მთელი გზა, საფრანგეთისა და ესპანეთის გადაკვეთისას, მეძინა. ხმა ვერ ამომადებინეს, არაფერს ვჭამდი. ვოცნებობდი ავტოკატასტროფაზე, იმ სამყაროში მაინც აღარ დავითანჯებოდი. ან აჯობებდა, მხოლოდ მე თუ გადავრჩებოდი... ან მხოლოდ ის რომ მომკვდარიყო! ოჯახები დაიტირებდნენ, მე კი მის სახელს აღარ გავიგონებდი. გათხოვებამდე დავქვრივდებოდი! ნელ-ნელა, მდუმარედ გადავდიოდი ქუიდან. რაზეც ვოცნებობდი, ვერაფერს ვეღირსე. ვერც მამის სიყვარულს, ვერც მამაკაცების პატივისცემას, ვერც

თვალწარმტაც უფლისწულს, ასე რომ ველოდი, ვინც სადმე შორს წამიყვანდა, ჩემთან ერთად გაიზიარებდა ყველაფერს, არდადეგებზე ოჯახთან შეხვედრის საშუალებას მომცემდა და დანარჩენ დროს... დამაცდიდა სიცოცხლეს!

მსურდა, ღმერთს ჩემს ნაცვლად მოეგვარებინა ყველაფერი, ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, თავი დამნაშავედ, პატიმრად, თავმოძულებულ არსებად არ მეგრძნო, რომლის სიცოცხლეს ფასი არა აქვს. ჩემი ლოცვების მიუხედავად, ღმერთი არ მეხმარებოდა.

მანქანაში, ჩემს სიჩუმეს თუ არ ჩავთვლით, ნორმალური ატმოსფერო იყო, მამაჩემი მას კარგად შეეწყო. გახარებულ დედაჩემს ეს ყველაფერი ეამაყებოდა. ჩემი ხმა არ გაუგიათ და ამას არც კი შეუწუხებია რომელიმე. ალხესირასში გემზე ასულ «ბატონ მუსას» ეგონა, რომ ყველაფერი რიგზეა, ყველა ბედნიერი იყო, კოცნის უფლება ჰქონდა და გადარეული შეყვარებულებივით უნდა მოვექცეულიყავით... მიჯნურის თვალებით რამდენჯერმე გემბანზე გასეირნება შემომთავაზა!

– არა, არა, ჯერ დაქორწინებულები არ ვართ!

ტრადიციების ენაზე ეს ნიშნავდა: «არ მომიახლოვდე, არ მომეკარო! ის მცირე დრო, რაც დამრჩა, მე მეკუთვნის».

გემბანზე ყოფნისას ჩემ გვერდით დაჯდომის უფლებასაც კი არ ვაძლევდი, თუმცა ადგილი თავისუფალი იყო. მაშინვე ჩემს უმცროს ძმას ჩავავლე ხელი და გვერდით მოვისვი.

– ეს ადგილი დაკავებულია, აქ ჩემი ძმა ზის.

ბავშვურად და უიმედოდ ვაგრძელებდი წაგებულ ბრძოლას. ადრე თუ გვიან ეს უცნობი შემეხებოდა, მაკოცებდა, ლოგინში ჩამიწვენდა.

ვცდილობდი, ამაზე არ მეფიქრა... ფიზიკური ზიზღი მქონდა. ის სულელი არ იყო, ყველაფერს ხვდებოდა და ჩემი ასეთი ქცევა არც დავიწყებია. არც სხვებზე მახინჯი იყო და არც მათზე უარესი, უბრალოდ, ჩემთვის ის არსებული სისტემის სიმბოლო გახლდათ.

მოგვიანებით, ზოგიერთმა ქალმა მომიყვა, რომ მათ ამგვარად თავს მოხვეული ქმრების შეყვარება შეძლეს. ჩემთვის ეს წარმოუდგენელი იყო. წლების განმავლობაში იმდენი აკრძალვა და ძალადობა დაგროვდა ჩემს ცხოვრებაში, რომ უკარებად ვიქეცი, მხოლოდ მე უნდა დამერთო ნება, ვყვარებოდი და შემეხებოდნენ.

საზღვრის გადაკვეთა ყოველთვის ანეკლოტია. «ნებადართული» ერთი ხალიჩის ნაცვლად ორი რომ გადაიტანო, საფასურის გადახდაა საჭირო. ნამდვილი კომედია გაიმართა, რაზეც გულიანად ვიცინებდი, მაგრამ ამჯერად ნერვებმა მიმტყუნა.

– დედა! რა ჯანდაბად იყიდე ხალიჩა საფრანგეთში, თანაც ორი?

– ნიშნობისთვის! ერთი ჩვენთვის, ერთიც მუსას ოჯახისთვის, ასეთი წესია!

– მაშინ ადექი და ფული გადაიხადე!

– არავითარ შემთხვევაში! უხეშად მომექცნენ! ახლა ცუდად გავხდები...

– შეწყვიტე! ისლა გაკლია, ლოყები ჩამოიხოკო!

დიდი სურვილი მქონდა, ვინმესთან მეჩხუბა, თუნდაც მასთან, რომ გაეგო, მორიდება არ მაძლევდა ნებას, მეყვირა: «ხალიჩები მაროკოშიც არის და ბევრად უკეთესიც. ვის რად უნდა სამას ფრანკად ნაყიდი ეს აკრილის საზიზღრობა!»

მაგრამ ეს «სიძის» ხალიჩა იყო. ბოლოს, მამაჩემი იძულებული გახდა, მოთხოვნილი თანხა გადაეხადა, თორემ იქ უსასრულოდ ვიდგებოდი და ერთ ხალიჩასაც დავკარგავდი. ისიც გაუჩერებლად ლაპარაკობდა ქორწილზე, ოჯახზე, ამაზე, იმაზე... მასაც უხეშად მივმართე, რომ

მიმხვდარიყო, სინამდვილეში ამის თქმა მსურდა: – ამდენს რატომ ლაპარაკობ, როცა მშვენივრად იცი, ფული უნდა გადაიხადო! შეელიე, ესეც წესია! მდიდრები ვგონივართ, იმიტომ რომ საფრანგეთიდან მოვდივართ!

დედაჩემს მთელი საბარგული სავსე ჰქონდა: ფორთოხლის წვენი, ხილი, დრაჟე და ტკბილეული...

და კიდევ მისი ქალიშვილი, კიდევ ერთი პაკეტის სახით!

დადგენილი წესის მიხედვით, სასიძოს მშობლები საპატარძლოს სახლში მიდიან, რომ ოფიციალურად, ითხოვონ ქალის ხელი. დედამთილი ნამდვილი როკაპი იყო! დედაჩემიც კი ეჭვის თვალით უცქერდა. მას თავზე მუსლიმური ფერადი თავსაბურავი ეხურა, შუბლს, ცხვირსა და ნიკაპს ტატუ უმშვენებდა. ასპიტის გამოხედვა ჰქონდა, რომელიც გარემოს ზვერავეს, პირველ რიგში – მე!

თეთრ ჯელაბაში, ქუდსა და ტყავის უძირო ფეხსაცმელში გამოწყობილი სიმპათიური მამა მდიდარი, მაგრამ თავმდაბალი ოჯახიდან იყო. არაჩვეულებრივად თავაზიანი და მშვიდი აღმოჩნდა. ჩემი სამაზღოებიც კარგები იყვნენ, მათი სასაყვედურო არაფერი მეტქმის. მუსა ოჯახის უმცროსი და უცოლო ვაჟი იყო. მისი ახალდაქორწინებული უფროსი ძმა ცოლთან გასაყრელად ემზადებოდა, რადგან რძალი დედამისს არ მოეწონა! ეს ცუდი ნიშანი იყო. ჩემი დედამთილი იმ კატეგორიის დედამთილებს მიეკუთვნებოდა, ყველა რძალი რომ სძულთ. მისი საიდუმლო მალე გავიგე: პირველი ქორწინება იმით დასრულდა, რომ ქმარმა გააგდო; მისი ამჟამინდელი მეუღლე ოჯახს ბიძაშვილად ერგებოდა და ღირსების გადასარჩენად შეირთო ცოლად. ახლა ეს ქალი სამაგიეროს რძლებს უხდიდა და ვაჟიშვილებს მათ გაგლებას აიძულებდა.

თავით ფეხამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა. ასე მეგონა, თავისი წვრილი თვალებით სახის ყოველ ნაკვთს ჩხრეკდა. მამაჩემმა თავი უხერხულად იგრძნო, ეს ქალი, რომელსაც სახეზე ბოროტება აღბეჭდოდა, არც მას მოეწონა. ჩემი მამამთილი კი პირიქით, საუცხოო, პატივსაცემი ადამიანი იყო. ის დანახვისთანავე შემეყვარდა.

წესისამებრ მივესალმე და მაშინვე სახლის ბოლო სართულზე მამიდაჩემთან შევაფარე თავი. მათ აღარ ვუნახავარ. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი მოლაპარაკება «ადილების» [ისლამურ სამართალში ადილი ერთგვარი ნოტარიუსია. მისი მოვალეობა ყოველგვარი სახის ადმინისტრაციული აქტის დარეგისტრირებაა.] თანდასწრებით გასამართი რიტუალის შესახებ საპატარძლოს გარეშე მიმდინარეობს. მოლაპარაკების დროს ფულზე, სამკაულებზე, ხალიჩებზე, პურმარილზე საუბარი, პატარძალი არავის აინტერესებს.

საბედნიეროდ, მთის სოფელში ბაბუას მოსანახულებლად წავედით. ის დედაჩემის მამა და ძალიან მიყვარს, ამიტომ სიხარულით წავეყვი.

ბერბერების მიწაზე ერთი დღე-ღამე დავრჩი. წვიმდა, მანქანა ტალახში ჩაეფლო, დედაჩემმა კოჭი იღრძო და სამკაული დაკარგა... გათვალისწინებულზე მეტხანს დავყოვნდით და ეს მაშინ, როცა ქორწილის სამზადისი იყო გაჩაღებული! ცრუმორწმუნე რომ ვყოფილიყავი, მიხვდებოდი, ყველა ნიშანი ეწინააღმდეგებოდა ამ ქორწინებას.

იმ ღამეს უცნაური რამ მესიზმრა. არათითზე ოქროს ბეჭედი მეკეთა. სიზმარში თეთრსამოსიანი, თეთრწვერა და ჩალმიანი კაცი გამომეცხადა. მითხრა:

– ლეილა, ნურაფრის შეგეშინდება, რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის დაგიცავ.

– ჩემი დაცვა გინდა, მაგრამ უკვე ძალიან დაგვიანებულია.

– ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

მეორე დღით ბეჭედი, რომელიც დაძინებამდე მარცხენა ხელზე მეკეთა, ჩემს მარჯვენაზე აღმოვაჩინე. ალბათ, ძილში თავად მოვიხსენი და მეორე ხელზე გადავიტანე.

ბაბუას სოფელი ისეთი გრძნობით დავტოვე, თითქოს სიცოცხლეში უკანასკნელი არდადეგები დასრულდა. მიყვარს მთებში ჩაკარგული ეს პატარა სოფელი. იქ ვერ ვიცხოვრებდი, ძალიან ვარ შეჩვეული ელექტრობასა და ონკანიდან მომდინარე წყალს. მაგრამ ამ ამაცი, უდრეკი ბუნების მოხუცის გვერდით თავს დაცულად ვგრძნობდი.

– შენი საქმრო კარგი კაცია?

– კარგი ოჯახიდანაა, ბაბუა...

მისმა პატივისცემამ არ მომცა საშუალება, დამეჩივლა. ვერაფრით დამენმარებოდა, მე მხოლოდ შვილიშვილი ვიყავი. მთავარი მამაჩემის სიტყვა იყო, ის განაგებდა ჩემს ცხოვრებას.

ქალაქში დაბრუნებული ისევ ამ დაწყვეტილი ქორწინების მზადების ორომტრიალში აღმოვჩნდი. მუსას ბეჭდებისა და სხვა სამკაულების საყიდლად უნდა წავყვანე. დარდით ღონეგამოცლილი ვიყავი. ამას ყველა ხვდებოდა, მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მამაჩემის თანდასწრებით მხოლოდ «არას» გავიძახოდი, კიდევ მქონდა იმედი, რომ რამე შეიცვლებოდა.

– მუსას არსადაც არ წავყვები, ყველაფერს თვითონ მიხედოს! ფეხებზე მკიდია! აღარ შემიძლია!

– კი მაგრამ, როგორ უნდა იყიდოს! სამკაული ხომ შენ უნდა ატარო!

– არაფრის ტარებას არ ვაპირებ! რაც გინდათ, ის ქენით, მიმიფურთხებია ყველაფრისთვის!

მამიდაჩემის მფარველობით ვსარგებლობდი, მამაჩემს მისი დიდი რიდი ჰქონდა. გარდა ამისა, მე უკვე კაცის «საცოლედ» ვითვლებოდი, ამიტომ ბუხს ვერავინ ამიფრენდა, საქმროს კი ამის უფლება ჯერ არ ჰქონდა...

– ლეილა! ჩაიცვი, მე წამოგყვები მუსასთან ერთად! ბეჭდის საყიდლად აუცილებლად უნდა წახვიდე!

– ბეჭდის ამბავი გაწუხებს? აჰა, ეს ბეჭედი შესანიშნავად მერგება, ეს წაიღოს და ახალი ამ ზომისა იყიდოს, როგორც უნდა, ისე მოაბას თავი.

– წამოხვალ!

მიუხედავად იმისა, რომ საცოლე ვიყავი, განრისხებული იყო და შესაძლოა, არც ცემას მორიდებოდა. კარგად მიხვდა, ფეხებზე რომ მეკიდა. მამიდაჩემმა ჩუმად მანიშნა, დავმორჩილებოდი. მაგრამ ცივი უარი განვაცხადე მუსასთან ერთად მარტო წასვლაზე.

– მთელი ცხოვრება ტვინი გამომილაყე, რომ კაცთან მარტო დარჩენა არ შეიძლება, ახლა გინდა, რომ საყიდლებზე მამაკაცთან ერთად წავიდე! ვინმე უნდა გამაყოლოთ!

უკანასკნელ წუთამდე ვცდილობდი, მასთან ურთიერთობა თავიდან ამეცილებინა.

– დაჯექი და კარი მიხურე!

მამაჩემმა ტაქსიში საქმროს გვერდით დამსვა. მასთან ასეთ სივიწროვეში პირველად მოვხვდი. ისეთი დაძაბული ვიყავი, მთელი სხეული მტკიოდა. ჩემზე შთაბეჭდილება რომ მოეხდინა, სრულიად გამოცვლილი იყო და ელეგანტურად გამოიყურებოდა, ქოლგაც კი წამოეღო, თავი ნამღვილ ჯენტლმენად რომ გაესაღებინა.

ვფიქრობ, მიხვდა, როგორ მძაგდა. ყოველთვის, როცა მოახლოებას ცდილობდა, ზიზღით უკან ვიხევდი. მანქანის ვიწრო სივრცით სარგებლობდა, მე კი ცუდად ვიყავი. აქამდე ჩვენ შორის ფარად ან ჩემს ძმას, ან ბიძაჩემს ვიყენებდი. ვიდრე ქალი არ გათხოვდება, მას სხეულზე უცხო მამაკაცი არ უნდა შეეხოს. ახლა კი თითქმის მიკრულეები ვისხედით. თითოეულ რომ გაეტოკებინა, სილას მიიღებდა, თუმცა კარგად ვიცოდი, ამ სამასხარაო ქორწინების მიზანი რაც იყო და ადრე თუ გვიან, თავისას აისრულებდა.

სამკაულების მაღაზიაში მუსას რძალი წამოგვყვა, მდიდარი ბურჟუა ქალბატონი, რომელიც მოსამსახურეებისთვის ბრძანებების გაცემას იყო ჩვეული და მედიდურად ამათვალისწინებდა:

– ეს არის მუსას ცოლი?

შეძლო, ასეც ეთქვა: «ეს არარაობაა?» როგორ მინდოდა მთელი ჯავრი მასზე ამომეყარა...

საფრანგეთიდან ჩასული, მუშის შვილი, ამ მდიდარი ადამიანების თვალში დიდი ვერაფერი გახლდით. ეს ქალი ლექტორი იყო, მამამისი – უნივერსიტეტის რექტორი, ერთგვარი «იშვიათი» ინტელექტუალების წრიდან. მათ თვალში გარეუბნელი გოგონა ვიყავი, რომელიც ჭურჭლის რეცხვას უფროა შეჩვეული, ვიდრე ვერცხლის ჭურჭლიდან ჭამა-სმას.

მაგრამ სწორედ ჩემი წყალობით უნდა მიეღო მუსას ის, რაც მისი ოჯახის მთელ ქონებას გადასწონიდა – საფრანგეთის მოქალაქეობა!

არც ჭამა შემეძლო და არც დაღევა: რაც უფრო ახლოვდებოდა ქორწინების დრო, მით მეტად მეკვროდა კრიჭა. სამკაულების საყიდლად წასვლამდე მხოლოდ ორი ყლუპი ჩაი დავლიე. მთავარი იყო, ისეთი ბეჭედი აგვერჩია, რომელიც მომეწონებოდა, უფრო მეტად კი, მუსას რძალს მოუვიდოდა თვალში! სინამდვილეში ჩვენ არაფერს ვირჩევთ და რასაც ყიდულობენ, იმის შესაკუთრეც კი არ ვართ. ნაყიდი საჩუქარი ვიტაც სხვას უნდა მოეწონოს. მალევე მივხვდი, მუსას რძალი იმიტომ წამოგვყვა, რომ ფული დაეზოგათ და რაც შეიძლება იაფად გამოსულიყვნენ. ჩემი საქმრო შესაძლოა მდიდარი იყო, მაგრამ ნამდვილი ძუნწი! ყოველთვის, როცა რამეზე ვამბობდი, რომ მომწონს, მაშინვე უარს მომახლიდა. ამიტომ გავიფიქრე: «აჰა, სეირს გიჩვენებ! თავბელს გაწყევლინებ! საფულე მოამზადე».

გამყიდველმა ფასი დაასახელა, მე კი უკმაყოფილოდ დავიმანჭე:

– სხვა რამეს ვერ შემომთავაზებთ? თუნდაც უფრო ძვირი იყოს, არ არის პრობლემა...

მუსა მოშორებით მელოდებოდა, მისმა რძალმა კი ოთხიათასდირჰემიანი ბეჭდის დანახვაზე შუბლი შეჭმუნხა:

– არა, არა, ეს ძველმოდურია, აი, ეს აილე.

ორი ათასი დირჰემის დაზოგვა უნდოდა, მაგრამ გავჯიუტდი, ამიტომ სხვა მაღაზიაში გადავინაცვლეთ. მუსას რძალი ვიტრინას ათვალისწინებდა და თქვა:

– აი, ეს ცული არ არის, შევალ, ფასს ვიკითხავ, დამელოდეთ!

უკან გახარებული გამოვიდა: – ნამდვილად არაჩვეულებრივია!

მაგრამ ვიტრინის წინ მდგარმა უდარდელად ვუპასუხე: – ვწუხვარ, მაგრამ სრულებით არ მომწონს.

ასე დამყავდა მაღაზიიდან მაღაზიაში ორივე. ვარსკვლავის როლი შევიფერე. დაე, რაც შეიძლება მეტი გადაიხადოს, ჩვენ შორის სამკაულების ამ ომში მთავარი ფული იყო. ეს ერთადერთი სფერო იყო, სადაც მას დაჯგაბნიდი, ის ჩამოყალიბებული ძუნწი გამოდგა.

საკუთარი თავით მეტად კმაყოფილი დავრჩი. ერთ-ერთი ყველაზე ძვირი ბეჭედი ავირჩიე ნიშნობისთვის და ასევე ბრილიანტებით მოოჭვილი საქორწინო ბეჭედი. თითქმის ექვსი ათასი დირჰემი ღირდა, რაც მაროკოში ძალიან ძვირი ფასია, მზითევისზე ძვირი!

საუბედუროდ, მეტის მოთხოვნა შეუძლებელი იყო. ნეტავ კარტიეს მაღაზიაში წასვლა შემეძლებოდა! მაშინ ნამდვილად მეტყოდა: «წალი, შინ დაბრუნდი...» კიდევ საყიდელი იყო სამაჯურები, საყურეები. ოქროს შვიდი სამაჯური ავირჩიე, ყველაზე ძვირიანი, მათგან ერთი უზარმაზარი იყო, ასევე შესაბამისი საყურეები. კიდევ შევიძინეთ მაროკოული ტყავის ქოშები და ოქრომკედლით მოქარგული სხვადასხვა ფერის კაბები. ვგრძნობდი, რაც უფრო ძვირიან

საქონელს ვირჩევდი, მით მეტად ცარიელდებოდა მისი საფულე. ტრადიციის თანახმად, მეც უნდა მეყიდა მისთვის საქორწინო ბეჭედი – ასე ჩემმა მამიდაშვილებმა გამაფრთხილეს, მაგრამ ფული განგებ დავტოვე შინ.

ნამდვილ მუსლიმს ოქროს ბეჭედი არ უნდა ეკეთოს, მხოლოდ ვერცხლის სადა ბეჭედს უნდა დასჯერდეს. სამასდირჰემიანი ვერცხლის ბეჭდის ნაცვლად ორასდირჰემიანი ოქროსი ავარჩიე... მისი ფასიც მუსამ გადაიხადა: «ვწუხვარ, არ ვიცოდი, თუ ფული უნდა წამომეღო...»

მამიდაჩემთან დავბრუნდით. ისე შევირბინე სახლში, არც მადლობა მითქვამს და არც კი დავმშვიდობებივარ. საზიზღრად ვიქცეოდი.

იმ დამეს არ მიძინია, მამიდაჩემს ჩახუტებული ცხარე ცრემლით ვტიროდი და ისიც ჩემთან ერთად ტიროდა:

– არ მინდა გათხოვება.

– ნეტავ შემეძლოს შენი დახმარება.

მეორე დღით საშინლად გამოვიყურებოდი. სალონში და ჰამამში წასვლა მაიძულეს. ყველა წესის დარღვევით მარტო წავედი. საკუთარ თავთან მარტო დარჩენა მსურდა, ვიდრე ბედი უცნობთან დამაკავშირებდა. შემდეგ ისევ მამიდას შევაფარე თავი, მასთან არაფრის მეშინოდა. დედაჩემი სტუმრებთან იყო. მესმოდა მხიარული შეძახილები, ჩემი დედამთილის ხმამაღალი სიცილი; ყველა კმაყოფილი იყო და უკვირდათ, რატომ ვიყავი ასეთ მოწყენილი და ყველას რატომ ვარიდებდი თავს.

მორცხვ ქალიშვილად ჩამთვალეს, რომელსაც ეძნელება მშობლებთან განშორება. ასე უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე კითხვები გაჩენილიყო ჩემი აშკარა ტანჯვისა და წინააღმდეგობის შესახებ. იმ ცხვარს ვგავდი, მსხვერპლად შესაწირავად სამსხვერპლოზე რომ მიჰყავთ; კუთხეში დამაბამდნენ, შემდეგ დანას მოიტანდნენ და ყელს გამომჭრიდნენ.

ყველაფერი უჩემოდ მიმდინარეობდა და ასეც უნდა ყოფილიყო. საპატარძლო თვალს არის მოფარებული, როგორც ძვირფასი საგანძური. მხოლოდ ქორწილის მიწურულს უნდა დაენახოს დამსწრეებს. მუსა გვერდით მომიჯდა. მამიდაჩემმა თავი უხერხულად იგრძნო და ოთახიდან გავიდა. მან ამით ისარგებლა და კოცნა სცადა.

– არა, არ შეიძლება, ჯერ დაქორწინებულები არ ვართ

– შენი ვერაფერი გამიგია, ეს ხომ რამდენიმე წუთში მოხდება.

გაბრაზდა, მაგრამ მაინც წამოდგა და ოთახიდან გავიდა. მე კი ისევ ავტირდი. ეგონა, სამკაულების ფასად მიყიდდა: «მე მათში ფული გადავიხადე, ამიტომ შეხების უფლებაც მაქვს!»

როცა ჩემს სანახავად მამაჩემი შემოვიდა, აქვითინებულმა ხელები, შუბლი, ფეხები დავუკოცნე, დაჩოქილი ვევედრებოდი:

– მამა, გვედრები, არ მინდა გათხოვება... მამა, გვედრები, არ მინდა გათხოვება... მამა, გვედრები, არ მინდა გათხოვება.

მის ფეხებთან მონასავით გართხმული ვტიროდი, ეს ჩემი ბოლო გაბრძოლება იყო.

– ნუ გეშინია, ჩემო გოგონა, ყველაფერი კარგად იქნება.

ისე გავიდა, წარბი არ შეტოკებია. არ ვუყვარდი. არავის ვუყვარდი. კადერი გამახსენდა. მას კი ნამდვილად ვუყვარდი, მე ილიოტმა კი ხელი ვკარი კაპასი სადედამთილოს შიშით, ჩემი მშობლების უკმაყოფილების შიშით, სრულიად სულელური, წარმომავლობის საკითხის გამო... ამის სანაცვლოდ ვიცოდი, დედამთილი, რომელიც ქვემოთ მელოდა, სიცოცხლეს გამიმწარებდა, ასევე მისი ვაჟიც.

კადერი... მის გვერდით ასეთ დღეში არასოდეს ჩავვარდებოდი. კადერი ლამაზი, ნაზი, ყურადღებიანი იყო და მასთან ბედნიერი ვიყავი...

გვიან საღამოს კუთხეში მორთულ-მოკაზმული და საგანგებოდ დავარცხნილი ვიჯექი. ველოდებოდი, როდის გამიყვანდნენ, როგორც თოჯინას, ყუთიდან რომ იღებენ.

ეს პიროვნულობის სრული გაუფასურების ტოლფასი იყო. მე აღარ ვეკუთვნოდი საკუთარ თავს. ჩემგან მხოლოდ მოჩვენება დარჩა. დეიდები და მამიდაშვილები მხიარული შეძახილებით მაცილებდნენ. ყველაზე უმცროსი მამიდაშვილი ანთებული სანთლით წინ მიმიძლოდა. თავდახრილი მივაბიჯებდი, გარშემომყოფთათვის თვალის გასწორება არ შემეძლო.

ყველა ყველაფერს ათვალეიერებდა, კაბას, სამკაულებს – ეს ყველაფერი მამაჩემის ნაყიდი იყო, ქმრის ოჯახისა ჯერ არაფერი მეკეთა და მეცვა. ქალები სამკაულებს ითვლიდნენ და ცდილობდნენ დაედგინათ, რა ფასად უღირდა მამას საკუთარი ქალიშვილი!

ამ შემთხვევისათვის დედაჩემმა ყველაფერი ამოალაგა სამკაულების ყუთიდან: სამაჯურები, ბეჭდები – მათ გასაკეთებლად თითები აღარ მყოფნიდა. ხელ-ფეხი იწითდა მოხატული. მომრთეს, მაგრამ მინიმალურად, რადგან ჩვეულებრივ რიტუალზე სასტიკი უარი ვთქვი. წესით, ჩემ გარშემო მუსიკოსები უნდა ყოფილიყვნენ და გოგონებს უნდა ეცეკვათ.

მაროკოში მდიდრული ქორწილი იციან, მაგრამ მისი დაფასება მხოლოდ ბედნიერ წყვილს ძალუძს.

ადილებმა ყურანი წაიკითხეს. უკვე იდგა სავარძელი, სადაც ქორწინების ხელშეკრულებაზე უნდა მომეწერა ხელი. არაფრის თქმა არ შემეძლო. მათი თანდასწრებით მხოლოდ საბუთზე უნდა მომეწერა ხელი. ამ დაწყევლილ ქაღალდზე, რომლის შედგენის უფლებაც ამ ადამიანებს აქვთ და მაროკოში ქორწინების დამადასტურებელი ერთადერთი კანონიერი დოკუმენტია.

საბუთი არაბულ ენაზეა: «ამისა და ამის ქალიშვილი აცხადებს, რომ გაუთხოვარი და ქალწულია და ხდება ამისა და ამის საკუთრება, მისი მზითვევი ამდენსა და ამდენს შეადგენს».

ჩემი მზითვევი რვა ათასი ლირჰეში იყო. ერთი ლირჰეში დაახლოებით ერთი ევროა. არც ისე ძვირი ვღირდი.

შემდეგ მამას ეკითხებიან: «თანახმა ხართ, თუ არა, რომ თქვენი ქალიშვილი ამ კაცს მიათხოვოთ?» «თანახმა ხართ, რომ მზითვევის საფასური რვა ათასი ლირჰეში იყოს?»

«ქმარი აცხადებს, რომ საპატარძლო, მისი სიტყვებით, ქალწულია. აქ მოაწერეთ ხელი!»

სიმართლე უნდა ითქვას, კაცები ამის სისწორეში დარწმუნებულები არასოდეს არიან. თუ ქალი პირველი ქორწინებისთვის არ არის ქალწული, ხელშეკრულებაში ასე უთითებენ: «ქალი არ არის ქალწული».

ეს დამატება, ჩემი აზრით, ოდიოზურია.

ბედნიერი მამა ხელს აწერს, შემდეგ მისი ქალიშვილი, ბოლოს ქმარი. ხელში ფულის დასტას მაჩეჩებენ, რაც ჩემი მზითვევაა. ერთი სული მაქვს, მუსას სახეში მივაყარო.

როცა ამ სცენას ვიხსენებ, თავს მუდამ ამას ვეკითხები: «მაშინ რატომ არ გამოიყენე ეს უკანასკნელი შესაძლებლობა და არ თქვი, ყველას თვალწინ არ განაცხადე, რომ არ გინდა ეს კაცი ქმრად!»

ეს «რატომ» მთელი სიცოცხლე არ მომასვენებს.

მუსამ ღიმილით მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. როცა ჩემი ჯერი დადგა, ხელი ამიკანკალდა. ფოტოგრაფმა თავისი სამუშაო შეასრულა. ეს მომენტი აუცილებლად უნდა აღბეჭდილიყო. განადგურებული ვიყავი.

ცალი ფეხი ამიკანკალდა, ვეღარ ვიმორჩილებდი. შინაგანად დაცლილი ვიყავი, ასეთი სიცარიელე არასოდეს მიგრძვნიდა. მხოლოდ ჩემი სხეული განაგრძობდა სიცოცხლეს, სულიერად კი მოვკვდი. ოჯახის წევრებთან სავალდებულო ფოტოს გადაღების დროს ფარისევლურად უნდა იღიმოდე, მე კი ესეც არ შემეძლო. სურათებზე მხოლოდ თვალცრემლიანი გოგონა ჩანს.

ქორწილი დილის ოთხ საათამდე გაგრძელდა. სამოსი გამოვიცვალე – მუსას ნაყიდი ერთ-ერთი კაბა და ოქრომკედლით მოსირმული ქოშები ჩავიცვი. ოთხი პატარა გოგონა მიმშვენებდა გვერდს. ქალები მეხუმრებოდნენ: «ლეილა, მხოლოდ გოგონები გაგიჩნდება. იცი, რას ამბობენ? თუ პატარძლის ამალაში მხოლოდ გოგონები არიან, ის ქმარს მხოლოდ გოგონებს გაუჩენს. დედაშენს ამდენი ბიჭი ჰყავს, შენ კი მხოლოდ გოგონები გეყოლება!»

თეთრტილოგადაფარებულ მაგიდაზე მდგარ სავარძელში ჩამსვეს. ის ჩემ გვერდით, მეორე სავარძელში იჯდა – დღის ნეფე და დედოფალი მათთვის განკუთვნილ ტახტრეკანზე.

თითზე ბეჭედი გამიკეთა. ფინიკი და რძე მომართვეს – სიმდიდრისა და ნაყოფიერების სიმბოლო.

მთელი ქორწილის განმავლობაში მხოლოდ ამ დროს გავიღიმე. ჩვეულებრივ, ქმარმა ცოლის მიერ მიწოდებული ფინიკის მცირე ნაწილი უნდა მოკბიხოს, ამ მასხარამ კი მთელი ნაყოფი გადაყლაპა. ძლივს მოვთოკე ნერვიული სიცილი, რადგან ცრემლებს ვეღარ ვიკავებდი.

პირველი რიტუალით სამუდამოდ დავუკავშირდი ამ კაცს. დავმარცხდი, ნამდვილად გათხოვილი ვიყავი; თუმცა ყველაფერი არარეალური და ყალბი მეჩვენებოდა. იქნებ იმიტომ, რომ კიდეც მქონდა უფლება, მისგან შორს დამეჭირა თავი და ჩემი ქალწულობა დამეცვა სხვა, გრანდიოზულ მიღებამდე, რომლის მოწყობასაც ჩემი მშობლები ზაფხულში გეგმავდნენ. მისი დასასრული უსიყვარულო პირველი დამე იქნებოდა.

„ავი თვალი“

უბედნიერესი გოგონა და პატარძალი ვიქნებოდი, დაბადებიდანვე რომ მეგრძნო მამის სიყვარული.

როგორც კი მოვიჩიტე, იმ დღიდან ვცდილობდი, გამეგებინებინა მამაჩემისთვის, რომ ჩვენი რელიგიის ტრადიციების გათვალისწინებით, რაკი მორწმუნეები ვართ, მას შეეძლო ჩემი იმედი ჰქონოდა. ამისათვის, რასაკვირველია, ცუდი გზა ავირჩიე: «თავი დამანებეთ, შემეშვით, არ მჭირდება მეთვალყურე, რომელიც მიკარნახებს, თმა როგორ შევიკრა, ვის დაველაპარაკო, როგორი საცვალი მეცვას!»

სურიასა და სხვა გოგონების მსგავსად, მძიმე ტვირთად მაწვა საკუთარი ქალობა. ქალის სხეული დაბადებიდანვე ცოდვილია, მამის თვალში გოგონა მხოლოდ შინამოსამსახურეა, საკუთარი ოჯახის პატიმარი, ქალწულობით შენიღბული საჩუქარი მამის მიერ შერჩეული მამაკაცისთვის. საბედნიეროდ, მათ რიცხვში არასოდეს ვყოფილვარ, ვისაც ჩადრის ტარებას აიძულებენ ან ვინც თავად ირჩევს ჩადრის ტარებას, სულ მცირე თავისუფლების სანაცვლოდ. მაგრამ ამის მიუხედავად, ჩემი ცხოვრების ყოველი დღე ჯოჯოხეთი იყო. ამაოდ ვიბრძოლე, გამათხოვეს.

ამისა ისე მრცხვენოდა, რომ ჩემს საუკეთესო მეგობარსაც კი ვერ გავუმხილე, არც სხვებისთვის მითქვამს რაიმე. საფრანგეთში დაბრუნებული ცხოვრებას ისე ვაგრძელებდი, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

მაგრამ მაროკოში ხელმოწერილი ხელშეკრულების გამო ხაფანგში ვიყავი გამომწყვდეული. იქაური წესებით განქორწინებისთვის მამაკაცის თანხმობაა საჭირო. ქმარს შეუძლია ცოლი შინიდან გააგდოს და ყოველგვარი შემოსავლისა თუ სოციალური სტატუსის გარეშე დატოვოს. ქალს მოიძულებენ, შესაძლოა ბავშვებიც წაართვან – მან უნდა იწვინოს ოჯახისა და თემის ღირსების შეურაცხყოფა.

2004 წელს, მეფე მუჰამედ VI-ის გადაწყვეტილებით, ახალი კანონი შევიდა ძალაში: ცოლს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მოითხოვოს გაყრა და მისი უფლებები შენარჩუნებული იქნება. მაგრამ როცა მე გავთხოვდი, ეს კანონი ჯერ არ არსებობდა.

თუ უარს ვიტყვოდი თავს მოხვეულ ქმართან შეხვედრაზე (რაც, მამაჩემის თანხმობით, შესაძლებელი იყო), მუსას შეეძლო, მაროკოში წამოეწყო პროცედურა სახელწოდებით «ცოლქმრულ კერიაზე დაბრუნება». ჩემს ძებნას გამოაცხადებდნენ და ერთ დღეს, ჩემს ოჯახთან ერთად, მაროკოში არდადეგებზე ჩასულს საბაჟოზე დამაკავებდნენ, მოსამართლესთან მიმიყვანდნენ, საიდანაც მუსა თავისი მშობლების სახლში ძალით წამიყვანდა, ან გამეყრებოდა.

ამას ვეძახი ობობას ქსელს, ლაბირინთს, რომლიდანაც ამაოდ ვცდილობდი თავის დაღწევას.

მუსა ხშირ-ხშირად რეკავდა, ნიადაგს სინჯავდა და ქმრის როლს ითავისებდა.

– როგორ ხარ?

– კარგად.

– რამე ხომ არ გჭირდება?

– არა.

მისგან ნამდვილად არაფერი მჭირდებოდა. სასიყვარულო წერილებს ფრანგულ ენაზე მწერდა ასეთი ფრაზებით: «მიყვარხარ», «ძალიან მაკლიხარ»... წერილები ლიტერატურული ენით იყო დაწერილი, სასაცილო და ოფიციალურად დადგენილი წინადადებებით სავსე. როცა წერილი მოდიოდა, მამაჩემი საზეიმო სახით გადმომცემდა, დედაჩემი კი დაჟინებით მოითხოვდა: «აუცილებლად უნდა უპასუხო მუსას! პასუხის გაუცემლობა წესი არ არის! შენი ამბის გაგება ესია მოვინება!»

სულ რამდენიმე სიტყვით ვპასუხობდი.

«ყველაფერი კარგადაა, მოკითხვა ოჯახს, ჩაო!»

რაკი შორს იყო, თავს მშვიდად ვგრძნობდი, ისევ ქარხანაში ვმუშაობდი და ერთ დღესაც გამბედაობა მოვიკრიბე, რომ სურიასთვის ჩემი ამბავი მეცნობებინა. რაკი სიმართლის გამხელის მრცხვენოდა, თავად ვარიღებდი თავს, მაგრამ მაინც ერთმანეთს ვუზიარებდით სიხარულსა თუ გასაჭირს. რაკი გათხოვილი ვიყავი, ჩემი ოჯახი ცდილობდა, სურიასთან ჩემი ურთიერთობა შეეზღუდა. ჩემს თვალში მისი «დამდაბლება» სცადეს, თითქოს სურიას «რეპუტაცია» აღარ შეეფერებოდა ჩემს ახალ სტატუსს.

– დედა, გავდივარ...

– სად მიდიხარ?

– არსად, ცოტას გავივლი!

– არ დააგვიანო და ტყუილად არ იყილო!

ეს ბოლო წინადადება არაჩვეულებრივი იყო. «არ დააგვიანო, ტყუილად არ იყილო...»

დაპროგრამებულივით ვიქცეოდი, მაგრამ ამაზე გულის მოსვლის თავიც აღარ მქონდა. სურია ჩემი სახლიდან ხუთი წუთის სავალზე ცხოვრობდა, ჩემს უბანში.

– ლეილა! რა დაგემართა? ავად ხარ?

– არა, არა, სამსახური და ჩვეულებრივი უსიამოვნებები მშობლებთან... არაფერი იცვლება!

– და მაინც, ამ ბოლო დროს აღარ შემხმინებინხარ.

– აგისხნი, ეს ყველაფერი ძალიან რთულია.

ვიღრე მარტონი წყნარად ვისაუბრებდით, ხუთი წუთი დედამისთან და მის დებთან სავალდებულო მისალმებას დავუთმე.

სურია თავისი შეყვარებულის ახალ ამბებს ჩურჩულით მიყვებოდა, – ისინი მალულად ისევ ხვდებოდნენ ერთმანეთს. მდუმარედ ვუსმენდი მონათხრობს მისი ორმაგი ცხოვრების შესახებ და მშურდა, მე ხომ ასე მოსაქცევად გამბედაობა არ მეყო.

ყურადღებით ვიყავით, კართან ვინმე არ მდგარიყო და საუბარი არ მოესმინა. ეს მშობლების საყვარელი საქმიანობაა – ყური უგდონ, რაზე საუბრობენ მათი ქალიშვილები.

სურია კარგად იყო, მუშაობდა, მართვის მოწმობა აიღო და მანქანაც იყიდა. ეს იყო მისი თავისუფლების მაქსიმუმი. ვუსმენდი და ჩემთვის ვფიქრობდი: «აჰა... ამის გაკეთებაც კი აღარ შემიძლია! ისიც ჩავარდა, მაგრამ ყველაფერი გადაიტანა, მე კი ვერა».

– ლეილა, რაღაც უცნაური ხარ, ძალიან უცნაური. რა დაგემართა? მეტყვი, რა მოხდა? შეიცვალე, იერიც კი შეგეცვალა! ჩვეულებრივ, ბევრს ლაქლაქებ და ხუმრობ. ასე მგონია, სხვა ლეილას ვესაუბრები.

არ ვიცოდი, როგორ გამემხილა საიდუმლო.

– როგორც იცი, მაროკოში ვიყავი წასული.

– რატომ არ მითხარი? რა გინდოდა მაროკოში ზამთარში?

– როგორ გითხრა... სინამდვილეში... იმიტომ რომ იქ გავთხოვდი.

– მოიცა, კიდევ ერთხელ, ნელა გაიმეორე...

– სურია, გავთხოვდი.

– დამცინი, თუ გინდა ჭკუიდან გადამიყვანო?

– არა, სურია, სიმართლეს გეუბნები, გავთხოვდი.

სირცხვილით არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი. ისე ვყვებოდი, თითქოს ეს ქორწინება ჩემი სურვილი იყო და არა ჩემი მშობლების. ბოლომდე სიმართლე ვერ ვთქვი. თუმცა, სურია სულელი ნამდვილად არ იყო, ვერ მიმხვდარიყო.

– კი მაგრამ, ეგ კაცი საიდან გამოჩხრიკე? მასზე არასოდეს არაფერი გითქვამს!

ისევ ტყუილის თქმა ვარჩიე.

– ზაფხულობით ვხვდებოდი, ერთად დავდიოდით ხოლმე, ამ ზაფხულსაც შევხვდით და აი... ცოლობა მთხოვა.

– ჰო, მაგრამ, ამ შეხვედრებზეც არაფერი გითქვამს.

– ეს ზაფხულის სიყვარული იყო და დიდი ხანი გრძელდებოდა.

წარბეჭკრული მიყრებდა, ცდილობდა იმის დაჯერებას, რომ ნამდვილად შეყვარებული ვიყავი, მაგრამ ეს ჯადოსნური სიტყვები არ მითქვამს და ჩემდა უნებურად, თვალეზე ცრემლები მომადგა.

– კმაყოფილი მაინც თუ ხარ?

– რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ.

ეს საზარელი სირცხვილი დაბადებიდანვე თან გვდევს. სირცხვილი იმის გამო, რომ გცემენ, შინიდან არ გიშვებენ, ძალით გაგათხოვენ. სირცხვილი იმის გამო, რომ ბედნიერი ადამიანები უნდა მოატყუო, რომ არ გყოფნის გამბედაობა და საშუალება, ოცი წლის ასაკში ყველაფერს მიაფურთხო და კარი გაიჯახუნო.

სურიათ თავი მომაჩვენა, თითქოს ყველაფერი დაიჯერა და მეტი აღარაფერი უკითხავს.

როცა დედამისმა ხელზე იმის კვალი და ბეჭედი დამინახა, მაშინვე თავისი ქალიშვილის წინ საზეიმო ხმით მითხრა:

– გილოცავ, ლეილა, გათხოვდი? დედაშენს დავურეკავ და აუცილებლად მივულოცავ! ხედავ, სურია? ხომ ხედავ ლეილას, გათხოვდა!

ეს ამას ნიშნავდა: შენგან განსხვავებით, მასზე მაინც ველარავინ იტყვის ცუდს.

სურიას მამა მთელ დღეებს მეჩეთში ატარებდა, არ იცოდა, მისი ქალიშვილი დღისით რას აკეთებდა, მაგრამ სადამოობით ყველაფერზე ებუზღუნებოდა: მაკიაჟი, ტანსაცმელი, ვარცხნილობა, ძმებიც არ აკლებდნენ ხელს. ერთი მათგანი მომხდარი სკანდალის შემდეგ დაუფარავად უკან დასდევდა და უთვალთვალეებდა. ამის გამო მუდმივად საფრთხეში იყო. მაგრამ სურიას სხვანაირი ხასიათი ჰქონდა, არც ერთნაირი ბავშვობა გვქონია და ის ამ ინკვიზიციურ სამყაროში მაინც უდარდელად აგრძელებდა ცხოვრებას.

– ლეილა, გულთან ნუ მიიტან!

ეს მისი საყვარელი ფრაზა იყო, მე კი წლების განმავლობაში ყველაფერი გულთან მიმქონდა და უკვე ჭკუიდან ვიშლებოდი. მინდოდა, რაც შეიძლება დიდხანს ეწოდებინათ «მადმუაზელი». ვიტყუებოდი ქარხანაშიც. საკუთარ თავსაც ვატყუებდი, თავისუფლად რომ მესუნთქა. მაშინაც კი, როცა მუსა ორი თვით ჩამოვიდა, ჩემთვის ის არ არსებობდა. სტუმარი ნათესავივით ვუყურებდი. დედაჩემი დაუსრულებლად მიმეორებდა:

– მიდი შენს ქმართან!

– კი მაგრამ, მასთან ჯერ არ ვარ დაქორწინებული. ქალწულობას როდის კარგავენ?

– პირველ ღამეს.

– ჰოდა, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მე ხომ ჯერ მისი ცოლი არ ვარ.

– კარგი. ყურადღებით იყავი, ქორწინების დღემდე წინასწარ არაფერი დაუთმო. რომც გითხრას, მისი ცოლი ხარ, ყური არ დაუგდო.

– არა, არა, ნუ გეშინია, დედა.

კიდევ ერთი შეუსაბამობა. «მიდი ქმართან... მაგრამ თუ ცოლის მოვალეობის შესრულებას მოგთხოვს, უარი უთხარი!»

თუ ამ საკითხში ჩემი მშობლები მხარს მიჭერდნენ, ეს იმიტომ, რომ სასიძოს კიდევ შეეძლო გადაეფიქრებინა და სექსუალური ურთიერთობის შემდეგ ჩემთან დაშორება მოეთხოვა. ეს არგუმენტი მუხმარებოდა, მისგან თავი შორს დამეჭირა. რადგან ის უკვე მასთან დაწოლას მთხოვდა.

– უკვე ჩემი ცოლი ხარ, ახლა მოხდება ეს თუ მერე, რა მნიშვნელობა აქვს?

იმ დღეს ნამდვილ სადისტად ვიქეცი.

– ჩემ მიმართ რაიმე გრძნობა თუ გაგაჩნია?

– რა თქმა უნდა...

– ისე ძლიერად გიყვარვარ, რომ მზად ხარ, ფეხები დამიკოცნო?

– რასაკვირველია, თუ შენ გინდა, ფეხებსაც დაგიკოცნი...

– აბა, მიდი!

ამ მასხარამ ეს მართლაც გააკეთა! ამ დროს ოთახში დედაჩემი შემოვიდა:

– გესმის, რა მოხდა? კაცი თუ ფეხებს გიკოცნის, მას მართლაც ძალიან უყვარხარ!

საბრალო დედაჩემი. წამითაც არ დამიჯერებია მუსას სიყვარული. მაგრამ მაშინ ჩემს მშობლებს, საუბედუროდ, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ მოქალაქეობის მისაღებად მირთავდა ცოლად. ისევ აგრძელებდა მათ გაცურებას: «სადაც მოისურვებს, იქ ვიცხოვრებთ, საფრანგეთში ან მოროკოში». რატომღაც ესპანეთს აღარ ახსენებდა, სადაც თითქოს მუშაობდა. არ ვიცი, იქ რას აკეთებდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საბუთები წესრიგში არ ჰქონდა.

ერთად დაწოლაზე უარი ვუთხარი, მაგრამ მაინც არ მეშვებოდა. რაკი აკრძალულია ამ თემაზე მამებთან საუბარი (ეს «სირცხვილია») და ეს საქმრომაც შესანიშნავად იცოდა, დამოუკიდებლად უნდა გავმკლავებოდი მის არშეშინებლად.

– ჯერ შენი ცოლი არ ვარ, არ მომეკარო! ქორწილის შემდეგ დედამემა სისხლიანი ზეწრის ჩვენება რომ მომთხოვოს, რა უნდა ვქნა?

– არა, არა, ამაზე ნუ დარდობ! ყველაფერს მე ვწყვეტ, სხვას არაფერი ეხება.

საბედნიეროდ, მარტონი იშვიათად ვრჩებოდით. ისევ ვმუშაობდი, მაგრამ დღისით. ღამის სამუშაო აღარ მქონდა, ან დღით ადრე მივდიოდი, ან ნაშუადღევს. დღის ოთხ საათზე მივდიოდი და პირველის ნახევარზე ვბრუნდებოდი, ან შუადღისას და საღამოს ცხრა საათზე შინ ვიყავი. რაც უფრო ახლოვდებოდა საბედისწერო «პირველი ღამე», მით მეტად მიპყრობდა შიში. ვცდილობდი, მოსალოდნელ უბედურებაზე არ მეფიქრა.

მაროკოში დიდი საქორწინო ცერემონიალი და მიღება ზაფხულისთვის იყო დაგეგმილი. ჩემს მშობლებს ზამთარში დრო არ ჰქონდათ მის მოსამზადებლად. ასეთი ცერემონიალი ძალიან ძვირი ჯდება, ოჯახები ვალს იღებენ, რომ ის დაუვიწყარი იყოს. ზოგიერთი გოგონასთვის ეს მართლაც ცხოვრების უბედნიერესი დღეა. მაგრამ მე მისი მოწყობა მხოლოდ ფულის ფანტვად მიმაჩნდა.

ქორწილში ყველაფერს დაწვრილებით ათვალისწინებენ: საპატარძლოს, სასიძოს, სად შეხვდნენ ერთმანეთს, როგორი კერძებია, სამკაულები, კაბები. სტუმრებს ყველაფრის გაგება სურთ, რომ შემდეგ სალაპარაკო ჰქონდეთ. რაც უნდა გააკეთო, მაინც გაგაკრიტიკებენ. საჭმელი ოქროს თეფშებითაც რომ მიართვა, რაღაცას მაინც დაიწუნებენ, ვთქვათ, პურის ნაჭრების სიდიდეს.

ყველაფერში ცხვირს ჰყოფენ. უფრო უარესია, თუ თემი არ იცნობს საპატარძლოს ან სასიძოს. თმის თითოეულ ღერს საგულდაგულოდ აკვირდებიან. ბიჭი ლამაზია, გოგო მახინჯი, ან პირიქით, და განაჩენიც გამოტანილია. ეს ლამაზი კაცია, ქალი კი «კასრივით ჩამრგვალებული». ოჯახებს მათ მიერ გაწეული ხარჯით აფასებენ.

ასე იქმნება ოჯახის რეპუტაცია, ქორწილის დეტალები ოჯახიდან ოჯახს გადაეცემა და ჭორებიც უსწრაფესად ვრცელდება. ზოგიერთი ოჯახის დიასახლისის სახელი მნიშვნელოვნად ზარალდება, რადგან ისინი ოჯახის «ფასადს» ქმნიან.

«წარმოგიდგენია, ამისა და ამის ცოლმა სამარცხვინო ქორწილი გადაიხადა! მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, თითსაც არ გავანძრევდი, მთელი საღამო ბაზარი ჰქონდათ გამართული...»

ან კიდევ: «ქორწილი «ფრანგულად» გადაიხადეს, ჯობდა, საერთოდ არ შეეწუხებინათ თავი!»

ფრანგული ქორწილი მოკრძალებულია, მაროკოული – «ათას ერთი ღამისეული»!

ამ დიდი ცერემონიალის მოლოდინში, რომლის გარდაუვალი დასასრული პირველი ღამე იყო, ადვილად ვახერხებდი ფიქტიური ქმრის სექსუალური ძალადობისგან თავის დახსნას, მაგრამ ბოლოს ნერვებმა მიმტყუნა. ნერვიული შეტევა დამეწყო.

მისი გამომწვევი სამწუხარო მოვლენა გახდა. ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი მეგობრის მამა გარდაიცვალა, იმ კაცს დიდ პატივს ვცემდი. სამიძიმარზე მისული პირველად შევეჯახე სიკვდილს. მას ბავშვობიდან ვიცნობდი და ასე მეგონა, ძველი ღრო, მთელი ჩემი იმედებით, მასთან ერთად გაქრა.

გარდაცვლილის ოჯახს ყოველთვის ბევრი სტუმარი ჰყავს, ყველას ჩაით უმასპინძლებიან და გოგონები ჭურჭლის რეცხვასა და სუფრის გაწყობაში ეხმარებიან. გაუაზრებლად, გამმაგებით დავიწყე ჭიქების რეცხვა, ჩაის მომზადება და გამოწყობა. დაცლილი ჭიქა მაშინვე უნდა გამერეცხა, ვრეცხავდი და ვრეცხავდი. ერთ მომენტში ისიც კი გავიფიქრე: «მგონი, ჭკუიდან გადავდივარ!»

ვერავინ მიხვდა, რომ ცუდად ვიყავი, სული მეხუთებოდა, თავბრუ მესხმოდა, ჰაერზე უნდა გავსულიყავი.

ჩემი უბედურება ხუმრობით ერთ მეგობარ გოგონას შევიჩვიე:

– მინა, ჯოჯოხეთურად მოუსვენრად ვარ! თითქოს დოჰინგი გამიკეთეს!

მასაც გაეცინა, მაგრამ შენიშნა, გაფითრებული რომ ვიყავი. სადარბაზოში გამიყვანა, რომ კიბეზე ჩამომჯდარს დამესვენა, მაგრამ თავს უფრო და უფრო ცუდად ვგრძნობდი. თავი ისე დამიმძიმდა, რომ სწორად დაჭერაც აღარ შემიძლო.

– მინა, ცუდად ვარ, ცუდად ვარ...

– მოიცა, გაჩერდი, ნუ მაშინებ.

ხუმრობით მიყვებოდა, რომ მიცვალებულის ნახვის შემდეგ ჯინს ან სიკვდილის სულს ჩემი გამოცდა სურდა.

უეცრად ისტერიკული სიცილი ამივარდა, ცხადად ვიგრძენი, როგორ დაკვარგე რეალობის შეგრძნება, უკვე შეშლილი ვიყავი, ვეღარ ვაზროვნებდი, ფეხზე ვერ ვდგებოდი, სრულიად დანგრეული ვიყავი. ამჯერად სიცოცხლის გაგრძელება აღარ შემიძლო, მიჯნას მივადრწიე.

დამფრთხალმა მინამ ისევ შინ შემიყვანა. სააბაზანოში სახეზე წყალი შევისხი, მთვარეულივით დავდიოდი, მხრები მძიმედ აწვა სხეულს, რომელსაც ჩემი თავის დაჭერა აღარ შემიძლო.

როცა პირსაბანიდან ეს საბრალო თავი ავწიე, ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია, მაგრამ რაღაც ძალამ კედელს მიმანარცხა და იატაკზე დავეცი. ეს არნახული სიძლიერით მოხდა. დაცემული ჩანასახივით მოვიკუნტე, ლაპარაკს ვეღარ ვახერხებდი, მხოლოდ ვყვიროდი! დარწმუნებული ვიყავი, პირი თავის ადგილზე კი აღარ იყო, სადღაც გვერდით მომექცა და ამან კიდევ უფრო შემაშინა. და კიდევ იმან, რომ ფეხებს ვეღარ ვგრძნობდი. ეს იყო ჩემს სიცოცხლეში ტეტანის პირველი შეტევა. ის მთელ დღე-ღამეს გაგრძელდა, რადგან ექიმი არავინ გამოიძახა.

ყველამ ჩათვალა, რომ სულების მსხვერპლი გავხდი. იმამი ყურანს კითხულობდა, დროდადრო წყალს მასხურებდნენ, მე კი გონებაზე არ ვიყავი. თქვეს, – ეშმაკი დაუფლავ.

მართლაც გონდაკარგული ვლავარაკობდი, ვამბობდი, რომ გარს სულეები მეხვია და ჩემი წაყვანა სურდათ.

ახლა მგონია, რომ მაშინ გაუცნობიერებლად სიკვდილი მინდოდა, მინდოდა გავთავისუფლებულიყავი სიცოცხლისგან, რომელშიც ჩემი ასაკისთვის შესაფერისი სიმშვიდე და ბედნიერება ვერ მოვიპოვე! მკურნალობა და ფსიქოლოგის კონსულტაცია მჭირდებოდა, მაგრამ ამაზე არავის უზრუნია, ექიმი როგორ განკურნავს სულეების ტყვეს.

ყველაფერი მინამ შემდეგ მომიყვა, რადგან თავად აღარაფერი მახსოვდა იმ საშინელი დარტყმის გარდა, რომელმაც ფეხები წამართვა, პირი მომიქცია და მომკუნტა.

როცა გონს მოვედი, ძალიან შეშინებული ვიყავი, იმედი მქონდა, ეს საზარელი რამ აღარასოდეს შემემთხვეოდა. სამწუხაროდ, შეტევა მოგვიანებით კიდევ განმეორდა.

გავვიჟღი-მეთქი... ექიმთან წასვლის მრცხვენოდა, რადგან კითხვებს დამისვამდა, ჩაეძიებოდა, რა არ არის რიგზე ჩემს ცხოვრებაში. გარდა ამისა, ის ჩემს მშობლებს და ოჯახს იცნობდა. არ იცოდა, იძულებით თუ გამათხოვეს. მეშინოდა, ამის გამხელის მშობლები არ შემერცხვინა, თუ აღმოჩნდებოდა, რომ ჩემი სატკივარის მიზეზი სწორედ ეს ქორწინება იყო.

სირცხვილისა და დამცირების ტყვეობაში ვიყავი, წარმოუდგენლად მეჩვენებოდა გარედან ვინმეს დახმარების მიღება. არამუსლიმი ფრანგები ამას ვერ იგებენ. როცა თავს ცუდად გრძნობენ, ისინი ექიმს მიმართავენ. დამიდგენდნენ ფსიქოსომატურ რეაქციას, დეპრესიას, კალციუმისა და მაგნიუმის ნაკლებობას, აუცილებელ ფსიქოლოგიურ დახმარებას გამიწევდნენ. მაგრამ ჩემი ოჯახი აქამდე რომ მივიდეს, კიდევ მილიარდი წელია საჭირო. ჩვენთან ისევ ჯინებზე, სულეებსა და ავ თვალზე საუბრობენ, რომელიც ურჩი ქალის სხეულსაა დაუფლებული.

ჩემს კრიზისს სამედიცინო სახელი არ ერქვა. ასე მეგონა, უბრალოდ, ვგიჟდებოდი. ოჯახის აზრით, ჩემს სხეულს ეშმაკი დაეუფლა.

ნათესავებმა ჩემი მდგომარეობა შეისწავლეს და გადაწყვიტეს: რაკი მხოლოდ დანიშნული ვიყავი და არა გათხოვილი, ამიტომ გარდაცვლილის სახლში არ უნდა მივსულიყავი. ქალწული ავი სულეების მსხვერპლი იოლად ხდება. მათ მისი დაუფლება სურთ. ამბობენ, რომ ავსულს ქალწულის სხეულში ჩასახლება შეუძლია.

არსებობენ სულეები მამაკაცებისთვის და სულეები ქალებისთვის. ისინი იმას აკეთებინებენ მსხვერპლს, რაც თავად სურთ. თუ ვინმე ისე ცუდად არის, რომ ფსიქიატრის დახმარება ესაჭიროება, მასზე ამბობენ: «საბრალო, ეშმაკი ჩაუსახლდა». ეს კულტურის გავლენაა. მაროკოში ფსიქიატრები არიან, მაგრამ მხოლოდ შესაბამის თავშესაფარში მყოფი, სულიერად მძიმედ დაავადებული ავადმყოფებისთვის. სხვები, ვინც ისეთ დეპრესიაშია, რომ ხმას აღარ იღებს და კვდება, ეშმაკის მსხვერპლად ითვლებიან.

დედაჩემს ქალებმა უსაყვედურეს: «რატომ შეუშვი? მიცვალებულისთვის შუბლზე რატომ აკოცინე?»

იძულებული გავხდი, სამსახური დამეტოვებინა, მეტი აღარ შემეძლო. ანორექსია დამეწყო, წყალსაც კი აღარ ვსვამდი, კვირაში ორ-სამჯერ ნერვიული შეტევა მქონდა. გადავწყვიტე, ჩუმად მივსულიყავი ექიმთან. მოტივი: დაღლილობა. ვერდიქტი: დეპრესია. გამოწერილი ანტიდეპრესანტები უცნაურად დამენმარა. ბურანში ვიყავი. ამრიგად, აღარაფერი მაწუხებდა. საკუთარ სამყაროში შევიყუე და სხვა ყველაფერი ფეხებზე მეკიდა. სულ მეძინა, კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ გონება დაბინდული, განადგურებული მქონდა. კიდევ გავხდი. ადამიანს აღარ ვგავდი, ძვლებზე გადაკრული ტყავი დავრჩი. მშობლებს ვუთხარი, რომ ექიმმა ვიტამინები გამომიწერა. მათ არ ესმოდათ, რა არის ნერვიული დეპრესია. მეშინოდა, მამაჩემს არ წაერთმია წამლები, ჯადოსნური საშუალება, რომელიც თავისუფლებას მანიჭებდა. მისთვის ანტიდეპრესანტი ნარკოტიკია. დეპრესიაში მყოფი ადამიანი არ არსებობს.

ამიტომ, იძულებული ვიყავი, მომეტყუებინა, დამემალა აბები, რომლებიც ჯერ კიდევ მაძლევდა ორიენტირების შესაძლებლობას. მაგრამ გეზს ისე ვიყავი აცდენილი, რომ ვეღარაფერს

ვაცნობიერებდი. ერთ დღესაც ნამდვილი გიჟის მსგავსად დამემართა შეტევა. არავის რომ არ შევეწუხებინე, მშობლებმა თავიანთ ოთახში გადამიყვანეს. ეს დაწყევლილი ოთახი დამამცირებელ მოგონებებს აღმიძრავდა. სახლში არ წყდებოდა ნათესავების ნაკადი, თითქოს მომაკვდავი ვიყავი. თითქოს მათ მხოლოდ ჩემი ამბის გაგება აინტერესებდათ. სინამდვილეში, სურდათ, საკუთარი თვალთ ენახათ, ავმა სულელებმა უკვე გამანადგურეს, თუ არა. საწოლში ვიწექი, ხოლო ჩემ წინ, კარის მეორე მხარეს კაჩხაზე, საქორწინო კაბა ეკიდა. ჩემ გარშემო საქორწინო საჩუქრები ეწყო იმ დილისთვის, მე რომ ქალი გავხდებოდი!

თვალმოუშორებლად მივჩერებოდი ამ კაბას, რომელიც ჩემს მშობლებს ძალიან ძვირი დაუჯდათ. მოჩვენებასავით გავედი სამზარეულოში და დანა ავიღე... კაბის მოკვლა მსურდა! თუმცა დედაჩემმა დამინახა და უკან გამომყვა. კაბა უკვე ხელში მეჭირა და მის დანაკუწებას ვაპირებდი, მაგრამ ხელი დამიჭირა, მამაჩემს დაუძახა დასახმარებლად. ხუთი თუ ექვსი კაცი მაკავებდა, ხელ-ფეხი დამიჭირეს. ყველაფერს ვურტყამდი, რასაც კი მივწვდებოდი, თვალთ დამიბნელდა, ერთი რამ მინდოდა: ეს წყეული საქორწინო კაბა ნაკუწებად მექცია! დაე, მომკვდარიყო და აღარასოდეს დამენახა!

ამჯერად ნამდვილად შავი მაგიის მსხვერპლად, სულების «თვალნაცემად» გამომაცხადეს. ამ «ავი თვალის» შესახებ ყველა ჩურჩულით ლაპარაკობს, მის არსებობაში არავინ დაეჭვებულა. არ იცოდნენ, ვის შეიძლებოდა ავი თვალთ შემოეხედა ჩემთვის, მაგრამ აუცილებელი იყო ავი სულის განმდევნელი, რომელიც მას მომაცილებდა.

უთვალავი ადამიანი აცხადებს, რომ ავი თვალის მსხვერპლი გახდა. ვის შეუძლია მათ თვალი სცეს? დედამთილს, რომელსაც რძლის თავიდან მოშორება სურს, მოსამსახურეს, რომელსაც სახლის პატრონზე დაქორწინების იმედი აქვს... ასე რომ, არჩევანი დიდია. ჩემ გამო ეჭვს ვერავისზე მიიტანდნენ.

მაგრამ ჩემიანებისთვის ნათელი იყო, რომ ნამდვილი ლეილა აღარ არსებობდა. ვერც საკუთარ გონებას ვაკონტროლებდი, აღარც სხეული მემორჩილებოდა, მათ ეშმაკი დაეუფლა.

საქორწინო კაბა სამართლიანობის აღსრულებას გადაურჩა – ის საიმედოდ შეინახეს. ბოლოს, დაღლილობისგან ღონეგამოცლილს, ჩამეძინა. შემდეგ დედაჩემი მიყვებოდა, რომ ღამე ავდექი და მან აივანზე, გადასახტომად გამზადებული მიპოვა, რადგან თვალს არ მაცილებდა. მამაჩემმა აივანი შემოზღულა. შინ ყურადღებით მითვალთვალებდნენ.

ერთ დღეს მამაჩემი ჩემი ნივთების ჩხრეკისას წამლებს წააწყდა. მაშინვე ექიმს დაურეკა, რომელმაც დაბეჯითებით აუხსნა:

– ბატონო, თქვენს ქალიშვილს მძიმე დეპრესია აქვს, მისთვის ეს წამლები აუცილებელია.

– არა, ეს წამალი კი არა ნარკოტიკია! ჩემი ქალიშვილი ასეთ ნაგავს არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს.

ექიმი უძლური იყო.

რეალობას ვეღარ ვგრძნობდი. გარშემო ყველაფერს ბუნდოვნად ვხედავდი, თითქოს მე მოკვდი, სხვები კი ამას ვერ ამჩნევდნენ. კუბოში ვიყავი გამომწყვდელი, ბუზი მინის მიღმაც კი ველარაფერს ხედავდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. რაც უფრო ახლოვდებოდა ქორწილის დღე, მით მეტად გადავდიოდი ჭკუიდან. თვითგადარჩენის ინსტინქტი და ნამდვილი მრისხანება მაკლდა, რასაც შეიძლებოდა გადავერჩინე. დეპრესიულ სიგიჟეში ვიძირებოდი. მეორე დღეს ისევ შეტევა დამეწყო, წამლები კი აღარ მქონდა. სხეულში თითქოს ორი ადამიანი სახლობდა. ნამდვილი პიროვნების გაორება დამემართა.

ეს ყველაფერი მაროკოში დაგეგმილ გრანდიოზულ ქორწილამდე ცოტა ხნით ადრე ხდებოდა. მუსა ჩვენს წასაყვანად უნდა ჩამოსულიყო. ჩემი მშობლებისთვის მთავარი საზრუნავი ის იყო, არაფერი გაეგო ჩემი მდგომარეობის შესახებ. შესაძლებელია, ჩემს შერთვაზე უარი ეთქვა. ამით, ალბათ, უფრო დიდ უბედურებას გადავრჩებოდი, მაგრამ ჩემი მშობლების სირცხვილის

ფასად. განქორწინების შემდეგ ჩემი სახელი ადილების დიდ წიგნში ჩაიწერებოდა და შემდგომ ვეტარავინ დაიფიცებდა, რომ ქალწული ვიყავი!

მაგრამ ამაზე არ ვფიქრობდი. სიჩუმეში, უდაბნოში გავყვიროდი: «არ მინდა ამ კაცზე გათხოვება!» ჩემი არავის ესმოდა.

ყველა მეგობარ გოგონას ჩამოვშორდი. სულ უფრო იშვიათად ვხედავდი სურიას. ამ ქორწინებამდე ბევრ ვინმეს ვხვდებოდი, ვიცინოდი და გადარჩენას ვცდილობდი, რომ მეცოცხლა. ახლა კი ჩავიკეტე, საკუთარ თავში ჩავიძირე.

შეტევები სულ უფრო მიხშირდებოდა. ერთი მამაჩემის გამო დამემართა. მან სცადა აღერსიანად ჩემი გულში ჩაკვრა, ისე რომ არაფერი უთქვამს. ვერასოდეს გავიგებ, მაშინ რა იფიქრა, ან რის თქმას აპირებდა, მაგრამ მე გიჟივით ავყვიროდი:

«არ მომეკარო, არ მომეკარო!»

ბუმბულივით მსუბუქი ვიყავი, მაგრამ ხელი ძლიერად ვკარი.

მოგვიანებით საკუთარ თავზე გავბრაზდი, რადგან მთელი სიცოცხლე სწორედ ის მინდოდა, მამაჩემს გულში ჩავკვარი, დავემშვიდებინე, თავი დაცულად მეგრძნო; მინდოდა თავისი სიყვარული სხვაგვარად და არა ცოცხის ტარით, აკრძალვებითა და მითითებებით გამოეხატა.

მაგრამ ყველაფერი ძალიან დაგვიანებული იყო. ხელი ვკარი და განწირული ვყვიროდი. ნამდვილად ისე ვიქცეოდი, როგორც ეშმაკის მსხვერპლი! ვხარხარებდი, ვტიროდი, ვყვიროდი: «დედა! მამა!»

დასახმარებლად ვუნობდი? თუ პირიქით, თავიდან ვიშორებდი? არ ვიცი.

ჩემი ძმები და დედაჩემი დასახმარებლად მომცვივდნენ, ცდილობდნენ, იატაკზე გავეჩერებინე. ერთდროულად ვტიროდი და ვიცინოდი, ისეთი შეგრძნება მექონდა, თითქოს ნელ-ნელა მიწა მისრუტავდა. ოჯახის მეგობარმა, პროფესიით ექთანმა, ასეთ მდგომარეობაში რომ დამინახა, მამაჩემს უთხრა:

– სასწრაფოდ საავადმყოფოში უნდა წაიყვანოთ, სრული დეჰიდრატაცია აქვს და ამას გარდა, ისტერიკის შეტევა.

– არა, არა, არ არის საჭირო, მივხედავთ.

დედაჩემი სამზარეულოში გავიდა, რომ რაიმე მოემზადებინა და ძალით ეჭმია. მისი მცდელობა ამო იყო. ვკვდებოდი და ექთანი ამას კარგად ხედავდა. მაგრამ ჩემი მშობლები ჩემს საავადმყოფოში წაყვანას არ თანხმდებოდნენ. მათი აზრით, ექიმებს ჩემი დახმარება არ შეეძლოთ.

ეს უგულო საქციელი იყო, მაგრამ დღეს აღარ ვსაყვედურობ. მათ სრულებით არ ესმოდათ ჩემი მდგომარეობა. ისინი სხვა კულტურითა და ტრადიციებით აღიზარდნენ და იმას აკეთებდნენ, რაც, მათი აზრით, ჩემთვის კარგი იყო. მაგრამ მაშინ ამას ვერ ვიტყოდი. სიძულვილსა და მრისხანებას ვგრძნობდი და ისინი მეზიზღებოდა. ვგრძნობდი, როგორ ვკვდებოდი გამოფიტვის, უიმედობის, ამო წინააღმდეგობის გამო.

არ ვიცი, ვინმეს თუ გამოუცდია ეს თავბრუდამხვევი გრძნობა, როცა სიკვდილს მიჰყავხარ – ამქვეყნიდან გაქრობის ეს საზარელი შიში.

დასახმარებლად მეზობლებიც ამოვიდნენ. თავიანი ქალიშვილიც იძულებით გაათხოვეს და მასაც ასეთი შეტევები ჰქონდა. ასე რომ, პრობლემას კარგად იცნობდნენ. მათ თავისი შვილი ექიმებამ იმამთან მიიყვანეს. მასთან მეც უნდა წავყვანე. ეს ყველაფერი შეიძლება მკითხველს არარეალურად მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ძალიანაც რეალური იყო. მამაჩემმა მხარზე ტომარასავით მომიგდო და ისე წამიყვანა. ვხედავდი, იტანჯებოდა, რადგან გზად ტიროდა.

მაგრამ უკვე გვიან იყო, უკვე გიჟად ვიქეცი და ყველა მძულდა; მან დამინგრია ცხოვრება და ისევ ჯიუტად აგრძელებდა თავისას. მამაჩემის ცრემლები აღარ მოქმედებდა.

მაღე სახელგანთქმული იმამის სახლში აღმოვჩნდი.

მისი ბრძანებით ოთახში შემეყვანეს, ჩემს მშობლებს კი კარი მიუკეტეს. მან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა და მირჩევნია ყველაფერი მოვყვე, რათა ეს ადამიანი ნამდვილ იმამში არავის აერიოს: ჩემდა საუბედუროდ, ასევე იმ მრავალრიცხოვანი ქალებისა და გოგონების საუბედუროდ, მასთან რომ მიჰყავდათ, ის სინამდვილეში ბინძური თაღლითი იყო.

მიწაზე დამაწვინა. ხმალი აიღო. შემდეგ მიბრძანა, მუცელი გამომეჩინა, შემდეგ მუცლის ქვედა არე. არც ერთი სასულიერო პირი ასე არ იქცევა. მაგრამ კარი ჩაკეტილი იყო და არაფრის ეშინოდა, გოგონებიც «ასეთი რამის შესახებ», როგორც წესი, ღუმან.

ხმლის წვერი მუცელზე დამაჭირა ისეთი ძალით, თითქოს კანის გაჭრა სურდა, თან რაღაცას ბურტყუნებდა. მისი ნათქვამიდან ვერაფერს ვიგებდი. მაყალში რაღაც ბალახი ჩადო, ოთახში კვამლი რომ დამდგარიყო, შემდეგ მკერდზე დამაჯდა და მთელი ძალით მირტყამდა სახეში სილას, თან არაბულად ყვიროდა:

– გამოდი მისი სხეულიდან! მუსლიმი ხარ? ებრაელი ხარ? ქრისტიანი ხარ? ათეისტი ხარ?

ხან ერთი ხელით მირტყამდა, ხან მეორით, სილას შეძახილი მოჰყვებოდა:

– გამოდი მისი სხეულიდან, თორემ დაგწვავ!

ამჯერად გავარვარებული ნაკვერჩხალი გრძელი მაშით აიღო და მუცელთან მომიტანა.

არ ვიცი, როგორ, მაგრამ იმ წამს გონება გამინათდა. მეტი აღარ შემეძლო, სახე დარტყმებისგან მეწვოდა, მისი ხელების ნაკვალევი მეტყობოდა, ცხვირი გამილურჯდა, ასეთი ძალით მამაჩემსაც კი არ გაუწნავს სილა ჩემთვის. მას კი ამაში ფული გადაუხადეს. მაგრამ ახლა მუცლის დაწვა სურდა და ნათლად ვხედავდი მოვარვარე ნაკვერჩხალს. ის კი აგრძელებდა ყვირილს:

– გამოდი მისი სხეულიდან!

და მაშინ მეც ვიყვირე:

– ჰო, ჰო!

თითქოს ჩასახლებული სულის ადგილი დავიკავე.

ეს ინსტინქტურად მოხდა, გაუაზრებლად. როგორც შემეძლო, თავს ისე ვიცავდი.

– დარწმუნებული ხარ, დარწმუნებული ხარ, რომ მისი სხეულიდან გამოხვალ?

– ჰო... ჰო... გამოვდივარ!

სრული სიგიჟე იყო! რა ეგონა, მართლა ეშმაკს ესაუბრებოდა?

მისგან თავი რომ დამეღწია, ერთადერთი გამოსავალი დამრჩა – თამაშში ავყოლოდი, თორემ განწირული ვიყავი. სიკვდილის, ტანჯვის, დაწვის შემეშინდა, ასე მეგონა, ისევ სილას მტკიცავდა. ამიტომ ფეხზე წამოვდექი, გავიარე და ოთახიდან გავედი.

ამ ამბავს ჩემთვის სიკეთე არ მოუტანია. დედაჩემს ასეთი რაღაცების შეუვალად სწამდა და რომ დამინახა, ატირდა:

– ჩემი გოგონა, ჩემი შვილი დამიბრუნდა!

ამ არამზადას ხელში ფულის ტომარა ჩაუვარდა, დედაჩემმა ამ სტუმრობისთვის ათასი ფრანკი გადაუხადა.

– კიდევ უნდა მოგიყვანოთ.

რასაკვირველია, «არას» არ იტყოდა. ამ სიგიჟის შემდეგ ცოტათი გონს მოვედი, მაგრამ მაინც ღონეგამოცლილი ვიყავი. მხოლოდ ნელა სიარული შემეძლო, ვერ ვიტანდი უმცირეს ხმაურსაც კი, მაგრამ ვამჩნევდი, რამდენი ხალხი ელოდა თავის რიგს, მისაღები ოთახი გატენილი საფულეების პატრონებით იყო სავსე.

მამაჩემი მეზობელთან და მის ქალიშვილთან, აზრასთან ერთად მელოდა. გამოსული რომ დამინახა, გოგონას გული წაუვიდა, ხოლო არამზადამ ამით ისარგებლა და მამამისს უთხრა:

– შენი ქალიშვილი ისევ ეშმაკულის მსხვერპლია, უნდა მომიყვანო!

სარკეში რომ ჩავიხედე, თავი ვეღარ ვიცანი. მაგრამ ამ გიჟთან ტომარასავით ზურგზე მოგდებული მიმიყვანეს და იქიდან ჩემი ფეხით წამოვედი... მაშასადამე, მან თავისი უპირატესობა დაამტკიცა. კიდევ ერთხელ დამამცირეს და სრული განკურნებისთვის ისევ უნდა მივსულიყავი.

არავის ნახვა არ მსურდა. ისევ არ ვჭამდი, წყალსაც თითქმის არ ვსვამდი, ჩემმა სხეულმა სიკვდილი გადაწყვიტა. მესამე დღეს მაიძულეს, ავმდგარიყავი და იმამთან წავსულიყავით.

ახლა უკვე ვიცოდი, რაც მელოდა და ამიტომ ყურადღებით ვიყავი.

– როგორ ხარ?

– კარგად.

შემდეგ ჩემს მშობლებს მიმართა, რომლებმაც, რასაკვირველია, ჩემი ამბავი დაწვრილებით მოუყვნენ.

– მას და მის ქმარს ვიღაცამ ავი თვალით შეხედა! ამას მე მივხედავ. შემდეგ მოსვლაზე შავი მამალი მომიყვანეთ, რომელსაც ყელს გამოვჭრი. თქვენს ქალიშვილს ხიდზე მიიყვანთ და მან ის თავისი ხელით უნდა ისროლოს მდინარეში! მაგრამ მდინარეს ზურგი უნდა შეაქციოს და ხელუკუღმა ისროლოს!

ძნელად წარმომედგინა ჩემი თავი ხიდზე, როგორ ვისვრი სენაში თავმოჭრილ გასისხლიანებულ მამალს.

შემდეგ მასთან ჩავიკეტე ოთახში, სადაც დიდი საწოლი იდგა.

თავის თავს ელაპარაკებოდა, მე კი ერთი სული მქონდა, აქედან გავსულიყავი. უეცრად მიბრძანა:

– დაწევი!

– არა, არა, კარგად ვარ... არ არის საჭირო.

საწოლზე უნდობლად ჩამოვჯექი. ჩემ წინ დადგა.

– ახლა წამოდექი. შენი ქმარი გიყვარს?

– რა თქმა უნდა.

– დარწმუნებული ხარ? მე ვფიქრობ, რომ არ გიყვარს. რაღაც მოგიწყვეს, რომ ის გძულდეს. მე ისე მოვახერხებ, რომ შეგიყვარდება. მიყურე, წარმოიდგინე, რომ შენი მომავალი ქმარი ვარ.

მომიახლოვდა, ძალიან ახლოს იდგა.

– ხედავ თუ არა ჩემში შენს მომავალ ქმარს?

სხეულზე მეხახუნებოდა, მის სუნსა და სასქესო ორგანოს ვგრძნობდი. ტუჩებში მაკოცა. შეშინებულმა ვერც განძრევა მოვახერხე და ვერც დაყვირება! მისაღებ ოთახში ჩემი მშობლების გარდა კიდევ თხუთმეტი კაცი იყო. რა მეყვირა? რომ გამაუპატიურეს? არავინ

დამიჯერებდა. ასეთი არამზადა გოგონებს არ აუპატიურებს, კარგად იცის, ის ქალწული უნდა დარჩეს, მაგრამ ხელს არავინ უშლის მისი სხეულით სხვაგვარად ისარგებლოს და ამ საქმიანობისთვის გასამრჯელოსაც იღებს. ამ ოთახიდან გოგონა არასოდეს გაიქცევა და მშობლებს არ ეტყვის: «ხელით შემეხო!» ის ხომ იმამია!

ამ დამცირების ატანა წარმოუდგენელი იყო; ეს ხანში შესული ნაძირალა თავისი თეთრი ჯელაბათი და ჩალმით, ვითომ სასულიერო პირი, რომლისაც ჩემს მშობლებს სწამდათ, თუმცა წესიერად არც კი იცნობდნენ და ჩემი თავი მაინც ანდეს. ის, რაც მან ჩაიდინა, წმინდა წყლის სექსუალური აგრესიაა. მაგრამ რატომ? ისევ მე რატომ ვიყავი მსხვერპლი? რა დაუშავე ამ კაცებს?

მერე დაწოლა მაიძულა და ისევ ხმალი დაუმიზნა ჩემი მუცლის ქვედა ნაწილს. საბრალო! ახლა მივხვდი, ასე ღორივით ხახუნის გარდა სხვა არც არაფერი შეეძლო ამ ბებერ გახრწნილს. მაგრამ ეს ყველაფერი მდუმარედ უნდა ამეტანა, თუმცა დიდი სურვილი მქონდა, ყელი გამომეჭრა. მომლოდინეებს შორის თოთხმეტიოდე წლის გოგონა დავინახე. გავიგონე, დედამისმა როგორ უთხრა დედაჩემს: – ავი თვალი სცეს, რომ ბიჭი შეუყვარდეს და ოჯახი შეარცხვინოს ქალწულობის დაკარგვით...

კიდევ ერთი მომლოდინე ქალი ქმარს მიეტოვებინა და ახლა სურდა, «შელოცვით» მისი უკან დაბრუნება...

პატარა გოგონას, სავარაუდოდ, იგივე ელოდა, რაც მე გადავიტანე, მაგრამ გათხოვილ ქალს ასე ნამდვილად არ მოექცეოდა. თუმცა, ვინ იცის...

ზიზღი დავიოკე და ვუთხარი:

– ყველაფერი კარგადაა, შეგიძლიათ ჩემს მშობლებს დაუძახოთ.

რაც მოხდა, არავისთვის არასოდეს მომიყოლია. ეს ადამიანი გავლენიანი იყო. მეჩეთში დადიოდა, ლოცვას უძღვებოდა, კარგ მუსლიმად და რწმენის დამცველად ითვლებოდა. მისთვის ბრალი რომ დამედო, საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში ჩავაგდედი. რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა გადავიტანოთ, ჩვენ ჩუმად ვიქნებით და ასეთმა ნაძირლებმა ეს შესანიშნავად იციან. პატარა გოგონას შევხედე, ჩემს შემდეგ შევიდა ოთახში და მასაც იგივე დამცირება ელოდა. ზიზღისა და სირცხვილისგან გული მერეოდა. ამ პატარა გოგონასაც, სინამდვილეში, ჩემსავით სულ ცოტა თავისუფლება სურდა.

ამ შეპყრობილისთვის კიდევ ხუთი სეანსი უნდა გამეძლო!

მესამე შეხვედრაზე რაღაც ნაყენი დამალევინა – სამი ორლიტრიანი ბოთლი, რომელიც ისე უნდა დამელთა, გული არ ამრეოდა. არ ვიცი, ეს რა იყო, ბალახების ნახარში ყავისფერი სითხე, მწარე, მყრალი! ყველაფერი უკან ამოვიღე, ავადმყოფი ძალღივით. მეოთხე მისვლაზე ისევ თავისი ხრიკები დაიწყო:

– შემომხედე, ჩემში შენს მომავალ ქმარს თუ ხედავ?

სასწრაფოდ დადებითად ვუპასუხე...

ეზოში მამალი დაკლა, სისხლი სათლში მოაგროვა და საცოდავი ფრინველი სისხლში ამოავლო. შემდეგ მამაჩემს უბრძანა, ხიდზე წავყვანე რიტუალის ჩასატარებლად.

დედაჩემს კი მიუბრუნდა და უთხრა:

– ეს ვედრო წყლით აავსე, ეზო მოწმინდე, შემდეგ სახლის პირველი და მეორე სართულის იატაკი მორეცხე.

«ავი თვალი» იატაკის მოწმინდის შემდეგ გადასხმულ წყალს გაჰყვებოდა. ეს «ავი თვალი» ძალიან მოხერხებული იყო, ყველგან ახერხებდა შეღწევას. თაღლითმა დამლაგებლად გამოიყენა ის, ვინც ფულს უხდიდა!

იქიდან გამოსული მამაჩემი ხიდის ძებნას შეუდგა, საიდანაც მამლის სროლა შეიძლებოდა. ისეთი ადგილის პოვნა, სადაც ამ რიტუალს მალულად ადასრულებდა, არც ისე ადვილი აღმოჩნდა. გარეუბანშიც კი ხიდზე ყოველთვის ვიდაც იყო. ყველას გვეშინოდა, მამაჩემსაც კი. ერთ მიყრუებულ კუთხეში გააჩერა მანქანა. მე გადავედი, მამალი ფეხებით მეჭირა, იქით-აქეთ ვინელებოდი, რაც შეიძლებოდა სწრაფად მოვისროლე სენაში.

ახლაც ვხედავ საკუთარ თავს ამ ხიდზე: დაშინებული საბრალო გოგონა, ღონეგამოცლილი, გამხდარი, მოჩვენების მსგავსი, თავსზემოთ როგორ ისვრის ამ საზიზღრობას...

ზოგჯერ ვხუმრობ, იქნებ ძალიან სწრაფად მოვიშორე თავიდან...

ამასობაში მომავალი ქმარიც ჩამოვიდა, შინ დარჩა და მეხუთე შეხვედრაზე წამოგვყვა კიდეც. თაღლითმა მისი ნახვა მოისურვა. საბედნიეროდ, მუსა სულელი არ იყო. არ მიყვარდა, მაგრამ ვალიარებ, მას ამ საკითხზე ილუზიები არასოდეს ჰქონია. თუმცა ისიც თამამს იყო აყოლილი. იმამმა ერთგვარი ფიცი დაადებინა:

– ყურადღებით იყავი, ამას კარგად მოუარე, ის ღირსეული ოჯახიდანაა.

– დიახ, დიახ, რა თქმა უნდა.

მინდოდა ყელში ვწვდომოდი და მუშტები დამეშინა. ღირსეული ოჯახის შვილი, რომლის სხულიც გამოიყენე, შე ბებერო გახრწნილო! მუსა დამცინავად უყურებდა. მან დაინახა, რა თანხა გადაუხადა დედაჩემმა და მხარზე ხელი მოუთათუნა:

– ვხედავ, მსუყე მსხვერპლი უშოვია...

მუსა კარგად ხედავდა ჩემს ფიზიკურ მდგომარეობას და ასე მგონია, ცოტათი შევებრალე კიდეც. ჩემი ცნობა შეუძლებელი იყო, ეს თავად უთხრა ჩემს მშობლებს. მაგრამ დაქორწინებაზე უარი არ უთქვამს.

ერთი წამითაც ვერ წარმოიდგენდა, რა გადავიტანე. ამის ახსნა მისთვის არ შემეძლო. ყოველ შემთხვევაში, ალბათ ჯიბრით მაინც შემირთავდა...

როცა მიხვდა, მომავალ ქმარს მისი ხრიკებისა არ სჯეროდა, ჯადოქრის უკანასკნელი რეკომენდაცია ჩემი მშობლების დასაშინებლად ასეთი იყო: – ორივე გათვალულია, თუ იმას არ გააკეთებთ, რასაც ახლა გეტყვით, ადვილი შესაძლებელია, ქორწინებიდან მცირე ხანში ერთმანეთს დასცილდნენ. ქორწილის დღეს ცხვარს რომ დაკლავთ, მისი თავი საქორწინო დარბაზში ისეთ ადგილზე ჩამოკიდეთ, წყვილს რომ უცქერდეს. ეს ქალაღი ცხვარს ენის ქვეშ ამოუდეთ, რომ ორივე დაცული იყოსო.

დიდი სასტუმროს დარბაზში, რომლის დაქირავებასაც მამაჩემი აპირებდა, წარმოვიდგინე ცხვრის გასისხლიანებული, ენაგადმოგდებული თავი, თილისმითურთ, რომელზედაც ეშმაკმა უწყის, რა ეწერა. ეს ყველაფერი სისხლის, სექსუალობის, სისულელის, ავადმყოფური ფანტაზიის ნაზავი იყო. მაროკომიც კი ასეთი რამ არავის სმენია!

მორალურად და ფიზიკურად განადგურებული ვიყავი, მაგრამ თავი ვერ შევიკავე დედაჩემის ნათქვამზე:

– ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ.

– რა სისულელეა!

– არა, უნდა გჯეროდეს, რომ ამის შემდეგ ყველაფერი კარგად იქნება.

ამ შარლატანისა მართლაც სწამდა. მოგვიანებით კიდეც სურდა მისი ნახვა, მაგრამ ისე გამქრალიყო, არავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი. იმედია, ეშმაკს ჩაბარდა.

მართალია, არ გამოუთქვამს, მაგრამ მუსა ხვდებოდა ჩემს უიმედო წინააღმდეგობას და, რასაკვირველია, დათმობას არ აპირებდა. ამიერიდან ჩემზე კანონიერ უფლებას ფლობდა; ჩემი სურვილის მიუხედავად, ადილების თანდასწრებით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მისი ცოლი ვიყავი. საკუთარი დეპრესიიდან მარტოს უნდა დამეღწია თავი, ისევ რომ არ აღმოვჩენილიყავი იმ გიჟთან, რომელსაც შეიძლებოდა ვეცემე. ნელ-ნელა ცოტ-ცოტა ჭამა დავიწყე, მაგრამ ნამდვილად მჭირდებოდა მკურნალობა და ვინმე ნორმალური ადამიანისთვის ყველაფრის ახსნა, ისეთისთვის, ყველაფერს ავსულებსა და ავ თვალს რომ არ დააბრალებდა. საუბედუროდ, ამის უფლება არ მქონდა.

მალე ქორწილის მომზადებისა და მაროკოში გამგზავრების დრო დადგა. გადატვირთული მანქანით ვიმგზავრეთ, ჩასვლისთანავე სახლში გამომკეტეს.

მამაჩემი მითითება ასეთი იყო: «აკრძალული გაქვს გარეთ გასვლა, შენ მამაკაცის საცოლე ხარ!»

გარეთ ხალხს არ უნდა დავენახე. თხუთმეტი დღე დიდ დღესასწაულამდე შინაპატიმრობაში ვიყავი. ამ ცერემონიალის მოსაწყობად, ჩემი უბედურების მიუხედავად, უზარმაზარი ვალი აიღეს. ასე ხდება მაშინაც კი, თუ ქალიშვილს იძულებით ათხოვებენ.

ყველასთვის, ჩემი და ჩემი მშობლების გარდა, ეს სასურველი, ბედნიერი ქორწინება იყო, მე კი მოვთქვამდი. დილით მესალმებოდნენ და ვტიროდი, საღამოს მემშვიდობებოდნენ და ისევ ვტიროდი.

ისედაც უკიდურესად ანერვიულებულს, მამაჩემი მოსვენებას არ მაძლევდა:

– აივანზე არ გახვიდე, ტერასაზე ფეხი არ გაადგა, თვალი არავინ მოგკრას.

ერთხელაც, როგორც მახსოვს, ოთხშაბათი დღე იყო, ჩემი მშობლები ბაბუას მოსანახულებლად მთის სოფელში წავიდნენ. შინ მარტო ვიყავი და მუსამ ამით ისარგებლა, რომ ღამის გასათევად დარჩენილიყო. ახლა ის იყო ჩემი ბატონი, მას ევალეობდა ჩემი მეთვალყურეობა. ტერასაზე სიგარეტის მოსაწევად გავედი და შემობრუნებული გვერდით მივუჯექი. სიგარეტის სუნად ვყარდი! ვაკოცე კიდეც, ეს რომ კარგად ეგრძნო. მაროკოში მწვეველი ქალი უწესოდ მიიჩნევა, კიდეც უფრო მეტად, ვიდრე ჩემს უბანში.

მისი პროვოცირება მსურდა, სინამდვილეში სიგარეტისთვის თავი დიდი ხნის დანებებული მქონდა. ხმა არ ამოუღია, მხოლოდ გაიბუტა. მეორე დღეს კი მეჩხუბა:

– ასე მეგონა, ღირსეული ოჯახის შვილი იყავი, შენ კი ეწევი!

– ჰო, რა მერე? დამავიწყდა აქამდე მეთქვა ამის შესახებ.

– ხვალ ყველაფერი დამთავრდება, ყველაფერი გაუქმდება. არ მჭირდება მწვეველი ცოლი!

რომ შემიძლებოდა, ვიყვირებდი: «ეჰ! მაგარია! დღეში ოთხ კოლოფ სიგარეტს მოვწევ იქამდე, ვიდრე სახლიდან არ წაეთრევი!...»

იმედის ნაპერწკალი გამიჩნდა, მაგრამ რომ მცოდნოდა, რის ფასად! როცა მშობლები დაბრუნდნენ, მკითხეს:

– მუსა სადღაა?

– წავიდა, ვიკამათეთ, ჩემი ცოლად შერთვა აღარ უნდა.

მამაჩემი ტელეფონს მივარდა, მუსამ კი დამაბეზლა:

– შენი ქალიშვილი ის არ აღმოჩნდა, ვინც მეგონა. ვთვლიდი, რომ ღირსეული ოჯახის შვილია, ახლა კი ვიგებ, რომ სიგარეტს ეწევა, გუმინ ჩემ ცხვირწინ მოწია!

მამაჩემი განრისხდა. მას, მის ძმებსა და მამამისს ჩვენთან მოსვლა სთხოვა. სამზარეულოში ვიყავი, ერთ კუთხეში მივიყუყუე, მაგრამ მცემა; ხელებით, წიხლებით, გინებით; ისე, როგორც აღრე მცემდა.

– მეძავი ხარ და მეტი არაფერი!

ოჯახური თათბირი გაიმართა. კაცების სასამართლოს წინაშე გამიყვანეს და ტეტანის ახალი შეტევა დამემართა. მუსას ასეთ მდგომარეობაში არასოდეს ვუნახივარ და დაშინდა. ჩემს ოთახში გამიყვანეს, თავად კი ბჭობას განაგრძობდნენ ჩემსა და სიგარეტზე, დედაჩემი კი ჩემს მოსულიერებას ცდილობდა. მცემეს, მუსა კი სრულებით არ აპირებდა ქორწინების გაუქმებას. მან უნდოდა მამაჩემისთვის ეგრძნობინებინა, რომ მისი ქალიშვილი სრულებითაც არ იყო იშვიათი მარგალიტი, არამედ – თავნება გოგონა. მამაჩემისგან მხოლოდ ბოდიშის მოხდა და მისი დამცირება სურდა. ნამღვრილი კომედია იყო.

რასაკვირველია, მათი საუბრის შესახებ არავის არაფერი მოუყოლია. მამაჩემი ოთახში შემოვიდა და ჩვეულებისამებრ დამემუქრა:

– შენებურ სისულელეებს თავი დაანებე, თორემ ყელს გამოგჭრი, გესმის, ყელს გამოგჭრი.

ამას უნდა დავეშინებინე. მშობლებმა იციან, გოგონებზე რომ ბატონობენ და მათი სიტყვებიც, შესაბამისად, სასტიკია. მაგრამ მაშინ მართლაც მაინტერესებდა, შეძლებდა თუ არა დანაპირების შესრულებას. ჩემი წინააღმდეგობა მხოლოდ მცირე და მოგვარებადი დეტალი იყო.

მაგრამ ტანჯვას დეტალები არ აინტერესებს.

იძულებითი ქორწინებისკენ ისე მიმართევდნენ, როგორც ცხვარს სასაკლაოზე.

ბედნიერების შესახებ

მოახლოვდა პარასკევი, ჩემი უბედურების – ქორწილის დღე. მამაჩემის მიერ დაქირავებულ სასტუმროში წამიყვანეს. დიდი კარნავალი იწყებოდა და თავდაცვა აღარ შემეძლო. ამიტომ გაბუტული ვიყავი და საქმროსთვის სიტყვაც არ მითქვამს.

– შეწყვიტე გაბუტვა, ყველა ჩვენ გვიყურებს.

– თუ მინდა რომ გაბუტული ვიყო, გაბუტული ვიქნები და ეს არავისი საქმე არაა!

ჩემთვის კი ამას ვიმეორებდი:

«მეზიზღები და მინდა, ეს სხვებმაც დაინახონ; თუნდაც შენი გაიტანო, მძულხარ».

მან ჩამცმელებს, მაკიაჟისა და ვარცხნილობის ოსტატებს გადააბარა ჩემი თავი. საღამოს განმავლობაში სამოსი ცხრაჯერ უნდა გამომეცვალა. ეს საშუალო რაოდენობაა, ზოგიერთ ქორწილში პატარძალი ოცჯერ იცვლის. დარბაზში პირველად შესვლისას თეთრი კაბა უნდა მცმოდა, ყალბი ბრილიანტის დიადემა და ასეთივე საყურეები მკეთებოდა. სასტუმროს უკანა

კარიდან შემყვანეს, არავის რომ არ მოეკრა თვალი – პატარძალი პირველად მოოქრული დახურული ტახტრევნით უნდა შეიყვანონ დარბაზში. ეს მეფური მსვლელობაა. ისე მიყვავდი, როგორც «ათას ერთი ღამის» ზღაპრის მეფის ასული.

პატარძალი, ყველაზე მახინჯიც კი, სილამაზეს უნდა განასახიერებდეს. ინგლისის დედოფლის მსგავსად გზად ყველას ხელის დაქნევით უნდა ესალმებოდეს. ღიმილი – მარცხნივ, ღიმილი – მარჯვნივ... თავი სასაცილოდ მეჩვენებოდა, უხერხულობას ვგრძნობდი. შეყვარებული და შესაბამისად, მშვიდად რომ ვყოფილიყავი, რასაკვირველია, ქალის ცხოვრების ამ ჯადოსნური წამით აუცილებლად ვისიამოვნებდი. როცა ლამაზად გაცვია, შესანიშნავი მაკიაჟი გაქვს, სამკაულებით ხარ მოკაზმული და ყველა აღტაცებული შემოგცქერის, ალბათ, არაჩვეულებრივი გრძნობაა. ამის ნაცვლად, თავი სულელი მეგონა, ღიმილი კრუნჩხვას უფრო ჰგავდა, თან ამას ვვიქრობდი: «აქ რას ვაკეთებ?»

ტრადიციულ სამყაროში ასეთი ჩაძირვა, რასაც საფრანგეთში მცხოვრები, კოლეჯში ჯინსითა და ბოტასებით მოსიარულე გაუზრბოდი, სულს მიხუთავდა.

მთელი ეს წლები მისგან გაქცევას ვცდილობდი, მაგრამ ის მაინც თავს დამატყდა და სხვა გოგონების მსგავსად, ისევ საწყის წერტილს დავუბრუნდი. იძულებული ვიყავი, ყველა მომზადებული კაბა ჩამეცვა. ცისფერი, თეთრი, ვარდისფერი, მწვანე, ინდური სამოსი, ფარაონის სამოსი! ეს უკანასკნელი ჩემთვის დაუვიწყარია – სულ მცირე, ოც კილოგრამს იწონიდა. ყველა მათგანში დიდებული ფარშევანგივით გამოვიყურებოდი. მათ პროფესიონალი მკერავი აქირავებდა შესაბამისი ატრიბუტებითა და ჩამცმელების გუნდით.

ბოლოს, საპატარძლოს კაბის ჩაცმის დროც დადგა. ეს ის კაბა იყო, ჩემს მშობლებს მთელ ქონებად რომ დაუჯდათ და რომლის დანაკუწებასაც ვაპირებდი. ამ კაბით პატარძალი უკანასკნელად გადის დარბაზში და შეკრებილთ ღრაქე უნდა გადააყაროს თავზე თავისი ტახტრევნიდან. ამის შემდეგ ქმართან ერთად გაუჩინარდება. პირველი დამე დილით დგება, სტუმრების ჩამოვლის, ნაძალადევი ღიმილის, ყალბი მილოცვების შემდეგ.

ქორწილში მიწვეული ჩემი ფრანგი მეგობრებისთვის ეს მდიდრული ცერემონიული ფერიების ზღაპარს ჰგავდა. მათ არასოდეს უნახავთ, რა იმალება მის უკან. ყველა ადფრთოვანებული იყო ჩემი სილამაზით, მუსამაც კი აღიარა: «არაჩვეულებრივი ხარ!»

წამების ამ გრძელი ღამის დასასრულს, გამთენიისას, თეთრ მანქანაში ჩამსვეს, რომ სხვა სასტუმროში წავსულიყავით. იქ დაქირავებულ ოთახში ამ თითქმის უცნობი მამაკაცისთვის უნდა მიმეძღვნა «ჩემი სანუკვარი ქალწულობა».

ზუსტად მაშინ, როცა მანქანაში ვჯდებოდი, ჩემი ნაბოლარა ძმა მომიახლოვდა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, გაუბედურებული სახით, ზედ შეკითხვა რომ აღბეჭდოდა.

– სად მიდიხარ?

არ ვიცოდი, რა მეპასუხა ათი წლის ბიჭისთვის, ცრემლებად ვიდვრებოდი.

– ქალაქში, სხვა სასტუმროში...

– ახლა დილაა, ყველა დასაძინებლად წვება, შინ რატომ არ მოდიხარ?

– იმიტომ, რომ ახლა უკვე გათხოვილი ვარ...

– ჰო, მაგრამ, უფლება არ გაქვს, შინიდან ასე წახვიდე! მამას დაეკითხე?

თვალეები ცრემლებით ჰქონდა სავსე. მამას თუ დავეკითხე?

– იცი, მამას რამდენი ხანია ამას ვთხოვ, რომ შინ დამტოვოს!

– ხომ დაბრუნდები?

– რა თქმა უნდა, დავბრუნდები, მაგრამ ახლა არა.

მხოლოდ ათი წლის იყო, სრულიად უცოდველი, ერთადერთი, რომელიც ჩემი წასვლის გამო ტიროდა.

მამაჩემი ამ დროს იქ არ იყო, არ ვიცი, იქნებ დაღლილს სადმე ჩაეძინა, უიმედოდ ვეძებდი თვალით.

– მამა, მამა!

პატარა ბავშვივით ვტიროდი და უკანასკნელად ვუხმობდი საშველად. ბოლოს, მოვიდა, გულში ჩამიკრა, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა. მის მკერდზე ავქვითინდი. დამსწრეებს გული აუჩუყდათ, ჩათვალეს, რომ ღირსეულ ოჯახში აღზრდილ გოგონას ეძნელებოდა მამის დატოვება, მუდამ მას რომ მფარველობდა.

სასოწარკვეთილი დიდ სასტუმროს ოთახში აღმოვჩნდი, კარი ჩაიკეტა. გაქცევა შეუძლებელი იყო. საბედნიეროდ, ის უხეშად არ მოქცეულა.

პირველ ღამეს სისხლი თითქმის არ წამომსვლია, მაგრამ ორი დღის შემდეგ სისხლით მორწყულ საწოლში გავიდვიძე.

მუსა სადღაც იყო წასული, წინა დღიდან დედამთილ-მამამთილის ოჯახში მარტო ვიყავი. ჩვეულების თანახმად, აქ უნდა დავრჩენილიყავი. მუცელი არ მტკიოდა, არც არაფერი მიგრძვნიდა. სისხლდენა უხვი იყო იმის მიუხედავად, რომ მენსტრუაციის დრო ჯერ არ მქონდა. ტემპერატურამ ამიწია, მაკანკალებდა და გონება სანახევროდ დავკარგე. ამდენი სისხლის დანახვით შეშინებულს, არ ვიცოდი, რა მეღონა. ჩემი დედამთილი ჩემს ოთახში დასახმარებლად არ ამოსულა, ჩემმა მამამთილმა ოთახიდან გამოსული რომ ვერ მნახა, შეშფოთდა და მომაკითხა. მან მუსას ძმებს დაუძახა, ზეწრებში გამახვიეს, მაგრამ სიცივისგან ვკანკალებდი. ერთ-ერთი ვაჟი ექიმის მისაყვანად გაგზავნა. ის და მისი ვაჟები გულკეთილი ადამიანები იყვნენ, მათ ჩემს დასახმარებლად და მხარდასაჭერად ყველაფერი იღონეს. ექიმს საავადმყოფოს დატოვება არ შეეძლო, ამიტომ მასთან ტაქსით უნდა წავყვავანე. ჩემი დედამთილი, როგორც იქნა, ოთახში ამოვიდა, ქმარზე განრისხებული:

– თავი დაანებე ამ ზეწრებს! ყველა ახალია! მის გამო რატომ გახსენი?

აშკარად არ მოვწონდი.

– ტაქსი? არასოდეს! მხოლოდ ორი დღეა რაც აქ არის! რამე რომ დაემართოს? მოვიდნენ მისი მშობლები და რაც უნდათ, ის ქნან!

ისინიც სასწრაფოდ გულგახეთქილები მოცვივდნენ. საბრალო დედაჩემს სახლის ზღურბლის გადაბიჯებისთანავე წელი ისე გაუკავდა, რომ მამაჩემი ანერვიულდა:

– დაუჯერებელია, ერთმანეთს დაემატეთ, საკმარისია!

სისხლის გუბე რომ დაინახა, დედაჩემი შიშით კინაღამ ჭკუიდან შეიშალა, დარწმუნებული იყო, ვკვდებოდი. მოგვიანებით გამომიტყდა, რომ მაშინ პირველად დაუსვა საკუთარ თავს კითხვა – უკვე დრო იყო – ნამდვილად კარგად მოიქცნენ თუ არა, იძულებით რომ გამათხოვეს, მეტისმეტად ბევრი ნიშანი მიუთითებდა საპირისპიროს...

დედამთილს მხოლოდ ერთი პრობლემა აწუხებდა: მე სნობი ვიყავი. დილით მის სანახავად ოთახიდან არ გავსულვარ, ქორწილის დროს არ ვმხიარულობდი, მისმა ქმარმა შვიდი ახალთ-ახალი ზეწარი ჩემთვის გამოიყენა, ეს უკვე მეტისმეტი იყო! სულიც გამძრობოდა, ოღონდ მის სახლში არა!

ექიმი სისხლდენის შესაჩერებლად ნემსი გამიკეთა. მან ვერ გაიგო, რას უნდა გამოეწვია ასეთი ჰემორაგია.

დედაჩემი ეჭვობდა, რომ მისი სიძე პირველ დამეს ზედმეტად უხეშად მომექცა, მაგრამ ძალადობის არავითარი კვალი არ ჩანდა და ჩემზე უკეთ არავინ იცოდა, რომ ძალადობა არ ყოფილა. ბედმა იმ მხრივ მაინც გამიღიმა, რომ ულმობელ მამაკაცს არ გადავეყარე. მართალია, არ მიყვარდა, მაგრამ მოძალადეობას ნამდვილად ვერ დავაბრალებდი.

ხუთი დღე საწოლში უნდა გამეტარებინა, ქმარი კიდეც ორ კვირას ახლოსაც არ უნდა გამკარებოდა. ახლა უკვე ვიცი, რა იყო ამ შემთხვევის მიზეზი. ეს შეუგნებლად მოხდა, მაშინ ამაზე არ დაფიქრებულვარ. თხუთმეტდღიანი არდადეგები, ექიმის მიერ ნებადართული! ეს ერთადერთი საშუალება იყო, რომ საწოლში მარტო დავრჩენილიყავი... ჩემს ნაცვლად სხეული საუბრობდა. როცა არც ხმის ამოდების, არც გაქცევის უფლება გაქვს, თავს ისე იცავ, როგორც შეგიძლია: არასასურველი ქმრის თავიდან მოცილების საუკეთესო საშუალება სისხლდენაა...

უკან, ქმრის ოჯახში დამაბრუნეს და ჩემმა მამამთილმა გადაწყვიტა, პირველ სართულზე დავებინავებინე, რომ ყველას შეძლებოდა ყურადღების მოქცევა. ის ასე ფიქრობდა: «საბრალო გოგონას იზოლაცია ზემო სართულზე უნდა დამთავრდეს, ის ნელ-ნელა უნდა შეგვეჩვიოს».

მაგრამ ეს ჩემი სახლი არ იყო. დედაჩემს ძალიან უნდოდა, შინ წავეყვანე და იქ მოევლო ჩემთვის, მაგრამ ამის გაფიქრებაც კი არ შეიძლებოდა: გათხოვილი ვიყავი და ქმრის სახლში ცხოვრება მევალებოდა. აქ ჩემ გარშემო ის ხალხი ირეოდა, ვისაც არ ვიცნობდი და არც მსურდა მათთან დაახლოება. ეს პირველ რიგში, ჩემს დედამთილზე ითქმოდა.

მოხუცი ქალბატონი მომიახლოვდა და ჩემ გვერდით საწოლზე წამოწვა. ის მუსას ბებია იყო – დედის დედა.

– შენ ხარ მუსას ცოლი? კარგად ხარ?

– არა მიშავს.

– იცი, რა, ესენი კეთილი ადამიანები არ არიან.

– რატომ?

– არ არიან და მორჩა, ასეა.

ჩემი ხელი აიღო და დიდხანს დასცქეროდა ოქროსვარაყიან ბეჭედს, უმნიშვნელო სამკაულს.

– ეს ბეჭედი ძალიან ლამაზია... იცი, ბეჭედი ჩემს ცხოვრებაში არასოდეს მქონია.

– აჰა, აიღე.

ბეჭედი თითზე წამოვაცვი. მითხრა:

– გმადლობთ, ჩემო გოგონა, გმადლობთ.

თავის ქალიშვილზე დაიწყო ამბების მოყოლა, ჩემს დედამთილზე. მივხვდი, მასზე არავინ ზრუნავდა, რადგან ძალიან მოხუცი იყო და მხედველობაც აკლდა, ტვირთად აწვა მათ. ჩემი წინათგრძნობა ჩემი დედამთილის შესახებ მართლდებოდა. ამ ქალს საკუთარი დედაც კი არ უყვარდა... მე, ოჯახისთვის უცხო გოგონას, ფიანდაზად ნამდვილად არ დამეფინებოდა!

შემდეგ მოხუცმა თავისი შვილიშვილის, მუსას დაზე მითხრა:

– ძალიან ბოროტია, ყურადღებით იყავი, ნამდვილი ასპიტია, აუცილებლად გაგაწამებს, ყველაფერს გააკეთებს, თავი ცუდად რომ იგრძნო. ფრთხილად იყავი და თავი დაიცავი, ჩემი გოგონა, ყურადღება არ მოაღუნო და თავს მიხედე.

ამ დროს დაინახა, რომ მუსას და გვიახლოვდებოდა:

– ჩუ, ჩუ, ჟანდარმი მოდის.

თავი მოვიმძინარე, ჩემი მული კი მოხუცს ეჩხუბა:

– აქ რას აკეთებ? ახლავე შენს ოთახში დაბრუნდი!

– არა, არა, ასე მირჩევნია, აქ კარგად ვარ.

მაგრამ ჩემმა მულმა ბეჭედი შენიშნა და ყველაფერი დედამისს მოახსენა. იმავე საღამოს ეს აბსურდული სკანდალის მიზეზი გახდა.

მუსა ჩემს სანახავად შემოვიდა.

– ლეილა, ბებიას ბეჭედი შენ მიეცი?

– ჰო, ვაჩუქე, ეს მისი საჩუქარია!

– კი, მაგრამ, ოჯახში ერთი ამბავი ატყდა და დედაჩემმა ბეჭედი წაართვა.

– დედაშენმა ბეჭედი წაართვა?!. მაშინ მიდი და ყველაფერი რომ მოგვარდეს, დედაშენს უთხარი, რომ ლეილამ ბებიას თითზე ბეჭედი გაუკეთა და შემდეგ გამორთმევა დაავიწყდა-თქო.

ამ ამბის შემდეგ დედამთილმა აშკარად ამითვალწუნა. უკვე დღეებს ვითვლიდი, როდის დავბრუნდებოდი ჩემს სახლში.

როგორც კი ფეხზე ადგომა შევძელი, მშობლების მოსანახულებლად წავედი, შემდეგ სალონში შევიარე და თმა შევიჭერი. არავისთვის არაფერი მითქვამს. ეს კი დედამთილთან კონფლიქტს ნიშნავდა.

– თმა შეიჭერი! ამისთვის შენი ქმრის თანხმობაა საჭირო.

– შენმა დანარჩენმა რძლებმაც შეიჭრეს თმა და ეს არავისთვის გამხდარა პრობლემა...

– ჰო, მაგრამ სანამ რამეს გააკეთებ, ნებართვა უნდა აიღო...

ჩემმა მამამთილმა სიტყვა შეაწყვეტინა:

– შენს საქმეებს მიხედუ და სიცოცხლეს ნუ უმწარებ, თავის ქმართან გაარკვევს ყველაფერს, თუ ეს მართლაც პრობლემაა. თავი დაანებე.

სიცოცხლეში პირველად მამაკაცმა დამიჭირა მხარი. მაგრამ ჩემი დედამთილი სულ უფრო და უფრო კაპასდებოდა.

მოკლე თმით თავს უფრო მსუბუქად და უკეთ ვგრძნობდი, მაგრამ მუსამ ეს ვერ აიტანა. როგორც მივხვდი, დედამისს დაახლოებით ასეთი რამ უნდა ეთქვა: «ერთი კვირაც არ გასულა, რაც შენი ცოლია და უკვე იმას აკეთებს, რაც თავად სურს, თმა შეიჭრა, მშობლების სანახავად წავიდა და ნებართვაც კი არ აუღია. თუ შინ არ ხარ, მე უნდა მკითხოს! თუ ასე გაგრძელდა, შენს ჭკუაზე ვერ ატარებ!»

კლასიკური გამოთქმაა, რომლითაც დედამთილი საყვარელ ვაჟს მოძღვრავს: «შენს ჭკუაზე ვერ ატარებ!»

ისიც ზემოთ ამოვიდა.

– ნებართვა ვისგან აიღე, სანამ თმას შეიჭრიდი?

– როცა გამიცანი, მოკლე თმა მქონდა. მთხოვეს, ქორწილისთვის გამეზარდა და ასეც მოვიქეცი. ქორწილი დასრულდა, ჰოდა, მეც ისევ შევიჭერი.

– ახლა გათხოვილი, მამაკაცის ცოლი ხარ და თმა შეკრული უნდა გქონდეს.

– შეიძლება ასეცაა, მაგრამ უკან ხომ ვეღარ მივაწებებ?

თმის შეჭრა გაზვიადებული იყო პრინციპის გამო. სრულებით არ ვაპირებდი ჩემი მშობლების სანახავად წასასვლელად მისგან ან დედამისისგან ნებართვა ამელო. ჯერ ჩემი თვალსაზრისის ახსნა დავიწყე, შემდეგ მომბეზრდა და გაცეცხლებულმა ვუთხარი:

– ნებართვა დედაშენისგან ავიღო? კი მაგრამ, ვის გავყვევი ცოლად, დედაშენს თუ შენ?

– ეს ერთი და იგივეა! როცა მე შინ არ ვარ, დედაჩემს უნდა ჰკითხო!

– დიდი ბოდიში, მაგრამ არა, მე ქალბატონ მაშენის ცოლი არ ვარ! საქორწინო ხელშეკრულებაზე ხელი შენთან ერთად მოვაწერე! რისი გერიდება, თქვი, რომ საკუთარ ცოლს არ ენდობი!

გადავწყვიტე, თავიდანვე არ მიმეცა ჩემზე უფროსობის საშუალება. არც ის და არც დედამისი მითითებებს არ მომცემდნენ. ისინი საკმარისად მქონდა მიღებული! საქორწინო მოგზაურობის დროს, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე სამ კვირას გაგრძელდა, ჯავრს ცოტ-ცოტა ვიყრიდი. დაე, გადაიხადოს! რაც შეიძლება მეტი! კიდევ ერთი ბეჭედი, საყურე, ათობით სამოსი... მოკრძალებული სასტუმრო შეარჩია, მე კი ყველაზე ძვირიანში მინდოდა და ჩემიც გავიტანე. ან ასე უნდა ყოფილიყო, ან არაფერი.

– მინისტრი ხომ არ გგონივარ?

მომთხოვნინ და გულგრილი ვიყავი. მსურდა, საფულე დაეცარიელებინა. რაკი ჩემი თავი ამ კაცს «დაუთმეს», ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ვთვლიდი, დაე, საფასურიც გადაიხადოს. ეს სისულელე იყო, მაგრამ ასე მოქცევით ცოტა შვებას ვგრძნობდი. მზე, ზღვა, პანაწინა ქუჩები ფეხით მოსიარულეთათვის, ძველი ქალაქის ბაზრები, მთელი სისავსით შევიგრძნობდი ამ არაჩვეულებრივ ქვეყანას, მისი ფერებით, მრავალფეროვანი სურნელებით... ვიცოდი, რა მძიმე იქნებოდა საფრანგეთში დაბრუნება. ჩემს მშობლებთან უნდა გვეცხოვრა, თეჯირის ამოშენებამდე ფარდით გამოყოფილ მისაღებ ოთახში; საფრანგეთში ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთი არ ჰქონდა და მუშაობის დაწყებას ვერ შეძლებდა. თავს ვეკითხებოდი, რას გააკეთებდა. ჩემი მშობლების კმაყოფაზე იქნებოდა?

მერიამი მივედით აუცილებელი ფორმალობის შესასრულებლად. მერიის კიბე ავიარე, რომ დადარდიანებულს მეტქვა «დიახ». ეს აუცილებელი ფორმალობა უსაშველო სევდას მგვრიდა.

შემდეგ დაიწყო დაუსრულებელი ორომტრიალი საბუთების მოსაწესრიგებლად. ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთი ადვილად მიიღო. ერთობლივად ცხოვრების ერთი წლის თავზე მოქალაქეობასაც მიიღებდა. ნატურალიზაციის მეშვეობით მოქალაქეობის მიღება ძალიან ადვილია.

წელიწადმა მნიშვნელოვანი დაძაბულობის გარეშე ჩაირა. სამუშაოს ვეძებდი, რადგან უმუშევრობის დახმარება არ კმაროდა, ჩემი მშობლებისთვის ეს დიდი შეღავათი არ იყო. საუბედუროდ, ვერაფერი ვიპოვე და მაცოფებდა შინ ყოფნა, დამატებითი წყვილი თვალის მეთვალყურეობა. ერთ დღესაც მოულოდნელი იმედი გამიჩნდა, სახლიდან გამეძევებინა. ბანკში, რასაკვირველია, ერთობლივი ანგარიში გავხსენით და ბანკიდან მიღებულ შეტყობინებებსაც ის ხსნიდა. საუზმის მაგიდაზე დადებული ამონაწერი უგულისყუროდ გადავათვალიერე და უეცრად, ჩემი ყურადღება ერთმა წინადადებას მიიქცია: «მადმუაზელ ესა და ეს რიცხავს თანხას ... ოდენობით.»

ამონაწერის დათვალიერება განზრახული არ მქონდა, თავდაპირველად არც არაფერზე მიეჭვია. მაგრამ ფურცელი ძალიან სწრაფად დაკეცა. ამიტომ მაშინვე ვუთხარი:

– მომეცი ეგ ფურცელი!

მამაჩემის ოთახში ყვირილით შევვარდი:

– ეს არის პატიოსნება და ერთგულება? საყვარელი ფულს უხდის!

ეს რომ დაქორწინებამდე გამებედა, მამაჩემის მძიმე ხელს ვერ ავცდებოდი, მაგრამ რაც გავთხოვდი, სხვაგვარად მექცეოდა და თავადაც ხედავდა, რა ეწერა ფურცელზე; მართალი ვიყავი, მიხვდა, რასაც ვფიქრობდი. სავარაუდოდ, ჩემი ქმარი მტალატობდა. მუსას არაფერი უთქვამს, გაიბუტა და თავი მისაღებ ოთახს შეაფარა. დედაჩემმა, რომელსაც მხოლოდ ის აშინებდა, მისი შვილი ქმარს არ გაეგლო, თქვა:

– შენსას მიაღწიე, გააბრაზე...

– რას ნიშნავს გავაბრაზე? ვიღაც ბოზი ანგარიშზე ფულს ურიცხავს, არ ვიცი, ვინ არის და საიდან გამოტყვრა, მამ მე ვინღა ვარ? იდიოტი?

ახსნა-განმარტებისთვის მუსასკენ გავემართე, უკან მშობლები მომყვებოდნენ. მეგონა, ასეთი საბუთის გამო მხარს დამიჭერდნენ.

– ჩემო გვრიტო, თუ მადმუაზელ X-სთან გინდა წასვლა, ფულს რომ გიხდის, წადი, ეს მე ძალიანაც ხელს მაძლევს!

მაგრამ დედაჩემი ჩაერია:

– ასე ქმარს არ უნდა ელაპარაკო. რა თქმა უნდა, სიმართლე უნდა გაარკვიო, მაგრამ მშვიდად.

მუსამ თავის გასამართლებლად რაღაც მოჩიხა მეგობარზე, რომელსაც მისი ვალი ჰქონდა, მაგრამ გასტუმრება არ შეეძლო. თანხა მისი მეგობრის დამ გადაიხადა! რასაკვირველია, არც ერთი სიტყვისა არ მჯეროდა.

– ჰო, შენ არაფერ შუაში ხარ! ნამდვილ იდიოტად მთვლი.

– ლეილა, თუ ქმარი ამას ამბობს, უნდა ენდო!

დედაჩემი... დედა ძალიან მიყვარს, მაგრამ ვერ ვიტან მის ამგვარ მუდმივ მორჩილებას, ნებისმიერ ფასად მამაკაცების გაღმერთებას. ისინი ყოველთვის მართლები არიან, მათ უნდა ენდო და მათი გჯეროდეს მაშინაც კი, როცა იტყუებიან. ეს იმიტომ, რომ განრისხებული შინიდან არ წავიდეს და არ მიგვატოვოს, არ გაგვეყაროს უბნის, ოჯახის, წინაპართა სამშობლოს მასხრად ასაგდებად.

ერთი წელი გავიდა, თუმცა ჩემს ქმარს სამსახურის ძებნით თავი არ შეუწუხებია. მაგრამ მე უკვე ვმუშაობდი ძიდად ფრანგების ოჯახში, მათთან ცხოვრების პირობით. პირველად მოხდა, მთელი კვირა შინ რომ არ ვიყავი, მხოლოდ შაბათ-კვირას ვბრუნდებოდი.

საბუთების მოწესრიგებამდე მუსას ჯიბის ფულს დედაჩემი აძლევდა, დაბინავებული იყო და არც სასმელ-საჭმელი აკლდა. ბოლოს, გადაწყვიტა, ჩემთვის, როგორც ძიძისთვის განკუთვნილ ერთ ოთახში გადმოსულიყო და მთელი დღეები პარიზის ქუჩებში დაეხეტებოდა.

გულწრფელად მსურდა, მას შევჩვეოდი, ვცადე, შემეყარებოდა, მაინტერესებდა, მოვახერხებდი, თუ ვერა. ერთხანს თავს ვატყუებდი, თითქოს მისი შეყვარება უნდა მესწავლა. მაგრამ ვერაფერს გავხდი.

მას ხელობის შესწავლა სურდა. ნებისმიერის, მთავარი იყო, მისთვის სტიპენდია გადაეხადათ. არც ამბიცია გააჩნდა, არც მომავალზე ფიქრობდა. მე ვირივით ვმუშაობდი, მუსას კი მხოლოდ დედამისისთვის რეგულარულად ფულის გაგზავნა სურდა. ერთ დღესაც მაროკოში დაბრუნება გადაწყვიტა, დედა ისე მონატრებოდა!

დედამისი დროდადრო ურეკავდა, მაგრამ ერთ დღეს შინ არ იყო და ყურმილი მე ავიღე.

ჩვეული მოკითხვის ცერემონიალის ჩამთავრების შემდეგ თავაზიანად ვკითხე, როგორ ბრძანდებით-მეთქი.

– ოჰ, ოჰ, ოჰ! ჩემო გოგონა, მუხლი მტკივა! ექიმთან უნდა მივიდე!

სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავდა: «თუ ფული გაქვთ, გამომიგზავნეთ».

– წყალი ჩამიდგა და უნდა ამომიღონ.

– ეს არ არის საშიში.

– ჰო, მაგრამ მტკივა, ძალიან ვიტანჯები! ჩემს ვაჟს უთხარი, დამირეკოს.

– დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, გადავცემ. ყველა მოიკითხეთ.

ყურმილი დავკიდე და როცა მუსა შინ დაბრუნდა, დამავიწყდა მისთვის ეს ამბავი მეთქვა, მხოლოდ ვახშობის დროს გამახსენდა:

– დამავიწყდა მეთქვა, დედაშენმა დარეკა, მუხლში წყალი აქვს ჩამდგარი და უნდა ამოუღონ.

თითქოს მეთქვას, – დედაშენი სიკვდილის პირასააო, თეფშს ხელი ჰკრა, თავი ხელებში ჩარგო და ტირილს მოჰყვა. დედაჩემმა გაფართოებული თვალებით გადმომხედა. მამაჩემი კრიჭაშეკრული, მოღუშული მიყურებდა. ვერ გავიგე, რა იყო ასეთი დრამატული ამ ამბავში.

– რა დაგემართა? მუხლში წყლის ჩადგომა არ არის საშიში! ამოიღებენ, არ არის ძნელი!

სრულ სიჩუმეში გავაგრძელე:

– დედა, შენმა მეგობარმა საიდამაც ხომ გაიკეთა პუნქცია და ახლა მშვენირადაა!

მამაჩემმა ველარ მოითმინა;

– ხმა გაკმინდე, თორემ ამ თეფშს თავზე დაგამხობ!

დედაჩემმა ალერსიანად უთხრა:

– მუსა, ჭამე.

– არა, აღარ მშია.

მე კი განრისხებულმა დავამატე:

– ჭამე, დიდი ამბავი, დედაშენი კი არ კვდება!

მშვიდად განვაგრძობდი ვახშობას, ის კი ქვითინით გავიდა ჩვენს ოთახში. დაუჯერებელი იყო, დედაჩემი გაღიზიანდა.

– კმაყოფილი ხარ? ახლა ხომ დაკმაყოფილდი?

– კი, მაგრამ, დედა, ეს ხომ სისულელეა! არაფერია საშიში! სიმსივნე ხომ არ არის!

– ამას მნიშვნელობა არ აქვს! მთავარი პრინციპია, შეგეძლო, დაგეცადა, ივანშმებდა და მერე ეტყოდი... არა, აქ, სუფრასთან, ყველას თანდასწრებით ჩაუკაკლე!

გაცეცხლებულმა მამაჩემმა მიბრძანა:

– გადი შენს ქმართან.

– არაფერი მოუვა, საწოლზე წევს და ტირის.

– გუბნები, გადი, ნახე, როგორ არის შენი ქმარი!

დედაჩემმა დაამატა:

– ახლავე გადი, არ უჭამია, პურის ლუკმაც კი არ ჩაუღია პირში! უგულო ხარ!

ბუზღუნით გავედი სამზარეულოდან. მუცელზე იწვა და ქვითინებდა:

– დედიკო, ჩემო პატარა დედიკო, მალე დაგკარგავ, მე კი შენს გვერდით ყოფნაც კი არ შემიძლია, ჩემო დედიკო.

დედამისის მუხლის გამო მოთქვამდა! ნამდვილი დრამა იყო. დამნაშავე ისევ მე ვიყავი. ჯერ ერთი, ვახშობის საშუალება უნდა მიმეცა, გარდა ამისა, სხვების თანდასწრებით არ უნდა მეცნობებინა ეს საშინელი ამბავი.

მუხლის გამო ტირილი... ხან ნერვიულად ვიციხოდით, ხან სრული გაოცება მიპყრობდა. როგორ უნდა მოექცე ზრდასრულ მამაკაცს, რომელიც ბავშვივით ქვითინებს?

ან გვამასხარავებდა, ან გიჟი იყო, დედის სიყვარულით დაავადებული.

– დედიკო, დედიკო...

– მუსა, გადმობრუნდი, თქვი რამე!

არ ვიცი, როგორ ვიყო ალერსიანი მოზრდილ ადამიანთან, ასეთი მხოლოდ ბავშვებთან ვარ. გარდა ამისა, სლუკუნი ლაპარაკში ხელს უშლიდა ეს კიდე უფრო მაღიზიანებდა. ვცადე, მოვხვეოდი, მაგრამ ტირილისგან სახე მოქცეოდა და თავი დავანებე.

ოთახიდან გავედი და დაუსრულებლად ვიმეორებდი:

– სისულელეა! სისულელეა! დედამისის მუხლის გამო ტირის... რა სისულელეა...

მამაჩემმა მაგიდაზე მუშტი დაარტყა.

– ახლავე ხელი მოკიდე ტელეფონს. მთელი დამეც რომ დაგჭირდეს, გაათენებ იქამდე, ვიდრე დედამისს არ დაურეკავ და შვილს არ დაალაპარაკებ. ასე მოიხდი ბოდისს. გასაგებია?

საბოლოოდ, მაინც ჩემმა დედამთილმა მაჯობა. სურდა, მის ვაჟს დაერეკა, ექიმთან წასასვლელად ფული სჭირდებოდა, ან თავის გვერდით უნდოდა შვილი ჰყოლოდა. თავისი გაიტანა.

კვირა სადამოს სატელეფონო ზარის ტარიფი დაბალია და ყველა მაშინ რეკავს მაროკოში. როგორც წესი, ხაზი ან მუდმივად დაკავებულია და დაკავშირებას დიდი დრო სჭირდება, ან ოპერატორი, ღმერთმა იცის, რატომ, ესპანურ ენაზე საუბრობს, ან ავტომომპასუხე თავაზიანად გაცნობებთ, რომ ხაზი გადატვირთულია. ერთი საათი ამაოდ ველოდე. ბოლოს, ტელეფონით ხელში იატაკზე დავჯექი, მუსა ისევ ქვითინებდა: «დედიკო, ჩემი პატარა დედიკო, მალე მოკვდება».

როცა, როგორც იქნა, დაკავშირება მოვანერხე, ჩემს დედამთილს გახარებული ხმა ჰქონდა!

– დიახ, დიახ, კარგად ვარ.

– დარწმუნებული ხართ?

– ჰო, ჰო, ყველაფერი კარგადაა...

ცოტათი დავფიქრდი, და მივხვდი, რაკი ტელეფონი ჯერ ჩემმა მამამთილმა აიღო და ალბათ, იქვე, ოთახში იმყოფებოდა, ჩემი დედამთილი ამის გამო ისევ თვალთმაქცობდა.

– ყურმილს შენს შვილს გადავცემ.

– მართლა?

მას კი საუბარი არ სურდა:

– არა, არა, ცუდად ვარ, არ მინდა ასეთ მდგომარეობაში ველაპარაკო!

– კი, მაგრამ, ერთი საათია, მოთქვამ! ახლა, როცა დედაშენი ტელეფონთანაა, საუბარიც აღარ გინდა? დაელაპარაკე და მიხვდები, რომ კარგადაა, საშიში არაფერი სჭირს და თუ შეიძლება დაუჩქარე, დარეკვა ძვირი ღირს!

ყველაფერი მესმოდა.

– ალო, შვილო, ჩემო პატარა, ჩემო ბიჭუნა, როგორ მაკლიხარ, არ ვიცი, როგორ გადავიტან...

უნდოდა, მისი შვილი მაროკოში დაბრუნებულიყო. მან ყველაფერი მიიღო, რაც სურდა – მოქალაქეობა და უსაფრთხოება საფრანგეთში; ცოლი, რომელიც მუშაობს – ახლა დრო იყო, დედას შვილი დაებრუნებინა. ორივენი ტიროდნენ. მუხლი არც კი გახსენებიათ. ჩემს მშობლებს ყველაფერი ესმოდათ – ხმის გამაძლიერებელი იყო ჩართული – ორივე მიხვდა მათ თამაშს.

საუბედუროდ, მესაკუთრე დედამთილი და ინფანტილური ქმარი მყავდა, ჩემი წვალება ჯერ კიდევ წინ იყო!

მოსამზადებელი კურსები პროვინციაში იპოვა. პარასკევ საღამოს ბრუნდებოდა და კვირას მიდიოდა. ყველაფერი რიგზე იყო. ერთოთახიანი ბინის დაქირავება გადაწყვიტე, მშობლებისთვის შედავათი რომ მიმეცა. მუსას ორი ათას ფრანკს უხდიდნენ, ის კი თანხას მანქანის შესაძენად აგროვებდა. ქირას და საცხოვრებელ ხარჯებს ჩემი ხელფასით ვფარავდი, თითქმის აღარაფერი მრჩებოდა, ის კი, როგორც სურდა, ისე იქცეოდა. ავეჯის შესაძენად თავიც არ შეუწუხებია, კომოდის ყიდვაც კი არ უნდოდა. სულმოუთქმელად ელოდებოდა, როდის იყიდდა მანქანას, რომ მაროკოსკენ გაექროლებინა.

ყველაფერი მშობლებმა მომცეს: ავეჯი, ჭურჭელი, საწოლიც კი. დივანის ყიდვაზე უარი მითხრა. ფულის გამო კამათმა თავი მომაბეზრა. გარდა იმისა, რომ ყველაფრის ფული მე უნდა მეშოვა, მევე უნდა მეზრუნა ყოველდღიურ ხარჯებზე. შეხლა-შემოხლა არ მთავრდებოდა.

ჩემი დედამთილიც არ ეშვებოდა:

– აქამდე რატომ არ ორსულდება?

შემდეგ ჩააწვეთა: – იქნებ მალულად აბებს იღებს?

დაორსულება ჯერ არ მსურდა, მაგრამ კამათი რომ დამესრულებინა, გინეკოლოგთან მისვლა გადაწყვიტე. მაშინ გაიგებდა ჩემი ქმარი, გვეყოლებოდა თუ არა შვილები. მაგრამ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი: გინეკოლოგი, მართალია, მუსლიმი იყო, მაგრამ მამაკაცი. მას დიდი ხანია ვიცნობდი, მან მისცა ჩემი ქალწულობის ორი ცნობა მშობლებს, მესამე – ქორწილის წინ. ხუთი თითივით მიცნობდა, იცოდა ტეტანიის შეტევების, ანორექსიის და ბავშვობიდანვე ჩემი გასაჭირის შესახებ.

მაგრამ მუსას არ სურდა, მამაკაცს გავესინჯე.

– ან ამ ექიმთან მივალ, ან არავისთან, – იყო ჩემი პასუხი.

მას ვენდობოდი:

– ჰაბიბ, მუსას ჰგონია, რომ დაფეხმძიმება არ შემიძლია, უნდა გამსინჯო...

მან გადაიხარხარა.

– გაგსინჯავ, მაგრამ თვითონ მუსა? დარწმუნებულია, რომ განაყოფიერება შეუძლია?

არაფერი მაწუხებდა, პირიქით, ჰაბიბმა ექოსკოპიის დროს ხუმრობით მითქრა:

– ახლავე წადი შინ! ოვულაციის პერიოდი გაქვს! თუ ახლა არ დაფეხმძიმდი, ესე იგი, მუსაა სამკურნალო.

რასაკვირველია, მუსას «არ შეიძლება» რაიმე პრობლემა ჰქონოდა. არ ვფეხმძიმდებოდი, რადგან «ღმერთს ამჯერად შვილების მოცემა არ სურდა».

არც მეჩქარებოდა შვილის გაჩენა. მაგრამ ბოლოს, არ გაუმხელია, ისე გადაწყვიტა ექიმთან მისვლა. მართლაც სჭირდებოდა მკურნალობა. რა თქმა უნდა, არაფერი მითხრა. ერთ დღეს შემთხვევით წავაწყდი წამალს: «აჰა, მკურნალობს», გავიფიქრე.

– ეს რა არის?

– ისეთი არაფერი, ნაწლავების პრობლემა მაქვს.

სინამდვილეში ნაწლავი არაფერ შუაში იყო, სულ სხვა სახის მკურნალობა ესაჭიროებოდა, რადგან მცირე პრობლემა ბავშვის ყოლაში უშლიდა ხელს. მაგრამ არავისთვის გაუმხელია, არც ჩემთვის და არც დედამისისთვის. ის ყოველთვის უდანაშაულო იყო, ჯობდა ჩემთვის დაებრალებინა უნაყოფობა. ექიმმა ამიხსნა ყველაფერი. ანტიბიოტიკების რამდენიმეკვირიანი კურსის შემდეგ ყველაფერი მოგვარდებოდა. მანამდე დედაჩემი, მამიდაშვილები, მეგობრები კითხვებით არ მასვენებდნენ.

– ბავშვი თუ არ გააჩინე, შენი ცხოვრება ხელიდან წასულია, შვილო.

ის-ის იყო, ერთ-ერთ მამიდაშვილს ვუპასუხე, რომ შვილის გაჩენას არ ვჩქარობდი, რომ უეცრად გავფითრდი, გულისრევის გრძნობით სააბაზანოში შევვარდი.

მან მხიარულად შემომხედა და არაბულად ყველასთვის ცნობილი შეკითხვა დამისვა: «ბუზი გადაყლაპე?»

თუ სიმპტომებით გავითვალისწინებდი, მართლაც ფეხმძიმედ უნდა ვყოფილიყავი. სულ მეძინებოდა, გული მერეოდა, სხვა ინტიმური ნიშნებიც ერთვოდა. მაგრამ ვუძალიანდებოდი და თავს ვირწმუნებდი, რომ ფეხმძიმედ არ ვარ: ჯერ არა, ძალიან ახალგაზრდა ვარ, წინ დიდი დრო მაქვს.

სინამდვილეში იმედს ვებღაუჭებოდი, რომ სასწაული, ბოლოს და ბოლოს, მოხდებოდა და მართოსული, უსიყვარულოდ აღარ ვიცხოვრებდი.

იმ დღეს, როცა აფთიაქში ორსულობის დამდგენი ტესტის საყიდლად წავედი, ზომაზე მეტად აღელვებული ვიყავი. არც კი შემისრულებია მითითება, შედეგისთვის მეორე დილამდე მომეცადა. პასუხი იმ წუთს, მაშინვე უნდა გამეგო! ტესტზე, რომელიც სინამდვილესავით მეჭირა ხელში, პაწაწინა ვარდისფერი ხაზი გამოჩნდა.

სააბაზანოში ვიჯექი და გულის ფანცქალით ველოდებოდი. როცა პაწაწინა, თხელი, მსუბუქი ხაზი გაკრთა, დარწმუნებულიც არ ვიყავი, რომ ნამდვილად დავინახე. აღარ ვსუნთქავდი, უკეთ რომ გამერჩია; მაშინვე ფანჯრისკენ გავიქეცი, დღის სინათლეზე უკეთ რომ დამეთვალაიერებინა.

ბოლოს, სახლიდან გავვარდი, უბანში გიჟივით მივრბოდი, გზად სურია შემხვდა და ისიც ხარხარით უკან გამომყვა. ორივენი აფთიაქისკენ გავრბოდით. ფარმაცევტისთვის შეკითხვა მერიდებოდა, მასაც გაუკვირდა ასე მალე ჩემი დანახვა, ეგონა, ტესტის გამოყენების ინსტრუქცია ვერ გავიგე.

სურია ვეღარ ითმენდა და მიბიძგა:

– მიდი, აჩვენე!

– გაგიჟდი, ხალხია!

– მერე რა! გათხოვილი ხარ! მიდი, აჩვენე!.. უკაცრავად, ბატონო, ეს ხაზი იმას ნიშნავს რომ ფეხმძიმედაა?

მან უპასუხა: «დიახ, სავსებით შესაძლებელია». რაღაც ენით აუწერელი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ტალღა გადამეჯლო თავიდან ფეხებამდე. ჩემთვის მანამდე სრულიად უცნობი შეგრძნება იყო: ბედნიერება.

ეს დღე საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში.

როცა სისხლის ანალიზმა დაადასტურა ფეხმძიმობა, ლაბორატორიის კიბეზე ჩამოვჯექი და ავტირდი. გუნებაში ვამბობდი: «მადლობა, მადლობა, ღმერთო, ამ ბედნიერებისთვის!» ქალაქის ცენტრში ფრთაშესხმული მივაბიჯებდი, ვერავის და ვერაფერს ვამჩნევდი გარშემო. ასეთი თრობა არასოდეს მიგრძვნიდა. მუცელს ხელით ვისინჯავდი, ველაპარაკებოდი ბავშვს, რომელიც ჯერ არც კი იყო ბავშვი, მაგრამ ჩემთვის ამქვეყნად ყველაფერს წარმოადგენდა.

«ყველაფერს გადავიტან, იმიტომ რომ, ამიერიდან ორნი ვიქნებით, შენ და მე...»

ამ ძვირფასი საჩუქრით მივედი მშობლებთან:

– გამოტყდით, შვილიშვილი ბიჭი გირჩევნიათ თუ გოგონა?

ისინი ბედნიერები იყვნენ; ჩემი ძმები და პატარა დაიკო ამ ბავშვის დაბადებას ჩემსავით მოუთმენლად ელოდებოდნენ. ამაყი მუსა დარწმუნებული იყო, ვაჟი ეყოლებოდა. ცოტა წავიკამათეთ კიდეც, სახელთან დაკავშირებით – მას სურდა მუჰამადი დაგვერქმია, მე რიადი მომწონდა. ბოლოს, მუსამ თავაზიანად დათმო. მაშინ სიწყნარე, რაც ამდენი ხანი ასე მწყუროდა, ხელის გაწვდენაზე იყო. გათხოვილი და ფეხმძიმე ვიყავი, ჩემს ბედნიერებას ყველა იზიარებდა: ძმები, და, მშობლები, ქმარი.

ბოლოს და ბოლოს, საკუთარი ცხოვრება მქონდა, მისი ბატონ-პატრონი მე ვიყავი. თუ გოგონა გამიჩლებოდა, ვპირდებოდი, რომ არასოდეს გამოივლიდა იმას, რაც მე გადავიტანე. ბიჭს კი არავითარ შემთხვევაში «მაჩოდ», მოდარაჯე ძალღალ არ გავზრდიდი!

ის პატარა ტესტი სათუთად შევინახე, როგორ სიცოცხლეში ჩემი პირველი ბედნიერების ამსახველი ფოტო. მასზე პაწაწინა ვარდისფერი ხაზი ჩანს, ბავშვი, როგორც სინათლე გვირაბის ბოლოს.

დარწმუნებული ვიყავი, მასთან ერთად მეც ხელახლა დავიბადებოდი.

ოჯახური ცხოვრება

«რძალი დედამთილს უნდა ემსახუროს. დილით მასზე ადრე ადგეს, საუზმე მოუმზადოს, სარეცხი გაურეცხოს, სახლი დაულაგოს, საყიდლებზე წავიდეს, დაბანოს...»

მოკლედ, ასეთი იყო მუსას დედის მითითებები. ის შვილიშვილის დაბადებაზე «დასასწრებად» ჩამოვიდა და თითქმის მთლიანად შეავსო ჩვენი პაწაწინა ბინა. სრულებით არ აინტერესებდა, რომ რთული ფეხმძიმობით ღონეგამოცლილი, უძილო და ანერვიულებული ვიყავი. ყოველდღე ახალი პრობლემა იჩენდა თავს.

– შვილო, სტუმრად ვარ ჩამოსული და საუზმის მოსამზადებლადაც არ ამდგარა დილით!

მე ის არ მომიწვევია. მისმა შვილმა მომახვია თავს. მისაღებ ოთახში ეძინა და ბინაში მოძრაობა შეუძლებელი გახდა. ან საწოლ ოთახში უნდა ვყოფილიყავი, ან სამზარეულოში.

კედლის საათის წიკწიკი დაძინებაში ხელს უშლიდა, ამიტომ ღამით საკუჭნაოში გაგვექონდა და დილით ადგილზე ვკიდებდით. ქუჩის რეკლამების სინათლეს ვერ იტანდა, ამიტომ დარაბები დახურული უნდა ყოფილიყო, ხოლო სამზარეულოში კიდევ ერთი, სქელი ფარდა დავამატე. მისაღები ოთახიდან ფეხს არ იცვლიდა, ყველა ჩემს ჟესტს თვალს ადევნებდა და აკრიტიკებდა. განსაკუთრებით მძიმედ ასატანი დაბანის სავალდებულო რიტუალი იყო. ასე ეგონა, რომ ცუდად ვბანდი და ამას შეგნებულად ვაკეთებდი...

პირველსავე დღეს თმის ჯაგრისი და პირადი ჰიგიენის სხვა ნივთები მთხოვა იმის მომიზნებით, რომ საკუთარი ნივთების ჩასალაგებლად გამგზავრებამდე დრო არ ჰქონდა (ერთი თვით ადრე იცოდა, როდის მოდიოდა). მეგონა, გავახარებდი, წავედი და მისთვის სრული კომპლექტი ვიყიდე: თმის ჯაგრისი, სავარცხელი, შამპუნი, შხაპის გელი და ა.შ. პაკეტი ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და ისე დადო, თითქოს მისი ყიდვით დავამცირე, შემდეგ თავის შვილს უთხრა:

– შენს ცოლს ვინ ვგონივარ? მე მისი თმის ჯაგრისი ვთხოვე და არ მომცა! რატომ? რა ჰგონია? ეშინია, არ გავთვალო?

ამაზე არც კი მიფიქრია, მაგრამ რატომაც არა...

ამგვარმა უცნაურმა მოთხოვნებმა სრულიად დამაბნია. ეს ქალი ხორცშესხმული ბოროტება იყო. სურდა, მორჩილი და მდუმარე მონა ვყოფილიყავი, ვაჟიშვილს მუდმივად ჩასჩინებდა, რომ მისი მსახურება არ შემიძლო. მისი აზრით, მე პატივს არ ვცემდი ვითომდა საყოველთაოდ დადგენილ ტრადიციას.

ჩემთვის და ჯერ არდაბადებული ბავშვისთვის საჩუქარი ჩამომიტანა – ტრადიციული შავი კაბა. ქორწილში ჩემი მული შავებში იყო გახვეული. მაგრამ მაროკოში შავ სამოსს სასიხარულო დღეების ან მოვლენების აღსანიშნავად არ იცვამენ. შავი სამოსის ტარება ან მისი ჩუქება იმას ნიშნავს, რომ უბედურებას უსურვებ.

ღამით ვერ ვიძინებდი. მშობიარობამდე სამი კვირით ადრე ბავშვი უკვე ძალიან დიდი იყო, საშვილოსნოს ყელი კი მჭიდროდ შეკრული, თითქოს მის შობაზე უარს ვამბობდი. ექიმი შემფოთებული იყო და იძულებული გავხდი, მტკივნეულ ჩარევას დავთანხმებოდი, რომლითაც საშვილოსნოს ყელი გახსნეს. მოვლითი ტკივილები საშინელი იყო. არც მუსას, არც დედამისის დანახვა აღარ მინდოდა, ჩემ გვერდით მხოლოდ დედა მსურდა მყოლოდა. ასე მეგონა, სადაცაა, ტეტანიის შეტევა დამატყდებოდა, გაშეშებული, მოკუნტული ვიწექი და დედაჩემმა იცოდა, მასაჟით როგორ შეემსუბუქებინა ჩემი მდგომარეობა.

ექიმებს სურდათ, ბუნებრივი გზით მემშობიარა, ეს მეც მინდოდა, მაგრამ როდესაც ანესთეზიოლოგი დავინახე, გულს მომეშვა და ღმერთს მაღლობა შევწირე! მუსამ ამით ისარგებლა და შინ წავიდა.

– რაც აქ მოგიყვანეთ, დედაჩემი შინ მარტოა, არ მინდა ამდენხანს უჩემოდ იყოს!

გაოგნებული დავრჩი. სხვა სიტყვებით, ეს ამას ნიშნავდა: «დავიღალე, დასვენება მინდა, მერე დავბრუნდები...» ჯობდა ასე ეთქვა, გავუგებდი. სწორედ მაშინ მოხდა პირველი ნამდვილი გაუცხოება ჩვენს შორის.

ბავშვს ჟანგბადი არ ჰყოფნიდა, მე ტემპერატურა ორმოც გრადუსზე მეტი მქონდა, ამიტომ საკეისრო კვეთის გაკეთება გადაწყვიტეს. გონება დავკარგე და რიადი დაიბადა, მაგრამ მამამისმა ყველაზე ბოლოს ნახა.

მრცხვენოდა. ჩემი ვაჟის მამამ არჩია, დედამისთან დარჩენილიყო. შემდეგ შეუძლებელი გახდა მასთან დაკავშირება, რომ ბავშვის დაბადება ეცნობებინათ. ყველაფერი იმის საწინააღმდეგოდ ხდებოდა, როგორც წარმომედგინა. ოთხი დღით რიადი ინკუბატორში მოათავსეს. ხელში მხოლოდ მისი ფოტო მეჭირა და თავს ვერ ვირწმუნებდი, რომ ეს ნამდვილად ჩემი შვილი იყო. რძე არ მქონდა. პირველი, რაც მან იგრძნო, კაუჩუკის საწოვარაა. ძალიან უბედური, დაცლილი

ვიყავი... ის ჩემს მუცელში აღარ იყო, წინანდებურად, როგორც მთელი ორსულობის განმავლობაში, ვეღარ ველაპარაკებოდი. სინამდვილეში აღარ მეკუთვნოდა, წამართვეს.

როცა ოჯახის ექიმმა მომინახულა, თვალცრემლიანმა მოვუყევი ყველაფერი.

პირველსავე დღეს ჩემი დედამთილი გაიბუტა, რადგან ჩემი მშობლები მასზე აღრე მოვიდნენ. მისი აზრით, მას ერთადერთს ჰქონდა ყველაფრის უფლება. რიადი თითქოს მხოლოდ მისი შვილიშვილი იყო! მუსა ხანდახან თუ შემოივლიდა: დედამისი უკრძალავდა ჩვენს სანახავად დიდი ხნით მოსვლას, შინ მარტო დარჩენა არ უნდოდა.

– გუშინ მელოდებოდა, აქ ძალიან დიდხანს დავრჩი და არ უსადილია, მერე კი შიმშილით გული წაუვიდა...

ესე იგი, დამნაშავე მე ვიყავი. როცა ერთად მოდიოდნენ, ეს კიდე ერთი საბაბი იყო, რომ ჩემთვის ნათქვამი გესლიანი შენიშვნებით ავეტირებინე.

– წესიერადაც ვერ იმშობიარე! რატომ გაგიკეთეს საკეისრო კვეთა? ნორმალური არ უნდა იყო!

რიადი ხელში აჰყავდა.

– გეგონება ლოთია, თვალებს საერთოდ არ ახელს.

ბავშვს სახელით არასოდეს მიმართავდა. მისთვის შვილიშვილი იყო «ის».

– აჰა, გამომართვი, რამე უყიდე...

ასფრანკიანი გამომიწოდა, მაგრამ მუსა მაშინვე ჩაერია.

– ის ასი ფრანკი დამიბრუნე. არ უნდა გამოგერთმია, ეგ ფული დედაჩემს მე მივეცი.

სინამდვილეში ეს ასი ფრანკი ჩემი ფულადი რესურსებიდან იყო, ოჯახს მე ვინახავდი. მაშასადამე, მუსამ ჩემი ფული დედამისს მისცა, ჩემთვის რომ ერუქებინა, მაგრამ, წესის თანახმად, მე უარი უნდა მეთქვა საჩუქრის მიღებაზე. დედამთილს ფული არ შეიძლება გამოათვა.

ფულმა ასე იმოგზაურა: ჩემი ანგარიშიდან მუსასთან მოხვდა, მუსასგან დედამისთან, დედამისისგან ჩემთან. მე უნდა მეთქვა: დიდი, დიდი მადლობა ამ საჩუქრისთვის, შემდეგ ისევ დედამთილისთვის დამებრუნებინა და ახლა საწინააღმდეგო მიმართულებით გააგრძელებდა სვლას. ეს ყველაფერი სიგიჟე და კომმარი იყო!

ერთ დღეს საავადმყოფოში ჩემს სანახავად კოლეჯის მეგობარი მოვიდა, თანამედროვე კასაბლანკელი ქალი, ეცვა მინი ქვედა კაბა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, ჰქონდა მოკლედ შეჭრილი თმა ქერა მელირებით, ხელში ეჭირა უზარმაზარი თაიგული და ბავშვის საჩუქარი. ასე მეგონა, მის დანახვაზე ჩემს დედამთილს სული შეუგუბდა. საიდა აკვანს მიუახლოვდა.

– ეს სილამაზე შენ გაგვიჩინე? რა საყვარელია! რა ლამაზია!

ჩემმა დედამთილმა მაშინვე დაკითხვა დაუწყო: – საიდან ხარ? შენი მშობლები მაროკოელები არიან? საფრანგეთში ცხოვრობ? საიდან იცნობ ლეილას? მუშაობ? სად ცხოვრობ? გათხოვილი ხარ? აჰ, გაუთხოვარი ხარ...

საიდა პასუხობდა, მაგრამ ვატყობდი, როგორ უხერხულად გრძნობდა თავს, ამიტომ ფრანგულად დავიწყეთ საუბარი. ჩემი დედამთილი სულ უფრო მეტად იმრიზებოდა.

შინ დაბრუნებული, მუცელზე უზარმაზარი ნაკერით, არც ახლა ვსარგებლობდი მისი ყურადღებით. ერთხელ ესეც კი მითხრა: «ახლა დედაშენი მე ვარ! ამიერიდან შენს ოჯახს აღარ ეკუთვნი, არამედ ჩვენსას!»

საავადმყოფოს როცა ვტოვებდი, მიბრძანა, ბავშვთან ერთად ჩემს მშობლებთან გადავსულიყავი და შვილთან ერთად მარტო დამეტოვებინა.

– შენ მშობლებთან დაბრუნდები, ჩემს შვილთან სახლში აღარ მოხვიდე, იქ ვინ უნდა მოგიაროს?

რასაკვირველია, თავად თავს არ შეიწუხებდა. თავს ცუდად ვგრძნობდი. რიადს ღამით არ ეძინა, დაუსრულებლად ტიროდა, მასთან ერთად მეც. საავადმყოფოში თხუთმეტ დღეს დამტოვეს, მაგრამ ფეხზე დგომა კიდევ არ შემიძლო. ექიმი, რომელიც კარგად იცნობდა ჩემს ოჯახურ მდგომარეობას, დედამთილსაც, მუსასაც გაესაუბრა.

– თქვენს ცოლს დებრესია აქვს. არ ჭამს, არ სძინავს; გაფრთხილებთ, თუ რაიმე მიზეზის გამო ის საავადმყოფოში დაბრუნდა, პასუხს მოგთხოვთ. ისე მოაგვარეთ ყველაფერი, რომ მშვიდად იყოს, მას და პატარას არაფერი მოაკლდეთ.

რაკი ორივე მაროკოელი იყო, ბოლოს, არაბულად ასეთი ხუმრობა დაამატა: – მართალია, რომ თქვენი კუთხის ხალხს ფული უყვარს?

მუსამ ეს ხუმრობა ვერ აიტანა.

– თავი ვინ ჰგონია ამ არამზადას?

ექიმმა მკურნალობის კურსი დამინიშნა და ფსიქოლოგიც მომიყვანა. მაგრამ მასთან საუბრის ნაცვლად ტირილი დავიწყე, მხოლოდ ერთსა და იმავეს ვიმეორებდი: «აღარ შემიძლია».

დარწმუნებული ვიყავი, მშობლებთან დავბრუნდებოდი დედამთილის მითითებისამებრ, მაგრამ დედაჩემმა გადამაფიქრებინა.

– ლეილა, ეს არ გააკეთო. ხვალ, ზეგ და მთელი დარჩენილი ცხოვრება სასაყვედუროდ ექნება, ასე თუ მოიქცევი.

– რატომ? თვითონ მითხრა!

– დედამთილი რძალს ყოველთვის იმის საწინააღმდეგოს ეუბნება, რაც სინამდვილეში სურს!

კიდევ ტრადიცია, კიდევ ერთი ტესტი... ვერაფერი გავიგე, იქნებ მეტისმეტად დასავლურად ვიყავი აღზრდილი? ამიტომ, ისევ ჩემთან დავბრუნდი. იქაურობას სახლად ვერ აღვიქვამდი, თითქოს ჯოჯოხეთში მივდიოდე.

– აქ რატომ მოხვედი? შენს მშობლებთან რატომ არ წახვედი, როგორც გითხარი?

– ჩემი მშობლები აქედან ძალიან შორს ცხოვრობენ, იქ აფთიაქიც არ არის; აქ კი აფთიაქი სახლის პირველ სართულზეა...

ეს პასუხი დედაჩემმა მოიფიქრა.

რიადს ღამით არ ეძინა. ნამდვილი სატანჯველი იყო, ყოველ ორ საათში ბოთლიდან ვაჭმევდი. მუსას ეძინა, დედამისი ხვრინავდა. საათ-ნახევარში ერთხელ ვდგებოდი, სიბნელეში, ფეხის წვერებზე გავივლიდი მისაღებ ოთახს, სამზარეულოს კარს მჭიდროდ ვკეტავდი, მხვრინავი დედამთილი რომ არ შემეწუხებინა, ბავშვს საჭმელს ვუმზადებდი. ამ ხნის განმავლობაში რიადი ღრიალებდა. არც ჩემი დედამთილი იღვიძებდა და არც მუსა.

არ შემიძლო ერთდროულად ბავშვიც დამეწყნარებინა და საკვებიც მომემზადებინა. ნაკერი მტკიოდა და ბავშვს ქვებთან ერთად ხელში ვერ დავიჭერდი. გარდა ამისა, არ უნდა დამვიწყებოდა ყოველ საღამოს ამ დაწყევლილი საათის საკუჭნაოში გატანა, დარაბების დახურვა, დილით ადრე ადგომა და საუზმის მომზადება, დედამთილის დაბანა.

შინ სხვა რძალი ბანდა. მარტოც შესანიშნავად შეძლებდა ამას, მაგრამ ეს ხომ წარმოუდგენელი იყო. წესი ასეთია: თუ დედამთილი შენთან ცხოვრობს და ხანშესულია, უნდა დაბანო. აზრი არ ჰქონდა მისთვის ახალი ჯაგრისის ყიდვას, მუსა სახეში მესროდა.

ვგრძნობდი, როგორ იცვლებოდა. მასთან აღარ ვსაუბრობდი. არ მუშაობდა და უეცრად დაიწყო ლოცვები და ყურანის კითხვა. მორწმუნე ვარ, რამადასაც ვიცავ, მაგრამ რელიგიის ფანატიკოსი არ ვარ. ასეთები არც ჩემი მშობლები არიან. მუსა ამიერიდან მხოლოდ რელიგიაზე საუბრობდა დედამისთან, ყურანის აუდიოკასეტაც ჰქონდა და ერთად ლოცულობდნენ. ვერ ვხვდებოდი, ასეთი რა მოხდა მის გონებაში, ქცევა რომ შეიცვალა. ორივე მისაღებ ოთახში დაჩოქილიყო. მე არაქათგამოცლილი ვიჯექი. ჩემი დედამთილი კმაყოფილი ამბობდა: «შვილო, ეს კარგია, როგორც იქნა, რელიგიას დაუბრუნდი».

ტელევიზორის ყურებაც აღარ შემეძლო. დედამთილმა მისაყვედურა, თანამგზავრული თეფში რომ არ მქონდა არაბული არხებისთვის. რიადის გამოცვლა კონფლიქტის მიზეზი იყო. მაგიდა, რომელზეც გამოცვლის დროს ბავშვს ვაწვენდი, მისაღებ ოთახში იდგა, სხვაგან ადგილი არ იყო. ჩემი დედამთილი ვერ იტანდა საფენებს!

– ყარს, ახლავე ქვემოთ, სანაგვეში გადააგდე!

მესამე სართულზე ვცხოვრობდი. წარამარა ეს სართულები უნდა ჩამევლო და ერთი საფენი დიდ სანაგვეში ჩამეგდო. რასაკვირველია, შინ დახურული სანაგვე ყუთი იდგა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, საღამომდე არ შეიძლებოდა მოცდა, აუცილებლად სათითაოდ უნდა ჩამეტანა ჭუჭყიანი საფენები!

რიადს ხელში არ იყვანდა. თუ შემთხვევით ასეთი რამ მოხდებოდა, ბავშვი მაშინვე ღრიალს იწყებდა.

ერთხელ სადილის მომზადება გადაწყვიტა. ამის შემდეგ ანორექსია დამეწყო.

– ლეილა, მოდი, ისადილე.

– არა, გმადლობთ, ცუდად ვარ, არ მშია.

საღამოს მუსამ დედამისს სთხოვა, ევახშმა. პასუხად ეს მიიღო:

– არა, არა, არ შემიძლია იმ სამზარეულოში შესვლა. შენი ცოლი არ მენდობა, ეშინია, არ გავთვალო.

– არა, რას ამბობ, უბრალოდ გითხრა, რომ არ შიოდა.

– არა, არა, ეგ შუადღისას იყო. ჩემი მომზადებული კერძი არ ჭამა, ესე იგი, არ მენდობა, ამიტომ არაფერსაც არ გავაკეთებ.

აშკარად ცდილობდა ჩვენს დაცილებას, რომ შვილი მხოლოდ თავისად დაეგულებინა. რაკი მოქალაქეობა მიიღო, მე აღარ ვიყავი საჭირო.

– შვილო, ბავშვი მთელი ღამე ტირის, მე კი მისაღებ ოთახში მარტო ვარ და მეშინია. ჩემს ოთახში გადმოდი, შენი ცოლ-შვილი საძინებელში იყოს. ასე უფრო კარგად დაისვენებ, ჩემი ბიჭო.

და ისიც ასე მოიქცა. ოცდათხუთმეტი წლის კაცს დედის გვერდით ეძინა მისაღებ ოთახში! მისი არგუმენტი განსაკუთრებული იყო: «მასთან იმიტომ მძინავს, რომ ერთ დღეს ის ცოცხალი აღარ იქნება და მინდა, მის სიცოცხლეში მის გვერდით ყოფნის ყველა შესაძლებლობით ვისარგებლო».

ჩემი განზე გასმა მოახერხა. კამათს ბოლო არ უჩანდა. ჩემს ქმარს ყველაფერს დაუფარავად ვუბნებოდი, რასაც ვფიქრობდი, მაგრამ ჩემი დედამთილის გარეშე. ისეთ მდგომარეობამდე მიმიყვანა, რომ ადრე თუ გვიან, ყველაფერი ცუდად უნდა დასრულებულიყო. მე მგონი, ამას

ცდილობდა, სურდა, შვილის თვალში ლაფში ამოვესვარე. ერთხელაც ჩვეულებისამებრ დაბანა მთხოვა. ეს განსაკუთრებით მძიმედ შესასრულებელი იყო ჩემთვის, რადგან მუცელი ისევ მტკიოდა, უზარმაზარი ჭრილობა ჯერ კიდევ გასიებული იყო. მხრები და ზურგი უხმოდ დავბანე.

«ახლა ქვემოთაც დამბანე!»

ეს უკვე მეტისმეტი იყო. მოზრდილი ადამიანის საჯდომი არასოდეს დამიბანია! როცა ჩემი ძმები პატარები იყვნენ, რა თქმა უნდა, მათ ვბანდი! მაგრამ დამებანა ოთხმოცკილოგრამიანი მოხუცი ქალის საჯდომი – არავითარ შემთხვევაში!

– დახრა არ შემიძლია, ჭრილობა ძალიან მტკივა.

და სააბაზანოდან მშვიდად გამოვედი. თავაზიანად ვესაუბრებოდი. წყლიდან ამოვიდა, მისაღებ ოთახში კუდიანივით გაცეცხლებული შემოიჭრა და შვილს მივარდა, წყნარად რომ აღევნებდა თვალს შეხლა-შემოხლას.

– შენს ცოლს არ უნდა, დამბანოს!

– ტყუილია, ის გავაკეთე, რაც შემიძლია.

– არა, არ გინდა, რომ დამბანო!

– დახრა არ შემიძლია. «არ მინდა» სხვა არის და «არ შემიძლია» – კიდევ სხვა. თუ ჩემი არ გჯერა, ამ ჭრილობას შეხედე!

უზარმაზარი დაჩირქებული ჭრილობა ვაჩვენე, რომ მიმხვდარიყო, უარს რეალური მიზეზი ჰქონდა. ლოგიკურად ვპასუხობდი, ლოგიკურად ვმოქმედებდი, მაგრამ ეს ენა ჩემმა დედამთილმა არ იცოდა. რა ჩავიდინე? ჩემი ამ ქმედებით დედამთილს შეურაცხყოფა მივაყენე. მუცელი დავანახე!

მუსა ოთახიდან გავიდა და მარტო დაგვტოვა. როგორც მივხვდი, მასაც მობეზრდა ყველაფერი, მაგრამ ის მაინც შეეძლო, გარეთ გასულიყო და დედამისის ყვირილი არ ესმინა. მე კი ამ სახლში ვიყავი გამომწყვდელი, დადლილობის, უძილობის, სისუსტისგან არაქათი მქონდა გამოცლილი, ის კი ნერვებს მაგლეჯდა. საძინებელს შევაფარე თავი, მანამდე კი კარი გავიჯახუნე ამ სიტყვებით: «ჯანდაბა, ყველაფერი ყელში ამომივიდა!»

როცა მისი ვაჟიშვილი დაბრუნდა, ისევ აყვირდა და მოთქვამდა, ნამდვილი ცირკი მოაწყო:

– აქ აღარ დამედგომება, შენი ცოლი საერთოდ არ მივლის, სამი ათასი კილომეტრი იმიტომ კი არ გამოვიარე, ასე დამამციროს! ძალღიჯი ვგონივარ, გესმის, ჩემო ბიჭო! პატივისცემაც არა აქვს, შარვალი ჩაიწია და სარცხვინელი მაჩვენა, და კიდევ მითხრა, აქედან გაეთრიეო!

ვცადე, ყველაფერი ამეხსნა: მხოლოდ ჭრილობა ვაჩვენე და არა სარცხვინელი. «ჯანდაბას» ვთქვი და არა «აქედან გაეთრიე»... და კიდევ, დედამისის საჯდომის დაბანას არ ვაპირებდი. გარდა ამისა, სააბაზანო ერთხელ უნდა გაევისო და არა ზედიზედ ხუთჯერ, რადგან წყალი საფრანგეთში ძვირი ღირს. წყალში ჯდებოდა, ბეჭემოტივით ჭყუმპალაობდა, შემდეგ სააბაზანოს ცლიდა, თავიდან ავსებდა და ასე, საკუთარი სიამოვნებისთვის, ხუთჯერ ავსებდა და ცლიდა. გადასახადს მე ვიხდიდი. ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა, ჩემთვის სიცოცხლე გაემწარებინა. იმის ნაცვლად, თავი ჩემს ვაჟთან ერთად ბელნიერად მეგრძნო, ჯოჯოხეთში ვცხოვრობდი. თავის შვილსაც თავში უღებდა, რომ მე ცუდი ცოლი ვარ.

– შენი ცოლი ყურს არ გიგდებს, რასაც მოისურვებს, იმას აკეთებს. ქმარი შენ ხარ, უნდა გითხრას, სად მიდის, შარვალი არ უნდა ჩაიცვას, მარტო შინიდან არ უნდა გავიდეს...

მუსამაც დაიწყო შეკითხვები:

– სად იყავი? სად მიდიხარ? რას აკეთებ?

მთელი სიცოცხლე ამას ვისმენდი და ახლა მისგან იმავეს ატანა აღარ შემეძლო.

ბოლოს, ველარ მოვითმინე ვუთხარი:

– თუ რამე არ მოგწონს, დედაშენთან ერთად აქედან აიბარგე, ჯანდაბის იქით წასულხარ. მეც ეს მინდა! სამუშაო და ბინა მაქვს, ბავშვი მყავს და არაფერში მჭირლებით! რა შემმატე?

– რა შემმატე? პატივისცემა, ღირსება! გათხოვილი ხარ!

– არასდროს მყვარებინარ და ვერც ვერასოდეს შეგიყვარებ!

– მაშინ ჩემგან ბავშვი რატომ გყავს?

– მე მყავს შენგან ბავშვი? ეს შენ გყავს ჩემგან შვილი, მე ვატარე და მე გავაჩინე! რიადი ჩემი შვილია და არა შენი! ახლა აირჩიე, ან დედაშენი, ან მე!

ვერძნობდი, როგორ მემუქრებოდა ადრე უკვე გადატანილი ფიზიკური და ნერვული გამოფიტულობა, რასაც სიგიჟემდე შეიძლებოდა მივეყვანე და ძალიან მეშინოდა. ახლა ჩემი ვაჟი უნდა დამეცვა, მის გამო როგორმე ყველაფრისთვის უნდა გამეძლო. ჩემი დედამთილი არ ჩუმდებოდა. თავის კუთხეში იჯდა და ღრიალებდა, – ჩემს ვაჟს უკმეხად ელაპარაკებო. ბოლოს, ველარ მოითმინა, საძინებელ ოთახში შემოვიდა და მომახალა, – ვერ ვიტან, ჩემს შვილს ასე რომ მიმართავო. მაშინვე უკან გავაბრუნე.

– ამ ოთახში არაფერი გესაქმება, მე და ჩემი ქმარი ვსაუბრობთ და ნუ ერევი.

– ასე ნუ მიმართავ დედაჩემს! მამაშენს დავურეკავ და საქმეს გავარჩევთ!

– ვისაც გინდა, დაურეკე, ფეხებზე მკილია!

ოცდასამი წლის ვიყავი და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ეს აშარი ქალი ჩვენს ცხოვრებაში რომ არ ჩარეულიყო, ვფიქრობ, ასე თუ ისე ნორმალურად ვიცხოვრებდით. ჩემი ქმრის გასამართლებლად ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ერთობლივი ცხოვრება დედამისის წყალობით კრახით დასრულდა. მან დაიცვა მაროკოული ტრადიცია, რომლის თანახმად დედამთილი პირველი ბავშვის დაბადებისას ყურადღების ცენტრშია. ის ასე აღიზარდა, სხვაგვარად ოჯახური ცხოვრება ვერ წარმოედგინა. მაცოფებდა, ასე ლაჩრულად რომ იქცეოდა, სინამდვილეში, უნდა შემცოდებოდა.

ახალი სასამართლო ამჯერად ჩემი დედამთილისა და მამაჩემისგან შედგებოდა.

– შენი ქალიშვილი უზრდელია, ქმარს უხეშად ელაპარაკება.

მამაჩემს ხმა არ ამოუღია. ის კარგად უნდა მიმხვდარიყო, რომ უკიდურეს ზღვრამდე მივედი, და ეს ქალი არც მას მოსწონდა. მან იძულებით გამათხოვა და თავს მომახვია ასეთი დედამთილი... მის ჟესტს, მის სიტყვას ველოდებოდი.

– ლეილა, მართალია, რასაც ამბობს შენი დედამთილი?

ყველაფერი მოვუყევი, ვცდილობდი, მშვიდად ამეხსნა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. მან სასაუბროდ გვერდზე გამიხმო.

– აქ დიდხანს ვერ დარჩება. როგორმე თავს მოერიე. ეს რიადისთვის გააკეთე. არც შენი დედამთილის, არც ჩემი, არამედ შენი შვილის გამო.

წასვლის წინ მუსას და დედამისს უთხრა:

– ჩემი შვილის ნაცვლად ბოდიშს გიხდით!

მე ბოდიში არ მომიხდია. ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო. კარი ის-ის იყო, მიიხურა, რომ ჩემმა დედამთილმა ხელახლა შემომიტია.

– ახლა ეს საფენი ქვემოთ ჩაიტანე!

– არა, შინ ნაგვის ვედროა. საფრანგეთში ნაგვის ვედროს ქვემოთ მაშინ ცლიან, როცა აივსება.

ფენმორთხმული და მოკუნტული დაჯდა და ახალი სპექტაკლი წამოიწყო.

– წავიქეცი! გამაგიჟებს! გამაგიჟებს...

შემცბარი ვუყურებდი, კარგა ხანს მოთქვამდა და სახეს იხოკავდა. შემდეგ თავშალი მოიძრო და დამწყევლა:

– ლეილა, ერთი ჩემთვის, ათი შენთვის!

სხვა სიტყვებით – ერთხელ გწყევლი, მაგრამ შენ ათმაგად უნდა ზღოო. ვუყურებდი და ჩემთვის ვამბობდი: «დმერთო, ეს შეუძლებელია, სინამდვილე იყოს, ალბათ მიწაზე აღარ ვარ, ალბათ საშინელება მესიზმრება».

რიადს ვუცვლიდი მისაღებ ოთახში მდგარ მაგიდაზე, როდესაც ამაზრზენი რამ მოხდა. საფენი ხელში მეჭირა, ბავშვიც უნდა შემეკავებინა და განძრევას ვერ ვახერხებდი. უეცრად მუსა შემოვარდა და როცა დედამისი ასეთ მდგომარეობაში დაინახა, ნერვიული შეტევა დაემართა.

პერანგი შემოიხია, მკერდზე მჯიღს იცემდა და სახე ისე დაიკაწრა, სისხლი წამოუვიდა. ნამდვილი ისტერიკა ჰქონდა.

– არასოდეს გაპატიებ, შენ დედაჩემისთვის მხოლოდ ცუდი გინდა, დედაჩემის სიკვდილი გსურს.

ამ მოხუც ქალსა და ზრდასრულ მამაკაცს გაოგნებული, თვალეზგაფართოებული შევცქეროდი. ჩემი დედამთილი წამოდგა და ხელი ძლიერად მკრა, კედელს მიმანარცხა.

– არასოდეს გაპატიებ! შვილი წამართვი! ყურანს ვფიცავ, მისი ცოლი აღარ იქნები, ამას არ იმსახურებ!

ამის შემდეგ მეც მრისხანება მომერია, როგორც ჩანს, ეს გადამდებია.

– მე წაგართვი შვილი? ვინ ვის წაართვა სიცოცხლე? ვინ მოვიდა ჩემი ხელის სათხოვნელად? ვის არ უნდოდა დაქორწინება? რად მიხდოდა შენი შვილი? მეზიზღება! ორივენი მეზიზღებით! ეს კაცი არასოდეს მსურდა ქმრად. გიჟია, საერთო არაფერი გვაქვს! შენი შვილი მეფე გგონია, გგონია, ასეთი უნაკლოა? მასზე ბევრად უკეთესი მამაკაცებიც არსებობენ და მე მასზე უკეთეს ქმარს ვიმსახურებ! ის არ არის ჩემი ღირსი!..

ისიც უნდა მეთქვა, რომ გამომიყენა და მოქალაქეობა მიიღო. მაგრამ იმ წამს არც კი მომაფიქრდა, ისე ვიყავი გამწარებული. განსაკუთრებით აუტანელი იყო ეს: «ჩემს შვილს არ იმსახურებ».

მუსა გამოვლანძღე:

– იდიოტო! ყველაფერი წამართვი, ყველაფერი!

ჭკუიდან გადამიყვანეს, ვედარაფერს ვხედავდი. სახლის ფენსაცმლითა და საშინაო სამოსით გარეთ გავვარდი, კიბე ჩავირბინე. ზამთარი იყო და თოვდა, მხოლოდ სასწრაფოდ ჰაერზე გასვლა მიხდოდა. აივანი რომ ყოფილიყო, გადავხტებოდი.

მთელი უბანი ალქაჯივით გავირბინე და სატელეფონო ჯიხურში შევვარდი, დედაჩემს დავურეკე:

– დედა, იცი, რას გეტყვი? ჯანდაბა, ჯანდაბა, ეშმაკსაც წაუღია ყველა! შვილს კარგავ, შვილს საბოლოოდ კარგავ, მშვიდობით! რიადს მიხედუ, მხოლოდ ამას გთხოვ.

მაგრამ მაშინ რიადიც არ არსებობდა ჩემთვის. ისევ გავრბოდი. სიკვდილი მინდოდა. ცენტრალური ტრასისკენ მივრბოდი და ვფიქრობდი: «მიდი, მოკვდი და ყველა დაისვენებს». მინდოდა, დიდ სატვირთო მანქანას ზედ გადაევლო ჩემთვის.

უცნაურია, ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში ყოველთვის ვიღაცას ვხვდები. მანქანამ გამოიარა, რომლის საჭესთან ჩვენი ოჯახის მეგობარი, ჟულიეტი იჯდა. დიდი, კეთილი «დედილო», აბანოზის ხესავით შავი, ღონიერი და გულკეთილი.

მან გზის პირას მდგარი, სიცივისგან აკანკალებული მიცნო, სახე სისხლით მქონდა მოსვრილი, რადგან ტელეფონის კაბინაში კედელს თავი მივარტყი.

– ლეილა, შენ ხარ? აქ რას აკეთებ? რა დაგემართა?

ვქვითინებდი, კრინტს ვერ ვძრავდი. სიტყვები თითქოს ტვინში გაიჭედა. ასე მეგონა, ერთი ხელის დაკვრით დავმუნჯდი და ვედარასოდეს ავლაპარაკდებოდი. ჩემი მანქანაში ჩასმა სცადა, მაგრამ უხმოდ ვუძალიანდებოდი. არც ჟულიეტი მინდოდა, არც მისი მანქანა, მხოლოდ სატვირთო მანქანის ბორბლებქვეშ მოხვედრას ვნატრობდი. დაე, მას გადაევლო ჩემი სხეულისა და ჩემი წყეული ცხოვრებისთვის.

ჟულიეტი მიხვდა, რომ მართლაც საფრთხე შემუქრებოდა.

– ახლავე მანქანაში ჩაჯექი. თუ სილის გარტყმა გჭირდება, არც ამას მოვერიდები! დაჯექი!

მაგრამ რაკი ხელი ვკარი, კისერში ხელი ჩამავლო და ჰაერში ბუმბულივით ამწია.

მე გამხდარ-გალეული ვიყავი, ის კი ღონიერი და ეს არ გასჭირვებია. მანქანის უკანა სავარძელზე დამაბა.

– არ გაინძრე! ჩემთან მივდივართ!

თავის საძინებელ ოთახში შემიყვანა. როცა, როგორც იქნა, ხმის ამოღება მოვახერხე, ესლა წავილულლულე:

– არავინ... არ გააფრთხილო... მარტო... მარტო...

მარტო მინდოდა ყოფნა, თავგზააბნეული ვიყავი, შეშლილი, ჩემი ტვინი აღარ მუშაობდა.

– კარგი, მარტო გტოვებ, მაგრამ ჩაგკეტავ! მომისმინე, მეორე ოთახში ვიქნები, ფეხს არ მოვიცვლი. რამდენიც გინდა, იტირე, თუ გსურს, იყვირე კიდეც; მთელი დღეც რომ გავიდეს, აქედან ფეხს არ მოიცივლი, ვიღერე ხმას არ ამოიღებ და აზრებს არ მოიკრებ.

მართლაც ოთახში ჩამკეტა. სავარძელში მოვიკუნტე. ტირილი დავიწყე. სიცარიელეს ვუყურებდი, ზოგჯერ ვერც კი ვსუნთქავდი, ისე ვქვითინებდი. ახლაც მაინტერესებს, საიდან მოდიოდა ამდენი ცრემლი.

ამ დროს დედაჩემმა ყველა ჩემს მეგობარს დაურეკა და ჩემი ძმები მოსაძებნად გაგზავნა. ისინი სახლიდან სახლში დადიოდნენ. ერთი ჟულიეტთანაც მოვიდა.

– არა, არა, ლეილა არ მინახავს, რატომ მეკითხები? რა მოხდა?

– ჩემი და დაიკარგა. თუ შემთხვევით შეგხვდათ, შეგვატყობინეთ.

ჟულიეტს ძალიან უნდოდა მისი დამშვიდება, – აქ არის, დაწყნარდიო, მაგრამ არ იცოდა, სინამდვილეში რა მოხდა და რატომ ვიყავი ასეთ დღეში. მისთვის შინიდან გამოქცეული ვიყავი, ეს სერიოზული საქმეა. ჟულიეტმა არ იცოდა, თავის მოკვლა რომ მინდოდა მანქანის ბორბლებქვეშ, მე ხომ მისთვის არაფერი მითქვამს.

მასთან მთელ დღეს დავრჩი. როცა ცრემლებისგან დავიცალე, გონება ნელ-ნელა ამუშავდა. ამგვარი ცხოვრების ატანა აღარ შემეძლო, მაგრამ სხვა, ჩემსავით იძულებით გათხოვილი გოგონები იტანდნენ. ზოგიერთს ვიცნობ. ვთვლიდი, რომ ხელიდან უშვებდნენ თავისუფალ ქვეყანაში თავისუფლად ცხოვრების შანსს. საკუთარ თავსაც არარაობად მივიჩნევდი, რადგან სასოწარკვეთილებისგან შინიდან გაქცევის, ტეტანისის შეტევებისა და თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი დეპრესიის გარდა არაფერი შემეძლო. წინააღმდეგობა არ შემიწყვეტია, ვიბრძოდი, მაგრამ ეს ყველაფერი ამო იყო. ყველა იმ ადამიანმა, რომელიც რეინტეგრაციის შესახებ საუბრობდა, წარმატებას ვერ მიაღწია და ჩვენი მდგომარეობა ვერ შეცვალა. მათ ამისათვის საჭირო სამოქმედო გეგმა არ ჰქონიათ. ჩვენ, სკოლისა და კოლეჯის მოსწავლეები, ვამბობდით, რომ ჩვენი მშობლების ამას «არასოდეს» ჩაიდენდნენ... არასოდეს მიგვათხოვებენ მადრიბელს იძულებით, რადგან ჩვენ უარზე ვიყავით. მაგრამ ზოგიერთი ჩვენგანი აიძულეს, «დიან» ეთქვა. სისტემამ ჩაგვითრია. ამგვარად გათხოვილებს შვილები ჰყავთ და ასე მგონია, თავიანთ გოგონებსაც ამგვარ ბედს უმზადებენ. ისევ გამეორდება ის, რაც თავად გამოიარეს. რა არის გამოსავალი? რაც დავიბადე, საფრანგეთის მუსლიმური საზოგადოება წინსვლის ნაცვლად უკან-უკან მიდის.

სკოლაში სწავლისას არასოდეს მინახავს ჩადრიანი გოგონები, ახლა მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდები ქუჩაში.

რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ოჯახების მენტალიტეტი შეიცვალოს? განსაკუთრებულ ტერიტორიაზე უნდა დაასახლო, სადაც თავის ნებაზე იპარპაშებენ და გოგონებს შინ გამოკეტავენ? რასაკვირველია, არა, ასეთი ტერიტორიები უბნებში უკვე არსებობს. გოგონებისთვის თავისუფლების ერთი ყლუპი სწორედ სკოლაა, კოლეჯი, სწავლა. მხოლოდ ცოდნა დაეხმარება მათ შუასაუკუნეობრივი ტრადიციების გადალახვასა და ცხოვრების წესის შეცვლაში. სკოლა ის ადგილია, რომლის ზღურბლზე რელიგია და ტრადიცია არსებობას წყვეტს და ეს კარგია.

ვუყურებ სატელევიზიო რეპორტაჟებს გოგონების შესახებ, რომლებსაც სკოლაში ჩადრის ტარება სურთ, თითქოს ეს მათი არჩევანია... ეს ძალიან მეუჭვება. ზოგს, შესაძლოა, დაკარგული იდენტობის ძიება სურს. ესეც მოზარდობისდროინდელი კრიზისია, ოღონდ განსხვავებული ფორმით. მაგრამ ბევრი ჩადრს იმიტომ ატარებს, რომ თავი დაანებონ, ძმებმა სიცოცხლე არ გაუმწარონ: «ჩემი და ჩადრით დადის, კარგია, შემიძლია მშვიდად ვიყო!»

ერთმა გოგონამ მითხრა: «მარტო შენ გეუბნები, მას შემდეგ, რაც ჩადრს ვატარებ, ძმებმა, მშობლებმა, ყველამ – თავი დამანება. შეყვარებული მყავს, სიგარეტს ვეწევი. მათ ვერ წარმოუდგენიათ, თუ შესაძლებელია ჩადრიანი გოგონა ეწეოდეს!»

მაგრამ ეს გადაწყვეტილება სრულებით არ მომწონს. პირველ რიგში, იგი სიცრუეზეა დაფუძნებული. გარდა ამისა, ჩადრის გამო მშობლები, ძმები, ქმრები შესაძლოა თანდათან რელიგიური ფანატიზმის მიმდევრები გახდნენ. ერთ დღესაც შეიძლება მძიმე ინტეგრირების პირისპირ აღმოვჩნდეთ. მუსა სწორედ ამ გზაზე იდგა.

თუ საფრანგეთში ჩადრის ტარება დაუშვებს, ოჯახები ამას სავალდებულოდ მიიჩნევენ: «რაკი სკოლაში დაშვებულია, დაიხურე!» ზოგიერთ გოგონას ადვილად გათხოვების მიზნით მშობლები ჩადრის ტარებას აიძულებენ, რადგან კაცები ჩადრიანებს უფრო თხოულობენ.

მე ისევ წინანდელ მდგომარეობაში ვიყავი, ერთ მხარეს ქმარი, მეორე მხარეს – დედამთილი. მოზარდობიდანვე წინ ჭიანჭველის ნაბიჯებით მივიწევდი. ყოველთვის, როცა მშობლებს ან მუსას რაიმეს ვაგებინებდი, ჭიანჭველა წინ ერთი ნაბიჯით მიიწევდა.

ამჯერად ჭიანჭველა თითქმის გაწყლული იყო. ფსიქიკურად დაავადებულივით ვიქცეოდი. პატარა ბავშვი, ჩემი შვილი ორი ისტერიკიანი ადამიანის ხელში დავტოვე! იმისთვის, რომ მოვმკვდარიყავი და სამუდამოდ მიმეტოვებინა? სილას ვიმსახურებდი, თან არაერთს.

როცა ჩემი პატარა ძმა დაბრუნდა, ჟულიეტმა შინ შემოუშვა. ის კარზე ზარს რეკავდა და ტიროდა. დედაჩემმა რიადი წაიყვანა – ჩემს დედამთილს კალათში ჩაწვენილი ბავშვი კართან, ჭილობზე დაუტოვებია! ჩემი ბინის კარი გამოაღო და როკაპივით თავს დააცხრა დედაჩემს:

– შენი ქალიშვილის ადვოკატად მობრძანდი? იცი, შენმა შვილმა რა ქნა?

და ისევ დაიწყო მოყოლა, როგორ არ დავბანე საჯდომი, როგორ ჩავიწიე შარვალი და მუცელი ვაჩვენე. დედაჩემისთვის ყველაფერი მარტივი და ნათელი იყო.

– ცოლ-ქმარს ცხოვრება დააცადე. ჩემმა შვილმა ყველაფერი სცადა, რომ მუსასთან ურთიერთობა აეწყო, შენ კი სიცოცხლეს უწამლავ ორივეს. ეს ჩემი შვილის სახლია, ის აქ სტუმარი არ არის. მაგრამ თუ სახლში უნდა დაბრუნდეს, თავის ვაჟთან ერთად დაბრუნდება.

როცა მუსა დედამისის დასაცავად ჩაერია, პასუხიც მიიღო:

– გაფრთხილება! ჩემს შვილს ან შვილიშვილს თუ რაიმე დაემართა, შენთვის ყველაფერი ცუდად დასრულდება.

ასე მგონია, მას შეეძლო, მამაჩემი წაექეუბებინა, მაროკოში მუსას წინააღმდეგ საჩივარი შეეტანა. მუსა დაფრთხა და ჩემს მოსაძებნად

გაყოლა შესთავაზა, მაგრამ დედაჩემმა თავიდან მოიშორა. მე მას უნდა მოვეძებნე და არა მუსას. ბავშვიც თან წაიყვანა. ჩემი დედამთილი აღრიალდა:

– ეს რა არის, ოჯახის უფროსი ქალია?

– განა შენ არ ცდილობ, რომ აქ იუფროსო?

როცა დედაჩემმა მომიყვა «სიდედრ-დედამთილის ბრძოლა», რომელშიც გამშველებელი მუსა იყო, გული მოვიოხე.

სერიოზულად იჩხუბეს, ლანძღვა-წყევლა-კრულვა არ დაუკლიათ ერთმანეთისთვის, არაბულად, როგორც სოფლებში იციან. ბოლოს, დედაჩემმა უთხრა:

– გგონია, შენი მუსა კაცია? იმის ნაცვლად, ცოლთან ეძინოს, შენს გვერდით წევს. ეს ნორმალურია?

– ოი... ჩემი შვილის სექსუალობაზე რა გალაპარაკებს!

«დედიკოს ბიჭი» თავისი ღირსების დასაცავად ჩაერია:

– რა უფლება გაქვს, ჩემს სექსუალობაზე ილაპარაკო? ვინ შეირთო შენი შვილი? ვინ უბოძა პატივი და ღირსება? ვინ დაიცვა უცხოთა ჭორებისგან?

– ძალიან დიდი სისულელე, რასაც თავს ვერასოდეს ვაპატიებ ის არის, რომ ჩვენი შვილი შენ მოგათხოვე!

დედაჩემმა შემდეგ მითხრა, – ასე მეგონა, სატელევიზიო სერიალს ვუყურებდიო.

რიადთან ერთად შინ, მშობლებთან დავბრუნდი. თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდი. უკვე გაყრაზე ვფიქრობდი, მაგრამ ჯერ მინდოდა, ცოტა დრო გასულიყო და ბავშვი წამოზრდილიყო. ამ კაცთან ჩემი ცხოვრების გაგრძელება და მისთვის ბავშვის აღზრდის მინდობა წარმოუდგენელი იყო. პატარა ჯერ ერთი თვისაც არ იყო და უკვე გიჟების ღრიალს ისმენდა. არც მას და არც მე ნორმალური არსებობა არ გვეწერა.

მამაჩემი, როგორც იქნა, მიხვდა მდგომარეობას და მითხრა:

– სანამ შენი დედამთილი აქ არის, იმ სახლში ფეხი არ მიადგა.

მინც გაცეცხლებული ვიყავი. იმ ბინის ქირას მე ვიხდიდი! ერთი სანტიმის დანაზოგი არ მქონდა, რიადს რამე რომ დამართნოდა, ვერაფრით დავხმარებოდი.

დღეები გადიოდა. მამაჩემს ყოველ დილით მანქანით მივყავდი ჩემს სახლამდე, სადაც ექთანი მოდიოდა და თრომბოფლებიტის საწინააღმდეგო ნემსს მიკეთებდა. ის იმავე სახლში ცხოვრობდა და ვერ ვაიძულებდი, ჩემი მშობლების სახლამდე კილომეტრები გაევლო. ამასობაში მამაჩემი მანქანაში მელოდებოდა.

– ისე მოახერხე, არ იჩხუბო, – მეუბნებოდა მანქანიდან გადასვლამდე.

შინ შევდიოდი და ვხედავდი, ორივეს როგორ ეძინა. არც აწუხებდათ, უკვე დღე თუ იყო და მათ გარშემო ყველა მუშაობდა. ამიტომ ხმაურს ვიწყებდი, კარს ვაჯახუნებდი, უჯრებს გამოვწევდი და ისევ ვხურავდი, მუსიკასაც კი ვრთავდი.

– ლეილა, გეყოფა ხმაური, დედაჩემს სძინავს!

– ფეხებზე მკიდია, ჩემს ნივთებს ვეძებ.

ჯერ კიდეც არ ვამბობდი, «ეს ჩემი ბინაა». ამის დრო არ დამდგარიყო. ჯერ მხოლოდ ის მინდოდა, ჩემი დედამთილი მაროკოში დაბრუნებულიყო, კიდეც უკეთესი, თუ ჩემი ქმარიც გაყვებოდა.

ერთ დილასაც მათი პროვოცირება გადავწყვიტე. მაკიაჟი წავისვი, ვარცხნილობა გავიკეთე და ისე ჩავიცვი, თითქოს პაემანზე მივდიოდი. ჩვეულებრივ, დაუდევრად ვიცვამდი, კეკლუცობა არ შემეძლო. ვიმედოვნებდი, რომ ამგვარ, მათთვის აუტანელ აგრესიას ვერ გაუძლებდნენ და ჩემი სახლიდან ბოლოს და ბოლოს, აიბარებოდნენ.

– სად მიდიხარ ასე გამოწყობილი?

– ჩემით დაინტერესდი? ეს რაღაც ახალია.

– მაკიაჟი გისვია, სხვანაირად გაცვია, რიადი თან არ გყავს, სად მიდიხარ?

– შენი საქმე არ არის. ხვალამდე.

ერთხელაც, რომ მივედი, დედამისს ეღვიძა, როგორც კი დამინახა, საბანი თავზე წაიფარა. რასაც ვფიქრობდი, ფრანგულად მივახალე:

– მიდი, მიდი, ჭკუასუსტო ასპიტო! ნამდვილი სულელი ხარ, დედაკაცო! რა გგონია, ვერ გხედავ, როგორ იმალები?!

კარგად ვიცოდი, შვილთან იჩივლებდა: «ფრანგულად გამლანძდა, ვერაფერი გავიგე...» მაგრამ რაკი მუსას ეძინა, ვერ უთარგმნიდა. სულ ეძინათ. ყურანს კითხულობდნენ, ლოცულობდნენ, ჭამდნენ, ეძინათ, მეტს არაფერს აკეთებდნენ. მაგრამ ეს ყველაფერი ჩემს ბინაში ხდებოდა! ჩემი ქმარი დედამისს ჩემი ფულით აჭმევდა!

თევზი მოუნდებოდა და სამზარეულოს მაგიდაზე მაშინვე თევზი გაჩნდებოდა! კარგად მახსოვს, ფეხმძიმედ ვიყავი და თევზი ძალიან მომინდა, მუსამ უარი მითხრა: «თევზი ძალიან ძვირი ღირს!»

იმ დილით ვერ მოვითმინე და ვუთხარი:

– მუსა, შე ნაძირალა! ჩემთვის თევზი ძალიან ძვირი იყო? და თქვენ რომ მუცლის ამოყორვა მოგინდათ, მაშინ არა? ვისი ფულით იყიდე?

– რატომ შეურაცხმყოფ?!

– მანქანა, რომლითაც დედაშენს დაატარებ, ვინ იყიდა? ჩემი ფულით დედაშენისთვის არაფერი გენანება!

ჩემმა დედამთილმა ვითარებით, რასაკვირველია, მაშინვე ისარგებლა:

– მასთან ურთიერთობა შეუძლებელია! შენ ვერ გაუძლებ, შვილო! უბედური იქნები. ერთი შვილი ჰყავს და ასე იქცევა! მეტი შვილი აღარ გააჩინო, ჩემო ბიჭო, აღარ!

თითქოს მისი ვაჟისგან შვილები კიდეც მინდოდა. კარი გავიჯახუნე და გავვიდი.

ორი კვირის შემდეგ იქით-აქეთ სიარული და ნივთების წაღებ-წამოღება მომბეზრდა. ამაოდ ვცდილობდი მათ პროვოცირებას. მაშინ დავფიქრდი: «ლეილა, მუშაობ, დეკრეტული შვებულება გაქვს, მაგრამ შენს ხელფასს ისინი იყენებენ. მშობლებთან შენი გადასვლით შენი დედამთილი დარჩა მოგებული. აქ თუ დარჩი, ის შენი ბინიდან არასოდეს წავა. თავის ძვირფას შვილთან ერთად ჩაიკეტება და ველარაფერს გახდები. გოგონა, მეთოდი უნდა შეცვალო და შენს ბინაში დაბრუნდე!»

ეს ომის გამოცხადებას ნიშნავდა. გადავწყვიტე, წინასწარგანზრახულად მომელო ბოლო ჩემი ქორწინებისთვის.

წინასწარგანზრახულობა

ჩემი დღიურის უკანასკნელი ფურცლები, რომლებიც აქამდე მდუმარედ, ჩემს გონებაში იწერებოდა, მართონს ჰგავს. ქოშინით ვუახლოვდებოდი ფინიშს.

არც გმირი ვიყავი და არც მებრძოლი. თავს უფრო ბუზს ვადარებდი, ხაფანგში რომ გამომწყვდიეს და ფრენა აუკრძალეს; ხან ჭიანჭველას, მტრულ გარემოში ნაბიჯ-ნაბიჯ რომ მიიწევს წინ. მინდოდა თავიდან მომეშორებინა ჩემი დედამთილი, ჩვენს ცოლქმრულ ცხოვრებას რომ წამლავდა და სიცოცხლეს მიმწარება ახალგაზრდა დედას. მართმევდა ჩემს კუთვნილ ერთადერთ ბედნიერებას – ჩემს ვაჟიშვილს. თავისი ოდიოზური ქცევით ეს სამოცდახუთი წლის ქალი არანორმალურად მიწებებული თავის ოცდათხუთმეტი წლის ვაჟიშვილს, იმდენად, რომ დამითაც მის გვერდით ეძინა, მუდმივად «უბურღავდა ტვინს». მის გამო მე და მუსა განუწყვეტლივ ვჩხუბობდით. ის საკუთარი შვილის ცხოვრებას ანგრევდა, ისიც ხაფანგში იყო.

სამსახურში გავვიდი. ოჯახური ცხოვრების სიმძიმეს ვუძლებდი, შეღავათი ის იყო, რომ რიადს დედაჩემთან ვტოვებდი. სოციალური დახმარების საბუთი დამჭირდა და მის ასაღებად მერიამი მივიდი. მერიის თანამშრომელმა მითხრა:

- თქვენს მეუღლეს გადაეცით, რომ დედამისის დოსიეს გასახსნელად საჭირო საბუთები აკლია.
- რომელი დოსიეს გასახსნელად?
- ცხოვრების უფლების მოსაპოვებელი საბუთის მისაღებად!
- ამის შესახებ არაფერი ვიცი!

ასე გავიგე, რომ ჩემს ქმარს ჩემი ხელმოწერილი ქვითარი და ვითომ თანხმობა წარუდგენია, თითქოს დედამისის ოჯახში მიღებას ვეთანხმებოდი. გარდა იმისა, რომ დედამისი საბუთებში «სახსრების გარეშე დარჩენილ ქვრივად» იყო გამოცხადებული, ყალბი დოკუმენტი წარადგინა ჩემი ხელმოწერით. არც ჩემი მამამთილი იყო გარდაცვლილი და საკმარისი სახსრებიც გააჩნდა თავისი მეუღლის ცხოვრების უზრუნველსაყოფად. თუ მისი არა, მაროკოში მცხოვრები დანარჩენი ვაჟების ქონება ამისათვის სავსებით საკმარისი იყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ჩემი მწირი ხელფასი!

მუსამ მამამისის გარდაცვალების ყალბი საბუთი წარადგინა, რომელსაც მერიის თანამშრომელი ახლა გულდასმით უკირკიტებდა:

– ეს როგორ მოახერხა?

– რა გითხრათ... მაგრამ მაროკოში ნებისმიერი საბუთის დამზადება შეუძლიათ.

– აჰა, გასაგებია! რაკი ასეა, ორივეს მივხვდავ.

– ძალიან გთხოვთ, არც ერთმა არ უნდა გაიგოს, რომ ამის შესახებ მე გითხარი, ისედაც დაძაბული ურთიერთობა მაქვს მათთან...

– ნუ გეშინიათ, ყველაფერი იოლად მოგვარდება, სამოქალაქო რეესტრის ამონაწერს მოვითხოვ მისი ოჯახის შესახებ. რეესტრში გარდაცვალებაც უნდა იყოს აღნიშნული.

რასაკვირველია, მუსამ ასეთი ამონაწერი ვერ წარადგინა. განრისხებული იყო, თუმცა ვერაფერს გახდა და არც იცოდა, ვისი მიზეზით გახდა ყველაფერი ცნობილი მერიისთვის.

ჩემმა დედამთილმა საფრანგეთში ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთი ვერ მიიღო! მაგრამ მას შეეძლო, მოეთხოვა დახმარება ხანდაზმულობის გამო და უფასო სოციალური დახმარება, თანაც მაროკოში ქონებაც ჰქონდა.

შესაძლოა, ამგვარი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ. საჭირო საბუთების მიღების სხვა მრავალი საშუალებაც არის. მაროკოში შუამავლები არდადეგებზე ჩასულ გოგონებს ფულადი თანხის საფასურად დაინტერესებული პირების საფრანგეთში ჩაყვანას სთავაზობენ.

«იმდენ ფულს გადაგიხდი, რამდენიც გინდა, ხელს არ დაგაკარებს, არც შენ გექნება ურთიერთობა, მხოლოდ საფრანგეთში ჩაიყვან».

ოჯახებს საფრანგეთში სხვისი ბავშვები ჩაჰყავთ, ჩვილებიც კი. როგორც ვიცი, მათ მაროკოში თავიანთ, ოღონდ ქორწინების გარეშე დაბადებულ შვილებად აცხადებენ. მიზანი მიღწეული იქნება – ბავშვი საფრანგეთში გაიზრდება. სხვებს მოზარდები მიჰყავთ, რომლებიც სინამდვილეში მათი მოსამსახურეები არიან. მათგან ზოგიერთმა აქ თავს უშველა, რადგან ძალიან ცუდად ეპყრობოდნენ. უბანში ყველამ იცის ამგვარი ამბები.

მიჭირს ამის აღიარება, მაგრამ მაროკოში ნებისმიერი ყალბი საბუთის დამზადება შეიძლება: დაბადების, გარდაცვალების, განქორწინების მოწმობის. ერთმა დაქორწინებულმა მამაკაცმა მალრიბული წარმომავლობის ფრანგი გოგონა გაყრის ყალბი საბუთის წარდგენით ცოლად შეირთო და მოქალაქეობა მიიღო. საფრანგეთი მაროკოში გაფორმებულ საქორწინო ხელშეკრულებას არ აღიარებს, შესაბამისად, მისთვის პასუხი არც არავის მოუთხოვია. შემდეგ გოგონას გაეყარა, საფრანგეთში ნამდვილი ცოლი და ქალიშვილი ჩაიყვანა. შემუშავებული სისტემა მარტივია, ნამდვილ ცოლს ჯერ გაეყარა, შემდეგ მასზე ხელახლა დაქორწინდა საკონსულოში. ეს ამბები ყველამ შესანიშნავად იცის, ერთმანეთს უყვებიან, მაგრამ ხელისუფლებისთვის გამჟღავნებას არავინ ფიქრობს. ამისათვის ნამდვილი დამსმენია საჭირო.

ზემოაღწერილის მსგავსი ხრიკები განსაკუთრებით იმიტომ მაბრაზებს, რომ მიზნის მისაღწევ იარაღად გოგონების ქორწინებას იყენებენ. მაროკოელი, მალრიბული წარმომავლობის ან ფრანგი გოგონები ხდებიან მსხვერპლი. არალეგალების თქმით, უფრო მოსახერხებელია ფრანგი ქალის გამოყენება. პირველ რიგში, მნიშვნელოვანი თანხები იზოგება! არც მზითვია საჭირო და არც ასტრონომიული თანხები იხარჯება ქორწილის გადასახდელად.

ძალიან ადვილია შეყვარებულის თამაში. მალრიბელ მამაკაცებს ეს შეუძლიათ, ერთი-ორი ხრიკი და გოგონა უკვე ხაფანგშია, ბიჭი კი მას და მის გრძნობებს საკუთარი მიზნის მისაღწევად იყენებს. ვინ რჩება საბოლოო ჯამში განადგურებული? რა თქმა უნდა, გოგონა! ან სამშობლოში მიჰყავთ, ან ისეთ მდგომარებაში აგდებენ, რომ იძულებულია, გაყრა მოითხოვოს. ასე გაება ჩემი ერთი მეგობარი. ყველაფერი ვცადა, მისთვის მძიმე სვედრი ამეცილებინა.

– სილვი, დაფიქრდი, მხოლოდ ორი თვეა, იცნობ, ქუჩაში აგეკიდა, მხოლოდ კაფეებში ხვდებით ერთმანეთს, ნამდვილად არალეგალია!

– არა! სტუდენტია, ინჟინერი გამოვა! ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთი აქვს!

კარგად არის ცნობილი, სინამდვილეში ვინ არიან ეს მომავალი ინჟინრები. სავარაუდოდ, ან საბუთია ყალბი, ან მართლაც სტუდენტია და მისი საბუთის ვადა გადის. ასეთი იყო სილვის ნაცნობიც. ლამაზი, მაღალი, გამხდარი, მოღიმარი ბიჭი იყო, გოგონას კი კვლევობა არ ეხერხებოდა. მთელი ოჯახი, განსაკუთრებით მისი ძმა, შეწუხებულიყო იყო, რადგან სილვი მათ დასატოვებლად ემზადებოდა.

– ლეილა, ეს ჩემი ცხოვრების სიყვარულია, ჩემს მშობლებს ჩემი არ ესმით. ეს ერთი ნახვით შეყვარებაა, მას უნდა, დავქორწინდეთ.

სილვიზე გავბრაზდი.

– უცხო კაცი შუა პარიზში, ქუჩაში აგეტორდილა, ყავის დასალევად კაფეში დაგპატიჟა, ტვინს გიბურღავს, შენ კი იმას ელი, რომ შეუყვარდები? შვილს გეფიცები, ვიდრე ცხოვრების უფლების დამადასტურებელ საბუთს ვადა გაუვა, ცოლობას გთხოვს.

– არა, არა, ცდები.

– არ ვცდები! ამ ბიჭმა შეგამჩნია, კარგად მიხვდა, დიდ სიყვარულზე რომ ოცნებობ! თუ ცოლად გაყვები, მოქალაქეობას ძალიან სწრაფად მიიღებს და ან შენი ცხოვრებიდან გაუჩინარდება, ან სამშობლოში წაგიყვანს, სადაც ჯოჯოხეთი გელის იქამდე, ვიდრე გაყრას თავად არ მოითხოვ.

– ასე იმიტომ ამბობ, რომ საზარელი რამ გადაგხდა. ნუ აზოგადებ შენს ამბავს.

ფრანგები ფრანგულად აზროვნებენ და არა არაბულად. მაგრამ მე, საფრანგეთში დაბადებული უდრეკი გოგონა, ორივე ენაზე ვფიქრობ. ჩემი მეგობრის ამბავი სევდიანად დასრულდა: მართლაც, საბუთის ვადის გასვლამდე გათხოვდა; შეყვარებული ალჟირელი დიდი ქორწილის გადახდას დაჰირდა და ამას დღემდე ელის.

ამის შემდეგ სიყვარულზე აღარ საუბრობდა. გათხოვებას არავინ აიძულებდა, მშობლებს უყვარდათ, ჩემსავით ჯოჯოხეთური ცხოვრება არ ჰქონია, მხოლოდ უნდოდა, ვინმეს ყვარებოდა, ისე, როგორც ყველა დანარჩენს სურს იგივე.

...გადავწყვიტე, წინასწარგანზრახულად მომეღო ბოლო ჩემი ქორწინებისთვის. ერთადერთი იარაღი მქონდა: სავარაუდოდ, ბერბერული წარმომავლობის წყალობით, ჩემი საზიზღარი ხასიათი. ერთი დეტალი არ მაძლევდა მოსვენებას: მანქანა, რომელიც მუსამ ჩემი ფულით იყიდა, რომელზეც პასუხისმგებელი მე ვიყავი, რადგან მართვის მოწმობა და დაზღვევა ჩემს სახელზე იყო. მას შემდეგ, რაც მუშაობა დავიწყე, ჩემი მშობლების სახლიდან რიადის წამოსაყვანად საწვავის ჩასხმასაც მე მთხოვდა. მამასთან ბავშვის მართლ დატოვების მეშინოდა. ყურადღებას სრულებით არ აქცევდა, შეეძლო, სამი თვის ბავშვი შინ მართლ დაეტოვებინა, თავად კი ყავის დასალევად კაფეში წასულიყო.

პირველი უხეში ფიზიკური კონტაქტიც სწორედ ამ მანქანას უკავშირდება. ჩხუბი მე დავიწყე. აღარ შემეძლო იმის ატანა, როგორ ეკავა ჩემი ადგილი მანქანაში დედამისს, რომელსაც მეფის ასულივით დაატარებდა, მე კი ფეხით უნდა მეჩანჩალა. უსიამოვნება მაშინ დაიწყო, როცა მანქანა სახლთან გააჩერა. განრისხებული ვუყურებდი, როგორ გადმოვიდა მანქანიდან დედამისი. დაველოდე, სახლში როდის შევიდოდა, შემდეგ მუსასკენ გავექანიდი:

– კარი გააღე!

– გაფრთხილებ, აქ თუ სკანდალს მოაწყობ...

– ფეხებზე მკიდია სკანდალი! გგონია, ნორმალურია, დედაშენი ჩემი ბინიდან ფეხს რომ არ იცვლის და ჩემი მანქანით დაათრევ აქეთ-იქით?

– შენი კი არა, ჩვენი ბინაა!

– არა, არა! ბინა ჩემია!

ყველაფერი გაუხსენე, სულ თავიდან, უიმედო აგრესიითა და მრისხანებით. ყველა ფრონტზე შევუტე, განსაკუთრებით კი დედამისის გამო. ვულგარულიც კი ვიყავი. ბოლოს, ხაფანგში მოექცა და მიტხრა:

– დედაშენს მიხედუ! თავი ვინ ჰგონია? ჩემზე თქვა, არანორმალურია, ცოლის გვერდით რომ არ ძინავსო!

– დედაშენის გვერდით არ გძინავს?

– მერე, დედაშენს რა უნდა, ხომ არ უნდა, ჩემი სექსუალობა მასზე გამოვცადო?

მექანიკურად მოვუქნიე და სილა გავაწანი. გაფითრდა.

– ახლავე გადადი მანქანიდან.

– ფეხს არ მოვიცვლი.

– გადადი, შენთვის აჯობებს.

– არა. ვის სახელზეა მართვის მოწმობა? ჩემს სახელზე! დაზღვევა? ჩემს სახელზე! ამიტომ მოკეტე. თუ ვინმე უნდა გადავიდეს ამ მანქანიდან, პირველ რიგში შენ!

– აჰა, აილე გასაღები, ყველაფერი წაილე, არ მინდა ეს მანქანა.

– მაღლობა, სწორედ ეს მინდოდა.

ძვირფას დედიკოს კუდამოძუებული გაჰყვა. მანქანის გასაღები ავილე და ჩემს ერთ-ერთ ძმას დავურეკე, რომელსაც მართვის მოწმობა ახალი აღებული ჰქონდა.

– ახლა რაღა ხდება?

– მართვის მოწმობა ხომ გაქვს? ჰოდა, ახლა მანქანაც გყავს, მოდი და წაიყვანე.

მამაჩემმა ჩემი დაწყნარება სცადა: «ლეილა, არა! აქამდე ნუ მიხვალ...» მაგრამ მისი მზერა ამბობდა: «ადარაფერში ვერევი, ვითარებას ველარ ვაკონტროლებ». უფლისწულივით ბედნიერი ჩემი ძმა მანქანიდან გაუჩინარდა.

მუსა ასეთ სისწრაფეს არ ელოდა.

– მანქანა სად არის?

– წავიდა! ჩემია და ვისაც მინდა, იმას ვაჩუქებ! ნაგვობაა, არა?

– ვინ წაიყვანა?

– რა შენი საქმეა? ვედარაფერს გააწყობ! კომისარიატში გინდა იჩივლო? მანქანა ჩემია, ის არავის მოუპარავს!

იმავე სადამოს, როცა რიადი ჩემი მშობლებისგან წამოვიყვანე, ჩემი ერთ-ერთი მეზობელი, ფრანგი, რომელთანაც განსაკუთრებით ვმეგობრობდი, გავაფრთხილე:

– «ბუნაგში» ვბრუნდები. თუ კედლებზე დარტყმის ხმა გაიგე, არ შეშინდე, არაფერია სერიოზული. ომი გამოცხადებულია.

– გინდა, რიადი დავიტოვო, ჩემს ბიჭთან ერთად მივხედავ...

– თუ პრობლემა შემექმნა, შემოგიყვან! წავედი. ომში ისე უნდა მოიქცე, როგორც ომს შეეფერება!

დავინახე დივანზე გამხლართული, გაბადრული ჩემი დედამთილი, კმაყოფილი, თავის ძვირფას შვილთან ერთად მარტო რომ იყო. როგორც კი დამინახა, ღიმილი გაუქრა!

მუსას დაჟინებით მიაჩერდა, თითქოს ჰიპნოზით ჩააგონებდა: «ამათ არ მიეკარო!» მუსამაც ამ მდუმარე აკრძალვის გამო, ბავშვის ხელში აყვანაც ვერ შეძლო. თავდასხმა პირველად დედამთილმა დაიწყო.

– აქ რა გინდა? რატომ მოხვედი?

– იმიტომ, რომ პირდაპირ გითხრა, აქ შინ ვარ. გასაგებია? ეს ჩემი ბინაა.

– პატივი გეცა და იქამდე მოგეცადა, სანამ წავიდოდი.

– დამაცადე, ყველაფერს აგინსნი! რაც შეიძლება მალე ჩაალაგებ ჩემოდნებს და აქედან წახვალ.

– დედაჩემს ასე ნუ ელაპარაკები!

– შენ კი, ვაჟბატონო, საწოლ ოთახში შემომყევი!

არ ვიცი რატომ, მაგრამ უკვე კარგა ხანი იყო, ისე მივმართავდი, როგორც მამაჩემი მელაპარაკებოდა ხოლმე: «საწოლ ოთახში შემომყევი!»

ვგრძნობდი, ძლიერი ვიყავი, გადავწყვიტე, არაფერი დამეთმო და მიზნისთვის მიმედღნა, ის ქალი უნდა წასულიყო. მუსა ხმის ამოუღებლად გამომყვა.

– ახლა კარგად მომისმინე, გამოფხიზლდი და ყურებიც გამოიფხიკე.

– მიდი, თქვი, რა გინდა?

– დღეს ოთხშაბათია. ყველაზე გვიან, შაბათ დილით, დედაშენი წასული უნდა იყოს! როგორც გინდა, ისე მოაგვარე ეს!

– კი მაგრამ, ბილეთის ფული როგორ გადავიხადო?

– ჰო! მართლა, მე ხომ ანგარიში შევცვალე, ჩემი ხელფასი ჩვენს საერთო ანგარიშზე კი აღარ ხვდება, არამედ ჩემს პერსონალურზე. ჰოდა, თუ დანაზოგი გაქვს, იქიდან დახარჯე.

– ასე რატომ გააკეთე?

– იმიტომ, რომ ანგარიშზე მხოლოდ ჩემი ხელფასი ირიცხებოდა, შენი კი მაროკოში მიდის. იმ დახმარებიდან, რასაც იღებ, მე სანტიმიც კი თვალთ არ მინახავს! ამიტომ გავხსენი პერსონალური ანგარიში! დამთავრდა მუსა! ოქროს კვერცხის მდებელი დედალი აღარ გეყოლება!

– მაგასაც ვნახავთ!

– ყველაფერი უკვე ნანახი და ჩავლილია!

– თუ შაბათს არ წავიდა, რას გააკეთებ?

– ძალიან რისკავ. ან მაროკოში მშვიდად და უვნებელს ჩაიყვან, ან ერთ დღესაც სკოჩით კედელზე აკრულს ან ქაღალზე ჩამოკიდებულს დაგახვედრებ. თავად აირჩიე. გეფიცები, თუ შაბათს კიდეც აქ იქნა, პირველივე სიტყვისთანავე დანაპირებს ავასრულებ.

უცნაურად შემომხედა, ნამდვილად შევაშინე. თავს დამცირებულად გრძნობდა, ეს ახალი ამბავი დედამისისთვის რომ უნდა ეცნობებინა. ჩემი აზრით, უთხრა, რომ გადაწყვეტილება თავად

მიიღო, ჩემი მუქარის გამეორება ვერ გაუბედა. მესმოდა, როგორ დაურეკა ერთ-ერთ ძმას, რომელმაც უთხრა, – დედაშენმა დაანგრია შენი ოჯახიო.

მამამისმა კი დაამატა: – მე რომ საფრანგეთში ჩამოვსულიყავი, ეს ყველაფერი არ მოხდებოდა. დედაშენი ბოროტი ქალია, სადაც წავა, იქ ყველაფერს აფუჭებსო.

მან არც კი იცოდა, მისმა ვაჟმა ქალაღმდეგე რომ მოკლა. ამგვარ საქციელს ფროიდულს უწოდებენ?

ნეტარებით ვუსმენდი. როცა ერთ-ერთი ჩვენგანი მაროკოში რეკავდა, ხმამაღლა მოლაპარაკე ყოველთვის ჩართული იყო, ახალი ამბები მთელ ოჯახს რომ გაეგო. ჩემი დედამთილი უგუნებოდ იყო.

– ღვიძლი შვილიც კი ჩემს წინააღმდეგაა! არც ქმარი მიჭერს მხარს!

ისევ ის იყო მსხვერპლი! პარასკევს, დილით, მუსამ გამგზავრების შესახებ მაცნობა:

– ხვალ დედაჩემი ავტობუსით მაროკოში მიმყავს.

– კარგია, კეთილი მგზავრობა.

მოწინააღმდეგის იარაღი გამოვიყენე, არაბული ენა, ბევრი ლაპარაკი, დამცირება, შეურაცხყოფა, უთავბოლო დომნალი. დედაჩემი, რომელსაც ყველაფერი მოვუყევი, ჩემსავით კმაყოფილი დარჩა. ის უკვე ჩემი მოკავშირე იყო, მაგრამ გაყრაზე ჯერ სიტყვას ვერ ვძრავდი.

მთელი სიცოცხლე მემანსოვრება ეს პარასკევი დღე. ჩემი დედამთილი სამზარეულოში საგზალს ამზადებდა. არაფერი მიყილია და მომიშაადებია, მუსა იძულებული გახდა, თავად წასულიყო საყიდლებზე. ვფიქრობდი: – ყველაფერი თავად მოაგვარე, შენი ცხოვრების უკანასკნელ წუთებს ატარებ ჩემს სამზარეულოში-მეთქი!»

არც ბარგის შეკვრაში დავხმარებივარ, არც ერთის სარეცხი არ გამირეცხავს, როგორც ჩვეულებისამებრ ვიქცეოდი. მარტომ იბანავა და კიდეც ერთხელ შევასხენე, რომ საფრანგეთში აბაზანას წყლით მხოლოდ ერთხელ ავსებენ: «წყალში სხდებიან, ჭუჭყს იშორებენ, შემდეგ წყალს ივლებენ».

არაფერი მიპასუხა. მაგრამ ვახშამზე ვერ მოითმინა:

– ლეილა, ქმართან ურთიერთობის მოსაგვარებლად დიდი ძალისხმევა დაგჭირდება. ახლა მამაშენის კი არა, მუსას ოჯახს ეკუთვნი.

– ყური მიგდე, მე მამაჩემის შვილი ვარ, ჩემი შვილი – ჩემი. ის მე და შენმა შვილმა გავაჩინეთ. მე დედ-მამა მყავს, ისე, როგორც ჩემს ვაჟს ჰყავს მშობლები.

კარი გავიჯახუნე და საწოლ ოთახში დავბრუნდი. დილის ოთხ საათზე წასასვლელად მოემზადენ.

– ლეილა, ადექი! დაგვემშვიდობე მაინც!

– ნახვამდის. არ იხმაუროთ, რიადს გააღვიძებთ. თუ შეიძლება, კარი გასაღებით ჩაკეტე.

და წავიდნენ. პატარა ბავშვივით სიხარულით ვყვიროდი:

– მაგარია! ბოლოს და ბოლოს, დასვენება მეღირსა!

თხუთმეტი მშვიდი დღე გავიდა. აღარაფერი მაშინებდა. მათი ჩასვლის ამბავი ჩემმა მულმა მომიყვა, რომელიც კმაყოფილი იყო «დრაკონზე» ჩემი შურისძიებით. შემდეგ კიდეც დამირეკა.

– ლეილა, დაგპირდი, რომ გაგაფრთხილებდი: მუსა წამოვიდა და ხვალ გამთენიისას მანდ იქნება. ყურადღებით იყავი.

– ყურადღებით რის გამო? თავისთვის სასაყვედურო არაფერი მაქვს.

– შენს ოჯახზეა ნაწყენი და ამ ბოლო დროს ძალიან გაღიზიანებულია.

ძალიან არ შევშინებულვარ. პირიქით, გაცეცხლებული ვიყავი იმის გამო, რომ თავისი შვილი ორი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ მოიკითხა. ჩემი პატარა რიადი, ჩემი სიცოცხლე, ჯერ კიდევ მუცელში ყოფნის დროს თითქმის ყოველდღიურად ისმენდა ჩვენს კინკლაობასა და კამათს.

შაბათ-კვირას ფსიქოლოგიურად ვემზადებოდი. ვერაგული გეგმა მოვიფიქრე. დაღლილი ჩამოვიდოდა და დაიძინებდა. ვიდრე ეძინა, ჯიბიდან გასაღებს ამოვაცლიდი, დავმალავდი, კარს ჩაკვეთავდი და იქამდე არ გავუღებდი, სანამ ყველაფერს არ ვეტყოდი, რაც მსურდა. ეს დუელი იქნებოდა. სასიკვდილო შეტაკებისთვის ვემზადებოდი.

ჩემი მეზობლები გავაფრთხილე, ისევ და ისევ ხუმრობით:

– ბრუნდება! ალბათ, დაპირისპირება რამდენიმე საათს გაგრძელდება. ბევრ რამეს გაიგონებთ; თუ საშველად მოგიხმეთ, შემოდით! თუ იმან დაიწყო ყვირილი, ყურადღებას ნუ მიაქცევთ...

ვხუმრობდი, თუმცა კარგად ვხვდებოდი, ამგვარი ოჯახური დაპირისპირება შეიძლება ფატალურად დასრულდეს.

დილით აღრე ჩამოვიდა. გაუკვირდა, მხოლოდ მე და რიადი რომ დავხვდით, ეგონა, ძმებით გარშემორტყმული, საბრძოლველად გამზადებული ველოდი.

თავი მოვიმძინარე, თუმცა ვუდარაჯებდი. შხაპი მიიღო და საწოლ ოთახში, ჩემ გვერდით დაწვა. მაშინვე ავდექი და ბავშვთან ერთად მისაღებ ოთახში, დივანზე გადავინაცვლე.

დაველოდე, ვიდრე ღრმად ჩაიძინებდა. შემდეგ მისი საბუთები დავათვალიერე, რომლებსაც არასოდეს იშორებდა. წინასწარ მინდოდა გაყრისთვის ზომები მიმეღო. ავიღე, რაც მჭირდებოდა, კონვერტში ჩავდე და მეზობლის ზღურბლზე დაფენილი ფეხსაწმენდის ქვეშ ამოვდე. შინ დაბრუნებულმა კარი გასაღებით ჩაკვეტე, მუსას გასაღები ხალიჩის ქვეშ დავმალე და ისევ დავწექი.

როცა გაიღვიძა, რიადი ხელში აიყვანა:

– ჩემი პატარა, ჩემი პატარა.

– აჰა, ახლა გახდა შენი პატარა?!

და დაიწყო. ჩემს ოჯახს მისდგა, რაც ცოლ-ქმრის ჩხუბის პირველი სტადიაა: მამაშენი, დედაშენი, შენი ძმები...

ზუსტად შესაბამისად, აუტანელი ვულგარულობით ვპასუხობდი. მთელი არსებით გადავეშვი ამ ჩხუბში და სიამოვნებაც ვიგრძენი.

– უნდა გავიდე.

– გგონია ასე იოლად მოგეშვები? არაფერიც!

ჯიბეებში აფათურებდა ხელს და გასაღებს ეძებდა:

– უნდა გავიდე, უნდა გავიდე.

– ეძებე! ვერაფერს იპოვი. ანგარიში მაქვს შენთან გასასწორებელი და შენი გადასაწყვეტი არ არის, როდის გახვალ აქედან. ბევრი რამე მაქვს შენთვის სათქმელი და გეტყვი კიდევაც! შენ და დედაშენმა ჭკუიდან გადამიყვანეთ და გგონია, თავს ასე დაიძვრენ?

– ლეილა, კარი გამიღე, ცუდად დამთავრდება ეს ყველაფერი.

დაძაბულობა სულ უფრო მატულობდა.

– კარი გააღე, თორემ ფანჯრიდან გადავხტები!

– მიდი, კარგსაც იზამ! მეც ეს მინდა, ქმარს გაყრილი კი არა, ქვრივი ვიქნები! მხოლოდ შენი ძვირფასი ღედიკო დამწუხრდება!

– ბოზო, არ ვიცი, კიდე რატომ გიტან, არ ვიცი, რატომ გიტან!

და მუშტი მთელი ძალით დაარტყა კედელს. შიშით შევხტი: ასეთი მუშტი რომ მომხვედროდა, ფეხზე დიდხანს ვერ დავდგებოდი. მაგრამ რაღაც უნდა დამჯდომოდა, რისკისა და საფრთხის მიუხედავად, არ ვეშვებოდი. მის არაკეთილსინდისიერებას საზღვარი არ ჰქონდა.

«თუ იცი, რა თანხა დაგახარჯე? იცი, რა დამიჯდა შენი ცოლად შერთვა? დედაჩემი თავაზიანი იყო, რიადისთვის საჩუქარი ჩამოიტანა და ასი ფრანკი გაჩუქა!

– რომელიც ჩემი ანგარიშიდან იყო გამოტანილი, ასე მითხარი და ფული გამომართვი!

– ყველაფერი, რაც ქორწილისთვის დავხარჯე არ გეყო?

აქამდე ის იცავდა თავს, ამის შემდეგ კი ნერვებმა მიმტყუნა.

– აჰ, ასე, არა?

სამზარეულოსკენ გავემართე და დანების უჯრა გამოვწიე. დაფრთხა.

– რას აკეთებ?

– შენი საქმე არ არის! გირჩევნია, არ მომიახლოვდე. ფეხი არ გადმოდგა!

უზარმაზარი, ცხვრის დასაკლავი დანა ავიღე და საწოლ ოთახში შევედი. გამოვწიე დაწყევლილი ჩემოდანი, რომელშიც ქორწინების წინ ნაყიდი სამოსი ინახებოდა, პირველ რიგში კი, ის საპატარძლო კაბა და მის თვალწინ დავანაკუნე. თითოეულ ნაჭერთან ერთად მისი ფული და ჩვენი ქორწინება ქარს მიჰქონდა. პირველ რიგში ამ კაბას, როგორც სიმბოლოს, გავუსწორდი და დიდი ხნის სურვილი ავისრულე.

– ჭკუიდან შეიშალა, ნამდვილად ჭკუიდან შეიშალა!

– შენი ფული გინდა? აჰა, აჰა, აიღე!

შემდეგ იგივე ბედი ეწია ყველა კაბას, ჯელაბას, შარვალს. ყველაფერი, რაც მიყიდა, ნაკუნებად ვაქციე. ბოლოსთვის მოვიტოვე დედამისის ჩამოტანილი საწოლის გადასაფარებელი. სიმწრით ღრიალებდა, მაგრამ დანის ეშინოდა და ახლოს მოსვლას ვერ ბედავდა. ხმით დედამისს მივბაძე:

– «ჩემო ბიჭუნა, საწოლის გადასაფარებელი ჩამოვიტანე, ოქრომკედით ნაქარგი გადასაფარებელი ჩემი შვილიშვილისთვისაა!» ეს გადასაფარებელი დედაშენივით ილიოტურია...

– ლეილა, ამას ნუ იზამ. ლეილა, ეს რიადისთვისაა, ბებუის საჩუქარი.

– თავიდან მომწყდით ყველანი, თქვენი არაფერი მინდა!

– ლეილა, მე მომეცი, დედაჩემს უკან, მაროკოში გავუგზავნი.

გადასაფარებელიც დავანაკუნე:

– აჰა, აკრიფე და დედაშენს გაუგზავნი.

ასეთ მდგომარეობაში პირველად მნახა. აქამდე არც მე მივსულვარ მანამდე. მართალია, აგრესიული ვყოფილვარ, მაგრამ იმ დღეს სრულიად დავკარგე თავგზა და ყველაზე საზარელი რამეც კი შემეძლო ჩამედინა. ეს ჩემი თამაში იყო. ასე მგონია, ამ ქორწინებამ მართლაც შემშალა.

– გამიშვი, ჰაერზე უნდა გავიდე...

– არა, აქ იქნები ჩაკეტილი, ისე, როგორც მე ვიყავი, ფეხს არ მოიცვლი.

ველოდი, როდის დაკარგავდა მოთმინებას, მინდოდა წყობიდან გამომეყვანა, რომ გაერთყა, ვეცემე, და ეს იქნებოდა გაყრის საბაბი. მაგრამ მხოლოდ გარშემო მივლიდა და კარის გაღებას მეხვეწებოდა. ასე მთელ დღეს გაგრძელდა. ყველაფერი ვცადე, მაგრამ ამაოდ, ამ ლაჩარს ხელიც არ დაუკარებია. ამიტომ, ძალაგამოცლილმა, ხელი ჩავიქნიე.

– ახლა გაეთრიე. აჰა, შენი გასაღები, მაგრამ სანამ გახვალ, მაგიდაზე დატოვე! შენი დანახვა აღარ მინდა!

წავიდა, მაგრამ როგორც ვეჭვობდი, გასაღები თან წაიღო, მამასადამე, დაბრუნდებოდა.

როცა ეს ყველაფერი დედაჩემს მოვუყევი, კმაყოფილმა მითხრა:

– თუ გინდა, ჩვენთან გადმოდი...

რასაკვირველია, არ მინდოდა.

მამაჩემმა მითხრა:

– ცუდია, რაც გააკეთე. ამ კაცისგან შვილი გყავს. თუ ძალიან შეტოპავ, შეიძლება გაგეყაროს.

ბავშვიანი, გაყრილი ქალის ხელახალი გათხოვება ძალიან ძნელია. მამას მისი კონტროლი აღარ ძალუძს და ის მართლაც ცხოვრობს, შერცხვენილი. ეს ჩაკეტილი წრეა. ქირას მე ვიხდიდი, მაგრამ მისი გაგების უფლება არ მქონდა, ქირავნობის ხელშეკრულებას ორივემ მოვაწერეთ ხელი...

ორი მოწინააღმდეგე ერთმანეთს ვზვერავედით. სამსახურში წასვლამდე რიადს დედაჩემს ვუტოვებდი. არ მინდოდა, მამამისთან დარჩენილიყო, ბავშვს წამითაც არ ვტოვებდი უმეტესადაც. მუსა ისევ არ მუშაობდა. მოსამზადებელი კურსები დაამთავრა და სულ შინ იყო, ყურანს კითხულობდა, ეძინა ან კაფეებში დაყიალობდა. არაფერს ალაგებდა, ჭიქასაც არ რეცხავდა. მთელი კვირის განმავლობაში სამუშაოდან რაც შეიძლება გვიან ვბრუნდებოდი, შემდეგ მეზობლებთან გადავდიოდი. მასთან პირისპირ შეხვედრას მაქსიმალურად თავს ვარიდებდი, ველოდი, როდის გადაწყვეტდა: – «ცუდი ცოლი მყავს, უნდა გავეყარო». უძლებდა. მისაღებ ოთახში ეძინა, მე – საწოლ ოთახში. მის შეხებას ველარ ვიტანდი. პირველი ვწვებოდი დასაძინებლად და როგორც კი დააპირებდა ნაბიჯის გადმოდგმას, ვაფრთხილებდი: «მძინავს».

ბოლოს და ბოლოს, მობეზრდა და დამარტყა.

უხეში და შურისმაძიებელი გახდა. ყოველთვის, როცა დედამისს მაროკოში ურეკავდა, შემდეგ ბრაზდებოდა. შეურაცხმყოფდა, მე ვპასუხობდი და ის მირტყამდა.

საჩივრის შეტანა მინდოდა, ჩემი მშობლები მხარს მიჭერდნენ, მაგრამ კიდეც დაცდას მთხოვდნენ: «არა, მოიცადე, უკანასკნელი შანსი კიდეც მიეცი, ბავშვზე იფიქრე».

დარტყმაზე დარტყმით ვპასუხობდი, მაგრამ მე მხოლოდ ორმოცდაექვს კილოს ვიწონიდი, ის – ოთხმოცს. ზორბა იყო, ადვილად მერეოდა და თავს კედელზე მარტყმევინებდა.

ბოლოს და ბოლოს, მომბეზრდა, გადავწყვიტე, საჩივარი შემეტანა.

ერთ საღამოს წყნარად ვბანაობდი, მინდოდა, დამესვენა და სული მომეთქვა. კარის გასაღებით ჩაკეტვა დამავიწყდა. ჩემი გამოწვევა დაიწყო, ის კარის უკან იდგა, მე წყალში ვიწევი: «დედაშენი ისეთია... დედაშენი ასეთია... დედაშენი...»

ისე გამოდიოდა, რომ ჩემს ოჯახში მხოლოდ მეძავეები იყვნენ, ანუ დედაჩემი და მე.

«ყველანი მეძავეები ხართ! ერთი მეორეზე უარესი, შენ კი სიგარეტსაც ეწევი!»

არც ერთი შეურაცხყოფა უპასუხოდ არ დამიტოვებია, ასე მეგონა, კარი დამიცავდა.

– ეი, ბოზო!

– ჰო, ბოზი ვარ, მაგრამ რაკი შენი ბოზი არ ვარ, ყველაფერი რიგზეა.

ბოლოს და ბოლოს, მომბეზრდა «მეძავისა» და «ბოზის» ძახილი. განსაკუთრებით დედაჩემის ასე მოხსენიება. მამაკაცებმა მხოლოდ ეს იციან. თმა შეიჭერი, ესე იგი მეძავი ხარ; ეწევი, მეძავი ხარ, თითქოს ნამდვილი მეძავი ცხოვრებაში არ ენახოთ. სანამ მშვიდად ვუპასუხებდი, კარგად მოვიფიქრე ყველაფერი:

– დედაშენი პირველმა ქმარმა თხუთმეტ დღეში გააგდო სახლიდან, ასე არ იყო? მერე მამაშენს ძალით შერთეს, ოჯახს შერცხვენა რომ აეშორებინა თავიდან. დედაჩემი ცხოვრებაში ერთხელ გათხოვდა და დღემდე მამაჩემის ცოლია.

ოჯახის ეს საიდუმლო მუსამ არ იცოდა. მე დედამისის უფროსი დისგან შევიტყვევ მაროკოში ყოფნის დროს. მისი ღირსების გადასარჩენად, მუსას ბაბუამ შვილი სასწრაფოდ მიათხოვა ბიძაშვილს, რომელიც მათ ოჯახში ცხოვრობდა და უარს ვერ იტყოდა. მაგრამ ეს «ჭორი» რძლებს არ უნდა გაეგოთ.

მუსა მაშინვე ტელეფონს მივარდა და დედამისს დაურეკა. მძლავრი არგუმენტი მოვძებნე და მისი შედეგიც შევამოწმე. მაროკოში ტელეფონი ხმამაღალზე იყო ჩართული და იქაურმა რძლებმა ყველაფერი მოისმინეს. როგორ გავბედე მე, შორეულ საფრანგეთში მცხოვრებმა უცხოელმა ამის გაგება! ჩემს დედამთილს ნერვიული შეტევა დაემართა, ეს ყველაზე დიდი შეურაცხყოფა იყო მისთვის. დარწმუნებული ვიყავი, შურს იმით იძიებდა, რომ მუსას განქორწინებას აიძულებდა. მეც ეს მინდოდა, მაგრამ არა ასე სწრაფად...

მუსა გაცეცხლებული იყო, თავს ვეღარ თოკავდა.

– ნაგავო, ბოზო, ახლავე კარი გააღე!

სამზარეულოს მხარეს იდგა, მე კარი ჩაკეტილი მქონდა. ისღა მოვახერხე, მეპასუხა:

– ჰო, ვიცი, ვიცი, ყველა ჩემიანი, ჩემი დიდი ბებუის ჩათვლით, მეძავია, მაგრამ დედაშენი მეძავეების დედოფალია.

კარს მოაწვა და სააბაზანოში შემოვარდა. თავი წყალში ჩამაყოფინა, მაგრამ მოვახერხე, მისთვის სახე ისე დამეკაწრა, რომ ნაკვალევი დიდხანს დარჩა. იღლიაში ამომიჩარა და იატაკზე დამაგდო. მირტყამდა მუშტებით, ფეხებით, სახეზე და მთელ სხეულზე. რამდენიმე წამში მომიღო ბოლო.

– ეს გინდოდა? აჰა, მიიღე, აჰა, კიდევ ერთი...

შიშველ სხეულზე არ წყდებოდა მუშტებისა და ფეხების დარტყმა... ეს ყველაზე უარესია, რაც კი ცხოვრებაში გადამიტანია. მაშინ განცდილ გრძნობას სახელსაც ვერ ვარქმევ. ეს იყო სრული უსირცხვილობა, დამცირება, ჩაქოლილი ქალის საზარელი გრძნობა.

როცა ბოლოს და ბოლოს, თავი დამანება, პირსაბანის ქვეშ შევიკუნტე. საგნების გარჩევა მიჭირდა. სააბაზანოდან კმაყოფილი გავიდა.

მცირე ხნის შემდეგ სახე ჩამოვიბანე და სამზარეულოში გავედი. დანას ვეძებდი, რომ მისთვის დამეკრა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად! ვერ ვაზროვნებდი. უეცრად თვალში ისეთი რამ მომხვდა, რამაც ადგილზე გამაშეშა, თითქოს ჩამრთველი გამორთეს: ეს ჩემი შვილის ფოტო იყო. მაშინ გავიფიქრე: «ლეილა, თუ ამას გააკეთებ, შენი ცხოვრება დაინგრევა, შვილსაც დაკარგავ, ის კი მოგებული დარჩება».

მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი მოძრაობა დაინახა, რადგან ალბათ, გაუაზრებლად დანა მოვუქნიე. მაშინვე დაფრთხა:

– რას აკეთებ, რას?

და ტუალეტში ჩაიკეტა. ჯელაბა გადავიცი და ყველაზე ახლოს მცხოვრებ ერთ-ერთ ძმასთან გავიქეცი. მან სახლის ზღურბლზე ჩაკეცილი, მტირალი მიპოვა. როცა დამინახა, მუსას საცემრად წასვლა უნდოდა, მაგრამ გადავაფიქრებინე. ძმის შურისძიება ჩემს გეგმაში არ შედიოდა.

– თავი დაანებე, ნუ ჩაერევი, ყველაფერი ცუდად დამთავრდება!

ამჯერად მამაჩემმა მირჩია კომისარიატში საჩივარი შემეტანა. ექიმის დასკვნა მჭირდებოდა. მთელი სხეული სისხლჩაქცევებით მქონდა დაფარული – დიდხანს მირტყამდა, თითქმის დავკარგე გონება. საავადმყოფოში შესაბამისი საბუთი მომცეს, ხოლო კომისარიატში მორიგე ოფიცერმა მითხრა:

– კარგი, რა მოხდა... იკამათეთ! ამაღამ კიდე იფიქრეთ. აქ იმდენი მოდის საჩივრით, მერე მეორე დღესვე გვხვებენიან მისი მსვლელობის შეჩერებას! იფიქრეთ.

თვალი თვალში გავუყარე და ვუპასუხე:

– საჩივარი ახლავე შემომაქვს, ან მიიღებთ, ან აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

ასე რომ არ მოვქცეულიყავი, კარგად ვიცოდი, რაც მოხდებოდა: ქმრისთვის ბრალის დადების გამო ყველა მე მისაყვედურებდა – მისი მშობლები, მისი ოჯახი.

საჩივარს ხელი მოვაწერე და ჩემმა ძმამ შინ წამიყვანა. უნდოდა მასთან დავრჩენილიყავი, მაგრამ არა, შინ დაბრუნება გადავწყვიტე, ჩემს მოწინააღმდეგეს არ უნდა ეფიქრა, რომ გაიმარჯვა. საბედნიეროდ, ჩემი ბიჭი ამ საზარელ ამბავს არ შესწრებია. შინ დავბრუნდი, თუმცა ვიცოდი, ვრისკავდი, შეიძლებოდა ყველაფერი გამეორებულიყო. ყოველი შემთხვევისთვის პოლიციელები გავაფრთხილე, ისევ ჩემს ბინაში რომ მივდიოდი.

როცა სახლში შესული დამინახა, ოთახი ღიმილით გადმოჭრა:

– ლეილა, აქ მოდი, პატარა, მოდი, მოგეფერო. არაფერია, უბრალოდ ვიჩხუბეთ. ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი ჩაივლის.

ჩემი საწოლში შეთრევა უნდოდა, ამიტომ შევეკითხე:

– სად აპირებ დაძინებას?

– ჩვენს საწოლში.

სამზარეულოში ისევ დანა ავიღე და დავემუქრე.

– თუ ჩემს საწოლ ოთახს მოუახლოვდები, ჩაგარტყამ!

უნდობლად შემომხედა.

– გიმეორებ! თუ ამ ოთახის ან ამ საწოლისკენ ნაბიჯს გადმოდგამ, დანას ჩაგარტყამ.

საწოლში ჩაწვექი და დანა სასთუმალთან დავიდე. ხმა არ ამოუდია. მისაღები ოთახიდან ფეხი არ გამოუდგამს, მაგრამ მე მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. გამწარებულს ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავში:

«ლეილა, ეს ტიპი შენი შვილის მამაა, თუმცა საერთოდ არ აინტერესებს ის. თუ ამ საჩივარს ბოლომდე არ მიჰყვები, ყველაფერი წყალში ჩაიყრება. ოცდაოთხი წლის ხარ, ამ კაცს ახლა უნდა გაეყარო, რომ მერე აღარ იწუწუნო. ორი არჩევანი გაქვს. ან ახლა, როცა ცხოვრება ჯერ კიდევ წინაა, მას თავს დაადგე, ან ორმოცი წლის ასაკში ერთ დილასაც გაიღვიძებ, და მიხვდები, ცხოვრება დაიმანინჯე და მან გვერდზე ჩაგიარა. ასევე იქნება რიადისთვისაც. ეს გინდა? თანახმა ხარ, ყველაფერზე უარი თქვა? თუ ახლა გამოიღვიძებ, სანამ ჯერ კიდევ დროა?»

მეორე დღეს მამაჩემი აბობოქრდა, შინ დამიძახეს.

– ლეილა, ვიფიქრეთ და პროკურორის სახელზე წერილი უნდა დაწერო, საჩივარი გააუქმებინო.

– მამა, სახეზე შემომხედე, რას ვგავარ. გინდა სხეულიც გაჩვენო?

– გეუბნები, საჩივარი გააუქმებინე, მისგან შვილი გყავს.

ბუზი ისევ მინის ხაფანგში იყო. ეს წერილი დაწერე, მაგრამ ბოლოს დავამატე: «ბატონო პროკურორო, გთხოვთ გაითვალისწინოთ, ამ თხოვნას ჩემ გამო არ გწერთ, მხოლოდ ის მინდა, ჩემს ვაჟს ჰქონდეს შანსი, მამის გვერდით გაიზარდოს».

ალბათ სწორედ ამ წინადადების გამო, პროკურორმა ჩემი თხოვნის შესრულებაზე უარი თქვა.

კომისარიატში მიმიწვიეს, პროცესის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. შეტყობინებას შინ, ათი დღის შემდეგ მივიღებდით.

სიმამაცისა და აგრესიულობის ამ პერიოდის შემდეგ ისევ დეპრესიის პერიოდი დამიდგა. ისეთი გამხდარი ვიყავი, ყველას აშინებდა ჩემი მდგომარეობა. ათი დღის განმავლობაში მუსა არ გამკარებია. კარგად იცოდა, თუ რაიმეს მოიმოქმედებდა, საქმე ჩემს ძმებთან ექნებოდა. ერთ-ერთმა გააფრთხილა:

– შენი და ჩემი დის საქმეებში ჩარევას არ ვაპირებ, თავად მოაგვარეთ ყველაფერი. მაგრამ, თუ კიდევ ერთ სიტყვას მაინც იტყვი მამაჩემის, დედაჩემის ან რომელიმე ჩვენგანის შესახებ... თავს მოგაჭრი, შენს სისხლს დავლევ, კომისარიატში შენს თავს წავიღებ, სხეულს კი დედაშენს გაუფგავნი!

მუსას ისე შეეშინდა, რომ მაშინვე პოლიციაში იჩივლა. ამ ყველაფრისა ძალიან მრცხვენოდა. ურთიერთდაპირისპირების, ცემის, ლანძღვა-გინების; მრცხვენოდა იმის, რომ არ შემეძლო ადვოკატის დახმარებით გაყრის პროცესი მარტივად მომეგვარებინა.

ათი დღის შემდეგ მოსულ უწყებაში მუსამ მოტივი ამოიკითხა: «დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახური ძალადობის გამო შეტანილი საჩივრის განხილვა».

ორივენი მივედით, ცალ-ცალკე. პროკურორის თანაშემწის წინ მუსა, მკაცრი იერით, მარჯვნივ იჯდა, მე, დაძაბული და გაშეშებული, მარცხნივ.

– ბატონო, სცემეთ თქვენი ცოლი?

– არა, არა, სრულიადაც არა. იცით, ბატონო პროკურორო, მე მუსლიმი ვარ, მუსლიმს ცოლის ცემა შეუძლია, ისლამი ამის ნებას რთავს.

მოსამართლემ აღმაცერად შეხედა.

– ნუ ურევთ სხვადასხვა რამეს ერთმანეთში. მუსლიმი რომ ხართ, ეგ ერთია, მაგრამ ეს რესპუბლიკაა, აქ ცოლის ცემას რელიგიით არ ამართლებენ.

– ტყუილია, არ მიცემია, იტყუება, ეს ქალი მატყუარაა. მისი ძმები მუდმივად მემუქრებიან.

– თქვენ რას იტყვით, ქალბატონო?

დავუდასტურე ცემის ფაქტი, ექიმის მიერ გაცემული საბუთი მაგიდაზე ედო, ცემის კვალი ჯერ ისევ მეტყობოდა, მაგრამ მუსა წამდაუწუმ სიტყვას მაწყვეტინებდა. არ სურდა, ყველაფერი ამეხსნა, დაუსრულებლად იმეორებდა, რომ ისლამი არ კრძალავს ცოლის ცემას, თუ ქმარს ცუდი ცოლი ჰყავს და მისი გამოსწორება უნდა... ამჯერად მოსამართლე გაბრაზდა და მაგიდას ხელი დაჰკრა:

– ბატონო! მეორედ გაფრთხილებთ! რელიგიას ამ საქმესთან კავშირი არ აქვს! დააცადეთ ქალბატონს საუბარი, ან აქედან მიბრძანდით! თქვენსავე ინტერესებშია, ჭკვიანურად მოიქცეთ, ქალბატონს მოუსმინოთ. ან არადა, ამას უთქვენოდაც მოვახერხებ!

– საწოლში დანით წვება!

ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ მოსამართლემ არ დაუჯერა. როცა მუსამ კიდევ გამაწყვეტინა სიტყვა, მიმართა:

– ბატონო, გარეთ გაბრძანდით! დაუჩქარეთ!

თვალთმაქცურად კართან ახლოს დაჯდა, ყველაფერი რომ მოესმინა.

– არა, არა, ამ ოთახში არა! იქითა დარბაზში მიბრძანდით! ჟანდარმო, ამ ბატონს თვალი არ მოაცილოთ!

ახლა აღარ ეშმაკობდა. ვფიქრობ, თავს დამცირებულად გრძნობდა, რადგან მისი შეხედულება, ქმრის უფლებების შესახებ, შეილახა. საფრანგეთში ცხოვრების უფლების საბუთი ახალი მიღებული ჰქონდა, ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა გაეაზრებინა, რას ნიშნავს რესპუბლიკურ სახელმწიფოში ცხოვრება. მისთვის მამაკაცი ყოველთვის მართალია, არ არსებობს კანონის წინაშე ქალისა და მამაკაცის თანასწორობა.

მოსამართლეს ყველაფერი მოვუყევი. მან დიდხანს მიყურა, ბოლოს თქვა:

– როგორ მოვიქცეთ? ჩემი აზრით, გამასწორებელ დაწესებულებაში გაგზავნა უმჯობესია.

– მგონი, არ ღირს ასე შორს წასვლა. მხოლოდ ის მინდა გაიგოს, რომ ეს საფრანგეთია, აქ კანონები არსებობს და მათი პატივისცემაა საჭირო.

მოსამართლემ მუსა მოაყვანინა. შემდეგ დამაცქერდა, დიდხანს მიყურებდა.

– მაშ, ასე? მოვილაპარაკეთ? ასე მოვიქცეთ, ხომ?

მუსამ ეს წინადადება ვერ აიტანა. თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. მამასადამე, მე შემეძლო მელაპარაკა და მომისმენდნენ, გარკვეულ წილად, მისი სასჯელის ბედს მე ვწყვეტიდი.

– დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახური ძალადობისთვის ერთი წელი მეთვალყურეობის ქვეშ იქნებით. კარგად შემომხედეთ, ბატონო! გაფრთხილებთ: ქალბატონს ამ ხნის განმავლობაში რამე რომ დაუშავდეს, თუნდაც ერთი ღერი თმა დაკარგოს, ვეღარ გადამირჩებით!

ის მანქანით იყო მოსული, მე – ფეხით. სისულელე ჩავიღინე და მანქანა დავუბრუნე. ვერ მოვითმინე და ვეხუმრე:

– ეი, მუსა, არ გინდა, წამიყვანო? მაინც ერთსა და იმავე ადგილზე მივდივართ!

– ჯანდაბამდის გზა გქონია.

– სიამოვნებით! ცოლად ხომ იმიტომ შემიერთე, მოქალაქეობა მიგეღო? ახლა მოქალაქეობა გაქვს, იმიტომ თავი დამანებე.

ასე მეგონა, დედამისს შეაფარებდა თავს, ან სხვაგან გადავიდოდა საცხოვრებლად. ოთხი დაძაბული თვე გავიდა. სამუშაო ჰქონდა, მაგრამ ნახევარ დღეს მუშაობდა. მისი მუშაობის საათები ჩემსას არ ემთხვეოდა, ამიტომ იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. არ ვიცი, სად მუშაობდა, მაგრამ შედარებით სიმშვიდე იყო და ღიად არც მალარდებდა.

მან არ იცოდა, სასამართლოში მისი თანამონაწილეობა მოვითხოვე ბავშვის აღზრდაში. მალალი ინსტანციის სასამართლოდან ახალი უწყება მოვიდა. სიმწრით ატირდა! ფული გადაეხადა საფრანგეთში ცხოვრებისთვის? თავისი შვილის აღსაზრდელად? ასეთი რამ ვერ წარმოიდგინა.

ერთ დღესაც მიზანს თითქმის მივადწიე. არ მახსოვს, მიზეზი რა იყო, ყოველ შემთხვევაში, ნებისმიერ საბაბს ვიყენებდი, რომ გამემწარებინა – მინდოდა, ბოლოს და ბოლოს, თავიდან მომეშორებინა. გაცეცხლებულმა კედელთან მიმაყენა და მუშტი აღმართა. თვალებში უშიშრად შევხედე და საკუთარ თავში დარწმუნებულმა ვუთხარი:

– მუსა, ერთწლიანი მეთვალყურეობის პერიოდი დაგავიწყდა? მე ხომ მხოლოდ ამას ველოდები, მიდი, დამარტყი.

ხელი მაშინვე გამიშვა, მაგრამ იმან, რომ ჩემი ცემა არ შეეძლო, გააშმაგა. საკუთარ თავს ურტყამდა და თან ღრიალებდა:

– ეს გოგო ყელში ამომივიდა, ეს გოგო ყელში ამომივიდა! მინდა წარმატებას მივადწიო, მინდა ჩემი შვილი მარტომ გავზარდო, მინდა, დედაჩემი აქ იყოს!

სახეში მთელი ძალით იცემდა ხელებს, თვალები გადმოეკარკლა, საშინელი სანახავი იყო. სიგიჟის ამგვარმა შემოტევამ დამაშინა: «დაწყნარდი, დაწყნარდი!» არაფერი ესმოდა, თავს კედლებს ურტყამდა, იატაკზე გორავდა, მისი მოთოკვა შეუძლებელი იყო. დასახმარებლად მეზობლებს დავუძახე, შემდეგ სასწრაფო დახმარებას. ჩემი ერთ-ერთი მეზობელი საავადმყოფოში ექთანია, მასაც კი არასოდეს უნახავს ასეთი შეტევა.

უკვე ნანახი მქონდა დედამისისა და მისი დადგმული სცენები, მაგრამ ამის გათამაშება შეუძლებელი იყო. სრულიად გონებაარეული იყო. სისხლით მოთხვრილი დასიებული სახით ისევ კედლისკენ მიიწევდა და თავს ურახუნებდა, მკერდზე მჯიღს ირტყამდა, ტანსაცმელი შემოიხია. ასეთ მდგომარეობაში მყოფს ხელი რომ დაეკარებინა, ნამდვილად მომკლავდა, ძალიან შემეშინდა. ეს ადამიანი დაავადებული იყო დედამისით, საკუთარი ბავშვობით, მის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. მე ვერ დავხმარებოდი ამ საზარელი გავლენისთვის თავის დაღწევაში, უკვე ძალიან დაგვიანებული იყო.

სასწრაფო დახმარებამ, როდესაც შეიტყო სიგიჟის შემოტევის შესახებ, მოსვლაზე უარი თქვა. პოლიციისა და ექიმის გამოძახება გახდა საჭირო. ვალიუმის ორი ნემსის შემდეგ საავადმყოფოში წაიყვანეს. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ტეტანიის შეტევა დამემართა. თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, რომ ვერ მოვზომე და ძალიან შევტოპე. ექიმმა მითხრა, რომ ასეთი შეტევის დროს სრულიად შესაძლებელი იყო, მოვეკალი. მისი აზრით, არ იყო «ნორმალური» ასეთი რეაგირება კამათის დროს და ალბათ, მე დავუშვი რაღაც შეცდომა. შეურაცხყოფა მდუმარედ უნდა ამეტანა. მაგრამ ხომ არ შეიძლება მთელი სიცოცხლე ღუმდე? მთელი ბავშვობა მცემდნენ, ძალად გამათხოვეს, მყავდა ისტერიკით დაავადებული დედამთილი და ქმარი და თანდათან მეც მათ ვემსგავსებოდი.

ნემსი გამიკეთეს, შინ მარტო დავრჩი. ყველაფერი კიდევ ერთხელ წარმომიდგა თვალწინ.

«არაფერი დაგიშავებია, შენ მხოლოდ თავს იცავდი. სხვა რა გამოსავალია? დანის ხელში აღება და მისი მოკვლა? მე ხომ დამნაშავე არ ვარ. ან შვილთან ერთად უნდა გავიქცე. მამაჩემთან მივდივარ და მეუბნება: «საჩივარი უკან გამოიტანე, არ გაეყარო!» სად წავიდე? თავშესაფარში, სადაც ოჯახურ ძალადობას გამოქცეული ქალები ცხოვრობენ? ერთი საწოლი მექნება, ერთი ჩემოდანი და ჩემი შვილი. მერე ჩემი სამსახური? ბინა? აქ შენმა ქმარმა მშვიდად უნდა იპარპაშოს? შენ კი სადღაც ბუნაგში ბავშვით ხელში და უმუშევრობის დახმარების იმედად

დარჩე? ან ეს, ან მშობლებთან დაბრუნება. მას შემდეგ, რაც ამ ყველაფრის დასაძლევად გააკეთე, თავიდან იწყებ? მერე სულ ამას წამოგაძახებენ: «გაგეყრება! ხომ გეუბნებოდით, გაგეყრება! სად მიდიხარ? ვისთან ერთად? რომელ საათზე დაბრუნდი? სიგარეტი მოწიე?»

ამ ბინიდან რომ არ გავსულიყავი, მეგონა, სული შემეხუთებოდა. ვინმესთან საუბარი მინდოდა. ამ შუალამისას, ჩემს მდგომარეობას მხოლოდ მარივონი გაიგებდა. როცა მხედავდა, თითქოს საკუთარ თავს უყურებდა სარკეში. მანაც თითქმის იგივე ჯოჯოხეთი გამოირა, მაგრამ, ჩემგან განსხვავებით, როცა დაინახა, ქმარი როგორ აპირებდა მათი პატარას ფანჯრიდან გადაგდებას, დანას ხელი დაავლო და ქმარს მიეჭრა. მარივონი ბავშვთან ერთად გაიქცა, მის ქმარს ცოლ-შვილი აღარასოდეს უნახავს, სახსოვრად მხოლოდ ნაიარევი დარჩა.

მარივონი იცდიდა, ვიდრე ტირილით გული არ ვიჯერე.

– შეტევა გქონდა?

– არა, არ მიძინია.

– ეს ზღაპარი სხვას მოუყევი! ყველგან ცემის კვალი გატყვია!

– არა, ეს არაფერია. ჩემი ქმარი ჭკუიდან შემშლის. შიშის შემოტევები მაქვს. რამე არ გაქვს დასაძინებელი? თვალის მოხუჭვა აღარ შემიძლია.

უკვე ერთი საათი იყო, მარივონის სახლს ვუტრიალებდი. მისგან ის უნდა მიმედო, რაც მიჭირდებოდა. მაგრამ მისი დაფრთხობაც არ მინდოდა. იძულებული ვიყავი, მუსას შეტევაზე ცოტა რამ მომეყოლა. საშინლად ვიყავი. ვუთხარი, რისიც მეშინოდა.

– ლეილა, საშინელი დებრესია გაქვს, ექიმთან უნდა მიხვიდე და იმკურნალო.

– ხვალ მივდივარ. დამამშვიდებლები გამომიწერა, მაგრამ გამითავდა.

მარივონმა ნახევარი კოლოფი ტრანკვილიზატორები გამომატანა, თან გამაფრთხილა, შიშის შეტევისას მხოლოდ მეოთხედი აბი დამეღია.

ვუთხარი, უკეთ ვარ-მეთქი და შინ დავბრუნდი. იატაკზე, დივანზე, კედლებზე სისხლის კვალი ჩანდა. მაროკოში ჩემს მულს დავურეკე და მოვუყევი, რაც მოხდა.

– მგონი, ყველაფერი ჩემი ბრალია, მე შევშალე ჭკუიდან. რატომ მოვიქეცი ასე?

– ლეილა, გაჩუმდი, დედა-შვილს უყვარს ასეთი სცენების მოწყობა, ორივე ავადმყოფია! ამაზე ნუ ფიქრობ. საავადმყოფოში მიხედავენ და გამომჯობინდება.

თითქოს დამარწმუნა, დავემშვიდობე და ყურმილი დაკვიდე. მაგრამ ეს წინადადება გონებაში დაუსრულებლად მიტრიალებდა: «ასე რატომ მოვიქეცი? ჭკუიდან შევშალე».

შინ რაც ტრანკვილიზატორი მქონდა, ყველაფერი დავლიე და ისიც დავამატე, რაც მარივონმა მომცა.

მანამდე საღამოს განწმენდის რიტუალი შევასრულე, ბალიშის ქვეშ ყურანი ამოვიდე. დაძინება, თუ მშვიდად სიკვდილი მინდოდა, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, აღარ მინდოდა რაიმეზე მეფიქრა. დილით დედაჩემი მოვიდა სახლის დასალაგებლად. ეგონა, მშვიდად მეძინა.

ბოლოს, გამაღვიძა. თვალეები ძლივს გავახილე, ფეხზე წამოვდექი, შხაპი მივიღე და სამსახურამდე ბარბაცით მივედი. სკამზე დავჯექი, მაგრამ როცა წამოდგომა ვცადე, მოწყვეტით დავეცი. იმ დღეს არ ვმუშაობდი და არც უნდა მივსულიყავი, დილით ეს არც კი გამახსენდა.

გონს საავადმყოფოში მოვედი. ვიღაც დამდგომოდა თავზე და კითხულობდა:

– ლოთია თუ ნარკომანი?

დაბნეულმა თვალები გავახილეთ. შემაშინა იმის გაფიქრებამ, რომ შეიძლებოდა გიჟებთან გამოვემწყვდიე.

როგორ უნდა ილაპარაკო სიყვარულზე?

მინდოდა, ამ პალატიდან რაც შეიძლება მალე გამედღწია. ფსიქოლოგი გამომიგზავნეს, მაგრამ მასთან სიტყვა არ დამიძრავს. კიდეც ერთი შესაძლებლობა გავუშვი ხელიდან, ეს ყველაფერი სრულიად უიმედო ჩანდა. იქნებ გავგიჟდი? ნამდვილად მინდოდა სიკვდილი? მალიკა, ჩემი უბნელი მეგობარი, თავზე მადგა. მისთვის და ჩემი მშობლებისთვის ეს მხოლოდ ტეტანიის შეტევა იყო. კიდეც ერთი. ამიტომ ხმას არ ვიღებდი და ჯიუტად ვამბობდი უარს ჭამაზე. სულელური იმედი მქონდა, რომ ექიმი ხელს ჩაიქნევდა და აქედან გამიშვებდა. მუსა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, რასაკვირველია, სულაც არ მინდოდა, მის კვალს გავყოლოდი.

ჩემი პატარა ძმა დაშინებული მოვარდა.

– ლეილა! წამოდი! მუსა საავადმყოფოდან გამოვიდა, შინ დარეკა და რიადის წასაყვანად აპირებს მოსვლას.

შიშმა ამიტანა. წამართმევს, მაროკოში, დედამისთან წაიყვანს! ადგომა მინდოდა, მაგრამ ტანსაცმელი შენახული ჰქონდათ და თანაც გადასხმის აპარატს ვიყავი მიერთებული. ვღრიალებდი:

– გამიშვით აქედან!

ექთანი და ექიმი მაშინვე პალატაში გაჩნდნენ.

– ვერ გაგიშვებთ, ძალიან ცუდად ხართ. ფსიქოლოგთან არ გისაუბრიათ, ის კიდეც უნდა მოვიდეს თქვენს სანახავად.

– ახლავე გამიშვებთ! თუ საჭირო გახდა, დაგარტყამთ კიდეც, მე უნდა გავიდე.

მალიკამ ჩემი დამშვიდება სცადა:

– ნუ გეშინია, ახლავე შენთან წავალ და ვნახავ, რა ხდება.

სასწრაფოდ წავიდა, მაგრამ ვერაფერი დამამშვიდებდა, საქმე რიადს, ჩემს სიცოცხლეს ეხებოდა.

აქ არავის ესმოდა ჩემი, არავინ იცოდა ჩემი ამბავი. იძულებით გათხოვილი? ეს ხომ მე არასოდეს უნდა შემხებოდა. თვითმკვლელობა? ეს არასოდეს ჩამიდენია. მაგრამ არ შემეძლო იმ გიჟის ხელში დამეტოვებინა ჩემი გადაღლებული ცხოვრების ერთადერთი ბედნიერება, ჩემი სიცოცხლის მიზანი, ჩემი ვაჟიშვილი! ის მხოლოდ მე მეკუთვნოდა!

გადასხმის აპარატი მოვიგლიჯე, ექიმს ხელი ვკარი და ვყვიროდი:

– თავი დამანებეთ! ჩემს შვილს წამართმევს, გესმით, წაიყვანს და წამართმევს!

მუხლებზე დავეცი, იატაკს მუშტებს ვურტყამდი.

– შვილს წამართმევს, თუ მართლა ასე მოხდა, თავს აღარ ვიცოცხლებ, ამქვეყნად აღარაფერი დამრჩენია, უნდა წამოვიყვანო ჩემი ბიჭი.

ვტიროდი, ექიმსა და ექთანებს გაშვებას ვევედრებოდი, ხალათებზე ვებღაუჭებოდი.

– ძალიან გთხოვთ, ჩემი შვილი მინდა!

– ისეთ მდგომარეობაში ხართ, ხელს ვერ მოაწერთ საავადმყოფოდან ნებაყოფლობით გასვლის დოკუმენტს.

– რაც გინდათ, მოიტანეთ და ხელს მოვაწერ, ჩემი შვილი უნდა წამოვიყვანო! გესმით? უნდა მივასწრო, თორემ წამართმევს!

ბოლოს, ექიმი დათანხმდა, შეადგინეს საბუთი და ხელი მომაწერიხს. ჩემი ტანსაცმლის მოტანასაც კი არ დავუცადე, საავადმყოფოს ჰიჟამითა და ჩუსტებით ქუჩაში გავვარდი. სირბილისგან სუნთქვა მეკვროდა, ფეხები მიკანკალებდა, როდესაც მანქანა გამისწორდა და ყვირილი გავიგონე.

– ლეილა, გაჩერდი!

– არა, არა! ჩემი შვილი, უნდა წამოვიყვანო!

მალიკა მანქანიდან გადმოვიდა და გამომეკიდა.

– გაჩერდი! რიადი და დედაშენი ჩემს მანქანაში არიან.

შიშისგან ისევ ვკანკალებდი, ვერაფერი გავიგე, რას ამბობდა.

– მალიკა, შვილს წამართმევს!

ვიდრე მე საავადმყოფოში ვჩხუბობდი, მალიკამ დედაჩემი და რიადი წამოიყვანა. გონს რომ მოვსულიყავი, სილა გამაწნა. მხოლოდ ამის შემდეგ მივხვდი, რომ რიადი უსაფრთხოდ იყო და აქ, დედაჩემის კალთაში იწვა. ბავშვი გულში ისეთი ძალით ჩავიკარი, კინაღამ გავგუდე.

სავადმყოფოში უნდა დავბრუნებულიყავი. მხოლოდ ახლა ვხვდები, როგორ ავად ვიყავი მაშინ. მაგრამ ამ ავადმყოფობის სახელი არ ვიცოდი. დანებება არ მინდოდა. ჩემი დეპრესია რომ მეღიარებინა, საკუთარ თავზე უარი უნდა მეთქვა. ის ჩემი ნაწილი იყო, უკვე წლები იყო, დეპრესიით ვცხოვრობდი, ის ჩემი მეორე მე გახდა. შიში ნამდვილი დაავადებაა. ყველაფრით მაშინებდნენ: იმით, რომ გოგონა ვარ, ქალწულობით, ურჩობით, გათხოვებით, ახლა კი ჩემი შვილის გამო მეშინოდა. ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლისაც მეშინოდა. საკუთარ ცხოვრებას ისე იოლად არ ვუყურებდი, როგორც ახლა, რადგან მუდამ შიში მღევდა თან, შიში ხელ-ფეხს მიკრავდა და სულს მიხუთავდა იმ ზომამდე, რომ ხან თავის მოკვლა მინდოდა და ხანაც ვცდილობდი, დახმარება მეთხოვა. ნერვიული შეტევა და სიცილის შეტევა ერთი და იგივეა. ბუზი ფართხალებდა, ისე მოუხერხებლად, როგორც შეეძლო.

უარი ვთქვი ბინის დატოვებასა და ჩემს მშობლებთან გადასვლაზე. ის უმცირესი თავისუფლება, რაც მოვიპოვე, ჩემთვის მეტისმეტად ძვირფასი იყო. ჩემი მშობლების ოჯახში ის გაქრებოდა. სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებაზე უარი ვთქვი, დარწმუნებული ვიყავი, თავად დავძლევდი ყველაფერს. მაგრამ სინამდვილეში ანორექსიით ვიყავი დაავადებული, უიმედოდ, მარტოდმარტო, ამ უცნაური ცხოვრებით – მუდმივად სიცოცხლის შიშსა და სიკვდილის სურვილს შორის მერყეობით.

შინ დავბრუნდი ჩემი ვაჟითა და საკუთარი ორმოციოდე კილოგრამით. ამიერიდან რიადს თვალს არ ვაშორებდი. ყველგან თან დამყავდა, საწოლი ოთახიდან სამზარეულოში, ტუალეტშიც კი ხელს არ ვუშვებდი. რიადი უკვე წელიწადზე ცოტა მეტი ხნის იყო და სულ ხელში მეჭირა. ჯერ უნდა მოვეკალი ვინმეს, რომ ბავშვი ხელიდან გამოეგლიჯა.

მამამისმა საავადმყოფო ორმოცდარვა საათში დატოვა. ექიმებს აუხსნა, რომ ეს ნერვიული კრიზისი იყო, რაც უკავშირდებოდა გაყრის

მოსურნე «ცოლთან შექმნილ პრობლემას». თავი დაჩაგრულად წარმოაჩინა. ერთმა წელმა გაირა, დროდადრო მუშაობას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვწყვეტდი. შინ განრისხებული მამაკაცი იყო, რომელმაც ჩემი დამორჩილება ვერ შეძლო.

ერთმანეთს ხმას აღარ ვცემდით, ორი უცხო ადამიანი ერთ ქერქვეშ ცხოვრობდა მხოლოდ. ვაგრძელებდი ოჯახის დიასახლისის მოვალეობის შესრულებას. ვურეცხავდი სარეცხს, ვამზადებდი სადილს, ეს იყო და ეს. მასთან ერთად საყიდლებზეც კი არ მივდიოდი. რიადს მამამისთან მართო არასოდეს ვტოვებდი, მეშინოდა, ხელი არ დაეველო ბავშვისთვის და მაროკოში არ გაექანებინა. ფულს თავად შოულობდა, მაგრამ ყველაფერს დედამისს უგზავნიდა. იმავე წლის შემოდგომაზე თავადაც მაროკოში დაბრუნდა, თუმცა იცოდა, სასამართლო გამოიძახებდა და ალიმენტის გადახდას დაავალებდა. ფიქრობდა, რომ სარჩელს გამოვიტანდი – გაყრის შემეშინებოდა.

მოსამართლესთან მართო გამოვცხადდი. მუსამ ადვოკატს სამედიცინო ცნობა გამოატანა. კერძო ადვოკატისთვის ფულის გადახდა არ სურდა, სახაზინო ადვოკატი ჰყავდა. ჩემი შვილის მამა აცხადებდა, რომ დეპრესია აქვს და არ შეუძლია საქმის მოსმენაზე გამოცხადება. მოსამართლემ პროცესი ერთი თვით გადადო.

მოსამართლის წინაშე ცრემლები ვეღარ შევიკავე. ეს მუდმივი ცირკი მომბეზრდა. მისი მიზანი იყო, არაფერში გადაეხადა ფული, მხოლოდ ყველაფერი წაერთმია. ცოლი იმისთვის შეერთო, რომ საფრანგეთის მოქალაქეობა მიეღო და მაქსიმალურად ცდილობდა არსებული მდგომარეობის გამოყენებას. არც მეორე მოსმენაზე გამოცხადდა, მოტივი იგივე იყო. მოსამართლეს კიდევ ერთი თვით სურდა პროცესის გადადება, მაგრამ მუსას ადვოკატმა განაცხადა, რომ ეთიკური მოსაზრებით უარს ამბობდა კლიენტის დაცვაზე.

– მას კარგად ვიცნობ, ის აქ არასოდეს გამოცხადდება. ყოველთვის გამოძებნის მიზეზს. საქმე უსასრულოდ გაიჭიმება და ეს ქალბატონი დაზარალდება მხოლოდ.

მოსამართლე ამ სიტყვებმა დაარწმუნა, მან მუსას ცოლ-შვილისთვის თანხის გადახდა დააკისრა: ორასი ევრო თვეში. ეს არ იყო უსაშველოდ დიდი თანხა, მაგრამ «ოჯახის მამამ» გადაწყვეტილება საკუთარი საფულის შეურაცხყოფად აღიქვა. ოჯახის ერთ-ერთ წევრს დაარეკინა, რომ გადაეთქმევინებინა ჩემთვის. მოსამართლეს წერილი მისწერა და უსაყვედურა, რომ განაჩენი მისი არყოფნისას გამოიტანა. სასწრაფოდ დაბრუნდა საფრანგეთში, მაგრამ სახლში არ მოსულა, სადღაც პროვინციაში იყო, უსახსრობას იმიზეზებდა და იმიგრანტების რეინტეგრაციისთვის განკუთვნილ თავშესაფარში ცხოვრობდა. მის შესახებ ახალ ამბავს მხოლოდ ოფიციალური გზით ვიგებდი.

მაროკოს საკონსულოში მიმიწვიეს გაყრის საქმესთან დაკავშირებით. მივედი, თუმცა კარგად ვიცოდი, რომ ეს პროცედურა არა საფრანგეთში, არამედ მაროკოში უნდა ჩატარებულიყო, აღილების თანდასწრებით. მართლაც, ახალი მიწვევა უკვე მაროკოდან, ოჯახური საქმეების მოსამართლისგან მივიღე. ქმარი დალატში მდებდა ბრალს, თუმცა დამადასტურებელი საბუთი არ მოუტანია. მოსმენა გადაიდო. მე დაჟინებით ვცდილობდი, გაყრისთვის საფრანგეთში მიმეღწია.

რაკი გაყრა ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო რეგისტრირებული, ჩემი მშობლები მაინც წყალწაღებულებივით ეჭიდებოდნენ ამ უსახურ ქორწინებას ოჯახის ღირსების გადასარჩენად.

«დაბრუნდება, უნდა დაურეკო და ბოდიში მოუხადო».

ბოდიში მოვუხადო? მე? ბოდიში იმისთვის, რომ იძულებით შემერთო ცოლად? არასოდეს.

ეს ქორწინება ჩემს მშობლებს სურდათ, მამაჩემმა ამის გამო მცემა და მისი წარუმატებლობის, გადატანილი ტანჯვის მიუხედავად თვლიდნენ, რომ გაყრა ყველაზე საშინელი რამ იქნებოდა

ჩემთვის? და შემდეგ ამით ისარგებლებდნენ, რომ ისევ ჩემი ცხოვრების, არჩევანისა და სოციალური ცხოვრების კონტროლი აედოთ ხელში.

ერთ საღამოს რესტორანში წავედი თანამშრომლებთან ერთად. შინ ცხრის ნახევარზე დავბრუნდი. ჩემმა ძმამ დარეკა:

– უსიამოვნება გელის. მამამ გაიგო, რომ შინ არ იყავი! შენი ნახვა უნდა!

ჩემთვის გადაწყვიტე, რომ ახლა უნდა გადამეჭრა ის ძაფი, რომელიც ოჯახთან მაკავშირებდა. მამაჩემი ჩემთვის საწამებლად მიჩნეულ საწოლ ოთახში ზურგზე ხელებდაწყობილი მელოდა.

– სად იყავი?

დედაჩემმა მაშინვე ჩემი ლანძღვა დაიწყო:

– ასეთ დროს შინიდან მხოლოდ მეძავეები გადიან!

მამაჩემმა ჩააჩუმა. «პრობლემა» მხოლოდ მას უნდა მოეგვარებინა.

– ახლოს მოდი! სად იყავი?

– რესტორანში, თანამშრომლებთან ერთად.

– შენი აზრით, ასეთ დროს გარეთ გასვლა შეიძლება?

– მამა, მხოლოდ და მხოლოდ საღამოს ცხრა საათია, რა მოხდა! ხომ მაქვს უფლება რესტორანში ისე წავიდე...

– არა! არ შეგიძლია საღამოს ცხრა საათამდე გარეთ იყო. ახლოს მოდი! ამოისუნთქე!

და ისევ დაიწყო! ოცდაოთხი წლის ხარ თუ არა, გათხოვილი ხარ თუ გაუთხოვარი, თუ სახლიდან გახვედი და ეწევი, აუცილებლად მეძავი ხარ.

– მოწიე!

სახეში მომაფურთხა და არაბულად შემაგინა.

– თავიდან მომწყდი! მეძავი ხარ და მეტი არაფერი! მუსა ყველაფერში მართალია, ცუდი ცოლი ხარ!

დედაჩემმა დაამატა:

– არ მიკვირს, რომ წავიდა! შენ გვერდით მამაკაცმა როგორ უნდა იცხოვროს! თხუთმეტჯერ რომ გათხოვდე, თხუთმეტჯერვე გაეყრები. სიგარეტს ეწევი, ქუჩის ნათრევი ბოზივით!

მამაჩემმა ბოლო მომიღო, კიდეც ერთხელ შემომაფურთხა.

– გულს მირევ!

პარალიზებული ვიყავი. რის სათქმელად ვემზადებოდი? არც კი ვიცი. თუ ამის თქმას ვაპირებდი: «ემშაკმა დალახვროს, თავი დამანებეთ, საკმარისი არ არის, რაც მაწამეთ? დამაცადეთ ცხოვრება! ცუდი არაფერი ჩამიღენია, მხოლოდ და მხოლოდ რესტორანში წავედი კოლეგებთან ერთად. ისე მლანძღავთ, თითქოს ქუჩაში შიშველი დავდივარ!»

მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე, ვერ შევძელი. მუშტებმეკრული ვიდექი და ყველაზე აუტანელ ლანძღვას ვისმენდი. «ყველაფერი შენი ბრალია, შენ ხარ დამნაშავე». ყველაფერს მოვისმენდი და ავიტანდი, ამის გარდა: «მუსა მართალია. ეს შენ ხარ ცუდი ცოლი».

მამაჩემმა დაასკვნა:

– ამიერიდან, ან გონს მოხვალ და გამოსწორდები, ან შენს შვილთან ერთად მიხედავ თავს, ოჯახი აღარ გეყოლება! შენი დანახვა აღარ მინდა.

ისევ ვხედავდი საკუთარ თავს ამ ოთახში და მისი სიტყვები ჩამესმოდა: «მას ცოლად გაჰყვები! ან მას, ან სხვას არავის, თუ არადა ოჯახი აღარ გეყოლება!»

გული მომიკლა. ამ სიტყვების გამო თავისუფალი ვეღარასოდეს ვიქნებოდი. და მარტო მე არ ვარ ასე. ოჯახი ჩვენი ერთადერთი თავშესაფარია სამყაროში, რომელშიც ვერ ვისწავლეთ დამოუკიდებლად ცხოვრება. იმიტომ, რომ მშობლები ბავშვობიდან არ გვიშვებენ ამ სამყაროში. მასთან პირისპირ დარჩენილნი, განიარაღებული, პიროვნულობის გარეშე, ტრადიციებით, აკრძალვებითა და შიშით ვართ შებოჭილი. და კიდევ, ჩვენ საკუთარი მშობლები გვიყვარს. მალრიბელ გოგონას არ შეუძლია ამ დამაკავშირებელი ძაფის გაწყვეტა. ძალიან უნდა ასე მოიქცეს, მუდამ მაკრატლის ძიებაშია, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მის ხელში აღებას ხელს უშლის მიტოვების, მარტოდ დარჩენის შიში. ეს ძაფი დაბადებიდანვე გვახრჩობს, სულს გვიხუთავს სიკვდილამდე, იმის მიუხედავად, რომ საფრანგეთში დავიბადეთ. ორჯერ გავიქეცი შინიდან და ორჯერვე დავბრუნდი. ეს თავისუფლების შიში, გაფრენის შიშია, რადგან ფრთები დამაჭრეს. არ ვიცი, ვინ ვიყავი – ლეილა, მამის ქალიშვილი; ლეილა, უცნობი მამაკაცის ცოლი თუ ლეილა, პატარა ბიჭის დედა. მხოლოდ ამ უკანასკნელში ვიყავი დარწმუნებული. მაგრამ ამასაც ჩემი მშობლები მანტაჟისთვის იყენებდნენ.

«ვიდრე არ გამოსწორდები...»

ეს ნიშნავდა მორჩილების გზაზე დაბრუნებას, ყველაფერ იმას, რასაც ვეღარ გავუძლებდი.

თავის მოკვლას იმიტომ ვცდილობდი, რომ ჩემი ცხოვრება მათ წამართვეს, ისე იოლად, თითქოს არაფერი მომხდარა. მათ თვალში მე არ ვიყავი ნორმალური.

კიდევ მინდოდა სიკვდილი. ნამდვილად მინდოდა. მსურდა, ამ ცხოვრებას ბოლო მოღებოდა. ყველაფერი მომბუზრდა, წინააღმდეგობის გასაწევად ძალა აღარ მქონდა. ჩემი შვილიც კი აღარ მაკავშირებდა ამ ძალღურ არსებობასთან, რადგან ყოველთვის მე ვიყავი დამნაშავე, დასჯილი და გამოკეტილი.

ყურანი ავიღე, თითქოს ღმერთს პატიებას ვთხოვდი. საავადმყოფოში მოცემული ყველა ტრანკვილიზატორი გადავყლაპე. წიგნს ვფურცლავდი და ბინის სიჩუმეში ალაღბელზე ვკითხულობდი სტროფებს. და გონება კიდევ ერთხელ დავკარგე.

«ლეილა, გესმით ჩემი? ლეილა, ხმა გამეცით!»

მესმოდა. გამოსახულება გადღაბნილი იყო. გადასხმა შინ გამიკეთეს. კიდევ ერთხელ გადავრჩი. როცა დედაჩემმა ხელის მოხვევა და ჩემი გულში ჩაკვრა დააპირა, ხელი ვკარი და ვიდრიალე:

– თავი დამანებეთ, შემეშვით, გაქრით ჩემი ცხოვრებიდან!

– დედაშენი ვარ, დედაშენი...

– თავი დამანებე! არა, შენ დედაჩემი არ ხარ, მომეშვი.

ვყვიროდი და თან ვტიროდი.

– ლეილა, რა გემართება? მამა ვარ.

– შენც თავი დამანებე, მომეშვი...

მხოლოდ ამას ვიმეორებდი: «თავი დამანებეთ».

ვერ მივხვდი, როგორ უბედურად გრძნობდა თავს, წუხდა, მას ხომ სინამდვილეში ჩემი ბედნიერება გულწრფელად სურდა და არ ესმოდა ჩემი საქციელი.

შედეგი ლოგიკური იყო. მამაჩემმა კიდევ ერთხელ მისაყვედურა: «ყველას თვალში დაგვამცირე!»

იმ დამეს გამოსამშვიდობებელი მესიჯი მივწერე მარტინას, მასწავლებელს, რომელიც ბავშვობიდან მიცნობდა და გადარჩენას მას უნდა ვუმაღლოდე. ის ყოველთვის მიცავდა, მესაუბრებოდა და თუმცა ყველაფერი არ იცოდა ჩემი ცხოვრების შესახებ, სურდა, მემკურნალა.

– ლეილა, ფსიქიატრთან აუცილებლად უნდა მიხვიდე...

– არა, არ არის საჭირო...

ასე მეგონა, მესიჯს მხოლოდ დილით მიიღებდა და ამასობაში უკვე მკვდარი ვიქნებოდი. კარგად ვერ გამოვთვალე.

ჩემი ბინის მისაღებ ოთახში ჩემი ძმები ისხდნენ და ერთადერთ ფრანგს, მარტინას ესაუბრებოდნენ. დიალოგი მძიმე იყო, მაგრამ მხოლოდ მარტინას შეეძლო მისი წარმართვა.

– გაყრის უფლება არ აქვს. ჩვენში ეს არ არის მიღებული. ქმრის დაბრუნებას უნდა დაელოდოს. ბავშვი ჰყავს მისგან. სხვაგვარი ცხოვრების უფლება მას არ აქვს.

– რატომ არ შეუძლია სხვაგვარად იცხოვროს? განა საკმარისი არ არის, რაც გადაიტანა? რას ელოდებით, თქვენი დის სიკვდილს? იმის სანაცვლოდ, რომ გვერდში დაუდგეთ და ამ ყველაფრის გადატანაში დაეხმაროთ...

ის შუამავალი იყო ლანდად ქცეულ ლეილასა და ჩემს მშობლებს შორის. საათობით იჯდა ჩემ გვერდით და მესაუბრებოდა. ის რომ არა, ალბათ, ვერ გადავრჩებოდი.

საავადმყოფოში კუჭის ამოსარეცხად გადამიყვანეს. შემდეგ საჭმელი მომიტანეს, მაგრამ უკან გავატანე ლანგარი. ფსიქიატრი მოვიდა, არც მისთვის გამიცია ხმა. თავზე საბანი წავიხურე, არც ვინმეს ნახვა მსურდა, არც შეკითხვების მოსმენა. ფსიქიატრი ცოტა ხანს ჩემს საწოლთან იდგა, შემდეგ ექიმთან მივიდა და უთხრა:

– ფსიქიატრიულ განყოფილებაში უნდა გადავიყვანო!

ექიმი პალატაში შემოვიდა, ექთანი დაითხოვა და კარი დაკეტა.

– ახლა ლეილა, ადგებით! მიდით! ადექით!

მაიძულა, ფეხზე დავმდგარიყავი, შენობით საუბარზე გადავიდა, თან თვალებში მიყურებდა.

– მუსლიმი ვარ, მაგრამ თან ექიმი. მინდა ყველაფერი აგიხსნა, რომ მიხვდე. გინდა სიკვდილი?

– დიახ.

– ვაჟიშვილი ხომ გყავს? გიყვარს?

– დიახ.

– გინდა მისი დაკარგვა? თუ ასეა, რასაც აკეთებ, საუკეთესო გზაა. მიდი, გააგრძელე! ახლა ყურადღებით მისმინე: ორი არჩევანი გაქვს. ან თავი ხელში აიყვანო და ყველაფერს მოერიო, ან ხვალ დილით ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაგიყვანენ. და დამიჯერე, შვილს ძალიან დიდი ხნით ვეღარ ნახავ. მაგრამ თუ პირობას მომცემ, რომ ასეთ რამეს აღარ გაიმეორებ, მამაშენს ახლავე დავურეკავ. ორივენი მუსლიმები ვართ, ასე რომ, მომისმენს! რა აწუხებს? არ უნდა შენი განქორწინება?

– ეს ცოდვა... ჰალამია!

– მამაშენს ვეტყვი, რომ როცა წყვილი ერთმანეთს ვერ ეგუება, რელიგია არ კრძალავს გაყრას, ეს ჰალალია! მაროკოს მეფის ბრძანებითაც კი დაშვებულია განქორწინება! მაშ, რა გადაწყვიტე? მომბეზრდა შენი ნახვა ასე ხშირ-ხშირად ამგვარ მდგომარეობაში. ერთხელაც იქნება, შენსას მიაღწევ და ველარავინ გიშველის. არ მინდა, მორგში შენი სხეულის ამოსაცნობად გამომიძახონ. აბა, რა გადაწყვიტე?

– კარგი, აღარ განმეორდება.

– ნამდვილად? პირობას მაძლევ?

– დიას, გპირდებით.

მამაჩემს მაშინვე დაურეკა და სასაუბროდ დაიბარა, თან ისეთი ტონით, რომ მას რაიმე მომიზუზებით უარის თქმა ვერ მოეხერხებინა. ექიმი მიხვდა, ჩემი ქორწინება მშობლების ძალდატანებით რომ მოხდა. ძალიან ხშირად მხედავდა თავის განყოფილებაში, მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში.

– ბატონო ჩემო, მინდა სიმართლე იცოდეთ. ხვალ დილის რვა საათზე უნდა მობრძანდეთ და ვისაუბროთ. თუ არ მოხვალთ, თქვენს ქალიშვილს საბოლოოდ დაკარგავთ – დილის თერთმეტის ნახევარზე მას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანენ! გმადლობთ, ნახვამდის.

ასე მამაჩემთან არასოდეს არავის უსაუბრია. ექიმი მუსლიმი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, არც მოვიდოდა.

მეორე დილას, დათქმულ დროს, მამაჩემი საავადმყოფოში იყო. პირისპირ ერთ საათზე მეტხანს ისაუბრეს. პირველად მოხდა, რომ მამაკაცმა მხარი დამიჭირა. არა მხოლოდ მისი პროფესიის, არამედ აღმსარებლობის წყალობითაც.

– მე და მამაშენმა ვისაუბრეთ, ვუთხარი, რომ ქმარს ვერ ეწყობით. როცა ასე ხდება ცოლ-ქმარს შორის, გაყრა ჰალალია და ის უნდა შეეგუოს. თქვენც უნდა შეეგუოთ ამ აზრს – თუ ქალს გაყრა სურს, ის დამნაშავე არ არის. ახლა ჩაიცვით და ჩემთან მხოლოდ მაშინ მოდით, თუ ფხვს იღრძობთ!

მამაჩემი შესასვლელთან მელოდებოდა. არაფერი უქვამს, არც შემოუხედავს. დედა ჩემთან იყო სახლში, რიადს უვლიდა. შინ მისული მაშინვე საწოლ ოთახში შევედი, დარაბები დავხურე და საწოლში ჩავწექი. დედაჩემმა საჭმელი შემომიტანა.

– მომეშვი.

არც დამინახავს, თუ ის იყო, «მომეშვი» მთელ დედამიწას ვუთხარი.

უკვე უფსკრულის ფსკერზე ვიყავი. ოცი დღის განმავლობაში არაფერი მიჭამია, არც წყალს ვსვამდი და გაუწყლოება დამემართა. ექიმმა მხოლოდ ვიტამინები მომცა, ეშინოდა, ისევ თავის მოკვლა არ მეცადა. ისე ვხმებოდი, როგორც უდაბნოში მიტოვებული აქლემი. ლოგინიდან ვერ ვდგებოდი, ვერ ვინძრეოდი. ვიწექი და ვკვდებოდი.

დროდადრო რიადი ცდილობდა ოთახში შემოსვლას, მაგრამ არაფერი მესმოდა. დედაჩემი სულ ჩემ გვერდით იყო, უილაჯოდ ტიროდა, რადგან პირში ნამცეცს ვერ მიღებდა. არც ეს მაწუხებდა. მაშინ იმედგადააწურულმა ჩემს მეგობარს, მარივონს დაურეკა.

– აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. საწოლ ოთახში შესვლა ამიკრძალა, სიბნელეში წევს, არც ჭამს და არც სვამს. მოკვდება, ვიცი, რომ ჩემი შვილი კვდება.

მარივონი, ჩემი კეთილი «დედიკო» ჩემს ოთახში გაცეცხლებული შემოიჭრა.

– რა დღეში ხარ?

– შემეშვი, მარიკონ, შემეშვი, შენი დანახვა არ მინდა.

– გგონია, შენსას გაიტან? რა ადვილია ასე მოიქცე!

დარაბები გააღო. თავზე საბანი წავიხურე და ავღრიალდი:

– მარიკონ, საზიზღარო, რა უფლება გაქვს, ჩემს სახლში ასე მოიქცე!

– იცი, რას გეტყვი, ახლავე ადექი! ახლავე ფეხზე დადგები, გესმის, ექიმთან მივდივართ! ასეთს რომ გიყურებ, არ ვაპირებ, შენი სიკვდილი ჩემს სინდისზე იყოს.

საწოლიდან გადმომათრია. მარიკონი ღონიერია, ოთხმოცდაათ კილოგრამს იწონის, მე კი ბუმბულივით ვიყავი და ეს არ გასჭირვებია.

– დედაშენს შეხედე! შეხედე, ამდენი დღეა, ტირის! შენს შვილს შეხედე! მეც კი არ მიმიცია ჩემი თავისთვის იმის უფლება, რასაც შენ ახლა აკეთებ! ბავშვი გყავს, მან რა დაგიშავა. აწიე საჯდომი, მივდივართ!

ოჯახის ექიმმა ასეთ მდგომარეობაში რომ დამინახა, მაშინვე სილა გამაწნა. ისიც ფსიქიატრიულ კლინიკაში გაგზავნით დამემუქრა. ჩემი მეგობრები ჩაერივნენ საქმეში, რადგან შეიძლებოდა, დედობის უფლება ჩამოერთმიათ. სცადეს, სადმე, სანატორიუმში ადგილი გამოეძებნათ, მაგრამ ამოად. ისევ შინ დავბრუნდი. საწოლი ოთახის კარს მიღმა დედაჩემი რიადს უვლიდა, მე კი ვიწექი და ვკვდებოდი.

დროდადრო იმისთვის ვდგებოდი, რომ ფანჯრიდან გადამეხედა. იქ სიცარიელე იყო. ეს სიცარიელე მიზიდავდა. ვდგებოდი და ვუყურებდი... შემდეგ ისევ ვწვებოდი. თავს ვუბნებოდი, რომ ერთ დღესაც გამბედაობა მეყოფოდა. შეიძლებოდა ეს ხვალ მომხდარიყო. თითქოს ყოველდღიური რიტუალი გახდა. მართლაც რომ გადავმხტარიყავი?

ძლივს ვსვამდი ექიმის გამოწერილ ვიტამინებს. მაგრამ ვერავინ მაიძულა, რაიმე მეჭამა ან დამელია, მხოლოდ ტუჩებს ვისველებდი წყლით. ყლაპვა აღარ შემეძლო. დამით შიში მიჰყრობდა, სიკვდილზე ვფიქრობდი. ეს ჯოჯოხეთური იყო: სიკვდილზე აკვიატებული ფიქრი და გაუბედაობა ფანჯრიდან გადასახტომად. ერთ საღამოს ვენები გადავიჭერი, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა. შემდეგ ქამრით თავის ჩამონრჩობაც ვცადე, თუმცა სასთუმალთან დადებულმა მობილურმა ტელეფონმა დარეკა და ინსტინქტურად ვუპასუხე.

სინამდვილეში სიკვდილი არ მინდოდა. მხოლოდ მსურდა, «მათთვის» დამემტკიცებინა, რომ მათი ქცევა მკლავდა. «ისინი» ჩემი მშობლები იყვნენ, განსაკუთრებით – მამაჩემი. ჩემი მდგომარეობიდან გამოსაყვანად საკმარისი იყო, მას საკუთარი შეცდომა და ბრალეულობა ეღიარებინა.

ყოველთვის, როცა თავის მოკვლას ვცდილობდი, ვიდაც ან რაღაც ხელს მიშლიდა. შესაძლოა, ეს ჩემი მეორე მე იყო, რომელიც თვითმკვლელობისკენ მიდრეკილ, ანორექსიით დაავადებულ სხეულში ბუდობდა.

ერთხელაც მითხრეს, რომ ასე უბედურად თავს იმიტომ ვგრძნობდი, რომ შეუგნებლად მსურდა მამაჩემისთვის მეთქვა: «მინდა მომაკვდავს მხედავდე და მაშინ მაინც დამაფასო, ეს უნდა იყოს ჩემი სიკვდილის გამართლება».

მაშინ ასეთ რამეზე ნამდვილად არ მიფიქრია. ყველამ თავი მომაბუზრა. ჩემთვის ყველაფერი მარტივი იყო: «მინდა მოვკვდე». მორჩა და გათავდა.

შიშის, ანორექსიის, ტვინის მიერ გადაწყვეტილი შინაგანი სიკვდილის თვრამეტი დღე გავიდა და შემდეგ რაღაც მოხდა. საწოლი ოთახის კარი გაიღო და ღიმილმა შემოანათა: რიადი

შემოვიდა. ის ჯერ საწოლზე ამოხობდა, შემდეგ ჩემს სხეულზე, გულზე დამაჯდა, თავი ჩემს კისერში ჩარგო.

და ბავშვის ხმა გავიგონე, რომელიც ამბობდა: – იცი, დედიკო, მიყვარხარ. ძალიან მიყვარხარ და მთელი სიცოცხლე მეყვარები.

ეს სუსტი ხმა სასწაული იყო, ის საჭირო დროს გავიგონე. იქამდე არ მესმოდა იმ მეგობრების ხმა, რომლებსაც ვუყვარდი; არც იმ ადამიანების ხმას ვუგდებდი ყურს, რომლებსაც სჯეროდათ, რომ ვუყვარვარ.

მაშინ მივხვდი, რომ ამ პატარა არსებას «ასე» ვერ მოვექცეოდი. ის ჩემი ცხოვრება იყო, მე – მისი. უჩემოდ დაიტანჯებოდა. უჩემოდ ის ისეთი აღზრდის მსხვერპლი გახდებოდა, მე რომ ვეწინააღმდეგებოდი.

მისი სიტყვებით, მე და ის «მთელი სიცოცხლე» ერთად უნდა ვყოფილიყავით. სიკვდილი «ფანჯრიდან გადავუძახე».

მან იმ დილაკს დააჭირა თითი, ჩემი გამოცოცხლებისთვის რომ იყო საჭირო. მაშინვე ყველაფერი ცხადად დალაგდა ჩემს გონებაში: გამახსენდა, როგორ გავიგე დაფენმძიმების შესახებ, როგორ ველაპარაკებოდი ჩემს მუცელში მყოფ პაწაწინა არსებას.

«გეფიცები, რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის შენ გვერდით ვიქნები, ამიერიდან ამ ქვეყანაზე ორნი ვართ!»

თავის მოკვლით მარტოს ვტოვებდი, ესე იგი, პირობას დავარღვევდი.

ვფიქრობ, სწორედ მან გადამარჩინა, რიადმა, ჩემმა საუნჯემ, ჩემი ცხოვრების სინათლემ.

ხელები მოვხვიე და გულში ჩავიკარი.

«მეც ძალიან მიყვარხარ და მთელი სიცოცხლე მეყვარები. ნუ გეშინია, დედიკო ყოველთვის შენ გვერდით იქნება».

წამოვჯექი. ახლა საჭირო იყო ფეხზე დადგომა. თუ ამას მოვახერხებდი, ყველაფერს დავძლევდი.

კიდურების კანკალით მისაღებ ოთახში გავედი და ტელევიზორი ჩავრთე. რიადი გვერდიდან არ მცილდებოდა, ჩემ გვერდით ჩამოჯდა და ორივენი ეკრანს მივჩერებოდით. საღამოს პურის პაწაწინა ნაჭერი შევჭამე და ერთი ჭიქა წყალი სვენებ-სვენებით დავლიე. ის ჩემ წინ იჯდა და ვახშმობდა. თავს ძლივს ვიმაგრებდი, ისევ დაწოლა მინდოდა, მაგრამ რიადის გამო ვუძლებდი.

და ნელ-ნელა, ცხოვრებამ თავისი ფერები დაიბრუნა, თითქოს დაუმთავრებელ ნახატს მხატვარმა აკვარელის ფერები დაადო, მართალია, არც ისე ხასხასა, მაგრამ მაინც ასე ჯობდა.

თვეები დასჭირდა საბუთების შედგენას, სასამართლო პროცესს, მაროკოსა და საფრანგეთში გასაუბრებებს, ზოგჯერ სიძულვილის შემოტევებს, მაგრამ განქორწინებას მივადწიე. ეს დიდი დამცირება იყო დედაჩემისა და მამაჩემისთვის. მართალია, მამაჩემი ისე მწვავედ აღარ რეაგირებდა, მაგრამ მაინც უკმაყოფილო იყო.

ძალიან დიდი ხნის შემდეგ ვცადე, მისგან პატიება, პატივისცემა და სიყვარული მომეპოვებინა.

– მამა, მოდი, გულახდილები ვიყოთ, ხომ იცოდი, ქმრად არ მინდოდა!

– შვილო, ეს წარსულია, უკან ნუ დავბრუნდებით.

– მაგრამ მამა, მაშინ რომ მოგესმინა ჩემთვის, ამდენ ტანჯვას ხომ არ გამოვივლიდი! მას მხოლოდ მოქალაქეობის მიღება სურდა და თავისას მიაღწია კიდეც. ხომ დაამტკიცა საკუთარი საქციელით! თქვენც გამოგიყენათ და მეც. შენ რა იხეირე ამ ქორწინებით? ან ვინმემ, ჩვენს ოჯახში?

როგორც იქნა, მისგან ის სიტყვები გავიგონე, ამდენ ხანს რომ ველოდი:

– ეს შეცდომა იყო.

ქორწინებიდან რიადი მყავს – მხოლოდ ეს იყო დადებითი. თუმცა, ისევ არ შემძლია თავისუფლად მოვყვე ჩემი ცხოვრების ამბავი. იძულებითი ქორწინება ოჯახის საიდუმლოა. იმ უძირო დაბნეულობის მიუხედავად, რაც სიკვდილისკენ მიმაქანებდა, დარწმუნებული ვიყავი, ღმერთს არ სჭირდება «ტრადიცია», რომელიც ადამიანებში სიყვარულს კლავს. ამის აღიარებას იძულებით გათხოვილი გოგონები ვერ ბედავენ. ისინი სხვებს ატყუებენ, არარსებულ სასიყვარულო თავგადასავლებს იგონებენ. მეც ვიტყუებოდი, თითქოს ჩემი ქმარი არდადეგებზე გავიცანი. სხვები თავს ისე აჩვენებენ, თითქოს მამის მიერ შერჩეული უცნობი მამაკაცი უყვართ, ეშინიათ სირცხვილის, გაყრას რომ მოსდევს. ტყუილი, თავის მოჩვენება, დუმილი, მორჩილება, მთელი სიცოცხლე მამაკაცების, ოჯახის, უბნისთვის საკუთარი სიტყვების, ქმედებისა და ჟესტებისთვის ანგარიშის ჩაბარება – ასეთი ცხოვრება აუტანელია.

სხვებივით გამბედაობა ან თავქარიანობა არ მეყო, მშობლებისგან შორს გავქცეულიყავი, მშობლებისგან, რომლებსაც ვუყვარდი და თან დაბადებიდან უნებურად სულს მიხუთავდნენ. მინდოდა შინ მებრძოლა. დამერწმუნებინა მამა, დედა, ძმები. დამემტკიცებინა, რომ ცხოვრებისა და სიყვარულის თავისუფლება უფლებაა. დავმარცხდი. ეს იმიტომ, რომ მარტო ვიბრძოდი.

მარტინას და ჩემი მეგობრების დახმარებით, სიკვდილს გადავურჩი. ეს იყო ჩემი ერთადერთი გამარჯვება. მას შემდეგ კიდეც ბევრს მივაღწიე.

ვისწავლე, როგორ ვიყო დამოუკიდებელი ისე, რომ სხვებს ზიანი არ მივაყენო და თავს ძალა დავატანო, მათაც გავუგო. მამაჩემი მიყვარს და ყოველთვის მიყვარდა. არ მინდა, ვინმემ ისე წარმოიდგინოს, თითქოს ეს ასე არ არის და ამ წიგნით ანგარიშის გასწორება მსურს. კარგად ვიცი, როდის უნდა მომეკრიბა გამბედაობა და მისთვის მეთქვა: «მამა, შენ მიყვარხარ, მაგრამ არა ეს უცხო მამაკაცი, მამა, მიყვარხარ, მაგრამ არ გავყვები».

თავიდანვე უნდა მეთქვა იმის ნაცვლად, რომ მომავალი ქმრის წინ მწარე ჩაით სავსე ჩაიდან და დამეგა და ასე უნებურად გამომეწვია. მარტინასა და ჩემი მეგობრების დახმარებით უნდა მესარგებლა, მათთვის ყველაფერი მომეყოლა და ასე გააფთრებულს მარტოლმარტო არ მებრძოლა. ამან მიმიყვანა თვითმკვლელობამდე. შენ გარშემო ყოველთვის არის ვიღაც, უბანში, ქალაქში, ვინც მზადაა, დახმარების ხელი გამოგიწოდოს. გოგონებს მხოლოდ ერთი რამ შემძლია ვურჩიო – ილაპარაკეთ. გევედრებით, ჩემსავით ნუ მოიქცევით, ამ ამაყ და სულელურ დუმილს ნუ აირჩევთ იარაღად. დღემდე ვბრაზობ საკუთარ თავზე ამგვარი ლაჩრობისთვის.

კიდეც ერთ გამარჯვებად ვთვლი ჩემი მშობლების შეხედულებების ცვლილებას. ისინიც მიხვდნენ, რომ იძულებითი ქორწინების ამ ტრადიციის გამო ყველანი ვიტანჯებოდით. მამაჩემი დღეს რიადს ეთამაშება – ასე საკუთარ ვაჟებთან არასოდეს მოქცეულა. ბაბუა-შვილიშვილი ერთმანეთს აღმერთებს, მამაჩემს ის ყველგან თან დაჰყავს. დაბადებიდანვე რიადი მისთვის ბედნიერების წყაროა და მიხარია, ამის განცდის საშუალება რომ მივეცი.

მშობლებთან ჩემი ურთიერთობა შეიცვალა. ახლა უკვე სხვაგვარად ვაფასებ მათ. მათ ყოველთვის უყვარდათ ერთმანეთი. მამაჩემი, თავისი შემოსავლის გათვალისწინებით, არაფერს გვაკლებდა. მას არასოდეს დაურტყამს ხელი დედასთვის, არც მათი კინკლაობა გამიგონია ოდესმე, ჩემი და მუსასგან განსხვავებით. ისინიც გარდასული ეპოქის ტრადიციის მონები იყვნენ და გულწრფელად სურდათ ქალიშვილისთვის სიკეთე. ჩემმა რთულმა და მოუწესრიგებელმა ბრძოლამ მათ ეს კარგად დაანახვა და ვიცი, ჩემი პატარა და აღარასოდეს

დაიტანჯება, ჩემმა გამოცდილებამ ის საკმარისად დაიცვა. მართალია, გმირი არ ვარ, მაგრამ ჩემს ოჯახში ამგვარი ახლებური ცხოვრების ჰიონურად ვითვლები. ხანდახან მახსენდება ქორწილის დილა მაროკოს მდიდრული სასტუმროს დარბაზში. მამაჩემმა გულში ტირილით ჩამიკრა. მას ვუყვარვარ, ის გულწრფელია, მას არ სურს, დავიტანჯო. უნდა მებრძოლა არა მამის, არამედ ტრადიციის წინააღმდეგ. არასწორად ვიქცეოდი. ბრაზი და გააფთრება ხელს გიშლის ფიქრში.

კიდევ ერთი გამარჯვება ის არის, რომ ახლა მარტო, ვაჟიშვილთან ერთად საკუთარ ბინაში ვცხოვრობ, მშობლების სახლიდან საკმარისად ახლოს.

უკანასკნელი გამარჯვება რიადის აღზრდაა. დადგება დღე და მამამისის შესახებ უნდა მოვუყვე, ავუხსნა, რომ მუსა, ჩემსავით, ზოგიერთ ოჯახში შემორჩენილი უძველესი ტრადიციით აღმოჩნდა ხელ-ფეხშეკრული და ამისთვის არ უნდა სძულდეს. მეც და ჩემი ქმარიც მსხვერპლნი ვიყავით.

რიად, შვილო, შენ ნიადაგი მოგიშადა, არც მაჩო იქნები და არც დედის მონა. ერთ დღესაც თავისუფლად აირჩევ და შეიყვარებ ქალს და საზეიმოდ გპირდები, არავითარ შემთხვევაში არ გავხდები ეჭვიანი და კაპასი დედამთილი.

ფსიქოთერაპიის აუცილებელი კურსის გრძელი გზა გავიარე, რასაც მანამდე დიდხანს ვეწინააღმდეგებოდი. საკუთარი თავის უკეთ შეცნობა დავიწყე და სხვებსაც უკეთ ვუგებ; იმედი მაქვს, ვარ და დავრჩები დედად, რომელიც თავისი შვილის სიყვარულის ღირსია.

მომავლის ჯერ ისევ მეშინია, განსაკუთრებით ცხოვრების თანამგზავრის სიყვარულის, რადგან ისევ მაკლია და თან სიყვარულის მეშინია. ზოგჯერ დღესაც თავს იმ მოფართხალე ბუზად ვგრძნობ, მაგრამ უკვე მაქვს საკუთარი ფრთები, ჩემი ვაჟი, და უკვე მაქვს იმის ძალა, ამ ფრთებმა ორივე გვზიდოს. მაგრამ მკითხველს ჩემი თავგადასავალი ფსევდონიმით ვუამბე. ის, რაც ზუსტად და შეულამაზებლად მოვყევი, იმათთვის, ვინც გარდასული დროის შეხედულებებს ებლაუჭება, თავის მოჭრა და პროვოკაციაა. მათგან უნდა დავიცვა ჩემთვის ძვირფასი ადამიანები. დღეს ასეა. ერთ მშვენიერ დღეს, და იმედი მაქვს, ამას მოვესწრები, ჩემი ამბავი წარსულის მონათხრობად იქცევა.

სამადლობელი

მთელი გულით მადლობა მარტინას, რომ მიტანდა, მისმენდა, მეფერებოდა... მადლობა ჩემი შვილისა და ოჯახის სახელით. მე შენი «მეორე ქალიშვილი» ვარ, შენ ჩემთვის ის «უფროსი და» ხარ, რომელიც არ მყავდა. ყოველთვის შენ გვერდით ვიქნები. შენი წყალობით ჩემი ურთიერთობა მშობლებთან შეიცვალა. მათ ისეთებს ვხედავ, აღრე რომ ვერასოდეს წარმომედგინა.

მადლობა სოფის მხარდაჭერისა და ჩვენი საუბრებისთვის. შენი წყალობით წარსულის კარი საბოლოოდ გამოვიხურე და მხოლოდ მომავალზე ვფიქრობ. მადლობა, ჩემი მეგობარი რომ ხარ.

ჟან-მარის: «ემშაკმა დალაზვროს, საღამო მშვიდობის!», შენ იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნები, ვისაც მძიმე წუთებშიც კი შეუძლია გამაცინოს.

მადლობა მარსელს მისი მფარველობის, გვერდით დგომისა და სიყვარულისთვის. მადლობა, უმძიმეს წუთებში მხარდაჭერისთვის.

მარი-ლუიზ, სებასტიან, ანა, მარი-დელფინ და სოფი, გმადლობთ, რომ ჩემი ირწმუნეთ და შანსი მომეცით, ყველაფერი გადამელახა.

მადლობა იზაბელსა და თომას მეგობრობისთვის.

მადლობა დომინიკს. შენი წყალობით გახდა შესაძლებელი ამ უჩვეულო წამოწყების განხორციელება, მადლობა მეგობრობისა და მხარდაჭერისთვის.

მადლობა მარი-ტერეზ კუნის, ჩემს მეორე «დედიკოს», რომელიც მისმენდა და თავისი ლამაზი კალიგრაფიით ჩაიწერა ჩემი თავგადასავალი.

მადლობა გამომცემლობის მთელ კოლექტივს:

ფილიპ რობინეს დასაწყისიდან დასასრულამდე მხარდაჭერისთვის, ამ უნიკალური გამოცდილების მიღების საშუალება რომ მომცა. მადლობა, მადლობა, მადლობა კეთილშობილებისა და მეგობრობისთვის.

ჟულიეტ ლეგროს, ჩემს საოცრად სათნო და ალერსიან ჟულიეტს. შენ მუდამ ჩემს გულში იქნები!

ჟან-მარი პერიეს, რომელმაც მომხიბლა. მეამაყება და ჩემთვის დიდი პატივია შენი გაცნობა. ის, რომ შენნაირი დიდსულოვანი ადამიანი თავაზიანად და კეთილგანწყობით დაინტერესდა ჩემი ამბით, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

მადლობა ბრუნო ბარბეტს, ჩემი შიში რომ გაიგო და საჭირო დრო მომცა.

მადლობა ედიტ ლებლონს, ასე კარგად რომ ჩასწვდა ჩემს სულს და შესანიშნავი ფოტო «დაიჭირა».

მადლობა ბეატრის კალდერონს, რომელმაც ყველაფერი იღონა, წიგნს რაც შეიძლება მეტი ადამიანი რომ გასცნობოდა.

მადლობა ბერნარს, ფლორანს, კატრინს, კაროლინს... მადლობა ყველას, იმათაც, ვისაც ჯერ არ ვიცნობ, ვაფასებ თქვენს მხარდაჭერას, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი.